



ჩვენი მწერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

22 აგვისტო 2014

№ 17 (225)

ქართველ ემიგრანტთა დღე
 ნელი ბატიაშვილის ლექსები
 მარინე ტურავა კობა ცხაკაიაზე
 მედეა ბიბილეიშვილის გახსენება
 ანდრეი ტარკოვსკის სიტყვა აპოკალიფსზე
 არაბულ-ებრაული ურთიერთობის მომავალი
 სტენდალის ნაპოლეონი ქუთაისური ვარიაციებით
 თამარელა წონორია ნუციკო დეკანოზიშვილზე
 გალაკტიონის ფიქრებთან ერთად ხეტიალი
 ლევან ბოლქვაძის პოლიტიკური სატირა
 გედის სიმღერა აკაკი განერელიასი
 ლაშა იმედაშვილის მოთხრობა
 ჯგუფის „ზღვარი“ პოეზია



შინაარსი

წარსული მოგავლისათვის	2	სოფიკო ჯერვალაძე 25 ივნისი — ქართველ ემიგრანტთა დღე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში)
ვერონიკ გვაგუა	4	ნინო დოლიძე ტკივილი, რომელიც არავის ახსოვს (არაბულ-ებრაული ურთიერთობის მომავალი)
პუბლიკაციის კვლევა	6	რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე ბაკატოვის საქართველო ქართველების გარეშე (ანდრე ბეკეტოვის „თბილისი და მისი შემოგარენი“)
ზვის წიგნაკიდან	8	საბა სულხანიშვილი „და ბავიბე, რომ არაფერი არ გამოვიდა“ (ომარ ხაიამის კიდევ ერთი გამონათება)
მსპრეს-ინტერვიუ	9	თამაზ ბაციკაძე „წინ, სიკეთისაკენ!“ (მოამზადა მაკა ჯიბლაძემ)
პროზა	10	ლაშა იმედაშვილი კულინარი
პოეზია	27	კახა ბაციკაძე სინსლისფერი გლადიატორები გიორგი ზუხბაია პოეზიის ფერფლი სერგი ლომაძე გული ხალაბი ვასო ლომაძე თვლები
	28	ნელი ბატიაშვილი ბუდისტი ბერი და სხვა ლექსები
უსხოეთის ცხოვრებიდან	30	ლაშა გიორგაძე კიმ ფილმი (ჯემზ ბონდის ანტიპოდი)
ესეისტიკა	34	ანდრე ტარკოვსკი სიტყვა აპოკალიფსზე
ახალი წიგნები	36	ნინო სადღობელაშვილი ზღაპარი სამივე დროისთვის და უფრო ანაქროსტის (ლევან ბოლქვაძის პოლიტიკური სატირა)
ლიტერატურული პორტრები	38	როსტომ ჩხეიძე ბედის სიმღერა აკაკი განაჩილის (ჩანაწერების ციკლი „ჩემი სოლილოკვიო“)
რეპორტაჟი	44	ნინო დეკანოიძე სად, მაინც სად ქრება ის წლები?.. (რეზო ჭეიშვილის „მინების განაწილება“ და ერთი მსახიობის თეატრი)
დაუთმებული სახელები	47	ია საკანდელიძე სულის მშვენიერების ძიებაში (მედია ბიბლიოთეკის გახსენება)
გამოგზავრება	50	ელგუჯა თავბერიძე სტანდალის ნაპოლეონი ქუთაისური ვარიანტით
კრიტიკა	51	თამარელა ნონორია მადლიანი საწეს(ა)რები (ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური კრებულის — „ნამსხვრევები“ — გამო)
როგორ ვითვალთვინებთ კლასიკას	54	ზურაბ ლავრელაშვილი რატომ ვერ ვითვალთვინებთ ვაჟა-ფშაველას? (ვაჟა-ფშაველა და ნიცმე...)
ახალი რომანი	56	მარინე ტურავა მშვიდობა — ომზე არანაკლებ საშიში (კობა ცხაკაიას „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“)
საქართველოს გვაგუა	57	ანი იმნაძე „ბალატიონის ფიქრებთან ერთად ხატიალი“ (როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია)
სილუაბი	59	ლელა ჯიყაშვილი მვალურ ჰორიზონტიანი პორტრეტი (ლევან ლოლობერიძე)
ახალი თარგმანები	60	ერიკ ემანუელ შმიტი სასტუმრო ორი სამყაროს ბასაყარზე
ამ მთისა და იმ გარისა	71	დალანი, დალანი...



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გაერცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 სექტემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გაერცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: აგვისტო
ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

სოფიკო ჯერვალიძე

25 ივნისი — ქართველ ემიგრანტთა დღე

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი)

ადამიანთა გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეში საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა. საქართველო ამ მხრივ საინტერესო ისტორიული მაგალითია, რომელმაც მრავალგვარი ემიგრაცია გადაიტანა — კულტურული, პოლიტიკური, სოციალური.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია დიდხანს მანძილზე საგულდაგულოდ იმალეობდა, ანდა დამახინჯებულად მოგვეწოდებოდა საბჭოეთში, რკინის ფარდის მიღმა მცხოვრებთ.

როგორც ილია ამბობდა: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“ ჰოდა, ჩვენი ქვეყნის არცთუ შორეული პოლიტიკური ემიგრაციული წარსულის საგანძური ჭავჭავაძის გამზირის 13 ნომერშია დავანებული, რომელიც ფართოდ უღებს კარს ამ პერიოდით დაინტერესებულთ...

თუ უახლოეს წარსულს ვერ დავიმახსოვრებთ, აზრობრივ საცერში არ გავატარებთ და შესაბამის სამართლიან დასკვნებს არ გავაკეთებთ, ერის ისტორიული მემკვიდრეების უწყვეტ ჯაჭვი განყდება და მისი შემადგენელი ისტორიული რგოლების შეერთება-გამთლიანება შეუძლებელი გახდება მომავალი თაობებისათვის — წერდა იოსებ ლუდუშაური, რომელსაც შეუძლებელია არ დაეთანხმო...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი დაარსდა 1994 წლის 10 ოქტომბერს ყოველთა ქართველთა მსოფლიო ფორუმის გახსნასთან დაკავშირებით. განთავსებულია თსუ VIII კორპუსში, IV სართულზე. მუზეუმი გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გურამ შარაძის** პირადი ფონდის ბაზაზე — 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი ემიგრანტული უნიკალური ნივთები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, რადიო „თავისუფლების“ გადაცემების აუდიო-კასეტები, ცნობილ ემიგრანტთა მემორიალური ნივთები, ფერწერული ტილოები, ვიკტორ ნოზაძის პარიზული ქართული სტამბა და ა.შ.

მუზეუმის განსაკუთრებულ საგანძურს წარმოადგენს საარქივო ფონდი — 80-ზე მეტი პირადი არქივი (ნაწერები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, პირადი და ოფიციალური დოკუმენტები). დაცულია ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორის, ვიკტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზურაბ ავალიშვილის, შალვა მაღლაკელიძის, გიორგი მაჩაბლის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, კალისტრატე სალიას, გიორგი პაპაშვილის, გივი კობახიძის და სხვათა არქივები. ამ არქივებში დოკუმენტთა 90% არის ხელნაწერი (ავტოგრაფი), დანარჩენი 10% ნაბეჭდი სახითაა. ასევე, უნიკალური ფოტო-არქივი — 400 სამუზეუმო საქალაქო არქივში შედის პერსონალური



რუსუდან კობახიძე კონსტანტინე სურგულაძე

რი (ცნობილი ემიგრანტები), ჯგუფური, თემატური, ნაკლებ ცნობილ ემიგრანტთა ფოტოები (დედნები, ასლები, ნეგატივები); აუდიოტეკა — 325 ბაზინა და 40-ზე მეტი კასეტა. დაცულია რადიო „თავისუფლების“ მიერ 40 წლის მანძილზე გამკვეთულ გადაცემათა ფონოკასეტები, რომლებზეც შემონახულია გრიგოლ რობაქიძის, ვიკტორ ნოზაძის, მიხაკო წერეთლის, გიორგი კვინიტაძის, ნოე ჟორდანიას და სხვა ცნობილ ემიგრანტთა ხმები; ვიდეოტეკა — 200 ვიდეოკასეტა (გადაღებულია გურამ შარაძის მიერ ცნობილ ემიგრანტებთან); მემორიალური ფონდი — დაცულია ნოე ჟორდანიას, კიტა ჩხენკელის, ვიკტორ ნოზაძის პირადი ნივთები; ფერწერული ტილოები — გრიგოლ რობაქიძის, ირაკლი (კაკი) წერეთლის, გივი კობახიძის პორტრეტები, პეიზაჟები.

მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია განთავსებულია მხატვარ კობა გურულის მიერ შექმნილ სტენდებსა და ვიტრინებში.

1994 წლის შემდეგ თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს არაერთი ღონისძიება, გამოფენა, საღამო თუ შეხვედრა აქვს ჩატარებული. მუზეუმის ხელმძღვანელი ქალბატონი **რუსუდან კობახიძე** და თანამშრომელი **დოდო კორსანტია** საოცარი გულისხმიერებით ღებულობენ ახალგაზრდებს, ამომწურავ ინფორმაციას დაულალავად აწვდიან მათ და ცდილობენ ქართული ემიგრაციის მტკივნეული ისტორიის სიყვარულის მარცვალ მათ გულელებშიც გააღვივონ... ღებულობენ ამ თემატიკით დაინტერესებულ მეცნიერებს, მკვლევართებს, სტუდენტებსა თუ დოქტორანტებს. მათი ერთადერთი მოთხოვნაა, ყველამ მიუთითოს ნაშრომში ემიგრაციის მუზეუმი, თუ მათი ფონდების გამოყენება მოხდება.

2013 წლის 13 თებერვალს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდობის სულიერი და კულტურული აღორძინების ცენტრში წარდგენილი იყო ცნობილი ემიგრანტის **პეტრე ხვედელიძის** საარქივო მასალებზე შექმნილი **ციციწო ჯერვალიძის** ნიგნი „**პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით**“ (ნიგნი II). საღამოს უძღვებოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბატონი **ივანე ჯაფარიძე**, რომელმაც წარდგინების დასასრულს საზოგადოებას განუცხადა: „რა ქართველები ვიქნებით ჩვენ, რომ ბატონ პეტრეს დაბადებიდან 95-ე წელი თბილისში არ აღვუნიშნოთ“.

სიტყვას საქმეც მოჰყვა, სამიოდე თვის შემდეგ, ემიგრაციის მუზეუმმა დიდი სიხარულით უმასპინძლა ამ საიუბილეო საღამოს და სტუმრებს სპეციალური გამოფენაც დაახვედრა, ღვანლმოსილი ქართველის ხელნაწერები, ფოტოები, მისადმი მიძღვნილი წერილები, ლექსები, სტატიები.

ბატონი პეტრეს პატივსაცემად 25 ივნისი, მისი დაბადების დღე, ქართველ ემიგრანტთა დღედ გამოცხადდა.

თვითონ კი უზუცესი ქართველი, საკუთარ დაბადების დღეს ვაშინგტონის ჰოსპიტალში, ავღანეთში დაჭრილ ქართველ მებრძოლებთან ერთად შეხვდა და ყველას დაუბარა, ვისაც ჩემი პატივისცემა და დაბადების დღის მოლოცვა გინდათ, აქ მომილოცე-

თო... ისეთი ენერჯითა და შემართებით იყო, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 96-ე დაბადების დღე უიმისოდ აღინიშნებოდა.

ემიგრაციის მუზეუმმა კარგა ხნით ადრე დაიჭირა თადარიგი და 25 ივნისს, ქართველ ემიგრანტთა დღეს საგანგებო გამოფენა უძღვნა „ქართველები მეორე მსოფლიო ომში — ემიგრაციის მეორე ტალღა“. ლონისძიების შესახებ ვაცნობთ პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული ტაძრის წინამძღვარს, მამა **არჩილ დავრიშაშვილს**, რათა იქაური მრევლისათვის ეს ინფორმაცია მიეწოდებინა და პანაშვიდი პარიზშიც გადაესხადათ.

ეს დღე არც ვაშინგტონელ ქართველებს დავიწყებიათ, მათ პეტრე ხვედელიძის ამერიკელ მეგობრებთან ერთად პანაშვიდი გადაიხადეს, შემდეგ კი ირანულ რესტორანს მიაშურეს, რომელიც ბატონ პეტრეს განსაკუთრებულად უყვარდა და სადაც ხშირად ეპატიჟებოდა ყველა ახლობელს.

25 ივნისს, დღის 2 საათზე დიდუბის პანთეონში შეკრებილმა საზოგადოებამ პეტრე ხვედელიძის საფლავზე პანაშვიდი გადაუხადა თვით ბატონ პეტრეს და ყველა გარდაცვლილ ემიგრანტს.

4 საათზე კი გაიხსნა გამოფენა.

დაპატივებულ სტუმრებს დაეგზავნათ მოსაწვევები, რომელთაც ამშვენებდა ფოტოსურათი ცნობილი ქართველი ემიგრანტის, არქიტექტორის, ალექსი კობახიძის შექმნილი საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა სოფენისადმი მიძღვნილი, ჯერჯერობით განუხორციელებელი მემორიალისა, რომელიც ციციულის ქართულ სასაფლაოზე უნდა აღმართულიყო. სტუმართა შორის მრავალ იყვნენ ქართველ ემიგრანტთა შთამომავლები, ნათესავები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, პოეტები, ის ადამიანები, რომელთაც პეტრე ხვედელიძესთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. მუზეუმის ლონისძიებას ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ: სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში ბატონი **კონსტანტინე სურგულაძე**, პირველი მოადგილე — **ზაალ სარაჯიშვილი**, მრჩეველები — **თამარ გამილადიშვილი**, **გია ფერაძე**, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით ჩიკვაძე**, დიასპორისა და კავკასიის საკითხებში საპარლამენტო კომისიის თანამშრომელი **გიორგი მეზრიშვილი**, ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი **სევდია უგრეხელიძე**.

გამოფენა ოფიციალურად გახსნა მუზეუმის ხელმძღვანელმა ქალბატონმა **რუსუდან კობახიძემ**, რომელმაც ისაუბრა გურამ შარაძის დიდ ღვაწლზე ქართველ ემიგრანტთა წინაშე. მან აღნიშნა, რომ II ტალღის ემიგრანტებისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მათი ფოტოები, ნერვლები, ნაშრომები ხელნაწერი თუ ნაბეჭდი სახით, მემორიალური ნივთები, პირველად გაიმართა საქართველოში. მანვე აუწყა საზოგადოებას, რომ ასეთი გამოფენის იდეა პეტრე ხვედელიძის სახელთან იყო დაკავშირებული, რადგან იგი II ტალღის ემიგრაციას მიეკუთვნებოდა, ანუ იმ თაობას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გერმანელთა ქართულ ლეგიონებში იყვნენ გაერთიანებული.

მან მადლობა გადაუხადა ბატონ კონსტანტინე სურგულაძეს და დიასპორის სამინისტროს მთელ აპარატს ქართული ემიგრაციის მუზეუმის მიერ გამართულ ლონისძიებებში მონაწილეობისა და თანადგომისათვის. ასევე, იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც სამინისტრომ, პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით უსუფაშვილმა და ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა სევდია უგრეხელიძემ გამოიჩინეს და უმოკლეს დროში საქართველოში ჩამოასვენეს უხუცესი ქართველი ემიგრანტის, ღირსეული მამულიშვილის პეტრე ხვედელიძის ნეშტი და დიდუბის პანთეონში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს ფაქტი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმაზე მდგომარეობის ქართველებმა ერთად აკეთონ ღვთისნიერი და მამულიშვილური საქმე. რ. კობახიძემ ხაზი გაუსვა უზენაესი საბჭოს დეპუტატის ბატონი რობერტ პეტრიაშვილის დამსახურე-



ავღანეთის მისიაში მონაწილენი: (მარცხნიდან პირველ რიგში) ვახო დოლიძე და ალექო ტულუში (მარცხნიდან მეორე რიგში), გიორგი დოლიძე (ვახოს ძმა), ნინო დოლიძე (ვახოს მეუღლე), დათო გაგუა, სოფიკო ჯერვალიძე და შოთა ონიანი (ექიმი).

ბას, რომელმაც გადმოსვენების ინიციატორთა მიერ (ც. ჯერვალიძე, ს. ჯერვალიძე, რ. კობახიძე) მომზადებული დოკუმენტაცია სამთავრობო სტრუქტურებს პირადად გადასცა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ბატონ **კონსტანტინე სურგულაძეს**, რომელმაც ისაუბრა ბატონ პეტრეზე, გამოფენის თემატიკის აქტუალობაზე და საერთოდ, ქართულ ემიგრაციაზე. მეორე დღეს კი პატარა წერილი სამინისტროს ვებ-გვერდზეც განათავსა:

„გასულ წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის ინიციატივით, 25 ივნისი, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სასიქადელო მამულიშვილის, პეტრე ხვედელიძის დაბადების დღე, ქართველ ემიგრანტთა დღედ დანესდა. ამიერიდან, ქართული დიასპორის დღესთან ერთად, ყოველ 25 ივნისს, ქართველ ემიგრანტთა დღედ აღინიშნება, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სხვადასხვა ღონისძიებები, გადაიხდება პანაშვიდი გარდაცვლილ ქართველ ემიგრანტთა სულის მოსახსენიებლად.“

ქართული ემიგრაციის ერთი ვექტორი ისტორიაში იღებს სათავეს, ხოლო მეორე — გასული საუკუნის 90 წლებიდან მოდის. ქართული ემიგრაციის სპექტრი, გასული საუკუნეებიდან დღემდე, სხვადასხვა თვისობებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციის ახალი ტალღა ისტორიული ემიგრაციისგან განსხვავებულია და მასში უფრო ეკონომიკური პრობლემატიკა სჭარბობს, ქართულ ემიგრაციას ერთი რამ აერთიანებს — სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და საკუთარ ფესვებთან ძლიერი კავშირის სურვილი.

ქართული ემიგრაცია, იმავდროულად, ქვეყნისათვის დიდი პოტენციალის მატარებელი ძალაა, ვისაც ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. სახელმწიფო ვალდებულია ეძებოს გზები ემიგრაციის სამშობლოსთან დასახლოებლად. და თუკი სახელმწიფო და ქართული ემიგრაცია მოახდენს მიზნებისა და ძალისხმევის კოორდინირებას, შესაძლებელი გახდება ქართულ ემიგრაციაში არსებული პოტენციალის გამოყენება, მათი სამშობლოსთან ინტეგრაცია და სამშობლოს წიაღში დაბრუნება. ქართული ემიგრაცია ხომ ქართველი ერის და თავისი ქვეყნის განუყოფელი ნაწილია.“

ნინო დოლიძე

ტკივილი, რომელიც არავის ახსოვს

(არაბულ-ებრაული ურთიერთობის მომავალი)

სიტყვით გამოვიდნენ: რუსუდან დაუმ-ვილი, ნათელა არველაძე, გულბათ ტორაძე, სოფიკო ჯერვალიძე. ღონისძიებას კი ტრადიციულად უძღვებოდა ემიგრაციის ქომაგი ბატონი ივანე ჯაფარიძე, რომელმაც ისაუბრა იმ დიდ ამბავზე, რაც ციციანო ჯერვალიძემ დასდო ბატონ პეტრე ხვედელიძესა და მის არქივს, რათა ეს იშვიათი პიროვნება უფრო ფართო საზოგადოებისათვის კარგად გაეცნო. საღამოს ქართული ხალხური სიმღერებით ალამაზებდა სპეციალურად ამ დღისათვის მოწვეული ანსამბლი „ბერმუხა“ ზაურ გოგოლაშვილის, მალხაზ კოჭლამაზაშვილისა და პაატა შუბითიძის შემადგენლობით, რომლებიც მუზეუმის ღონისძიებების ერთგული მხარდამჭერები არიან.

საგამოფენო ვიტრინებში მოთავსებული იყო მიუხეხილ ქართველთა, გერმანელთა ქართული ლეგიონების „ბერგმანის“, „თამარ I“-ისა და „თამარ II“-ის ნეკრების ფოტოები, ხელნაწერები, მემორიალური ნივთები. ასევე, ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული წიგნები: სიმონ ბერეჟიანის „ნაწერები“, პოეტური კრებული „ჩვენი სიმღერები“, ტერენტი ყიფიანის (ურდოელის) „ლექსები“, გიორგი ლოლუას ლექსთა ხელნაწერი კრებული და ა.შ. სტენდებზე კი იყო პეტრე ხვედელიძის, ნიკო თოფურიას, მამია ზაქრაძის, ვალიკო ძამიას, შოთა თარხნიშვილის, გოგი ვანნაძის, სერგო კობრეიძის, გიორგი ლოლუას, გივი კობახიძის, ლეო ჩიქოვანის, გივი გაბლიანის, ვახტანგ ჯობაძის და სხვათა გადიდებული ფოტოები.

ბოლოს სტუმრებმა ულამაზესად განყობილ სუფრასთან გადაინაცვლეს, რომელიც ემიგრანტთა ნათესავებისა და ოჯახის ნევრების მხარდაჭერით გაიშალა, მათ დადლობა გადაუხადეს ემიგრაციის მუზეუმს ამ ინიციატივისათვის, დიასპორის სამინისტროს კი ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. აქვე, საზოგადოებას ეცნობა სიახლე: ვაშინგტონში ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის (ხელმძღვანელი **თამარ კალანდია**) ინიციატივა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში გახსნის პეტრე ხვედელიძის კუთხეს და დააწესებს სტიპენდიას (სპონსორი, ქართული ასოციაციის თავმჯდომარე **მამუკა წერეთელი**), რომელიც საუკეთესო მოსწავლეს დაენიშნება.

მამ ასე, ამიერიდან ყოველი წლის 25 ივნისს ემიგრაციის მუზეუმი ამ დღისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიებებს გამართავს და პეტრე ხვედელიძის საფლავზე პანაშვიდს ყველა გარდაცვლილ ემიგრანტს გადაუხდის, რაშიც, იმედია, დიასპორის სამინისტრო ემიგრაციის მუზეუმის საიმედო მხარდამჭერი იქნება კვლავაც.

გულდასაწყვეტი იყო მხოლოდ ის, რომ ავღანეთის მისიაში დაჭრილმა ქართველმა ვეტერანებმა, რომელთაც ვაშინგტონში მამუვილურ მზარუნელობას პეტრე ხვედელიძე არ აკლებდა, მხოლოდ დიდუბის პანთეონში მოახერხეს მოსვლა და პანდუსების უქონლობის გამო ემიგრაციის მუზეუმის ღონისძიებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

25-27 ივნისს ბერლინში ტრანსრეგიონული მულტიდისციპლინური კვლევის „ევროპა ახლო აღმოსავლეთში და ახლო აღმოსავლეთი ევროპაში“ ფარგლებში (მოიცავს როგორც ლიტერატურას, ისე პოლიტიკურ ფილოსოფიას, ურბანულ ისტორიას, ფილოლოგიას, ისლამმცოდნეობას...) სამუშაო შეხვედრა შედგა. საუბარი არაბულ-ებრაული ურთიერთობის პერსპექტივებს, მათი თანაცხოვრების შესაძლებლობებს შეეხო. შეხვედრაზე ნიუ იორკის, მანჩესტერის, კემბრიჯის, თელ-ავივის, ჰაიფას, ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტების, ასევე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გარდა იყვნენ ლიბანიდან, ისრაელიდან და აშშ-დან საგანგებოდ მოწვეული ებრაელი და არაბი სტუმრები, რომლებმაც დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა.



ელეას ხური

უკანასკნელ ხანს ისრაელსა და მთელს არაბულ სამყაროში, როგორც პოპულარულ, ისე აკადემიურ წრეებში, წინ წამოინია „არაბი ებრაელის“ თემა, რაზეც უკვე არაერთი აკადემიური ნაშრომი თუ რომანი, მემუარები თუ დოკუმენტური პროზა დაინერა. ამ მასალამ მეტი ნათელი მოჭვინა ებრაელთა ისტორიის ახლო აღმოსავლეთში 1948 წლამდე, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე.

ალინიშნა, რომ აღმოსავლელ ებრაელთა, ე.წ. მიზრაჰების ისტორიის უკეთ შესწავლა არღვევს კონცეპტუალურ საზღვრებს და ახალ პერსპექტივებს შლის არაბთა და ებრაელთა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. ებრაელმა მეცნიერებმა ზვი ბენ დორმა და მოშე ბეჰარმა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნეს ოსმალთა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ ებრაელ ინტელექტუალთა ნაწერები, რომელიც სწორედ იმ პერიოდს განეკუთვნება, ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე საზღვრები რომ იკვეთებოდა. ესეების კრებული მკითხველს საშუალებას აძლევს, გადახედოს არაბულ-ებრაულ კავშირებს თანამედროვე ისტორიაში.

ტერმინი „არაბი ებრაელი“ პირველად ისრაელთან დებატების დროს გაჩნდა. ბერლინის სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა „არაბი ებრაელის“ იდეის განხილვას, არაბთა და ებრაელთა თანაცხოვრების ახლებურ გააზრებას. ბევრი იმსჯელეს ახლო აღმოსავლეთში ისრაელის რეინტეგრაციის საკითხზე, რაც დღესაც მტკივნეულ თემად რჩება.

შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ არაბებიც და ებრაელებიც უკეთ უნდა იცნობდნენ წარსულს. არსებობს მათი კარგი ურთიერთობის, თანაცხოვრებისა თუ თანამშრომლობის მრავალი ფაქტი მანამ, სანამ 1948 წლის ცნობილი მოვლენები მოხდებოდა, რის შემდეგაც „ყველაფერი აირია“.

რა ხდება ახლო აღმოსავლეთში 1948 წლამდე? ებრაელები თარგმნიან არაბულ ლიტერატურას, ხაზს უსვამენ არაბული ენის მნიშვნელობას, არაბთა გავლენას ებრაულ ლიტერატურაზე. ერთ-ერთი ასეთი ებრაელი მეცნიერი გახლდათ აბჰარამ შალომ იაჰუდა (1877-1951), რომლის შესახებაც საგანგებოდ მოაგროვა ცნობები და მოგვითხრო იუვალ ევრიმ (თელ-ავივის უნივერსიტეტი).

იაჰუდა იერუსალიმში დაიბადა. თუმცა მოგვიანებით მისი მშობლები პალესტინის არაბულ სოფელ სიღვანში გადასახლდნენ, სადაც მას მამა გარდაეცვალა. მოგვიანებით მეცნიერი ისვენებდა, როგორც ებრაელები უმამოდ დარჩენილ ებრაულ ოჯახს არაბი მეზობლები. იგი არაბულ გარემოში გაიზარდა. არაბული კარგად ისწავლა. შემდეგ სასწავლებლად სტრასბურგს გაემგზავრა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე ნოლდეკე გახლდათ. ცნობილია, რომ იერუსალიმში სტუმრად ჩასული იეჰუდას

ლექციას ათასზე მეტი კაცი დაესწრო, მათ შორის ებრაელებიც და არაბებიც. 1899 წელს მან დანერგა: „ებრაელები დაბრუნდებიან და დაუბრუნდებიან არაბულ, აღმოსავლურ სულს“. აბჰარამ შალომ იაჰუდა მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

მეცნიერის დამკვიდრება ესპანეთში თითქოს სიმბოლური იყო. ჯერ კიდევ შუასაუკუნეების ესპანეთში, კორდოვაში არაბულ და ებრაულ კულტურულ თემს შორის იშვიათი ურთიერთკეთილგანწყობა სუფევდა. შემდეგ თვითონ ებრაელები დაიყვნენ ორ კატეგორიად – ერთნი ევროპული კულტურისა და სულის ნაწილად მიიჩნეოდნენ თავს, მეორენი – აღმოსავლურისა. სწორედ მეორეს მიეკუთვნებოდა იეჰუდა. საგულისხმოა, რომ მან არამარტო შეაგროვა ზეპირი ტრადიციით პალესტინაში შემონახული არაბული ბიბლიური ამბები, არამედ ებრაულადაც თარგმნა. ამ თარგმანს მოგვიანებით პოლიტიკური სარჩული დაედო — ბიბლია ხომ სიონისტთა პროექტის საყრდენი გახლდათ. რა საჭირო იყო ბიბლიური ამბების არაბულიდან თარგმნა?!

პალესტინურ სოფელ სილვანში დღეს 2000-მდე ებრაელი ცხოვრობს. თუ შეხვალთ ამ დასახლების ვებ გვერდზე, რომელსაც დღეს სილვანის ნაცვლად რატომღაც „დავითის ქალაქი“ ჰქვია, ნაიკითხავთ, რომ იეჰუდას ოჯახი იყო (ჯერ კიდევ როდის!!) პირველი ებრაული ჩასახლებული ოჯახი ამ ადგილას. ნახავთ, რომ სიონისტები სათავისოდ იყენებენ იეჰუდას მშობლების ერთ მორიგ უბრალო გადაწყვეტილებას — იერუსალიმიდან სოფელში გადასახლებულიყვნენ.

ზოგადად, სიონიზმი ძალიან მრავალფეროვანი და მრავალნაწილია. ისე მოხდა, რომ უამრავი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი დაუკავშირდა მას. პრინციპული განსხვავებაა სიონიზმსა და იუდაიზმს შორის. აღსანიშნავია, რომ ბევრი ებრაელი, რომელიც იეჰუდასაგან განსხვავებით, თავს ევროპული კულტურის ნაწილად მოიაზრებდა, არც ფიქრობდა, რომ აღმოსავლელი იყო და მაინცდამაინც ახლო აღმოსავლეთს უნდა დაბრუნებოდა... ეს უფრო დასავლური, ევროპულ-ამერიკული ინიციატივა გახლდათ.

„არაბი ებრაელები“ მხოლოდ პალესტინაში არ ცხოვრობდნენ. ცნობილია ებრაელთა მრავალრიცხოვანი დიასპორა ერაყში, ეგვიპტეში, მაროკოსა და სხვა არაბულ ქვეყნებში. ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ელა შაჰათმა ისაუბრა ერაყულ და სხვა ებრაულ დიალექტებზე და აღნიშნა, რომ შეუძლებელია ერთ „არაბულ ებრაულ“ დიალექტზე საუბარი. იდიშის (გერმანული), ლადინოს (ესპანური) მსგავსი უამრავი დიალექტი არსებობს. ათასზე მეტი ებრაული ენის დათვლა შეუძლებელია (მათ შორისაა ქართული ებრაელთა მეტყველებაც, რომელიც საგანგებო შესწავლის საგანია. თუმცა თუ ქართველი ებრაელები არ წერდნენ თორას ქართულად - „არანმინდა“ ენაზე და მის ჩასანერად ყოველთვის ებრაულს იყენებდნენ, გვხვდება არაბული ასოებით ჩაწერილი თორა. მაგ., XIX ს-ში სირიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ ებრაელთათვის).

ის „არაბი ებრაელები“, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე აღმოსავლელად მოიაზრებდნენ თავს, 1948 წლის შემდეგ ამ „გაუგებრობის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მსგავსი მოვლენები უნდა გვახსოვდეს, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისთვის უნდა გამოვიყენოთ.

სამწუხაროდ, სიონისტთა ერთ-ერთ ეპითეტად „კოლონიზატორები“ იქცა. განა თვითონ ებრაელებს სურდათ ან სურთ, რომ იყვნენ კოლონიზატორები? 1989 წელს ტოლედოში გაიმართა კონფერენცია, რომელმაც წინ წამოსწია არაბი ებრაელებისა და პალესტინელთა ურთიერთობა. კონფერენციასზე აღინიშნა, რომ წარსულის შესწავლა მნიშვნელოვანია, თუმცა სტატიკური ნოსტალგია არასაკმარისია. მაშინაც ისაუბრეს თანაცხოვრების შესაძლებლობებსა და არაბ ლტოლვილთა დაბრუნებაზე. თუმცა მადრიდისა და ტოლედოს მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარებულ კონფერენციებს ყველასათვის ცნობილი ოსლოს შეთანხმება მოჰყვა... ამიტომ აუცილებელია არაბთა და ებრაელთა ურთიერთობა გაიმიჯნოს დასავლური პოლიტიკისგან, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში თავისი კონკრეტული



ჯორჯ ხალილი (პროგრამის კოორდინატორი) ამონ რაზ კრაკოცკინი (ნეგვის ბენ გურიონის უნივერსიტეტი)

გეგმები და მიზნები ამოძრავებს. საგულისხმოა, რომ მაშინ ისრაელის მხარემ შეხვედრაზე უარი უთხრა მოლაპარაკებებზე ჩასულ ერთ-ერთ ბერლინელ ებრაელს, რომელიც საკუთარი ინიციატივით პალესტინის მხარეს წარმოადგენდა.

ლიბანელმა მწერალმა ელიას ხურიმ დასვა კითხვები: ვინ დაარქვა ებრაელებს ისრაელელები? რატომ ვიყენებთ ტერმინს „არაბი ებრაელი“ და არა „არაბი ისრაელი“? რას ნიშნავს „ისრაელი არაბი“? „პალესტინელი“? მან გაიხსენა მსოფლიოში ცნობილი პალესტინელი არაბი პოეტი, მშობლიური ადგილობის დაკარგვით გულნატკენი, მთელი ცხოვრება სამართლიანობისთვის მებრძოლი მაჰმუდ დარვიზი, რომლის ცოლიც რიტა აშკენაზი იყო.

ცნობილია უამრავი ასეთი „პარადოქსი“. გაიხსენეს კიდევ მაგალითად, ერაყელი ებრაელი, რომელმაც მოითხოვა, რომ იგი ერთ-ერთ ევროპულ თავყრილობაზე წარედგინათ როგორც არაბი. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ერაყელი ებრაელი თვითონ ერაყელმა არაბებმა ააფეთქეს...

ყველა თანხმდება, რომ ისრაელის შექმნასთან ერთად დაიბადა მცდარი ტერმინოლოგია, რამაც კონცეპტუალური უფსკრული გააჩინა მომხდარის ანალიზსა და აღდგენით პროცესს შორის. რა პერსპექტივა აქვთ ებრაელებს 1000 წლის შემდეგ? იქნებ მწერლებმა უნდა აღწერონ თავიანთ ნაწარმოებებში, თუ როგორი უნდა იყოს ეს მომავალი... „ჩვენ იმ პოლიტიკური გამოცდილებებიდან მოვდივართ, რომელთაც მარცხი განიცადეს“, - განაცხადა ელიას ხურიმ. იგი ფიქრობს, რომ ისრაელი ვერასოდეს მოიგებს, ვიდრე ამ ქვეყანაში „ისრაელი არაბი“ უმცირესობის წარმომადგენელი იქნება.

არაბებსა და ებრაელებს შორის იშვიათი კეთილგანწყობით მიმდინარეობდა შეხვედრა. ისინი თანაუგრძობენ ერთმანეთს და როგორც ორ მონათესავე, ძმურ სემიტურ რასას, გულწრფელად სურთ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთ მიწაზე. ამ თბილ შეხვედრას სულ რამდენიმე დღეში მოჰყვა გაუგებარი, პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვა მიზეზების გამო გამწვავებული კონფლიქტი ლაზანში და ახალი მსხვერპლი როგორც ებრაელთა, ისე არაბთა მხრიდან.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ათასობით ებრაელი, რომელიც იმედით ამოვიდა ამ მიწაზე, კვლავ სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტა. წმინდა მიწას ტოვებენ არაბებიც. იერუსალიმში მცხოვრები ერთ-ერთი ებრაულენოვანი არაბი მწერალი საიდ ქაშუა ოჯახთან ერთად აშშ-ში აპირებს გადასახლებას. „მსურდა ისრაელელთათვის მომეთხრო პალესტინური ამბავი. დარწმუნებული ვიყავი, გამიგებდნენ, მაგრამ...“ - წერს „ისრაელი არაბი“ 20 ივლისის გაზეთ „გარდიანში“. აქვე ვკითხულობთ, რომ ქაშუას ებრაულენოვანი რომანები თხუთმეტ ენაზეა თარგმნილი, ხოლო 2014 წლის ისრაელის საერთაშორისო კინოფესტივალი სწორედ ამ მწერლის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმით გაიხსნა. თუმცა მისი სატიკური არავის ესმის...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ამ ადამიანსაც თანაუგრძნობთ და დავულოდოთ მორიგ შეხვედრას, სადაც მწერლები და მეცნიერები ებრაელთა და არაბთა ძმურად თანაცხოვრების პერსპექტივებს განიხილავენ.

რუსუდან ქუთათელაძე
მზია ჯაფარიძე

ბეკეტოვის საქართველო ქართველების ბარეში

ყოველთვის სიამოვნებით ველოდებოდი პარასკევ დღეს და ასევე სიამოვნებითა და დიდი ინტერესით ნავიკითხე „ჩვენი მწერლობის“ მორიგი ნომერი (2014. 13 ივნისი). — ჩემი შექება არ სჭირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი — ჩინებული ჟურნალია! ამჯერად თავს ვერ ვიკავებ ერთი პუბლიკაციით მიღებული შთაბეჭდილება არ გამოვხატო. ჯერ იყო და მეგობართან, მზია ჯაფარიძესთან ვისაუბრე. იმდენად, რამდენადაც შეხედულება ძალზე მსგავსი აღმოგვაჩნდა, ბ-ნო როსტომ, თქვენს სამსჯავროზე ერთობლივი წერილის გამოგზავნა გადავწყვიტეთ. ეგებ შესაძლებლად სცნოთ დაიბეჭდოს. საქმე ეხება ანდრეი ბეკეტოვის წერილს „თბილისი და მისი შემოგარენი“, ქვესათაურით — „ბუნებისა და ადამიანების ცხოვრებიდან“. თავიდანვე ვიტყვი — არაჩვეულებრივი თარგმანია! სწორედ თარგმანმა მომხიზლა, კითხვამ იმდენად გამიტაცა, ჩემსავე სიღრმისეულ გაცნობას ყური არ ვათხოვე, ვერ ჩავნვი, ვერ გვახანალიზე ემოცია, ქვეცნობიერად თუ რამ გამოვნივ ჩემში პროტესტი, რამ გამაღიზიანა.

თუმცა ჯერ თარგმანის თაობაზე. თარგმანში ჩანს, ქ-მა ლილი მჭედლიშვილმა თანაბარნილ ბრწყინვალედ იცის ორივე — უცხოც და მშობლიურიც — ენა, რაც ზოგადად მთარგმნელის დიდი ღირსებაა. თარგმანში ნათლად იგრძნობა, შენარჩუნებული რომაა ავტორისეული სტილი, გადმოცემის დახვეწილი მანერა, მდიდარი ლექსიკა, პოეტურობა და, ამავედროულად, იხიბლები ქართული ენის მშვენიერებით, სიტყვათშეთანხმების მდინარეა იმგვარია, ქართველი ოსტატის ნაკალმევი, ქართულადვე ნაწერი გგონია. ჯერ მარტო ლექსიკონის რამდენი ჩხრეკა დასჭირდებოდა მთარგმნელს თუნდაც მცენარეთა ქართული შესატყვისების მისასადაგებლად. ჩვენ ხომ მცენარეთა სახელები დაფიქსირებული გვაქვს, ბევრი მცენარე საერთოდ უცნობი შეგვექნა! თარგმანი თითქოს სხვაგვარი როგორ უნდა იყოს! მაგრამ ჩვენში ახლა ბევრი თარგმანი ქვეყნდება, ბევრი ძალიანაც კარგია, მაგრამ ბევრიც... ვისაც თავად გაუწევია მთარგმნელობითი შრომა, დამერწმუნება, იოლი როდია უცხო ენა ისე გადმოიღო ქართულად, ქართულად ნაწერი გგონოს და თან სათარგმნი ენის, ავტორისეული თავისებურებებიც არ შებღალო. ქ-ნი ლილი მჭედლიშვილისეულმა თარგმანმა კი, გავიმეორებ, თავისი მშვენიერებით ისე გამიტაცა — ხეებს უკან ტყე ველარ შევნიშნე.

ახლა კი თვით ბეკეტოვის შესახებ! ანდრეი ნიკოლაის ძე ბეკეტოვი (1825-1904) — ცნობილი რუსი მეცნიერი, ბოტანიკოსი, მორფოლოგი, ბოტანიკოს-გეოგრაფი. სახელოვანი რუსი პოეტის, ალექსანდრ ბლოკის პაპა. ამ გამოჩენილი საგვარეულოს სხვა წარმომადგენელი, ნიკოლაი ნიკოლაის ძე ბეკეტოვი (1827-1911) ასევე გამოჩენილი მეცნიერი გახლდათ, ფიზიკოსი და ქიმიკოსი. ამით იმის საზღვასმა გვსურს — მთელი ოჯახი, საგვარეულო, რუსული ინტელიგენციის უმაღლეს ფენას განეკუთვნებოდა. საჟურნალო სტატიის დასაწყისში მოთავსებული ა. ნ. ბეკეტოვის ფოტოსურათიც, ანუ გარეგნული იერიც, ამას მოწმობს. ახლა რაღაც დახვეწილია მისი წერის მანერა, რაღაც მდიდარია სამეტყველო ლექსიკური მარაგი. რა

დანვრლებით, მეცნიერული სკრუპულოზობით ჩამოთვლის იმ მცენარის, ხისა თუ ყვავილის, ცხოველისა თუ ფრინველის სახელებს, რითაც უფალს საქართველო აგრერიგ უხვად დაუჯილდოებია. ლათინურ სახელწოდებათა მითითებასაც არ ივნიყვებს. მოგზაურობს, ათვალერებს თბილისს, მის შემოგარენს. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით კეთილგანწყობილი, ბუნების მოტრფიალე თვალთაა დანახული. ისეთი დაკვირვებულობა, არცერთი, თუნდაც პანია ყვავილი არ რჩება შეუმჩნეველი. აგერ ფურისულა, აგერ ყორჩივარდა, აგერ იორდასალამი, აგერ... ზოგი ისეთია, ბევრმა ქართველმა სახელიც არ იცის, აკი აღვნიშნეთ, ბევრი მცენარის სახელი აღარც კი ვუწყითმეთქი. დადის, ფოთოლსაც არ დატოვებს უყურადღებოდ. და ეს ჩვენი ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანი კაცი მცხეთას ისე მიმოივლის, ვერც ჯვრის დიდებულ ტაძარს შენიშნავს, ვერც სვეტიცხოველს. ზედაზენი კი „ყრუ უდაბნოდ“ დაინახა, იქაურ „ქვით ნაგებ პატარა ძველ ეკლესიაში“ ისლა შენიშნა, „ხვრეტილებში ქვენარმავლები რომ იმალებიან“, ხოლო „ნახევრად ჩამონგრეულ კედელზე უშველებელი, ნადიმოდან დარჩენილ საჭმელს ჩადარაჯებული სვაგები რომ სხედან“. Зюда-Дзени-დ მოიხსენებს ჩვენს ზედაზენს. თავს არ ინუხებს ქართული სახელწოდებანი სწორად გადაიტანოს. ძნელი გამოსათქმელიაო, მეტყვიით. მამ მცენარეთა ლათინური დასახელებანი რატომღა არასოდეს ეშლება?! ნახეთ, რა სათუთად ეკიდება ლათინურ ტერმინოლოგიას! ან იმის მითითება რად გამოჩენია, საქართველოში როდინდელია ქრისტიანული წმინდა ნაგებობები, ეკლესია-ტაძრები?

იმიტომ ხომ არა, ხაზი რომ არ გასმოდა იმას, როგორც ერთმა ქართველმა ზუსტად მოჭრა: „Вы еще по песам бродили, когда мы Евангелие переводили“.

ვფიქრობ, განა ვერ ხედავს, არც სურს დანახვა! რატომ მგონია ასე? რატომ და იმიტომ, რომ ნახეთ, რაღაც „განსაკუთრებული სიამოვნებით ავებს და აღელვებს რუსი კაცის გულს“ როგორც კი თვალს მოჰკრავს „მშობლიურ რუსულ სტუმს, კირით შეფეთილი რუსული ქოხების სიქათქათით მოარშიებულ ლარივით სწორ გზებს“. მაშინვე გული უჩქროლდება! სად იყო ეს განცდა თბილისის ხედების ცქერისას?! იქ მხოლოდ მიხვეულ-მოხვეული, ატალახებული ქუჩაბანდები, ციცაბო აღმართ-დაღმართები და კიდევ „ქალაქს მყრალი, სქელი ოხშივრის ღრუბელი ადგას“-ო, აყროლებული ხორცეულით სავსე ბაზრის დახლები ამახსოვრდება... არა, სილამაზეს განა ვერ ხედავს, ხედავს, მაგრამ მხოლოდ ბოტანიკოსის თვალთ, მხოლოდ მცენარეული საფარის სიუხვე, ფლორა და ფაუნა ებეჭდება სსოვნაში... საქართველოს მიწა-წყალი გეოგრაფიულ-ბოტანიკური სივრცეა ოდენ და არა ქვეყანა, სახელმწიფო, ქართველობა.

რუსეთი იმპერიულ-დერჟავულ-ველიკორუსული მენტალიტეტითაა გამსჭვალული თვებით ტერფამდე, ვერტიკალში, ისტორიულშიც, სოციალურშიც. არ დავზარდებთ, ამ შეხედულების დასადასტურებლად საკუთარი დაკვირვებიდან რამდენიმე უფრო უწყინარ მაგალითს მოვიყვანოთ. ერთი მრეცხავი გვყავდა, რუსი, ხეიბარი, ხისფეხა, წერა-კითხვის უცოდინარი Надя. ჩემს მშობლებს ებრალებოდათ, საპყარიაო, წლების მანძილზე შეინახეს. დედაჩემზე ვაკვირვებით ამბობდა: „Вот, мэрло, какая хорошая женщина, добрая, а вот руганишь?!“ მე მომმართავს: „Русяко, ты свою дочку Тамрику, конечно, в русскую школу отдашь?!“ „Нет, Надя, в грузинскую!“ „Ну как это, она же по-русски должна лозорин!“ “ ეს წერა-კითხვის უცოდინარი, ხეიბარი, მრეცხავი, საცოდავი ქალის აზრია. ახლა სხვა მაგალითი. სტუმრად გვეწვია მოსკოველი მეცნიერი, ცნობილი აკადემიკოსი. რა თქმა უნდა, ჩვენებური მასპინძლობით იხალისა. დიალოგი სუფრაზე: „Вы все отлично по-русски говорите (ქვეტექსტი: „დახე, ამ პროვინციაში რუსული როგორ იციან!“ და ამასთანავე: „უნდა იცოდნენ კიდევ, აბა მამ როგორ, ეს ხომ „Великий Русский Язык“-ია!), и дочь свою, Тамрику, тоже

в русскую школу определите, безусловно!», „Нет, Евгений Михайлович, отдадим безусловно в грузинскую школу“. „Какже так! Она ведь **должна** освоить русский язык!“ აი განათლებული, მეცნიერი, სახელგანთქმული აკადემიკოსის აზრი! მრეცხავისეულის სრულად იდენტურია! დეფინიციაც კი მსგავსია — **должна!** ეს ჯერ კიდევ საბჭოური დროა, 70-იანი წლები.

გამოხდა ხანი, 80-იანი წლები იწურება. დიდ რუსეთთან ჯერ კიდევ „ვემეგობრობთ, საუკუნოდ ძმები ვართ, მზის სხივი ჩრდილოეთიდან გვეფინება“, თუმცა ჰაერში უკვე დენთის სუნ-ნი ტრიალებს. ახლა სხვა მოსკოველი აკადემიკოსი გვსტუმრობს: „Что это вы, грузины, затеяли, отделиться соби-раетесь?! Как это так, я к вам в гости должен приезжать что-ли?!“ „Конечно, дорогой Саша, приезжайте, конечно, в гости, с радостью примем“. „Как это, в гости! Я в Бакуриани приезжаю к себе на родину. Это ведь исконно русские земли.“ „Саша, бог с вами! Какая вам родина — Бакуриани?! Когда я приезжаю в Москву, я ведь при-езжаю в гости. Москва нам ведь не родина“. აი ასე, აკა-დემიკოსმა, ანუ განათლებულმა და არა ტლუ, წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა, გეოგრაფიაც თავის სასარგებლოდ იცის, ისტორიაც! **Навек братья!** და კიდევ ერთი მაგალითი. გვყავ-და ერთი დანათესავებული რუსი ქალბატონი. სუფრაზე რომ გვეწვეოდა, ორმოცი ქართველიც რომ ვმსხდარიყავით, იმ ერ-თი რუსი ქალბატონის ხათრით უმალ რუსულად უნდა ავლაპა-რაკებულიყავით. ამას როდი სჯერდებოდა, ადგებოდა, საზეი-მო გამოიმეტყველებით მოიმარჯვებდა ჭიქას და: „**А теперь, товарищи, выпьем за Великий Русский Язык!**“ — „ო, მოგვინოდებ-და, ქართულ სუფრაზე რუსული ენის დიდებას გვაძულებდა და ჩვენც (რა დასამალია!), ოთარ ჭილაძის თქმისა არ იყოს, „ნებაყოფლობით იძულებით“ ვასრულებდით მის განკარგუ-ლებას. ისე იცხოვრა საქართველოში, ქართული მინა-წყლის კეთილდღეობით ისე ისარგებლა, ქართული ცის ქვეშ ისე ინე-ბივრა, ქართულად სიტყვა არ დაუძრავს! დიახ, ძმები კი ვიყა-ვით, მაგრამ მტკიცედ უნდა გვესომებოდა, უმცროსები რომ ვახლდით, ამიტომ მორჩილება გვმართებდა, ქართულ გრამა-ტიკაში, თავსატეხი ზმნის უღლებაში დისერტაცია რუსულად უნდა დაგვეწერა და დასამტკიცებლად მოსკოვის თანხმობას უდრტეინველად დავლოდებოდით! თუმცა რა ნიშნით ვიყავით უმცროსები? უხნესი ისტორიის, სახელმწიფოებრიობისა, კულტურის თვალსაზრისით თუ? ამას არავინ იძიებდა.

ერთი კი შენიშნა ბ-მა ბეკეტოვმა — ქართველი თავადი კაკლის ჩრდილში წამოწოლილიყო. „იქვე ღვინით სავსე უშვე-ლებელი ტიკები აყუდებულიყო... ნაღვერდალზე ცხვრისა და ძროხის ხორცის ბლომად მწვადი იწვება, ყანაში მომუშავე გლეხებისათვის“, რათა ნაშრომ-ნაოფლარებს ყელი ჩაესვე-ლებინათ, თან „ყიჟინა-სიმღერა დაეყოლებინათ“ თავადთან ერთად. ნეტავ სადმე თუ ენახა ბ-ნ ბეკეტოვს რუსი **мужик**-ი თავადის გვერდით ჩრდილში წამოკოტრიალებული, მოქეიფე? ღვინით ყელჩასველებული და თანაც ფხიზელი?! ამღერებულ-მოყიჟინე?! ევროპიდან დაბრუნებულ ივან ტურგენევის მისი ყმები უკმაყოფილონი დაურჩნენ: „**Какой он барин, он нас не бьет!**“ — „აქ კი ერთ სუფრას შემომსხდარიყვნენ ბატონი და გლეხები, ერთად სვამდნენ, მღეროდნენ. ეს ბ-ნ ბეკეტოვს არ გაჰკვირვებია, არც პარალელის გავლება მოსვლია თავში!

თბილისში ხუთი წელიწადი დავყავი. ერთხანს თბილისის გიმნაზიაში უმასწავლებლია კიდევ. იგი წერს: „მინდა ვაჩვენ-ხო ის, რაც ინდივიდუალური და სახეობრივია, რაც კონკრე-ტულად მისთვის (ანუ საქართველოსთვის. **რ. ქ.**) არის დამახა-სიათებელი“ — „ო. ნუთუ ერთი მოწაფე არ შემორჩა მის ხსოვნას, ან ერთი კოლეგა მაინც? ნუთუ ქართველი თუნდაც ერთი მეგ-ზური მაინც არ ახლდა მოგზაურობაში ისეთი, აღწერა დაემ-სახურებინა? ვერ დავიჯერებ ერთ, ერთ ქართველს მაინც არ მიეწვია შინ, მისთვის მასპინძლობა არ გაენია, თანაც ჩვენე-

ბური, გულუხვი. მაგრამ ეს თვისება მან „ინდივიდუალურად, სახეობრივად, კონკრეტულად“ ქართველებისთვის დამახასი-ათებლად არ მიიჩნია. არც თბილისის მშვენიერებაზე გაუგრ-ძელება სიტყვა. სამაგიეროდ აღწერა: „თბილისიც და მისი შემოგარენიც მზისგან არის გადამწვარი, არცთუ სასიამოვნო შესახედა“ — „ო. ცხენებიც კი მხოლოდ „გამხდარ-გაძვალტყა-ვებული“ შეხვედრია! არც იმას აუვლის გვერდს „ლამ-ლამო-ბით ქუჩაში სიარულს უნდა მოერიდოს კაცი“ — „ო. წუხს „ერთ-მორწმუნე თანამომძეთა ეზობსა და სადარბაზოებში (...) არ თაკილობენ ქურდობას“ — „ო. ნეტავ ახლა რას იტყოდა ბ-ნი ბე-კეტოვი, თუკი იხილავდა რა დღეს აყრიან ერთმორწმუნე უკ-რანელებს მათი თანამომძე ქრისტიანი რუსები?

საუცხოო პორტრეტებსა ხატავს თბილისის მრავალერო-ვანი მოსახლეობისა — სპარსები, სომხები, თათრები, ბერძენ-ბი, ყაბარდოელები... მაგრამ ეს სულ ეთნოგრაფიაა, მხოლოდ ჩაცმულობა, გარეგანი იერი და არათუ პიროვნება, არამედ ზოგადად **ადამიანი!** „აქა-იქ ევროპელი მრგვალი შლაპაც გა-იელვებს“ — „ო. ეს კი ის დროა, როცა თბილისელები იტალიურ საოპერო მუსიკას ღირსეულ შეფასებას აძლევენ, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ესოპეს, ვოლტერს, რასინს... დედ-ნიდან თარგმნის, როცა ბაგრატიონებს მოსკოვის უნივერსი-ტეტის დაარსებაში თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი, ბოროდინოს ბრძოლაში სისხლი აქვთ დაღვრილი...“

გული შეგეკუმშება იმ ეპიზოდის კითხვისას, „არწივის შე-უბუმბლავი, თითქმის ინდაურისხელა ბარტყი დაუდევრად რომ ჩამოგვიგდო (...) და ჩიტმა სული იქავე განუტევა.“ ნეტავ რას ერჩოდა?! რისთვის დასჭირდა, ბუდეს თავს რომ დასტრი-ალებდა, იმ დედა-არწივისათვის შეუბუმბლავი მართევი რომ წაერთმია?! ჩვენი დიდი ვაჟა-ფშაველა გაგვასხენდა, ბარტყი რა არის, ია, ფოთოლი ცოცხალ არსებად მიაჩნია, სულდგმუ-ლად, როგორ ეფერება, ესიყვარულება...

ისე იალბუზიც, მაშუკიც, ბემთაუც რუსეთი ჰგონია ამ მეცნიერ-გეოგრაფს!

ჩვენ ბეკეტოვს კი არ ვადანაშაულებთ, ღმერთმა დაგვი-ფაროს! განათლებული, ინტელიგენტი ადამიანია, კალამი უჭ-რის, ბუნებას შესტრფის, პოეტური ხედვა ახასიათებს. ჩვენ მხოლოდ რუსულ იმპერიულ სულს ვგულისხმობთ, თხემით ტერფამდე რომ სჭვალავს რუს ადამიანს, განათლებულსაც, უვიცსაც, მრეცხავსაც, ხელისუფალსაც... გვახსენდება ვლა-დიმირ ფირინოვსკის ცნობილი დევიზი: „**Грузия — без грузин!**“ ბ-მა ბეკეტოვმა აღწერა „**Грузия без грузин!**“.

„ყაზბეგს უკანასკნელად ემშვიდობები... შვებით, მსუბუქად ჩაისუნთქავ მშობლიურ რუსეთის სტეპის ჰაერს“. ასე ამთავ-რებს საქართველოზე თავის მოგონებებს ბ-ნი ანდრეი ბეკეტო-ვი. ღმერთმა შეგარგოთ, ისუნთქეთ შვებით!!! ჩვენ დავგანებეთ ჩვენი „ოხშივრიანი, მყრალი, სქელღრუბლიანი ჰაერი“ !!!



ქსნის ხეობა ბაზუა ალუდაურის ფოტო

საბა სულხანიშვილი

„და გავიგე, რომ არაფერი არ გამიგია“

(ომარ ხაიამის კიდევ ერთი გამონათქვამი)

რა ხიბლი და მიმზიდველობა აქვს ამისთანა ომარ ხაიამს, მისი რობაიების ყოველი გამოჩენა — რომელ ენაზეც გნებავთ და, ცხადია, ქართულადაც — განსაკუთრებულ სიხარულსა და აფოფინებას რომ იწვევს სალიტერატურო წრეებში, მითუმეტეს, თუ ალექსანდრე ელერდაშვილისთანა პოეტური ნიჭითა და გემოვნებით დაჯილდოებული მთარგმნელი შემოგვთავაზებს „რობაიათის“ ორეულს.

შენს ნაფეხურებს რომ მოსდია ჩემთან აისმა, ღვინის დასხმის და სიმღერის ხმა მაშინ გაისმა; გახსოვდეს, მინა მუდამ ელის გლეხსა თუ მეფეს, რომ აღსასრული დეკემბერში ჰპოვოს მაისმა.

ისეთი განცდა გეუფლება, ხაიამიც ასე დაწერდა ამ რობაისს, ქართველი რომ ყოფილიყო.

რაო, რას ირწმუნებოდა ხორხე ლუის ბორხესი, ედუარდ ფიცჯერალდის მიერ ინგლისურად გარდათქმული „რობაიათის“ მნიშვნელობასა და რეზონანსს რომ შეაფასებდა?

ფიცჯერალდის პიროვნებაში ერთ მშვენიერ დღეს ომარ ხაიამის სული „ჩასახლდა“ და ინგლისურად აამეტყველო.

ეს სულია, ქართველ მთარგმნელთა პიროვნებებშიც რომ ჩასახლდება ხოლმე და იწვევს მკითხველის იმ ალტაცებას, ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებასთან ზიარებას რომ სჩვევია.

ამბაკო ჭელიძის მოველინებოდა პირველად ეს სული, მერე ვახუშტი კოტეტიშვილსაც ჩაუსახლდებოდა, ზეზვა მედელაშვილსაც მძლავრად შეახებდა თავის ფრთას, ნომადი ბართაიასაც, გიორგი ლობჯინიძესაც... და აგერ ალექსანდრე ელერდაშვილისთვისაც არ დაუკლია თავისი წყალობა, 404 რობაიდან არაერთი რომ გვიჩენს ასეთ შეგრძნებას. მათ ნაწილს ადრინდელი გამოცემებიდანაც ვიცნობდით და ეს შთაბეჭდილება უკვე მაშინვე გაგიჩნდა, ახლა კი, „საარის“ მიერ წამოწყებული სერიის — „მთარგმნელის ბიბლიოთეკა“ — წყალობით, ხაიამის სულის მოლანდებამ უფრო ხშირად იჩინა თავი.

არცერთი სიბრძნე მე ამქვეყნად არ დამიგმია, თითქმის ყოველი საიდუმლო ფეხქვეშ მიგია... სამოცდათორმეტ წელიწადს მე ფიქრები მდევდნენ და გავიგე, რომ არაფერი არ გამიგია.

მთარგმნელი თავის წინამორბედსა თუ გვერდით მოღვაწე „ხაიამელებს“ გულუხვად მიაგებს ქებას, თუმცა ძნელია გაიზიარო, რომ ან მაგალი თოდუას მიერ გადმოღებული რობაიებია დიდებული და ან თამაზ ჩხენკელმა თქვა თავისი ცდებით ახალი სიტყვა ხაიამის გაქართველების გზაზე (რასაკვირველია, არავინ უარყოფს მათ სხვა თარგმანთა ღირსებებს, მითუფრო თამაზ ჩხენკელისა, მაგრამ ამჯერად დასამახსოვრებელი რობაი ვერ დავგვიტოვებ).

ჩინებული საქმეა, ბატონმა ალექსანდრემ თავის წიგნს საკუთარ შესავალზე („კაცობრიობის ყველაზე საყვარელი პოეტი“) ადრე რომ წარუმიძღვარა ნაკლებად დაფასებული, არადა, შესანიშნავი მწერლისა და ესეისტის გივი მალულარიას მცირე მონოგრაფიიდან „ომარ ხაიამი“ ცალკეული ფრაგმენტები, ოლონდ კარგი იქნებოდა საგანგებოდ აღენიშნა პავლე ინგოროყვას წვლილიც. მართალია, მიუთითებს ჟურნალ „კავკასიონს“, რომლის ფურცლებზეც 1924 წელს პირველად გამოჩნდა ჩვენში ხაიამი იუსტინე აბულაძის მიერ შესრულებული მწკარედული (სჯობს ითქვას: პროზაული) თარგმანების სახით; და



ალექსანდრე ელერდაშვილი

თუმცა პოეზიის მოყვარულთა ყურადღება ისერივად ვერ მიიპყრო, რაკილა უფრო მეცნიერული დანიშნულება ენიჭებოდა, მაგრამ ქართული ხაიამოლოგიის ათვლა აქედან იწყება და იუსტინე აბულაძეს შემთხვევით კი არ გამოუქვეყნებია ეს ნიმუშები „კავკასიონში“, არამედ მისი რედაქტორის პავლე ინგოროყვას დაჟინებული თხოვნით გადმოიღო, დახვეწაში „რუსთველიანას“ შემოქმედმაც მიიღო მონაწილეობა და, რაც მთავარია, დაურთო ესეი, რომელიც პირველია ხაიამის შესახებ ქართულ ენაზე დაწერილ სტატიებსა თუ ნარკვევებს შორის.

არც ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებიდან“ იყო გამოსატოვებელი მეორე თავის ის მონაკვეთი: „სუფისტური მიჯნურობა და ვეფხისტყაოსანი“.

ანა კალანდაძის იმ განთქმული ლექსის „ამ სურით სვამენ“ ჩართვაც რომ დაშვენდებოდა შესავალ სტატიას ანდა სულაც წიგნის გარეკანს, ესეც აშკარაა.

იმ რეალიზაციაზე მინიშნებაც არ იქნებოდა ზედმეტი, გრიგოლ აბაშიძე „ლაშარელაში“ ლაშა-გიორგის რომ მოამარჯვებინებს კალამს ხაიამის ლირიკული მინიატურების გადმოსაქართულებლად.

რალაც ძალიან დაგროვდა შენიშვნები თუ სურვილები და ისე არ გამოვიდეს, თითქოს რაიმეს ვსაყვედურობდეთ მთარგმნელს. ეს ყოველივე ისე, სხვათა შორის, ჩინებული წიგნის ხილვა რომ იწვევს მისი კიდევ უფრო სრულყოფის მიზნით, მითუმეტეს, ეს გამოცემა უსათუოდ უნდა განმეორდეს მკითხველისთვისაც და სპარსული ენითა და კულტურით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვისაც, ორიგინალიც ხელთ რომ ექნებათ და სპარსულ-ქართული ლექსიკონიც, ხაიამის ენის თავისებურებებში წვდომას რომ გაუადვილებთ.

მრავალს სწადია, რომ გზა-კვალი ყველგან გაიგნოს, ორივე ქვეყნის ყველა კარი მისთვის გაიღოს, მაგრამ მე ვეჭვობ, ვინმემ ჰპოვოს სიცოცხლის აზრი და რაც იცოდა, მასზე მეტი რამე გაიგოს.

ძლივს მობარბაცებდა მთვრალი ყაყაჩო — ომარ ხაიამი — საკუთარ სულში ჩაძირული, ღრმა შინაგან ექსტაზს მინდობილი და ამის წყალობით ღვთისაკენ სავალი გზის მძებნელი სხვა სუფიებივით; და მძაფრი სულიერი რყევებისას რომ არა და არ ეშ-

ვებოდა ნუთისოფლის გამოცანების ამოხსნას ხან მათემატიკოსის, ხან ასტრონომისა და ხანაც ფილოსოფოსის მანტიამი გა-
მოხვეული, პოეზიასაც მიანდობდა თავს და რობაის ჟანრში ჰპო-
ვებდა საშუალებას სილამაზისა და სიბრძნის შესარწყმელად,
ეგებ პოეტური ვედრებით მოეგო უფლის გული და ის მაინც შე-
ეტყო, თვითონ ვინ იყო და რისთვის მოვლენოდა ამ ქვეყანას:

**ღმერთო, შეცვალე, გთხოვ, სამყარო, რომელს შინა ვარ,
შეცვალე სანამ ცოცხალი ვარ, — შენს თვალწინა ვარ,
ან ერთიანად ამომშალე კაცთა მოდგმიდან,
ან გამიმხილე საიდუმლო, მითხარ — ვინა ვარ?!**

თამაზ ბაციკაძე

„წინ, სიკეთისაკენ!“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვე-
ბული მდგომარეობა?
— სულისა და სხეულის კონფლიქტი.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
— საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
— დაფასებული სიყვარულისა და სიკეთის განცდა.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონა-
ჟები?
— დათა თუთაშხია, ვოლკ ლარსენი, ავთანდილი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
— დავით აღმაშენებელი, პომპეუსი, ნაპოლეონი,
გოეთე.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
— არ მყავს.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
— ბეთჰოვენი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
— სიმამაცეს, გონებას, ერთგულებას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად
ქალში?
— სიკეთეს და ერთგულებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის
უფრო მომხიბლავი?
— თავმდაბლობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
— აზროვნება.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდო-
დათ ყოფილიყავით?
— არცერთი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
— გაგებისა და მიტევების უნარი.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
— სინაღმელებსა და ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
— მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანური ნაკლი.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
— სულის, სამშვიდობის და სხეულის ჰარმონიულობა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედუ-
რება?
— უფუნქციოდ დარჩენა.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
— ყველა სიქველე მეტი ოდენობით მქონოდა.

- თქვენი საყვარელი
ფერი?
— მწვანე.
- ყვავილი, რომელიც
ყველაზე მეტად გიყვართ?
— არ მაქვს.
- თქვენი საყვარელი
ფრინველი?
— შევარდენი.
- თქვენი საყვარელი
მწერალი?
— ჯეკ ლონდონი, ჩეხოვი
და დოსტოევსკი.
- თქვენი საყვარელი
პოეტები?
— გალაკტიონი, ვაჟა,
ბერნსი, გოეთე, კიპლინგი.
- საყვარელი ლიტერა-
ტურული გმირი ქალები?
— თინათინი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
— ჭაბუა, პეღე.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
— თამარი და ქეთევანი.
- საყვარელი სახელები?
— გელა, ქიტესა, ვეფხია, მგელიკა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
— უმადურობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმ-
სახურა?
— პაპი სტეფანე VI (IX) საუკუნე.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები
აღტაცებისა?
— 300 სპარტელი და 300 არაგველი.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს
შეფასებას აძლევთ?
— ლიკურგეს და ნაპოლეონის რეფორმები.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
— სიმღერის ნიჭი.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
— ჯანმრთელი მოხუცი უეცრად.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
— განონასწორებული.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსა-
ხურებენ?
— უნებლიე შეცდომანი.
- თქვენი დევიზი?
— წინ, სიკეთისაკენ!
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით,
რომ მას თქვენთვის ეთქვა?
— იმსახურებ სასუფეველს, შვილო ჩემო!



ლაშა იმედაშვილი

კულინარი

მოგონება უცნაური რამ არის, სიმართლეს კი ჰგავს, თუმცა მის ორეულად ვერ გამოდგება. ახალგაზრდობაში ყველაფერი კარგად გვახსოვს, მაგრამ ნელ-ნელა გონება კოჭლობას იწყებს და სიბერეში მხოლოდ იმას ვიხსენებთ, რაც არასდროს მომხდარა.

ასე დაიწყო საუბარი იოსებ ლალიაშვილიმა ქართველ მეზღვაურ ჭავჭავანიძესთან, რომელსაც შემთხვევით გადააწყდა ბუენოს აირესის პორტის სიახლოვეს განთავსებულ ბარში, ჩვენებურად დუქანში.

კაცი რომ დაფიქრდეს, სულ მთლად ალაღებდებოდა შეხვედრას ვერ დაარქმევს ამას ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ლალიაშვილი მართლაც შემთხვევით გადაეყარა მეზღვაურს, თუმცა ამ შეხვედრას გვარიანი გარჯაც უძღოდა წინ. იოსები ყოველი გემის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა, იმ იმედით, რომ ოდესმე ბედი ქართველს აუცილებლად გადაჰყრიდა.

ასეც მოხდა.

იმ დროისთვის, როდესაც ლალიაშვილს გადაეყარა, ალექსანდრე ჭავჭავანიძეს ჰქონდა გემზე უფროსი ოფიცრის ჩინი, პატივისცემა და დიდი გამოცდილება.

იოსებ ლალიაშვილი იყო თავისი დროის ლეგენდარული კაცი, სემინარიის რექტორის, ჩუდუცკის მკვლელი, რომელიც ამ დანაშაულისთვის გასამართლებულ და გადასახლებულ იქნა ციმბირში ოცი წლით. ლალიაშვილიმა, სავარაუდოდ სხვების დახმარებით, კატორიდან გაქცევა მოახერხა, ჯერ იაპონიაში, შემდეგ ამერიკაში, ბოლოს კი არგენტინაში ამოჰყო თავი.

საუბარსა და სასმელს მონატრებული ლალიაშვილი მეზღვაურს სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევდა, გამუდმებით ლაპარაკობდა, ძირითადად საკუთარ თავზე და, როგორც ყველა ქართველი, სასმისს სასმისზე ცლიდა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობილი მეგობრის ხარჯზე.

კაცმა რომ თქვას, ალექსანდრესაც მონატრებული ჰქონდა ქართული სიტყვა, თვეობით ზღვაში ნამყოფს გამუდმებული რუსულის გადამკიდეს ეჩვენებოდა კიდევ, რომ მშობლიური ენა საცაა დაიწყებას მიეცემოდა, ასე რომ, შეიძლება ითქვას, ლალიაშვილიმა სულზე მოუსწრო ქვეყნიდან გადახვეწილ ალექსანდრეს და ღირსების გრძნობაც დაუბრუნა საკუთარი წარმომავლობის გამო. ამის ბრალი უნდა ყოფილიყო ის ყურადღება თუ სიამოვნება, რომლითაც ალექსანდრე ათას შარგამოვლილ ლალიაშვილს უსმენდა. მეტიც, ერთი-ორჯერ მხარზე ხელიც კი დაჰკრა იმის ნიშნად, რომ კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო.

ლალიაშვილსაც მეტიც რა უნდოდა, ამ ქცევით გათამამებულმა საღერღელი სულ მთლად აიშალა და საკუთარი გმირული წარსულის თხრობა განაგრძო.

თხრობა კი კარგი იცოდა სემინარიის ყოფილიმა უჩინიკმა.


ყველაფერ ცუდში ყოველთვის მოინახება უარესი.

ეგ ზარხოსი პავლე საკითხავს მაშინ დასწვდებოდა, როდესაც მისი სარეკლიდან წამომდგარი რექტორის მეუღლე ჩაცმას იწყებდა იმ საქმის შემდეგ, რომელსაც არც დიდი ახსნა ესაჭიროება და არც მინიშნება.

ამჯერად დარცხვნილი ეგ ზარხოსი ეცნობოდა უჩინიკ ლალიაშვილისთვის ჩამორთმეულ აკრძალულ ლიტერატურას. ამ აკრძალულ ლიტერატურაში, სხვა წიგნებთან ერთად, შედიოდა რამდენიმე დასურათებული გაზეთი, რომელშიც არგენტინული ტანგოს შესახებ გახლდათ მოთხრობილი.

სიმართლე უნდა ითქვას და ამ გაზეთებს საქართველოში მოქმედი მარქსისტული წრეები მართლაც სათავისოდ იყენებდნენ და მარტივი ხერხით ატყუებდნენ საბაჟოზე ჩასაფ-

რებულ მეფის ოხრანკის წარმომადგენლებს. გაზეთის შუაგულში ბუნტავშიკურ მონოდებას ჩააყოლებდნენ ხოლმე, რა თქმა უნდა, ასოთა მოყვანილობითა და შრიფტის ზომის დაცვით, შემდეგ მებაჟეებს ამ შეკვრას წინ დაულაგებდნენ იმის იმედით, რომ მოსაწყენი სამუშაოთი გართული სახელმწიფო მოხელეები დასურათებულ გაზეთებს ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ასეც ხდებოდა, მებაჟეთა უმეტესობამ კითხვა არ იცოდა, ვინც იცოდა, სიზარმაცე და გულგრილობა სტანჯავდა, ამით კიდევ სახელმწიფოს მტრები გვარიანად ითბობდნენ ხელს. მოგვიანებით საქართველოში შემოტანილ გაზეთებს საჭირო გვერდს ამოაცლიდნენ ხოლმე, დარჩენილს ბუკინისტურ ლავკაში აბარებდნენ და გამორჩენილ თანხას იმ ბრძოლას ახმარდნენ, რომლითაც ასე ჰქონდათ ტვინი გალაყვული.



გარდა ამ გაზეთებისა პავლეს ხელში ჩავარდნოდა სხვა ლიტერატურაც, კერძოდ: დობროლუბოვის თხზულება, პისემსკის ჩანაწერები, ატიჩესტვენნიე ზაპისკი და თავად ლალიაშვილის დღიური, რა თქმა უნდა, საკუთარი ხელით შევსებული.

პავლემ, გასაგები მიზეზების გამო, ქართული არ იცოდა. მეტიც, ენის შესწავლის სურვილიც კი არ გააჩნდა, რადგან ვერც ამ ხალხს იტანდა და ვერც მათ ველურ საუბარს. როცა კი საშუალება მიეცემოდა, ქართველების ლანძღვას არ ერიდებოდა, განსაკუთრებით კი ერთი გამონათქვამი ჰქონდა ამოჩემებული: გრუზინი ია ვაშუ არმიანსკუიუ მამუ... რაც ქართულად ნიშნავს შემდეგს: ქართველებო, მე თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო.

ამ მიზეზის გამო იყო, რომ პავლემ დღიური სათარგმნელად რექტორს გაუგზავნა, რომელმაც ასევე არ იცოდა ქართული, მაგრამ მრავლად ჰყავდა მასთან და სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციასთან დაახლოებული, ენის მიმტან — მომტანი ქართველი უჩინიკები.

არადა, დიდი სათარგმნელი არც არაფერი იყო, რადგან ლალიაშვილის დღიური წარმომადგენდა ქართული თუ ევროპული საჭმელ-სასმელის დამზადების წესსა და რიგითობას, ანუ პირველ ქართულენოვან კულინარიის სახელმძღვანელოს, სადაც ქართული ენის მცოდნე დაინტერესებული ადამიანი ასეთ რამეს ამოიკითხავდა:

პოზართმა ბატკნისა.

სამი გირვანქა წვრილად დაჭრილი ბატკნის ხორცი გაარეცხეთ, ჩაადგით ქვაბში. დაახსით წყალი, ისე რომ კარგად დაიფაროს, წამოადუღეთ და ქაფი მოხადეთ.

ხორცი რომ მოიხარშება, ამოიღეთ ქვაბიდან, წვენი გადაწურეთ, ერთი გირვანქა ალყათ დაჭრილი ხახვი ჩაყარეთ ქვაბში, ჩასდეთ შიგ სამი კოვზი ერბო და მოხრაკეთ, სანამ კარგად შენითლდებოდეს. შემდეგ შიგ ჩაყარეთ უკვე მოხარშული ცხვრის ხორცი და ისევ შიგ მოხრაკეთ, სანამ ისიც განითლდებოდეს, დაახსით ზედ მისივე განურული წვენი, ჩაყარეთ გემოზედ მარილი, პილპილი, თორმეტი წვრილად დანაყილი ქინძი და მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ხორცი — 3 გირ.

ხახვი — 1 გირ.

ქინძი — 12 ძირი.

ერბო — 3 კოვზი.

მარილი, პილპილი.

ანდა ასეთ რამეს წააწყდებოდა:

იმერული ხარშო.

ორი გირვანქა მსუქანი ხორცი გარეცხეთ, დასჭერით წვრილად, დაასხით წყალი იმდენი, რომ კარგად დაიფაროს, აადუღეთ, მოხადეთ ქაფი, ნახევარ საათის დუღილის შემდეგ ამოიღეთ ხორცი და წვენი გადაწურეთ სუფთა სანურში. ხორცს მოაშორეთ თურამე წვერილი ძვალი ქონდეს, შემდეგ ხორცი და წვენიც ჩაუშვით ისევ ქვაბში და ადუღეთ. დუღილში ჩააყარეთ შიგ ერთი ჩაის ჭიქა ბრინჯი, ორი თავი წვერილად დაჭრილი ხახვი, ორი სტოლის კოვზი ტყემლის კვანარახი, ანდა ერთი ხელის ოდენა ტყემლის ტყლაპი, მარილი, პილპილი გემოზე, შვიდი ძირი ქინძი, ნახევარი კბილი ნიორი ერთად დანაყილი და კარგად ადუღეთ, სანამ ხორციცა და ბრინჯიც ჩაიხარშებოდეს.

ამ რიგით მომზადებული ხარშო მოსქე უნდა იყოს, თუ ვინც ცოტად ხორციც და ბრინჯიც კარგი მოხარშული იყოს და წვენი თხელი გქონდეთ, ნახევარი ჭიქა ღომი ჩაყარეთ და კიდევ ადუღეთ, სანამ ღომი ჩაიხარშებოდეს. ამით წვენი შესქელებება. ამგვარ ხარშოში ხშირად ხარშევაშივე ჩაყრიან დანაყილს და მარილით და სანელებლით შეკაზმულ ხორცს, რგვალ გუფთებთ გაკეთებულს.

მასალად საჭიროა:

მსუქანი ხორცი — 2 გირ.

ხახვი — 3 თავი.

ტყემლის ტყლაპი ერთი ხელის ოდენა, ან ორი სტოლის კოვზი კვანარახი.

ქინძი — 7 ძირი.

ბრინჯი — 1 ჩაის ჭიქა.

მარილი და სანელებელი.

ღომი — ნახევარი ჭიქა.

ეს კიდევ არაფერი, ლალიაშვილის დღიურში ევროპული საჭმელებიც გახლდათ აღწერილი, რა თქმა უნდა, ისეთივე სიზუსტით, როგორც ქართულ — აღმოსავლურ.

კარტოფილის კროკატი:

გირვანქა ნახევარი კარტოფილი გაფცქვენით, გარეცხეთ, ჩასდეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი, ჩაყარეთ ერთი კოვზი მარილი და ხარშეთ. რომ მოიხარშოს, ცხლათვე გასრისეთ კოვზით, ანუ გამოფქვით საფქვავეში, ჩაუმატეთ სამი კვერცხის გული, სამი კოვზი კარტოფილის ფქვილი, აურიეთ, უყავით კიდევ ცოტა მარილი. გადმოიღეთ კარტოფილი ქვაბიდან ფიცარზე, შემოუყარეთ ფქვილი და დაზილეთ ცომივით, დასჭერით პატარ პატარა ნაჭრებათ, გააკეთეთ ვერშჩოკ ნახევარიანი მოგრძო ლულები, ამოსვარეთ სათითაოდ ფქვილში. ტაფაზე გააცხელეთ ერბო, ან გამდნარი ქონი, ჩააწყეთ თითო წყებათ მომზადებული ლულები და შესწვით, ტაფა ხშირად შეანძრიეთ, რომ ერბო ზემოდანაც მოხდეს და ყველა მხარეზედ შეინჯას. ერთმანეთზე არ დაყაროთ, თორემ დაიმტვრევა.

მასალად საჭიროა:

კარტოფილი ნახევარი გირ.

კვერცხი — 3

ერბო — 3 კოვზი.

კარტოფილის ფქვილი — 3 კოვზი.

ფქვილი — 2 კოვზი.

მარილი — 2 კოვზი.

დღეს უკვე ძნელი სათქმელია თუ საიდან მოეპოვებოდა სოფლიდან ჩამოსულ ლატაკ ლალიაშვილს იმ საჭმელების ნუსხა, რომელთა უმეტესობა არათუ გასინჯული, არამედ ნახახიც კი არ ჰქონდა.

ეს კითხვა მაშინდელ სასამართლოსაც გასჩენია, როდესაც ბრალდებულის პიროვნება განუხილავს, მაგრამ პასუხი მაინც ბუნდოვანი შექმნილა და მხოლოდ იმაზე შეთანხმებულან, რომ ნაწილი ამ ცნობებისა მოგროვილ იქნა ყურმოკერი-თა და დუქნის ბიჭების დახმარებით, ხოლო ნაწილი ამოღებულ იყო სხვადასხვა გაზეთებიდან, რაშიც ლალიაშვილს ეხმარებოდა რუსული ენის კარგი ცოდნა.

ამ დღიურის არსებობა, კარგა ხნით მაინც, საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი.

ადამიანი თავისი ბედის მძევალი ნაკლებად არის, ის უფრო საკუთარი აზრების მძევალია.

მთელი სემინარია შეძრა ერთმა გასაკვირმა და არაჩვეულებრივმა შემთხვევამ. ორი სემინარისტი, ალექსანდრეს ბალის მახლობლად შეხვდნენ მეფის მოადგილეს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, შეხვდნენ და გვერდით ისე ჩაუარეს სალამიც კი არ მისცეს. გაოცებულმა მოადგილემ მკაცრი ხმით შეაჩერა და უბრძანა, ეხლავე მოიხადეთ ქუდებიო. სემინარისტებმა ბრძანება არ შეასრულეს და არც სიტყვაში ჩამორჩნენ მეფის მოადგილეს: ჩვენაო, მონები არ ვართ და არც არავინ ბატონი არა გვენამსო. ერთი ამის მთქმელი გახლდათ შეუპოვარი ქიზიყელი, სტეფანე ჭრელაშვილი, ხოლო მეორე დავით კეზელი.

მეფის მოადგილემ, საკუთარი ადიუტანტის დახმარებით, ბალთანვე დააპატიმრა ბუნტოვნიკები და სემინარიის რექტორთან მიაგვინა. რექტორმა წამსვე აულო ალლო შექმნილ მდგომარეობას, ორივე სემინარიიდან დაითხოვა, რითაც მათ განაჩენს საკუთარი ბეჭედი დაასვა. ასეც მოხდა, ისინი დააპატიმრეს ჟანდარმებმა და ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ თბილისიდანაც გააქრეს.

ამ შემთხვევამ გამოიწვია საქართველოს სასულიერო სასწავლებლების საერთო რევიზია, რისთვისაც პეტრბურგიდან გამოგზავნილ იქნა სამოსწავლო კომიტეტის წევრი კერსკი. რევიზიამ სავალალო შედეგი გამოიწვია, სასწავლებლიდან დათხოვნილ იქნენ იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, იოსელიანი, სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნულ იქნა ვინმე კუსშინსკი, სასტიკი მტერი ყოველგვარი თავისუფალი აზრისა.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

ნიგების გაცემა სემინარიის ბიბლიოთეკიდან სწარმოებდა მკაცრი კონტროლის ქვეშ, კიდევ უფრო ნახალისებულ იქნა შპონაჟი მოსწავლეთა შორის, მოულოდნელი თავდასხმა და ჩხრეკა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, განსაკუთრებით ლამით, ტკბილი ძილის დროს.

არადა, რექტორად ჩუდუცკის დანიშვნა მოსწავლეებს თავიდან გაეხარდათ კიდევ და ამის მიზეზიც ჰქონდათ. ადრე, ახალ რექტორამდე, სემინარიას მუდამ ბერები ხელმძღვანელობდნენ. ჩუდუცკი ბერი არ იყო, ცოლშვილიანი დეკანოზი გახლდათ, მოსწავლეებს იმედი გაუჩნდათ, ფანატიკოსი ბერებივით არ მოგვექცევაო, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ჩუდუცკიმ სისასტიკეში ბერებსაც კი გადაასწრო, ამის მიზეზად საკუთარ პატრონების მიმართ მონური მორჩილება სახელდებოდა, თუმცა მთავარი ამბავი მის ოჯახურ ცხოვრებაში გახლდათ საძიებელი. რექტორის ცოლი გასაყვარლებია ეგზარხოს პავლეს და დაუმყარებია მასთან, ასე ვთქვათ, ინტიმური კავშირი. ეს საქმე არც ჩუდუცკის გამოჰპარვია, ანკი როგორ გამოეპარებოდა, როდესაც მთელ ქალაქს ეს ამბავი ეკერა პირზე. რა თქმა უნდა, გასაგები მიზეზების გამო, რექტორი პავლეს ამგვარი შეურაცხყოფისთვის პასუხს ვერ სთხოვდა და გაგულისებულ მთელ ჯავრს მონაფეებზე იყრიდა.

თქვენ შეგიძლიათ დაემშვიდობოთ სკოლას, მაგრამ სკოლა არასოდეს დაგეხსნებათ.

რამდენიმე სიტყვა თავად სასწავლებელზეც უნდა ითქვას.

სიმართლე სჯობს: არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება არ იძლეოდა იმდენ ათეისტს, რამდენსაც თბილისის სასულიერო სემინარია. ეს უცნაური მოვლენა აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ სემინარიის ხელმძღვანელთა სიტყვასა და საქმეს შორის წინააღმდეგობა ყველა თვალში ხვდებოდა, არამედ იმითაც, რომ ეს ხელმძღვანელები ყოველ ფეხის ნახვიზე ეწინააღმდეგებოდნენ საკუთარ თავს და კიდევ იმით, რომ საქმით ისინი აკეთებდნენ სულ საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც სიტყვით ამბობდნენ და აკეთებდნენ.

მთავარი მიზეზი მაინც სხვა იყო.

სემინარიის მოსწავლეებს თავისუფლად სუნთქვა აკრძალული ჰქონდათ, მათი ყოველი მოქმედება ექვემდებარებოდა სასტიკ კონტროლს, ოთახებშიც კი, სადაც სემინარისტებს ეძინათ, განუწყვეტილ დათარეშობდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ენის მიტან — მოტანაში დახელოვნებული ბე-

რები. მცირე გადაცდომაც კი საკმარისი იყო, რათა მოსწავლის საკითხი დამდგარიყო გამგეობის სხდომის დღის წესრიგში. სასჯელის გამოცნობას დიდი გონიერება არ ესაჭიროებოდა, როგორც წესი, ყველაფერი ნესტიანი კარცერით მთავრდებოდა.

ყველა მითითების შესრულება სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. გარეთ გამოსვლა მოსწავლეებს მხოლოდ კვირა დღეს შეეძლოთ, ისიც ორი საათით, თუმცა მთელი კვირის ჯაფაგამოვლილებს ამისი ალარც თავი ჰქონდათ და ალარც განწყობა. გაკვეთილების მომზადებისთვის დრო არ ჰყოფნიდათ, მთელი საღამო ბერძნულსა და ლათინურს მიჰქონდა, ამას ემატებოდა ბიბლია და სხვა ბევრი საგანიც, რაც მთავარია, იდეენებოდა ქართული ენა და ყველაფერი ქართული.

ამ ყველაფერს გულმოდგინედ ხელმძღვანელობდა მეუღლის ქცევით გულგატეხილი თუ გამწარებული სასწავლებლის რექტორი, რომელმაც ჩხრეკა და შპიონაჟი ლამის ხელოვნების სიმალემდე აიყვანა.

დღე არ ჩაივლიდა, სასწავლებელში საბჭოს სხდომა არ გამართულიყო, რომელზეც დაინტერესებული ადამიანი ამგვარ რამეს მოჰკრავდა ყურს:

ოცდაერთ ოქტომბერს, საღამოს ცხრა საათზე, მე ვანარმობდი პერეკლიჩკას სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მონაფეებისა, იმ მიზნით, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი სასწავლებელში.

მეთოხე კლასის შემონმების დროს მონაფეებმა გამოთქვეს უკმაყოფილება მათი გამოძახების გამო უქმის წინა დღეს. პირველად ეს უკმაყოფილება გაურკვეველი იყო, ისმოდა მხოლოდ შეძახილები, რა დროს შემონმებაა, შემდეგ კი უკმაყოფილებამ მიიღო გარკვეული და მწვავე ხასიათი. ხვთისავაროვმა განაცხადა, რა დროს შემონმებაა, ამ დროს ბევრს ვერ ნახავთ კლასშიო. ამას ხვთისავაროვი ხსნიდა იმით, რომ უქმის წინა დღით გამოძახება ახალი მოვლენაა, რომ ისინი ამ დროს თავისუფლები არიან და სრული უფლება აქვთ ისეირნონ აივანზე, იარონ ეზოში და სხვა ამგვარი რამ. ჩემს შენიშვნაზე, რომ მე აივანზე გავიარე და ვთხოვე მონაფეებს დაშლილიყვენ, რაც შეასრულეს კიდეც, თუმცა კლასებში მაინც არ დაბრუნდნენ, ხვთისავაროვმა მიპასუხა, რომ დანარჩენებს სძინავთ. ჩემს შენიშვნაზე, რომ ზარამდე მონაფეები ვერ დაიძინებენ, მან კვლავ არ მოიშალა თავისი და მომიგო, რომ სრული უფლება ჰქონდათ ძილისა და, როცა მოესურვებოდათ, მაშინ დაიძინებდნენ. ყველაფერი ეს ნათქვამი იყო საკმაოდ მკვახე კილოთი.

მას აჰყვა მონაფე ლაბაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მათი გამოცხადება უნდა ხდებოდეს თავის დროზე და არა მაშინ, როდესაც ადმინისტრაციას ეს მოესურვება.

ამ საუბრის დროს მომესმა უნესრიგობის მომასწავებელი ხმები, რომელიც მატულობდა, გავიგონე ყვირილი, სტვენა სხვადასხვა ოთახებიდან, ბევრი რომ აღარ გაეაგრძელო, ჰაერში ბუნტის სუნი დატრიალდა.

ამ დროს სემინარიაში შემოპარვა სცადეს მონაფეებმა, რომლებიც უნებართვოდ იყვნენ გასული შენობიდან. გამოირკვა, რომ ისინი ბრუნდებოდნენ მონაფე კალატოზოვის ბინიდან, რომელიც მდებარეობს ლაბორატორიის ქუჩაზე. კალატოზოვს წინა დღით მიღებული ჰქონდა ორი თუნგი ღვინო თავის მამისგან, სოფელ ქალეურის ბლაგოჩინისგან, მონაფე კალატოზოვს ეს ღვინო გადასცა ბიძამისმა, სოფელ შაშიანის ღვთისმშობლის ეკლესიის პრიჩეტნიკმა, აბრამ ჩეკუროვმა. მონაფეთა დროსტარებაში ამ უკანასკნელმაც მიიღო მონაწილეობა.

გარდა ამ უმსგავსოებისა, ხდება ბევრი სხვა რამ, უკანასკნელ ხანებში მონაფეთა შორის ძალიან გავრცელდა აკრძალული ლიტერატურის კითხვა, შემჩნეულია, რომ მონაფეები ერთად კითხულობენ რომანს „რა ვაკეთოდ“ და განსაკუთრებით ეტანებიან დობროლუბოვს, ბოკლს, ჰიუგოს, რითაც მათ ეძლევათ არასწორი მიმართულება. ზოგ მათგანს, განსაკუთრებით ჯიბლაძეს, მიეცემა უკანასკნელი გაფრთხილება, მაგრამ როგორც დაინახეთ, მას გამოსწორება არ ემჩნევა და საჭიროა ასეთი მონაფეების მიმართ გადამჭერი ზომების მიღება.

რექტორის მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი და მოკლე სჯა — ბასის შემდეგ გადამწყვეტილებამაც არ დააყოვნა:

მონაფეებს ნიკოლოზ ბაქრაძეს, ივანე გოგოლაძეს, სერგო დავიდოვს, კონსტანტინე ფარისოვს, იუსტინე ტაბიძეს და კირილე ხვთისავაროვს მოესპოს სახელმწიფო ხარჯი, ყოფაქცევაში დაესვათ ნიშანი ორი და მიეცეს გაფრთხილება, რომ ყველანი იქნებიან სემინარიიდან გარიცხული, თუ კიდევ დაარღვევენ სემინარიის წესდებას, ხოლო მონაფე ჯიბლაძე დათხოვნილ იქნას სემინარიიდან მგლის ბილეთით.

მონაფე ჯიბლაძე ამ დროს საავადმყოფოში იწვა, ფეხი სტკიოდა და მკურნალობდა, სწორედ იქ შეიტყო საკუთარი გარიცხვის ამბავი.

საქმე კი ასე ყოფილა:

სილიბისტროს, ასე რქმევია ჯიბლაძეს, მოსთხოვეს საავადმყოფოს დატოვება იმ მიზეზით, რომ ის აღარ იყო სემინარიის მონაფე. ჯიბლაძე ძალიან გაბრაზდა, მაგრამ რა უნდა ექნა, აიღო ჯოხი, თავისი ბარგი-ბარხანა და დაუყვა კიბეს. სწორედ ამ კიბეზე შეეფთა რექტორი ჩუდეციკი. ჯიბლაძეს ბევრი აღარ უფიქრია, აღარც მტკივანი ფეხი გახსენებია და წამსვე ლაზათიანი ალიყური აჭამა სემინარიის რექტორს. ჩუდეციკი თავქვე დაეშვა, თანაც გზაში სიმწრით ყვიროდა და პავლეს სიტყვას იმეორებდა, ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო. ამ შეძახილმა ჯიბლაძე სულ მთლად გადარია და ძირს დაგდებული ჩუდეციკი გვარიანად დაზილა, სანამ ხელიდან არ გამოართვა მის დასახმარებლად შემოსწრებულმა სამედიცინო პერსონალმა. ამ საქციელისთვის ჯიბლაძე დააპატიმრეს და გაამწესეს სამი წლით გამოსასწორებელ რაზმში.

მოკლედ, ამგვარ ორომტრიალში გაეხვია მოსწავლე ლალიაშვილი.

იგი დაბადებულა სამეგრელოში, რადგან მამამისს იაკობს სწორედ აქ შეურთავს ცოლად კლემენცია დანელიას ქალი. მოგვიანებით იგი აკურთხეს მღვდლად და გაამწესეს გორის მაზრაში, სოფელ ხურვაღეთში იგივე თანამდებობაზე. შვიდი წლის იოსებს მამა გარდაეცვალა და მისი აღზრდა ითავა ბებიამ, ნინო მახარაშვილმა, სწორედ მისი წყალობით დაამთავრა იოსებმა გორის სასულიერო სასწავლებელი და შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაჰყო კიდეც მესამე კლასამდე.

როგორც ირკვევა, ლალიაშვილი ყოფილა ნიჭიერი, კარგი ყოფაქცევის, ჩუმი, წყნარი, სხვების პატივისცემელი, ბეჯითი და კარგი აკადემიური მოსწრების. იოსები არასოდეს ყოფილა შემჩნეული ცუდ რამეში, საერთო მხიარულებასა თუ უნესრიგობაში არასოდეს ერეოდა, გულმოდგინედ მეცადინებდა, ხოლო თავისუფალ დროს უბის ნიგნაკში, რომელსაც გამუდმებით დაატარებდა თან, ფანქრით ინიშნავდა ყურმოკრულსა თუ საკუთარი თვალთ ნანახი კერძის შემადგენლობას.

ამ დროისათვის მას უკვე მოგროვებული ჰქონდა რეცეპტების გვარიანი რაოდენობა, რომლიდანაც განსაკუთრებით უყვარდა ხაში, ძროხის არტალა და ჩიხირთმა.

ხაში.

სუფთად განმწმენილი ძროხის ფეხები, კარგად გარეცხილი ფაშვი და ნაწლავები წერილი ჯოხით გადარბუნებული და გარეცხილი ჩასდეთ დიდ ქვაბში, დაასხით წყალი ისე, რომ ქვაბი აივსოს, შემოდგით ცეცხლზე, დიდხანს ადუღეთ სანამ ფეხები სულ არ ჩაიხარშება და წვენი არ გაუსქელებება.

თუ ვინცობაა წვენი ჩაიშროს და ფეხები არ იყოს მოხარშული, ნადუღი წყალი დაუმატეთ. როდესაც ფეხები ჩაიხარშება და წვენი შესქელებება, უყავით მარილი, დანაყილი ნიორი გემოზე და მიირთვიეთ.

ხაში წინა დღით უნდა დადგათ სახარშავათ, რომ მეორე დღისთვის სადილად მოესწროს.

მასალად საჭიროა:

ფეხები ოთხი.

ერთი ხვადაგის ნაწილები და ფაშვი.

მარილი და ნიორი.

ეხლა არტალაც ვნახოთ.

ძროხის არტალა.

ჩაყარეთ მოზრდილ ქვაბში ძროხის კანჭები, ძარღვიანი ძვლები, ცური, პურტი, დაასხით ბლომათ წყალი და ადუღეთ, სანამ კარგად არ ჩაიხარშება და წვენი არ შესქელდება. შემდეგ უყავით მარილი, ნიორი დანაყილი რამდენსაც ინებებთ და მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ძროხის ან ხბოს კანჭები ოთხი.

ცური, პურტი.

მარილი.

ნიორი ერთი კბილი.

აქვე იყო ჩიხირთმაც.

ჩიხირთმა ქათმისა.

ხუთი ან ოთხი წმინდათ დაჭრილი ხახვი მოხრაკეთ ქათმის სიმსუქნეში, ანუ კარგ ერბოში, ჩაყარეთ შიგ ვანმენდილი, გამოვიგნული, გარეცხილი და ასო-ასო დაჭრილი ქათამი, მერმე დაასხით წყალი იმდენი, რომ ქათამი კარგად დაიფაროს და ადუღეთ, სანამ ქათამი მოიხარშებოდეს. უყავით შიგ დანაყილი ქინძი, ზოგჯერ უშვებთან ნახევარ კბილ ნიორს ქინძთან ერთად დანაყილს, უყავით გემოზე მარილი და დარიჩინი. მიტანის წინ ექვსი კვერცხის გული გახსენით ორ სტოლის კოვზ ძმარში, აურიეთ ნელ-ნელა მორევით, რომ არ აგეჭრას, უკვე მომზადებულ წვენში, მიდგით ცეცხლთან, ურით საწარმად ადუღებზე მივიდოდეს. არ აადუღოთ, თორემ აგეჭრებათ. მიერთვის დროს უყავით ხუთი-ექვსი წვეთი დამბალი ზაფრანა.

მასალად საჭიროა:

ქათამი ერთი.

ერთი კოვზი ქათმის სიმსუქნე ან ერბო.

შვიდი, რვა ძირი ქინძი.

ნახევარი მისხალი ზაფრანა.

ექვსი კვერცხი.

მარილი.

დარიჩინი ნახევარი ჩაის კოვზი.

ცოტა პილპილი.

ორი ძირი პიტნა.

ოთხი, ხუთი ძირი ხახვი.

მოკლედ, ლალიაშვილის ნათელ მომავალს, რომელიც სემინარიის წარმატებით დასრულებას უკავშირდებოდა, არაფერი ემოქმედებოდა. ანკი რა უნდა დამოქრებოდა, როგორც უკვე ითქვა, იოსები არაფერში ერეოდა, ბუნტოვჩიკურ ლიტერატურას არ ეკარებოდა, მხოლოდ საჭმელ-სასმელის შედგენით გახლდათ დაკავებული და გულმოდგინედ იზეპირებდა ლათინურსა თუ საღვთო წიგნებს.

თბილისში კი რევოლუციური საქმიანობა დუღდა.

ამ ამბებში ჩართულნი იყვნენ ინტელიგენცია, ხელისნები, მუშები, სოფლიდან ჩამოსული წვრილი მემემულეები. იმართებოდა კრებები, რა თქმა უნდა, მალულად, გამოდიოდა არალეგალური ლიტერატურა და კავშირი რუს ბუნტისთავებთან მტკიცე ხასიათს იქნდა. საქმე არ დაიძრებოდა ადგილიდან, ქართველი რომ არ ყოფილიყო გარეული, გინდა საქმით, გინდა ენის მიტან-მოტანით და გინდა თავზეხელაღებული ქმედებით.

გამოირკვა, რომ სემინარიის სტუდენტებს სცოდნიათ ერთი საოცარი ამბის შესახებ, რომელმაც მთელი რუსეთი თავდაყირა დააყენა. ეს კიდევ არაფერი, რომ არა ერთი გარემოება, ეს ამბავი სცოდნიათ თვით ამ ამბამდე ორი კვირით ადრე. უცნაურობაც სწორედ ეს იყო.

საქმე, არც მეტი არც ნაკლები, ალექსანდრე მეორის მკვლელობას ეხება.

ამბავი ასე ყოფილა:

მოსწავლე იერემია გულისოვს ყური მოუკრავს, რომ იგემებოდა იმპერატორის მკვლელობა. ეს ამბავი მისთვის უთქვამს სკოლის ამხანაგს ვინმე რუსქართველა კონიშევს. სად და ვისგან გაუგია ეს ყოველივე კონიშევს, ჟანდარმერიამ ბოლომდე ვერ დაადგინა, თუმცა მკვლელობის შემდგომ დაზოგო-თხალმა რუსქართველამ სადაც საჭირო იყო ენა იქ მიიტანა

და დაასახელა იერემია გულისოვი. ამ უკანასკნელმა, გვარია-ნი შიშის გამო, დაასახელა ყველა, ვისთანაც საუბარი ჰქონდა და მათ შორის, მოსწავლე ლალიაშვილიც.

ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის და ასევე რუსების მიმართ ლალიაშვილს არც ბოროტება ჰქონდა გულში და არც სხვა რამ შურისძიების გრძნობა. მეტიც, გულის სიღრმეში, მათი ცხოვრების ნირი მოსწონდა კიდევ, განსაკუთრებით საჭმლის გემო და მათი მომზადების წესი, მაგალითად ბორშისა.

მალოროსიული ბორშის.

მოხარშეთ ბულიონი სამი გირვანქა მსუქანი ძროხის ხორცისა თავის მწვანელით, ჩაუმატეთ მწვანელთან კიდევ ორი დაფნის ფოთოლი, ხუთ-ხუთი მარცვლი ენგიბარი და სანელაბელი. წყლის მაგივრად დაასხით კვასი, თუ კვასი მჭავე იყოს, წყლით შეაზავეთ და ისე დაასხით ხორცს. ერთი გირვანქა ჭარხალი შესწვით, გათაღეთ და დაჭერით წვრილ, მოგრძო ნაჭრებათ. ბულიონს რომ გადასწურავთ, ჩაყარეთ შიგ დამზადებული ჭარხალი, სამი პომიდორი კაკლებამოცილებული, ხუთი ძეხვი, ამოუკიდეთ ერთი კოვზი ფქვილი და მოხარშეთ.

როდესაც მზათ იქნება, საწვენში ჩაასხით ნახევარი ჭიქა გახეხილი ჭარხლის წვენი, ან თვით გახეხილი ჭარხალი ჩაყარეთ, ჩასდეთ კიდევ დაკეპილი ცერეცო, დაასხით ადუღებული ბორშის და მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ხორცი სამი გირვანქა.

სტაფილო და პასტერნაკი თითო.

ლორი ნახევარი გირვანქა.

ოსრახუში, ნიახური, პრასა თითო ძირი.

ძეხვი ხუთი.

ცერეცო ოთხი ძირი.

კარტოფილი სამი თავი.

ფქვილი ერთი კოვზი.

სმეტანა ნახევარი ჭიქა.

დაფნის ფოთოლი ორი.

მარილი გემოზე.

შანელაბელი, ენგიბარი ხუთ ხუთი მარცვლი.

ან კიდევ მეორე საყვარელი კერძი.

მწვანე ში ჯინჭრისა.

მოხარშეთ სამი გირვანქა ხორცის ბულიონი, თავის მწვანელით, გადასწურეთ, აიღეთ ორი გირვანქა ჯინჭარი, გადაარჩიეთ, გარეცხეთ, ჩაყარეთ ადუღებულ მარულ წყალში, ერთხელ, ორჯერ წამოადუღეთ თავ დაუხურავად. გადმოიღეთ ცხრილზე, გადაავლეთ ცივი წყალი, განურეთ და წვრილად დაკეპეთ. აიღეთ ერთი კოვზი ერბო, მოხარშეთ შიგ ერთი თავი წმინდა დაჭრილი ხახვი, ჩაყარეთ შიგ დაკეპილი ჯინჭარი, ერთი კოვზი კარაქი, ცოტა მოხარშული და დაკეპილი მყაუნა, ერთ კოვზ ერბოში მომუშული ფქვილი და დასდეთ ცეცხლთან შორი ახლოს, მირთმევის ნახევარი საათის წინ ბულიონით გახსენით მომზადებული მასალები, უყავით ნახევარი ჭიქა სმეტანა და წამოადუღეთ. საწვენში უყავით ორი სამი ძირი წმინდა დაკეპილი ოსრახუში და ორი ძირი კამა, ჩაასხით შიგ მომზადებული ში და მიირთვით, თან მიაცილეთ სამი-ოთხი მაგრად მოხარშული კვერცხი გაფრცქვნილი და თითო ოთხად გაჭრილი.

მასალად საჭიროა:

ხორცი სამი გირ.

ერბო ორი კოვზი.

ჯინჭარი ორი გირ.

ფქვილი ერთი კოვზი.

მყაუნა ნახევარი გირ.

სმეტანა ნახევარი ჭიქა.

სტაფილო, პასტერნაკი თითო თავი.

კამა ოთხი ძირი.

ხახვი სამი თავი.

ოსრახუში, ნიახური, პრასა თითო ძირი.

კვერცხი ოთხი.

მარილი გემოზე.

იმედი ყველაზე დიდი ბოროტებაა ბოროტებათა შორის, რადგან ის ახანგრძლივებს ადამიანის ტანჯვა-წამებას. ყვე-

ლას, სასონარკვეთილსაც კი ჰგონია, რომ ხვალ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ეს ხვალ, როგორც წესი, გუშინდელის განმეორებაა და მეტი არაფერი.

მიუხედავად ამისა, უკეთესის იმედი ლალიაშვილსაც ჰქონდა.

სხვაგვარად ფიქრობდა სემინარიის ხელმძღვანელობა, კერძოდ ინსპექტორი იაკობ სტეფანოვი, რომელსაც გაუუკეთებია კიდევ მოხსენება ლალიაშვილისა და ერემია გულისოვის დანოსის შესახებ.

ამ დანოსში, სხვა ბევრ რამესთან ერთად, გულისოვი იხსენებდა იოსებთან საუბარს, სადაც მან დაცინვით მოიხსენია სასულიერო პირები და აუგად ახსენა საეკლესიო ნივთები. კერძოდ, ლალიაშვილს უთქვამს, ისევ და ისევ, გულისოვის გადმოცემით:

მეო, დღიური ჩამომართვეს და არ შევარჩენ ამ ამბავსო, მაგათ ისიც ყოფათ, უქმად რომ დაეხეტებიან ღამლამობით მონაფეთა საწოლ ოთახებშიო, თანაც შექეფებულებიო, ინსპექტორ დემურ — ოღლის დაუბანლობისა და სუნის გამო არავინ ეკარება, ყველა ერიდება, როგორც ქეციან ძაღლს, რექტორი თავად დადის, როცა მონაფეთებს ძინავთ და ყუთებიდან წიგნებს იღებსო, ჩვენაო ჩვენი ცხოვრება უნდა შევცვალოთ, ამას წინათ კუკიაზე ვიყავით კრებაზეო, მე, შამათავა, ჩიკვილაძე, მატვიევი, სახუტოვი და უზნაძე, მეუბნებოდა შენც წამოდი, ბევრ ახალ რამეს გაიგებო.

იოსებმა გულისოვის სიტყვები იუარა, როგორც იტყვიან, რუსული ატკაზი დაარტყა, მაგრამ ამან ვერ უშველა და საბჭომ მკაცრი გადაწყვეტილება გამოიტანა.

ლალიაშვილის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ.

მოსწავლე ლალიაშვილს შეუწყდეს სახელმწიფო ხარჯი და გაირიცხოს სემინარიიდან, რადგან უტყუარად დადასტურებულია შემდეგი მონმე გულისოვის სიტყვებით: ლალიაშვილი არად აგდებდა საეკლესიო მოძღვრებას და სასულიერო პირებს, მძულვარებით ლაპარაკობდა მასწავლებლებზე და მონაწილეობას იღებდა საიდუმლო გაზეთში, რომელსაც ქართულად სწერდნენ და რომელსაც ერქვა ყვავილი.

ლალიაშვილმა ბევრი სცადა, საკვირველი მოთმინებაც გამოიჩინა და სხვადასხვა საშუალებებს მიმართა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა კერძო მონაფეთების მომზადებაში, მაგრამ ჩუდეცკიმ აქაც გზა გადაუღობა ლალიაშვილს.

რექტორი იბარებს მოსწავლეების მშობლებს და ჯერ თხოვნით, ხოლო შემდეგ მოთხოვნით უკრძალავს მათ ლალიაშვილთან მეცადინეობას. მიზეზად კი ის მოსდო ამ საქმეს, რომ ყოფილი სემინარისტი არის ურწმუნო ადამიანი, გამუდმებით ბუნტაბრიკობს, სასულიერო პირებს აუგად ახსენებს და მოსწავლეებსაც აკრძალულ ლიტერატურას აკითხებს.

ამის თქმა და მონაფეთების გაქრობა ერთი იყო.

ამრიგად, იოსებს მოესპო უკანასკნელი საზრდო და ჩავარდა აუტანელ მდგომარეობაში.

სხვა გზა აღარ იყო, ლალიაშვილი კვლავ უნდა მისულიყო რექტორთან.

მშიერ ვეფხვთან უფრო ადვილია მოლაპარაკება, ვიდრე მადლარ ვირთან.

რექტორს თავიდან მოსმენაც კი არ უნდოდა, მაგრამ შიშის გამო იძულებული შეიქნა რამდენიმე წუთით შეჩერებულიყო და ყოფილი მოსწავლისთვის ყური დაეგდო.

ლალიაშვილმა სემინარიაში დაბრუნება ითხოვა.

ამაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივი უარი მიიღო.

შემდეგ მოითხოვა სემინარიის დამთავრების სამი კლასის მონაწილეობა.

აქაც უარს გადააწყდა.

იოსები არ დანებდა და გორის სემინარიის დასრულების საბუთი მოითხოვა, რომელიც ინახებოდა სასულიერო სემინარიის არქივში.

ამჯერადაც უარი მიიღო.

ბოლოს, საკუთარი დღიური მაინც დამიბრუნეთ, თქვენ არაფერში გამოგადგებათ, მე კი წამადგება, მედუქნის შეგირდად დავდგები, ჩემი საქმელებით რომ მივალ, ადვილად მიმიღებენ, შიმშილით სიკვდილსაც გადავრჩები და, ვინ იცის, იქნებ საკუთარი საქმეც კი წამოვიწყოო, თქვა იოსებმა და იმის დასტურად, რომ დღიურში სახელმწიფოსთვის საშიში მართლაც არაფერი ინახებოდა, რამდენიმე ევროპული კერძის დამზადების წესი ზეპირად ჩამოუყარა დამფრთხალ და დაბნეულ რექტორს.

სუსი იტალიანური მაკარონით.

მოხარშეთ სამი გირვანქა ხორცი თავისი მწვანილით და გადაწურეთ. გირვანქის მესამედი იტალიანური მაკარონი დატყეხეთ, ჩაყარეთ ადუღებულ მარილ წყალში, ერთი წამოადუღეთ და გადმოიღეთ სანურზე. გადაიღეთ სხვა ქვაბში, დაასხით განურული ბულიონი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე. პატარა ქვაბში ჩაახალეთ ორი კვერცხის გული, ჩაყარეთ შიგ ცოტა დაფხვილი ყველი და გახსენით ნახევარი ჭიქა ნაღებით ანუ რძით. მიტანის წინ ჩაასხით ორი ჭიქა ცხელი ბულიონი, ძლიერ გააცხელეთ, არ აადუღოთ, თორემ აიჭრება, ჩაუმატეთ ნახევარი კოვზი კარაქი, დაასხით ზედ ბულიონი, ჩაყარეთ შიგ მოხარშული მაკარონი და მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ხორცი — სამი გირ.

მაკარონი — მესამედი გირ.

კვერცხი — ორი.

ოსრახუში, ნიახური, პრასა.

სტაფილო, პასტერნაკი, ორ — ორი ძირი.

კარაქი — ერთი კოვზი.

დაფხვილი ყველი — ერთი კოვზი.

ნაღები ანუ რძე — ნახევარი ჭიქა.

ლალიაშვილმა რექტორს გამორკვევა არ აცალა და მეორე კერძის დამზადების წესიც იქვე მიაყოლა.

სუსი პიურა ყვავილოვან კომბოსტოსი.

მოხარშეთ სამი გირვანქა ძროხის ხორცის ბულიონი მარტო მწვანილით, სამი ძირი ოსრახუშით, თითო ძირი ნიახურით და პრასით და განურეთ. ექვს თავს ყვავილოვან კომბოსტოს მოაშორეთ მწვანე ფოთლები, ჩასდეთ მარილ წყალში ერთი საათით, თურამე ჭია არის შიგ, გამოვა. ერთი მოზრდილი თავი პატარა ქვაბში, დაასხით ცოტა განურული ბულიონი და მოხარშეთ. დანარჩენი კომბოსტო დაჭერით წვრილად, ჩასდეთ ქვაბში, უყავით ერთი კოვზი ერბო, დაასხით ცოტა განურული ბულიონი, დაახურეთ თავი და ხარშეთ. როდესაც ჩაიხარშება, გახეხეთ ცხრილში, მოხარაკეთ ერთ კოვზ ერბოში. ერთი კოვზი ფქვილი გახსენით განურული ბულიონით, ჩაუმატეთ გახეხილი კომბოსტო, უყავით ორი კვერცხის გული ნახევარ ჭიქა სმეტანაში გახსნილი, დადგით ცეცხლზე და ძლიერ გააცხელეთ, არ აადუღოთ კი.

თუ პიურე კარგი გახსნილი არ იყოს, საცერში გაატარეთ. ერთი თავი მოხარშული კომბოსტო დასჭერით ნაჭრებათ, ჩასდეთ სანვანში, დაასხით მომზადებული პიურე სუფი და მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ხორცი — სამი გირ.

ერბო — ორი კოვზი.

ყვავილოვანი კომბოსტო — ექვსი თავი.

ფქვილი — ერთი კოვზი.

ოსრახუში — სამი ძირი.

ნიახური და პრასა თითო ძირი.

იოსებ ლალიაშვილი ისე ოსტატურად ჰყვებოდა თუ ხატავდა აღნიშნული საქმელების დამზადების წესს, რომ მკაცრ ჩუდეცკის საღერღელი აეშალა და ნერწყვიც კი მოადგა გვარიანად მოშიებულს, მაგრამ ზნეს მაინც ვერ უღალატა და მსახურების გამოჩენით გულმოცემულმა ჩვეული გესლით მიუგო ყოფილ მოსწავლეს: საკვირველია ღმერთმანი, ველურებს ნეტავ რად უნდათ ევროპული საქმელი, ნუთუ თქვენი სალაფავის თქვლეფა მოგებზრდათ?

ამ სიტყვების შემდეგ უკვე ნათელი შეიქნა, რომ ჩუდეცკისთან მოლაპარაკება შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

ადამიანი ბედზე მეტად საკუთარი აზრების მძევალია. ლალიაშვილმა თავისი არ მოიშალა, ამჯერად ეგ ზარხოსისკენ გაემართა და სწორედ იმ დროს გამოეცხადა, როდესაც ქართველთა სულიერი მწყემსი ბუნტაფჩიკისთვის ჩამორთმეულ გაზეთებს ათვალთვლებდა, რომელშიც დაინტერესებული ადამიანი არგენტინულ ტანგოს გაცნობოდა, რა თქმა უნდა, მიმზიდველ მანდილოსნების სურათებთან ერთად. ადამიანს უჭირს საკუთარ თავთან ლაპარაკი, მიეცით ნილაბი და ნამსვე ალაპარაკდება. ჰოდა, ეგ ზარხოსის ნილაბიც ეს ჩამორთმეული გაზეთები აღმოჩნდა.

ყური მივუგდოთ ამ საუბარს. ტანგო არგენტინაში დაიბადა.

იმ დროისთვის არგენტინის დედაქალაქი ბუენოს აირესი ყველაზე დიდ პორტს წარმოადგენდა, რომელშიც სხვადასხვა გემით ბედის საძებნელად ათასობით ემიგრანტი ჩამოდიოდა. ყველა ჯურის გზაცდენილი აქ იყრიდა თავს, მეზღვაურები, ჯარისკაცები, გაკოტრებული ფერმრები, გაღარიბებული მუსიკოსები თუ პოეტები, ციხეებიდან გამოქცეული კატორღელები და ფათერაკის მაძიებელი ავანტიურისტები. ეს ჭრელი საზოგადოება იქვე, ნავსადგურის ახლოს სახლდებოდა, რითაც კრეოლების, იგვე, ადგილობრივი მწყემსების, უკმაყოფილებას ინვევდა.

მძიმე ხალხის სახელი ჰქონდათ გავარდნილი კრეოლებს, შარიანი ხასიათითა და გრძელი დანებით შეიარაღებულები გამუდმებით ეძებდნენ ქიშპობის მიზეზს. დღე ისე არ ჩაივლიდა, მინურ-ხიზარების ახლო-მახლო სისხლი არ დაღვრილიყო. ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, რომ სწორედ ამის გამო ადგილობრივ ექიმსა თუ ფერშალს გვარიანი დაფასება ჰქონდა და იქ, სადაც ყველა ერთად მიემართებოდა ჩხუბის შემდეგ, უფასო სასმელი ეკუთვნოდათ, რამდენიც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. აქ, ამ ტავერნებში იწყებოდა შეჯიბრი ცეკვაში.

ერთმანეთში ირეოდა აფრიკული ტანგანო, ესპანური ფლამენგო, კრეოლების მინოლგი და კუბელების ხაზანერა, სწორედ ამდენი მზრუნველი მშობელი ჰყავდა არგენტინულ ტანგოს.

თავიდან ტანგოს მხოლოდ მამაკაცები ცეკვავდნენ. ცეკვა შერკინებას უფრო ჩამოჰგავდა ხანჯლების ქნევით, მუშტით — კრივითა და ვითომდა დაღვრილი სისხლით. მოგვიანებით ამ წარმოდგენას მანდილოსნებიც შეუერთდნენ. აბა რა ქალი ივლიდა ოფლითა და ვაჟამლით გაჟღერით ტავერნაში, თუ არა უძველესი პროფესიის წარმომადგენელი. ცეკვის ნახაზი თუ ხასიათიც სწორედ ამ ურთიერთობამ განაპირობა.

მამაკაცის უსაზღვრო დარდი შორეულ ევროპაში დარჩენილი გულისწორის გამო, მანდილოსნის გავლენა მარტოხელა მამაკაცზე და მამაკაცის ძალაუფლება გამყიდველ ქალზე — ამ ყოველივეს ადგილობრივი მწყემსებიც ადვილად გრძნობდნენ თუ კითხულობდნენ და ყველაფერი საკუთარ სალაპარაკო ენაზე გადაჰყავდათ: სიყვარული და განშორება, ვნება და მორჩილება, უპირატესობა და დამცირება.

ეს იყო და ეს. ტანგომ მთელი ქალაქი დაიპყრო.

ცეკვავდნენ ყველგან, სახლებში, ტავერნებში, ჩვენებურად დუქნებში და ქუჩებშიც კი, თუ ამინდი ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

ქალებს გვერდით ჩაჭრილი კაბები და ბადე წინდები ეცვათ, მამაკაცებს — შავი კოსტიუმები და მოკლეველიანი ქუდეები. ცეკვას მუსიკით ეხმარებოდა გიტარა, ვიოლინო, ფლეიტა და ბანდულონი, პატარა გერმანული ჰარმონი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავდა ტანგოს იდუმალ სულს.

მალე ტანგომ რამდენიმე ძირითადი განშტოება გამოიკვთა: მილონგა — ძველისძველი ტანგო, ხალხურ-გლეხური ცეკვა, ზანგებისა და კრეოლების შექმნილი, მხიარული, სწრაფი, ყოველგვარი შეჩერებისა და ამოსუნთქვის გარეშე.

არგენტინული ვალსი — ზედმიწევნით დახვეწილი ცეკვა, მოქნილი და იმავდროულად მკაცრი ფერებით გაჯერებული.

კანიანგი — ტანგოს ყველაზე ძველი სახეობა, აფრიკული ძირების მატარებელი, მილონგას მსგავსი, თუმცა გაცილებით ნელი და მძიმე.

სალონური სტილი — სხვა ყველა ცეკვის ერთიანობა, რამაც გამოიწვია კიდევ მისი კლასიკური სახე.

მილონგერო — სრული ჰარმონიის მატარებელი ცეკვა, ტანგოზე შენირული ადამიანის სიმღერა როკით გამოხატული.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

ისიც სათქმელია, რომ თავიდან დედაქალაქმა ეს მბავი ცუდად მიიღო, განსაკუთრებით დიდი ქალაქის იმ ნაწილმა, რომელშიც შეძლებული, ფუფუნებას ჩვეული საზოგადოება ცხოვრობდა. წუნუნი და ვაი — ვიში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ეს რა ჭირია, ეს რა ღოზანაა, ეს რა უბედურება დაგვატყვდა თავსო, კაცი კაცს არ გავს და ქალი ქალსო, განა ამას გვასწავლიდნენ ჩვენი მამა — პაპანიო, ეს და სხვა ამგვარი ბევრი.

მიუხედავად ამისა, ამ ეპიდემიის შეჩერება შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

ტანგო არგენტინას გასცდა და ევროპაში გადაინაცვლა.

საფრანგეთის დედაქალაქში, თითქმის ყველა ქუჩაზე ტანგო — სალონები იხსნებოდა, ყველა ცეკვის სწავლას ლამობდა, სახელგანთქმული თერძები მხოლოდ ტანგოს სამოსის შეკერვით იყვნენ დაკავებული. ექიმებიც კი ჩაერთნენ ამ უცნაურ რბოლაში და საკუთარ პაციენტებს ცეკვის შესწავლას აიძულებდნენ, ამას კი იმით ხსნიდნენ, რომ ამგვარი მოძრაობები სისხლის მოძრაობას უწყობდა ხელს, რაც საბოლოოდ ადამიანის გამოჯანმრთლებას გვარიანად წაადგებოდა.

ბუენოს აირესის არისტოკრატიათა საფრთხე იგრძნო, არიქა, ეროვნული საგანძური არავინ აგვანაპნოსო, და ტანგოსკენ შემობრუნება იწყო.

ძველი რწმენა ანთებს სახლებს, ახალი სიმართლე ამ სანთლებს დაუნდობლად აქრობს.

სანთლების ჩამქრობს სახელად ერქვა შარლი, გვარად კი გარდე გახლდათ, რომელიც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა და კარლოს გარდელად იქცა. სწორედ მან იმღერა პირველმა ტანგოს მუსიკაზე და სხვა ბევრი წესი შემოიტანა, რომლის შეცვლაც თავში აღარავის მოსვლია.

ძირითადი წესები კი ასეთია:

დამწყებმა კი იცის, რომ ხუთ სიმღერაზე ნაკლებს ცეკვა, რა თქმა უნდა, ერთ პარტნიორთან, არ შეიძლება. ეს იმის შეურაცხყოფაა, ვისაც ეცეკვება, თუმცა არც მეტი შეიძლება, რადგან ეს უკვე იმის დაზავება გამოდის, ვინც მაგიდასთან მჯდარი საკუთარ რიგს ელოდება.

მადლობის თქმას გაჩუმება სჯობს. ცეკვის შემდეგ მადლობა ცუდის მომასწავებელია და უკმაყოფილების ნიშანი, გაჩუმება კი პირიქით. ცეკვის დროს საუბარი ისედაც ცუდ ტონად ითვლება.

მანდილოსანი არ უნდა ილიმებოდეს, ამ დროს ღიმილი ამჩატების ნიშანია

თუ ვინმე პაემანის დანიშნულს მოინადინებს, სახალხოდ არ უნდა გამოაცხადოს, მხოლოდ უნდა მიანიშნოს ამის შესახებ და ცეკვა განაგრძოს. დარბაზიდან ერთად გასვლა მითქმა — მოთქმასა და ჭორებს დაუდებს სათავეს, ამ ტალახს კი წყვილი, მიუხედავად მცდელობისა, ველარასოდეს ჩამოირეცხავს.

მამაკაცს შავი კოსტუმი უნდა ეცვას, ქალს ვიწრო, წითელი, გვერდით ჩაჭრილი კაბა. მთავარი მაინც ფეხსაცმელია, განსაკუთრებით მანდილოსნის, რომელიც საგანგებოდ იკერება და რომლის ქუსლის სიმაღლეც ათ სანტიმეტრს უნდა სცდებოდეს. გამოცდილი ტანგეროსი, სწორედ ასე ჰქვია ტანგოს მოცეკვავეს, სწორედ რომ ამ ქუსლის სიდიდით ატყობს, მართლაც გამოცდილია თუ არა მისი მენეჯერი.

მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა თუ აკრძალვისა, ეგზარხოსი მაინც კმაყოფილი დარჩა ნაკითხულით, განსაკუთრებით კი იმ ადგილების, სადაც ტანგოს მოცეკვავე ქალების სურათები გახლდათ წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, გვერდით გვარიანად ჩაჭრილი ქვედაბოლოთი. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ უმუსიკობა სრული სურათის წარმოდგენას ხელს უშლიდა, მაგრამ დღისმსახურის გონებაში გარკვეული წარმოსახვის ადგილს მაინც ტოვებდა.

ეგზარხოსმა მარიამს გახედა, რომელსაც ჩაცმა თითქმის დასრულებული ჰქონდა. მის მომღიმარ სახეს ვერც კი წარმოედგინა, რომ პავლეს წარმოსახვაში მისთვის მცირე კუთხის გამოწვავაც უკვე შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

სწორედ ამ დროს და ამ წარმოსახვაში შემოიჭრა ყოფილი მოსწავლე ლალიაშვილი საკუთარი მოთხოვნებითა თუ სურვილებით.

პავლეს არც მანამდე მისდიოდა გული ქართველ ლალიაშვილზე, ახლა კი სულ მთლად ამოძულებული ჰყავდა, ასე რომ, საუბარი არ შედგა და გარიცხული სემინარისტი საკუთარი დარდის ამარა დარჩა.

ძალადობა იმედს ვერ გააჩენს, ის მხოლოდ შეარბილებს სასონარკვეთის გრძნობას.

ლალიაშვილმა კიდევ ერთხელ სცადა მოჯადოებული წრის გარღვევა და თბილისური დუქნები დაიარა იმ იმედით, რომ კერძების დამზადების წესის დუთავაზებით შიმშილსაც გადარჩებოდა და სახსარსაც შეიძენდა. რადგან დღიური ჩამორთმეული ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი მახსოვრობის იმედად რჩებოდა და დუქნებს იმას სთავაზობდა, რაც ჯერ კიდევ არ დაინიყებოდა.

ერთს ეს შესთავაზა:

ღვკილი ხაშინი ცომით საართოდ.

სამი მისხალი გამხმარი ცომის ხაში დააღბეთ მეორად ჭიქა თბილ წყალში, უყავით ერთი კოვზი ფქვილი, დადგით თბილ ალაგს. როცა ამოვა ეს ხაში, მოზილეთ ამითი ცომი: აზილეთ ერთმანეთში ერთი გირვანქა ფქვილი, ერთი ჭიქა რძე ანუ წყალი და გაფუებული ხაში დასდეთ თბილ ალაგს. როდესაც ცომი ამოვა, კარგათ დაზილეთ, უყავით კოვზ ნახევარი მარილი, ორი კოვზი ერბო, ორი კვერცხი, დაუმატეთ ერთი გირვანქა ფქვილი და მოზილეთ მაგარი ცომი. ზილეთ სანამ ცომი ხელიდან ადვილად მოშორებას არ დაიწყებს და ბუმბუტი არ გაუჩნდება. გააჩერეთ ნახევარი საათი, მეორეჯერ რომ ცომი გაფუვდება, გასჭერით ორად, გაათხელეთ ორივე ნაჭერი ოთხკუთხად. აიღეთ რკინის ფურცელი, შუაზე ცოტა ერბო დაუდევით, ზედ დააფინეთ გაშლილი ცომი, დააყარეთ ზედ ადრევე მომზადებული ხორცის სატენი, დაადეთ ზემოდან მეორე გაშლილი ცომის ნაჭერი, გარშემო კარგათ შემოუკვეცეთ ნაპირები, გააჩერეთ მე-

ოთხედი საათი, შემდეგ თავზე წაუსვით ერთი კვერცხის გული ერთ კოვზ წყალში არეული, შესდგით ცხელ ფენში და შესწვით.

კვერცხი გარშემო ნაპირზე არ წაუსვათ.

თუ ცომი პატარა კუპატისთვის გენებოთ, მაშინ მეორედ რომ ცომი გაფუვდება, გაშალეთ, დაადეთ ერთ წყებაზე ადგილ გამოტოვებით სატენი, გადაახვიეთ ცომი ისე, რომ ხორცი დაიმალოს, მოსჭერით ჭიქის პირით, გარშემო შემოუკვეცეთ. რკინის ფურცელს წაუსვით ცოტა ერბო, დაალაგეთ ზედ კუპატები, ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ კუპატებს წაუსვით ზემოთ ერთი კვერცხის გული გახსნილი ერთ კოვზ წყალში, შესდგით ცხელ ფენში და გამოაცხეთ.

ფქვილი საერთოდ ვარაუდით არის ნაჩვენები, რადგან ზოგი ფქვილი ცოტა წყალს იტანს, ზოგი მეტს.

მასალად საჭიროა.

ფქვილი — ორი გირ.

ხმელი ხაში ანუ დროჟი — სამი მისხ.

რძე ანუ წყალი — ერთი ჭიქა.

მარილი — ნახევარი ჩაის კოვზი.

ერბო — სამი კოვზი.

კვერცხი — სამი.

მეორეს სულ სხვა რამ მოაწონა:

ახალი მწვანე ლობიო ერბო კვირცხით.

ორი გირვანქა ახალი მწვანე ლობიო დაარჩიეთ, ქაყვები თუ ქონდეს მოაშორეთ, დატეხეთ თითო სამათ ან ოთხათ, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ მოფაროს. დადგით რიდ ცეცხლზე და ხარშეთ. როდესაც ლობიო წყალს დაიდუღებს, ჩაყარეთ შიგ წმინდათ დაკეპილი ერთი კონა ახალი ხახვი, თორმეტი ძირი შაშკლავი, ოთხი ძირი ტარხუნა, ოთხი, ექვსი ძირი ცერეცო, ოთხი ძირი ოხრახუმი, ჩაასხით ერთი ჭიქა ერბო და მოშუშეთ.

როცა ლობიო კარგათ მოიშუშება ერბოში, დაასხით ოთხი გათქვეფილი კვერცხი, ალაგ ალაგ დანით ჩაჩხვლიტეთ, რომ კვერცხმა შიგნითაც გაუაროს, ოღონდ არ ამოურიოთ, მარტო კოვზით თავი მოუსწორეთ.

ზემოდან ერბო კვერცხით უნდა ქონდეს ლობიოს.

თუ გენებოთ, როდესაც ლობიოს ქვაბში წყალი დაუშრება, გადაიღეთ ტაფაზე, იქ ჩაყარეთ მწვანე ლობიო, დაასხით ერბო და მოხრაკეთ, თან ურიეთ. შემდეგ გადაასხით კვერცხი და მეტს ნულარ აურევთ, ისე შედგით ცხელ ფენში. შეინჯას თუ არა მიირთვით თავისივე ჭურჭლით, ანუ დასჭერით ნაჭრებთ, ამოალაგეთ ბლუდზე და ისე მიირთვით.

მასალად საჭიროა:

ლობიო — ორი გირ.

ერბო — ნახევარი გირ.

კვერცხი — ოთხი ან ხუთი.

ხახვი — ერთი კონა.

შაშკლავი — თორმეტი ძირი.

ტარხუნა — ოთხი ძირი.

ქონდარი — ოთხი ძირი.

ცერეცო — ექვსი ძირი.

ოხრახუმი — ოთხი ძირი.

მარილი და სანელებელი გემოზე.

მესამეს კი ასეთი რამ უთხრა:

ტოლმა ვინახის ფოთოლში განკაშული ძროხის ან ცხვრის სორციდან მომზადებული.

ორი გირვანქა ხორცი და ერთი გირვანქა ხახვი წმინდათ დაკეპეთ, მოაყარეთ სანელებელი, მარილი, ერთი კოვზი დაჩეჩქვილი ან ოდნავ მოხარშული ბრინჯი. გათქვიფეთ ოთხი კვერცხი და სულ ერთად აურიეთ ხორცში.

ვზის წვრილი და ჩვილი ფოთლები მდულარე წყალში ჩაყარეთ. ნამოდულდეს თუ არა, მაშინვე ამოიღეთ და გააცხეთ. შემდეგ მომზადებული ხორცი აიღეთ თითო დაკლის ოდენი, გაახვიეთ ფოთოლში და ჩაალაგეთ ქვაბში, დაასხით წყალი ისე, რომ ძლივს მოიფაროს, დაახურეთ თავი და მოხარშეთ.

უკეთუ ქუფთა მოხარშული იყოს და წვენი ბევრი ქონდეს, წვენი გადაუწურეთ, ზედ დაასხით ნახევარი ჭიქა ერბო და მოშუშეთ — არ ჩაიშალოს.

ამოიღეთ შემდეგ ბლუდზე. ერთი ქოთანის მანონი განურეთ საღვთეშუმი. დააღბეთ ერთი მისხალი ზაფრანა. ქუფთებს რომ

გადმოიღებთ ბლუდზე, გადაავლეთ ზემოდან მანონი, ბამბით და-
ანვეთით დამბალი ზაფრანა, მოაყარეთ ორი სტოლის კოვზი შა-
ქარი და მიირთვით.

- მასალად საჭიროა:
- ხორცი — ორი გირ.
- ხახვი — ერთი გირ.
- ვაზის ფოთოლი — ორმოცდაათი.
- მარილი — ერთი კოვზი.
- მანონი — ერთი ჭიქა.
- ზაფრანა — ნახევარი მიხხალი.
- სანელებელი — ათი მარც.
- ბრინჯი — ერთი სტოლის კოვზი.
- ერბო — ნახევარი ჭიქა.
- კვერცხი — ოთხი.

თბილისი ყოველთვის უფრთხოდა სიახლეს.

ლალიაშვილი ახლოს არავინ გაიკარა.

ზოგს ფასი არ მოსწონდა, ზოგს აწყობილი საქმის არევე —
დარევის ემინოდა, ზოგიც ეჭვის თვალთ უცქერდა ყოფილ
სემინარისტს ბუნტოვშიკური ნარსულის გამო. მოკლედ,
ასეა თუ ისე, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, მითუმეტეს,
რომ ლალიაშვილს უკვე კერძების დამზადების წესის გახსენე-
ბაც უჭირდა, ჩანანერების დაბრუნებას კი უახლოეს მომავ-
ალში არავინ აპირებდა.

რჩებოდა კიდევ ერთი რამ, რომელიც ლალიაშვილს სა-
გულდაგულოდ ჰქონდა გადამალული მამაპაპისეულ ხანჯალ-
თან ერთად, თბილისის ერთ — ერთ სასაფლაოს ეზოში.

ეს გახლდათ მაროყნი, ანუ ჩვენებურად ნაყინი და მისი
დამზადების წესი.

ამ უცნაური საკვების შესახებ თბილისში არაფერი იყო
ცნობილი, რუსეთშიც ერთი-ორი სანაყინე იყო გახსნილი და
ისიც დედაქალაქში, რომელიც ახლა იდგამდა ფეხს, ასე რომ,
მათ ავკარგებდნენ მსჯელობა ისევე და ისევე ყურნალ-გაზე-
თების მეშვეობით გახლდათ შესაძლებელი.

მაროყნები იყო სხვადასხვანაირი.

სანამ ვინმე ამ საქმეს შეუდგებოდა, რამდენიმე შენიშვნის
გათვალისწინება აუცილებლად მოუწევდა.

შენიშვნა მაროყნის გაკეთებაზე:

ექვსი კაცის საყოფი ნაღების მაროყნის გაკეთებისთვის სა-
ჭიროა სამი ჭიქა, ესეიგი ერთი ბოთლი რძე, ოთხი კვერცხის გუ-
ლი, თუ კვერცხი წვრილია, მაშინ კვერცხის გული დასჭირდება
და ნახევარი გირვანჯა შაქარი. ამ ზომით გაკეთებული მაროყნი
თორმეტი კერძი გამოვა.

ნაღების მაროყნის გასაკეთებლად საჭიროა თხელი ნაღები
ან პირდაპირ კარგი რძე. კვერცხის გული უნდა კარგად გათქვი-
ფოთ გაცრილ შაქარში, სანამ გათეთრდებოდეს. გათქვიფილი
კვერცხი აურიეთ თბილ თხელ ნაღებში ანუ რძეში, დაადგით
ცეცხლზე, აურიეთ და ისე ნააცხელეთ, სანამ არ შესქელდება
ისე, რომ კოვზიდან თხელ ნაღებივით ჩამოდიოდეს და არა წყა-
ლივით, ოღონდ არ ავიდუღდეთ, თორემ აიჭრება. შემდეგ გად-
მოდგით ცეცხლიდან, დადგით ცივ ალაგას, სულ ურით და ისე
გააციეთ. კარგ მაროყნის გაკეთებისთვის საჭიროა ეს მასალა
მომზადდეთ რამდენიმე საათით წინ მაროყნის გაკეთებისა, რომ
კვერცხი გაუჯდეს და მისი სუნი აღარ მიეცეს მაროყნს.

თუ მაროყნი ვანილიანია, მაშინ ვანილი სიგრძით უნდა გასჭ-
რათ, ჩასდოთ ცივ რძეში და ვანილით ადუღოთ რძე, რომ შიგ გა-
მოიხარშოს ვანილი.

თუ საჭიროა მაროყნში ჩადება ლიმონის ქერქისა, მწარე ნუ-
შისა ან რამე სხვა მასალისა, მაშინ ის მასალა ცხელ კვერცხთან
რძეში უნდა ჩასდოთ.

ზემოთ მოხსენებული ზომა მაროყნის გასაკეთებლად ძლიერ
კარგია და თუ მას კვერცხს მიუმატებთ, კვერცხის გემო მიეცემა,
თუ რძეს — გათხელდება და აღარ გაიყინება, თუ შაქარს, არც
შაქარიანი გაიყინება, როგორც რიგია.

მაროყნის გასაკეთებლად საჭიროა ვინრო, მაღალი, ძირში
გახვრეტილი ვედრა, რომ გამდნარი ყინულის წყალი გავიდეს.
მასალის ჩასასხმელად კი უნდა იყოს ვინრო, მაღალი და ხელია-
ნი ფორმა, რომ ხელით შეიძლებოდეს ფორმის ტრიალი, მაშინ

ვედრაში ჩაყრით დამტვრეულ ყინულს, დაყრით ხოშორ მა-
რილს, დადგამთ ზედ მასალიან ფორმას, შემოუწყობთ გარშემო
ყინულს და მარილს და ფორმას ხელით ატრიალებთ, სანამ ახალ
კარაქით არ შესქელდება და დანით მოსაჭრელი არ გახდება,
თუ გვენებით მაროყნის ფორმიდან ერთიანად გამოვლება, ფორმა
უცებ ცხელ წყალში უნდა ჩადგათ, მერე საღვფოქ გადაფარებულ
ბლუდზე დააპირქვავეთ და მაროყნი მაშინ ადვილად გადმოვარ-
დება მთელად ბლუდზე.

ამისთანა ფორმაში მაროყნის გაკეთებას და მის გაყინვას სა-
მი მეოთხედი საათი მოუწევთ.

არის კიდევ საგანგებო მაროყნის ფორმები, რომელშიაც ათ-
თუთხმეტ წამში შეიძლება მაროყნის გაყინვა.

მაროყნის გასაკეთებელ მასალას ფორმაში რომ ჩაასხამთ,
ჯერ ქალღდი გადაფარეთ და მერე თავი დაახურეთ, რომ კეთე-
ბის დროს თავს რომ ახდით დასახედავთ, მარილი ან ყინული არ
ჩაყარდეს შიგ.

ექვსი კაცის საყოფ მაროყნს სამი გირვანჯა მარილი მოუწ-
დება, ყინვა რამდენიც გადნეს, ჩაუმატეთ.

თუ მაროყნი მზად არის და დრო არ არის მირთმევისა, მაშინ
ჩაყარეთ შიგ ბლომად ყინვა, ზედ მარილი და ისე გააჩერეთ. ხან-
დახან დაატრიალეთ, რამდენსაც ხშირად ატრიალებთ, იმდენად
მაროყნი კარგათ გამოვა.

თუ მაროყნი ხილეულის არის, მაშინ წვენი საჭიროა სამ ნა-
ხევარი ჭიქა და შაქარიც ერთ ნახევარი ჭიქა.

აღიეთ ერთ ნახევარი გირვანჯა მარწყვი ან მალინა, გახეხეთ,
დარწყვეთ ჭიქით რამდენი ჭიქა გამოვა. მერე მიუმატეთ წყალი იმდენი,
რომ პიურიანებ სამ ნახევარი ჭიქა გამოვიდეს, აურიეთ შაქარში,
ადუღეთ, მორევით გააცივეთ და მერე ფორმაში ჩაასხით და გაყინეთ.

სულ ეს იყო.

ნათლად ჩანდა, დედაქალაქი ამგვარი სიახლისთვის მზად
არ გახლდათ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ლალიაშვილს არ გა-
აჩნდა ამ ყოველივეს განსახორციელებელი თანხა, არც საჭი-
რო ხალხთან ნაცნობ — მეგობრობა და არც დუქნის გასამარ-
თი ადგილი.

რჩებოდა მხოლოდ ძველისძველი ხანჯალი.

სამოთხეში მოხვედრა ყველას უნდა, სიკვდილი არავის.

ამ ყველაში ერია სემინარიის რექტორი ჩუდეცკი.

ლალიაშვილი მიდის პეტრე — პავლეს ეკლესიის ეზოში,
პოულობს დამალულ ხანჯალს, მალავს პალტოს ქვეშ და მი-
დის რექტორთან. ლალიაშვილი კიდევ ერთხელ ითხოვს პატი-
ებას და მათ შორის ასეთი საუბარი იმართება.

მამაო, მითხარი როგორ მოვიქცე, ყაჩაღთ ხომ ვერ წავალ...

შენ მართლა ყაჩაღობის ღირსი ხარ.

დღემდე საყაჩაღო არაფერი ჩამიდენია, ახლა კი ვნახოთ...

ამ სიტყვებით ლალიაშვილი, პალტოს ქვეშიდან, იღებს
ხანჯალს და რამდენჯერმე ჩასცემს ცხვირანულ რექტორს.

მეორე დილით ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე, გაზეთი
„ამბის მიმტანი“ კი ცნობისმოყვარე მკითხველს მკვლელობის
წვრილმანება ატყობინებდა რექტორის მეუღლის, მარიამის
სიტყვებზე დაყრდნობით.

როგორც გვეუბნებიან, დათხოვნილ სემინარისტს მოუკ-
ლავს სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, დღისით მზისით, საკუ-
თარ სახლში, მოწმეების თვალწინ, სხვა რამ წვრილმანი, მიზე-
ზი ამ საზარელი მკვლელობისა ჩვენთვის უცნობია, მხოლოდ
ის ვიცით, რომ მკვლელი მალევე შეუპყრიათ.

აი, რას ჰყვება რექტორის უბედური ქვრივი:

როცა საკუჭნაოდან გამოვდიოდე, შევიმინე, რომ წინა კა-
რებიდან შემოდიოდა ტალანში მოწაფე ქალაღებით ხელში.
მე არ ჩავაცქერდი ამ მოწაფეს, გავიარე დიდი ოთახი, სასტუმ-
რო და შევედი კაბინეტში, სადაც ჩემი ქმარი მუშაობდა. მას
უთხარი მოწაფე არის მეთქი. როცა ჩემი ქმარი გავიდა მოწა-
ფესთან, მე და ჩემი და ეკატერინე დავრჩით კაბინეტში. ორი-
სა თუ სამი წამის შემდეგ მოგვესმა საშინელი ყვირილი დეკა-
ნოზისა. ერთ წამს გავედით კაბინეტიდან, გავიარეთ სასტუმ-
რო ოთახი და შევედით ზალაში. დეკანოზი ჩემსკენ მოდიოდა

გაქარებთ. ორივე ხელით მუცელი ეჭირა, უკან მოსდევდა მონაფე ამოღებული ხანჯლით. შევნიშნე, რომ ის მონაფე იყო ლალიაშვილი, რომელსაც წინათაც ვიცნობდი. დეკანოზი შევიყვანეთ კაბინეტში და ჩვენ ორმა დამ სწრაფად მოვხურეთ კარები სასტუმრო ოთახისა და კარს მხარი მივეცი, რომ ლალიაშვილი აღარ შემოგვეშვა, მაგრამ გვიანდა იყო. ლალიაშვილმა მოასწრო ფეხის შემოდგმა კარებში და შემოჰყო აგრეთვე ხელი, რომელშიაც ამოღებული ხანჯალი ეჭირა. მანამ ეს ამბავი იყო, დეკანოზმა მოასწრო და კაბინეტიდან მეორე ოთახში გავიდა, რომელიც სასადილო იყო დანიშნული. ამ ოთახშივე გავიდა ეკატერინე მანუჩელი, მოხურა კარები და მიანვა. მე კაბინეტში დავრჩი და სახელოში წავავლე ხელი ლალიაშვილსა, მაგრამ ვერ დავამაგრე. მაშინ კარებს დავუწყე აქეთ წევა, მაგრამ ლალიაშვილმა დამძალა და შევიდა სასადილო ოთახში. დეკანოზი ჩუდდევდა ამ დროს ოთახის უკანა კარებიდან გასულიყო ტალანში და მერე აქედან ზემოხსენებულ აივანზე. როცა ლალიაშვილი შევარდა სასადილო ოთახში, ორთავე დამ ვსტაცეთ ხელი, ერთმა სახელოში, მეორემ პალტოში, მაგრამ ვერ დავამაგრეთ, გამოეკიდა კიდე დეკანოზ ჩუდდევას, დაენია ბალკონზე და დაჰკრა ამოღებული ხანჯალი კისერში. როცა აქ ბრძოლა დაიწყო მათ, მე ვტაცე ხელი აღმართულ ხანჯალს და ხელები დავიჭერი. სწორედ ამ დროს მოგვეშველენ მასწავლებელი ლაცოცკი, ჩეტირკინი და შეიპყრეს ლალიაშვილი.

ამ მონათხრობიდან, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ისიც ხდებოდა ცნობილი, რომ მარიამს, მიუხედავად მითქმა — მოთქმისა, თავისებურად უყვარდა კიდეც მეუღლე და თავიცი კი გადაუდია მის გადასარჩენად, რითაც ისედაც ტრაგიკული ამბავი კიდე უფრო მძიმედ შესაგუებელი გაუხდია თბილისელთათვის.

რადგან „ამბის მომტანის“ გამომცემელი პოლიციასთან დაახლოებული ბრძანდებოდა და ხელი იმ ინფორმაციაზე მიუწვდებოდა, რომელიც სხვებისთვის დამალული გახლდათ, ამ კავშირების მეშვეობით მოპოვებულ მასალას მკითხველი იქვე წააწყდებოდა, მარიამის მონათხრობის შემდეგ. კერძოდ, დანაშაულის ადგილის ზედმიწევნით ზუსტ აღწერას.

დიდალი სისხლი სჩანს იატაკზე ზალაში, სასტუმრო ოთახში, კაბინეტში, სასადილო ოთახში და უკანა ტალანში, იქვე ახლოს, ერთ ალაგას იყო დაგუბებული სისხლი.

ქარქაში ლალიაშვილის ხანჯლისა თეთრი იყო და ორივე პირზე სისხლის ლაქები ამჩნევია. თვით ხანჯალი სიგრძით ათი გოჯია და სიგანით ერთ გოჯზე ცოტა მეტი. ზედაც ეტყობა ნითელი ლაქები, რომლებიც, ექიმის პოტაპოვის აზრით, სისხლისაა, ისეთი, როგორიც თვით ქარქაშზე.

იოსებ ლალიაშვილს მარცხენა ხელზე სამი ჭრილობა ჰქონდა.

იოსებ ლალიაშვილს ეცვა დრაპის პალტო და ქვეშ ბლუზა. მარცხენა კალთა პალტოსი სისხლით არის მოთხვრილი, მარჯვენა კალთას კი ცოტა სისხლი ამჩნევია.. სისხლი ამჩნევია ორსავე სახელოს, სისხლი აღმოჩნდა აგრეთვე ზურგზე, მარჯვენა მხართან და პალტოს უკანა კალთაზეც, მარცხენა კალთაც ბლუზისა აგრეთვე სისხლითაა გასვრილი, მარჯვენა კალთას კი სისხლი ნაკლებად ამჩნევია.

ამ დროისთვის ეგზარხოსს უკვე გაგზავნილი ჰქონდა შეტყობინება პეტერბურგში, წმინდა სინოდის ობერ-პროკურორთან მომხდარის შესახებ:

დღეს, დღის თერთმეტ საათზე, სემინარიის დათხოვნილმა მოსწავლე ლალიევმა მიაყენა მძიმე ჭრილობები რექტორ ჩუდდევას მუცლის არეში. მიყენებული დაზიანებისგან სასწავლებლის რექტორი ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა. სხვა დანარჩენი მოგვიანებით.

რა იგულისხმებოდა „სხვა დანარჩენში“, იცოდა მხოლოდ ეგზარხოსმა. სხვა რა გზა იყო, ობერ-პროკურორი მოვლენების განვითარებას უნდა დალოდებოდა.

ძალადობა იმედს ვერ გააჩენს, ის მხოლოდ შეარბილებს სასონარკვეთის გრძნობას.

სწორედ ამგვარი სასონარკვეთა ეხატა სახეზე იოსებ ლალიაშვილს, რომელიც გამოძიებლის წინ მჯდარი მის გულის-გამანვრილებელ კითხვებს პასუხობდა.

— რექტორის მოკვლა არ მინდოდა... — ჩალიაპარაკა ლალიაშვილმა და სინანულის ნიშნად თავი დაბლა დახარა.

— მაშ რად მოჰკალით, რას ემართლებოდათ. — იკითხა გამოძიებელმა და პასუხის ჩასაწერად მოემზადა.

— როდესაც დღიური წამართვეს და მის გამო პანსიონიდან დამითხოვეს და ექვსი მანეთის ძლევა დამიწყეს თვეში, მე ცალკე ოთახი დავიჭირე, იანვრიდან კი გაკვეთილები ვიპოვე.

— ვის ასწავლიდათ? — დაახუსტა გამოძიებელმა.

— ვასწავლიდა აქაური კამანდის ფელდფებელის შაპილოვის შვილებს, რომლებიც გიმნაზიაში სწავლობდნენ.

— რას იღებდით ამ გაკვეთილებში?

— გასამრჯელოდ იგი ბინას და ხარჯს მაძლევდა.

— რამდენი ხანი დაჰყავით მასთან?

— მასთან მე ვცხოვრობდი უკანასკნელ დრომდე.

— კეთილი, განაგრძეთ. — ნება დართო გამოძიებელმა და ახალი ფურცელი აიღო.

— მარტში ჩემს ბინაზე გამოცხადდა ინსპექტორი ზედამხედველი.

— რა მიზნით?

— დანოსი ყოფილა შედგენილი, თითქოსდა მე აკრძალულ ნიგნებს ვინახავდი.

— რა შედეგი მოიტანა ვიზიტმა?

— ჩემს ნიგნებში მიპოვნეს პისემსკის თხზულება „მეორე მოცე ნლეების მოღვაწე“ და რვეული, რომელშიც მე ჩემს თავგადასავალს ვწერდი, ეტყობა ეს ნიგნი ინსპექტორს სხვა რამეში აერია და რვეულთან ერთად იმის გადაცემაც მომთხოვა, მე არ მივეცი.

— რა მოხდა ამის შემდეგ?

— ძალმომრეობით სემინარიიდან გასვლის თხოვნა შემატანინეს, დამითხოვეს და ყოფაქცევის ნიშნად ოთხი დამისვეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მით უფრო, რომ ივნი-სიდან ფელდფებელთან გაკვეთილები აღარ მქონდა და სრულიად უმწეოდ ვრჩებოდი.

— რა მოიმოქმედეთ ამის შემდეგ?

— რამდენჯერმე მივედი რექტორთან და ვთხოვე, რომ გადაესწორებინა ყოფაქცევის ნიშანი ხუთზე, მაგრამ რექტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდა. ბოლოს ვთხოვე დაებრუნებინა სასულიერო სასწავლებლის მიერ მოცემული მოწმობა მანინც, მაგრამ უარი მითხრა. შეწუხებულმა რექტორის ამგვარი მოქმედებით და ჩავარდნილმა უკიდურეს მდგომარეობაში, გადავწყვიტე რექტორის მოკვლა.

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— იმ დღემდე ორი კვირით ადრე.

— რით უნდა მოგეკლათ?

— ხანჯლით...

— ხანჯალი ვინ მოგცათ?

— ვიყიდე...

— ვისგან და სად?

— იმ ხანებში მომიხდა ვერის ხიდზე გავლა, იქ რომელი-ღაც ოსიგან ვიყიდე ხანჯალი.

— აქამდე გვარწმუნებდით, რომ უსახსროდ იყავით და დანაშაული უკიდურესი გაჭირვების გამო ჩაიდინეთ, ხანჯლის ფული საიდანაა გაგიჩნდათ?

— ის ოსი ხანჯალს მუქთად ყიდდა...

— მაინც რამდენი მოითხოვია?
 — სამი მანეთი.
 — სად წაიღეთ ეს ხანჯალი?
 — მაშინვე წავიღე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ავლაბარში და დავმალე ბალახებში.
 — ერთი კვირა რას ელოდებოდით, ამხანაგების მითითებას?
 — არავის მითითება არ მჭირდება, როგორც გითხარით რექტორის მოკვლა არ მინდოდა, გამოსავალს ვეძებდი, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მე ეგზარხოსთან ვიყავი და ვთხოვე მთავრის ადგილი, მაგრამ ამაზე ეგზარხოსმა მითხრა, რომ ჯერ პრიჩეტნიკად უნდა იყო რამდენიმე ხანო, ამის გამო მე დავწერე თხოვნა პრიჩეტნიკის ადგილის შესახებ და ხელახლა მივედი ეგზარხოსთან, მაგრამ ეგზარხოსმა რაღაც მიზეზის გამო არ მიმიღო.

— შემდეგ რა მოიმოქმედეთ?
 — დილით წავედი სასაფლაოზე, ვიპოვე ხანჯალი და ჩამოვიკიდე ქამარზე პალტოს ქვეშ, შევედი სემინარიაში წინა კარი და მაშინვე გავეშურე რექტორის სადგომისკენ, იქ რექტორის მეუღლე დავინახე... რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა თვითონ რექტორი, მე მივართვი თხოვნა მონაშობის შესახებ, მაგრამ ჩემ თხოვნაზე უარი განაცხადა რექტორმა... მე გამოვედი ოთახიდან და მალე კვლავ უკან დავბრუნდი, იმ აზრით, რომ რექტორმა იქნებ შემიბრალოს, მაშინ რექტორი იდგა თავის წინა ოთახის ახლოს, მე განვიმეორე ჩემი თხოვნა, მაგრამ რექტორმა კვლავ უარი მითხრა, მაშინ კი გამოვედი მოთმინებიდან და ხანჯალი დავეცი რექტორსა, რამდენჯერ შემოვკარ ხანჯალი, ან რა ალაგას არ მახსოვს...

— ხელი როგორ დანიანეთ?
 — არც ის მახსოვს, ხელი როგორ გავიკანრე.
 — მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ მარტო მოქმედებით და ამხანაგი არ გყოლიათ ამ საქმეში?
 — ჩემი განზრახვა რექტორის მოკვლის შესახებ არავინ იცოდა, რადგან არავისთვის არ მითქვამს. — მტკიცედ თქვა ლალიაშვილმა და გაჩუმდა.

გამომძიებელმა ყველაფერი ჩაინიშნა და საქალაქო დახურა. რა იცოდა ლალიაშვილმა, რომ იმავე საქალაქო დახურვის დღეს დაწინაურდა, რომელიც სულ სხვაგვარად აღწერდა მკვლელობის მომზადებასა და მის განხორციელებას. აი, რას წერდა პოლიციის აგენტი-მონაწილე:

ამ წრემ დაიწყო მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში და დურგლებში. უკანასკნელთა წრეებს ადგენდნენ მიხა ჩოდრიშვილი და მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი. მიხა ჩოდრიშვილის ბინა არსენალის გორაკის ძირში მუდამ ღია იყო ამ წრის კრებისთვის.

გოლა ჩიტაძის რჩევით ჩვენ შევიმუშავეთ ერთნაირი წესრიგი ტერორისტების. გადანყდა პირველ რიგში მოკვლა ეგზარხოსი პავლესი, მზრუნველის ივანოვსკისა და რექტორ ჩუდეცკისა და ამისთვის შესაფერი ორგანიზაციის შექმნას შევუდექით.

რამდენადაც ფართო გეგმას მოგვიდებოდა, იმდენად მისი შესრულება ძნელი ხდებოდა. ჩვენ გვინდოდა მსხვერპლი მცირედი გავგელო, ხოლო ნაყოფი დიდი მიგველო. ერთხელ ისიც კი ვცადეთ აგვეფეთქებინა სემინარიის კელიის საკურთხეველი, მაშინ როცა შიგ იქნებოდნენ ეგზარხოსი და რექტორი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ყუმბარა ცუდი გამოდგა.

მაისში ჩემთან მოვიდა გოლა ჩიტაძე და მითხრა, რომ მან იპოვნა სანდო პიროვნება, რომელიც ჩვენ განზრახვას შეასრულებდა და დაასახელა იოსებ ლალიაშვილი. ლალიაშვილს ვიცნობდი, ის და შიო დედაბრიშვილი სანთლებს ყიდდნენ ეკლესიაში და ფულს აგროვებდნენ.

ჩიტაძის წინადადება ჭკუაში არ მომივიდა და არ დავეთანხმე.

შენ ძველი ლალიაშვილი არ გეგონოს, მითხრა ჩიტაძემ, ძალიან მაგარი ბიჭი დადგაო და თან რექტორზე გაბრაზებული არისო, ისიც დაამატა, რომ მცირეწლოვანი არის და ვერ დაახჩობენო.

გოლა ჩიტაძეს მე ველარაფერი უთხარი. მომთხოვა ხანჯლების ფული, თორმეტი მანეთი სამი ხანჯლისთვის, რადგან მოსაკლავი სამი იყო, ხანჯალიც სამი გახდებოდა საჭირო. გოლა ჩიტაძე გვერდით დასდევდა ლალიაშვილს და ხელმძღვანელობდა. პირველად იგი მივიდა ეგზარხოსთან წინა ხელში და ხანჯლით პალტოს ქვეშ, მაგრამ არ შეუშვეს მასთან, მეორე მივიდა სემინარიაში და მოკლა რექტორი, იანოვსკისთან წასვლა არ დააცალეს და დაიჭირეს, ორი ხანჯალი მოუხმარებელი დარჩა.

ამ ამბავმა სემინარიაში საერთო მხიარულება გამოიწვია. ჩვენ ამ დროს გამოცდებს ვაბარებდით, გავიგეთ, რომ რექტორი მოუკლავთ, გამოვედით ავიანზე და დავინყეთ თამაში, მოვიგონეთ ის, რომ თავის სიკვდილის წინა დღით ეკლესიის კათედრიდან ჩუდეცკი მოუწოდებდა მსმენელებს შემდეგი სიტყვებით, ავმალდეთ ზეცად. ახლა კი ამაღლდა ის ზეცადო, ამბობდნენ მოსწავლეები სიცილით. ლალიაშვილი მათ წარმოადგენაში გმირად იქცა, რადგან მან ერთმა იხსნა სემინარია მტარვალისგან.

მონაფეები თავისებურად ხსნიდნენ ამ ამბავს და ყველაფერს ჩუდეცკის ცოლს აბრალებდნენ. რექტორის ცოლი ახალგაზრდა და ლამაზი იყო, მაგრამ იმავე დროს ეგზარხოსის ცოლიც იყო. როცა ქუჩაში ხმაურობა მისწყნარდებოდა, ეგზარხოსის კარგა მიადგებოდა ჩუდეცკის ბინას და იმასაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარხოსისთვის. გულში დატრიალებულ ჯავრს მონაფეებზე იყრიდა ხოლმე და ლალიაშვილიც ამან გამოიყვანა წყობიდანო.

მის ამხანაგებს ერთი რამის ეშინოდათ, რომ მას იქვე არ გასწორებოდნენ ან კანონით სიცოცხლე არ მოესწრაფად.

დანისენიე ამით სრულდებოდა. მოსწავლეების შიში არ გამართლდა.

დაჭრილი ლალიაშვილს გადაუხვიეს ჭრილობები და ციხეში გაგზავნეს. უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებით იგი გადასცეს სამხედრო სასამართლოს და, რადგან სრულწლოვანი არ ბრძანდებოდა, ყველაზე დიდი, რაც ემუქრებოდა, ოცნლიანი კატორღა გახლდათ.

ამ საქმის გამომძიებლებსა და ნაჩაღნიკებს დიდი შეთქმულების გამოაშკარავების იმედი გაუჩნდათ, რასაც მოჰყვებოდა რამდენიმე იატაკქვეშური ორგანიზაციის განადგურება, მათი წევრების დაპატიმრება — გადასახლება და წინააღმდეგობის საგრძნობი შესუსტება. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა ახალ ჩინ — შედეგებს, პრივილეგიებსა და კარიერულ წინსვლას, რაც უცილობლად დასრულდებოდა პეტერბურგში დაბრუნებით, რაზეც ოცნებობდა კიდეც საქართველოში მოღვაწე ყველა რუსი ჩინოვნიკი, რომელიც ამ შორეულ კუთხეში ცხოვრება — საქმიანობას მკაცრ სასჯელად და გადასახლებად თვლიდა.

როდესაც დაივიწყებ ვინ ხარ, ხელში ის შეგერჩება, ვინ შეიძლება ყოფილიყავი.

დადგა ჩუდეცკის დასაფლავების დღე. ეგზარხოსმა საბოლოოდ მოიგლიჯა ნილაბი.

სამგლოვიარო სიტყვა გრძლად დაიჭირა, ადიდა და აქო უდროოდ გარდაცვლილი ჩუდეცკი, გაბუქა და ცაში აზიდა მისი ღვანლი, შემდეგ დასწყევლა მკვლელი, ბოლოს კი ანათემას გადასცა მთელი ქართველი ერი, რომელმაც შვა იოსებ ლალიაშვილი.

ეს ამბავი აღშფოთებს და აბობოქრებს ქართველ საზოგადოებას. ყველა ცდილობს საკუთარი აზრის გამოთქმას, იმართება შეკრებები, რასაც ადრე გულში ინახავდნენ, ახლა დაუფარავად, საქვეყნოდ უზიარებენ ერთმანეთს. მოკლედ, საზო-

გადეობრივი აზრი მახვილდება და ქუჩაში გამოსვლასაც აღა-
რაფერი უკლია.

ამ ბრძოლაში ერთვება დიმიტრი ყიფიანი და სადგურ ხა-
შურიდან წერილს უგზავნის ეგზარხოს პავლეს.

თქვენო მეუფებავ.

მიიღეთ ჩემზე მწყემსმთავრული მოწყალება და თუ გატა-
ცებული ხმებით ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება.

ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც
სამწყობი ხაროთ მონოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყ-
ვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსა-
ხურისა და წარმომადგენლისგან.

იგივე ხმა არ კმაყოფილდება თქვენი ღირსების შეურაც-
ყოფით: იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ
ბოდიში მოიხადოთ სამწყოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვე-
ბის გამო, რომელიც ვითომ წარმოთქვით.

თუ ყოველივე ეს, მეუფეო, მართალია თქვენი თანამდებო-
ბის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეუ-
რაცხყოფილი ადამიანი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყო-
ნებლად გავიდეს.

ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყოსი,
ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას
ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს მართალი არ
არის, შემინდეთ და მოიღეთ მწყემსმთავრული ლოცვა-კურ-
თხევა თქვენი ჩემზედა.

თქვენი მეუფების მორჩილი მსახური დ. ყიფიანი.

ივნისი 6. სადგური ხაშური.

ამ წერილმა ბევრი რამ შეცვალა.

პავლე გადააყენეს და ქვეყნიდან დაითხოვეს.

დიმიტრი ყიფიანი რუსეთში გადასახლეს, სადაც მოკლეს
კიდევ მხეცურად, სამოცდათორმეტი წლის ასაკში.

მღელვარება თითქოს ჩაცხრა.

ძიებისთვის ნათელი შეიქნა, რომ სასამართლოს გაჭიანურე-
ბა თითქმის მიწამდე დასულ მღელვარებას ხელახლა გაუჩინდა
საზრდოს. ჩინ-მედლები კი მოჰქონდა შეთქმულების გახსნას,
მაგრამ იმავედროულად სხვა საფრთხეების მატარებელიც გახლ-
დათ. საქმეში გახვეული ხალხის დაჭერა — დატუსაღება ქარ-
თველების უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ამას დამატებოდა ისე-
დაც ჩახმახივით შემართული მუშა — გლეხები და სხვა ბუნტის
მოცდილე საზოგადოება. ასე რომ, იოსებ ლალიაშვილის მარტო
გამოსახვა, როგორც მკვლელის, ყველას წაადგებოდა.

დრო არ ითმენდა.

მეტის გადადება აღარ შეიძლებოდა.

სამხედრო სასამართლო შედგა თექვსმეტ ივნისს.

საჯარო სხდომას თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი იაჩევსკი.
დროებითი წევრები:

მეთოთხმეტე გრენადერის პოლკოვნიკი საგინოვი.

მეთექვსმეტე პოლკის პოდპოლკოვნიკი ბაიოვი.

მეხუთე სამარქაფო ქვეითთა ბატალიონის კაპიტანი სარა-
ჯევი.

კავკასიის გრენადის არტილერიის ბრიგადის კაპიტანი მა-
ქსიმოვი.

სამხედრო პროკურორის თანაშემწე კოლეჟსკი სოვეტნიკი
ორნატსკი.

მდივნის თანაშემწე ნადეორნი სოვეტნიკი კოროვნიკოვი.

ამ პატიოსანმა ხალხმა იმსჯელა და რეზოლუციის სახით
დაადგინა შემდეგი:

რეზოლუცია

კოლეგიამ განიხილა საქმე ტფილისის სემინარიიდან გა-
მორიცხულ მღვდლის შვილის იოსებ იაკობის ძე ლალიევისა,
ოცი წლისა და ექვსი თვისა, რომელიც მიცემულ იქნა სამხედ-
რო სასამართლოში უმაღლესი ბრძანებით, რომ გასამართლე-

ბულ იქნეს სამხედრო კანონების თანახმად და მიიღო რა
მხედველობაში, რომ თუმცა მან ჩაიდინა წინასწარი განზრახ-
ვით მკვლელობა, მაგრამ ვინაიდან საქმეში არის გარემოებანი
მისი დანაშაულების შემამსუბუქებელი, თანახმად სისხლის
სამართლის დება 145419, 22 — 25, 27 და 28, 134 და 139 მუხ-
ლებია, ოცდამეორე წესდებისა 279, 2, 14, 16 მუხლი და სამ-
ხედრო სასამართლოს 40 განმარტებისა და ამა წლის თერთ-
მეტ ივნისს განსაკუთრებულ უმაღლეს ბრძანებისა კავკასიის
სამხედრო სასამართლოსადმი — დაადგინა:

1 ბრალდებული, ტფილისის სასულიერო სემინარიიდან
გამორიცხული, მღვდლის შვილი იოსებ იაკობის ძე ლალიევი
არასრულ წლოვანების გამო, ვინაიდან ის დაბადებიდან არ
არის სრული ოცდაერთი წლისა, ყველა ღირსების ჩამოხდის
შემდეგ, გაიგზავნოს მადნებში სამუშაოდ ოცი წლით.

2 ნივთიერი საბუთები:

ა — ბრალდებულის დღიური დაუყოვნებლივ დაუბრუნოს
ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს.

ბ — ხანჯალი, მოსახურავი და ბლუზა ბრალდებულისა გა-
დაეცეს ბრალდებულის მემკვიდრეებს, განაჩენის ძალაში
შესვლის შემდეგ.

გ — სასამართლოს ხარჯები ანაზღაურებული იქნეს
ბრალდებულის ქონებიდან და თუ ასეთი მას არ აღმოაჩნდა,
დაფარული იქნეს სახელმწიფო საშუალებით.

3 — თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, განაჩენი წარედგი-
ნოს კავკასიის ოლქის მთავარ სარდალს.

თავმჯდომარე, პოლკოვნიკი იაჩევსკი. დროებითი წევრე-
ბი: პოლკოვნიკი ბაიოვი, შტაბის კაპიტანი მაქსიმოვი, პოდ-
პოლკოვნიკი საგინოვი, კაპიტანი სარაჯევი.

ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ ლალიაშვილი გაგზავნილ
იქნა იძულებით სამუშაოზე სახალინის კუნძულზე, საიდანაც,
როგორც უკვე ითქვა, გაიქცა ჯერ იაპონიაში, იქიდან ამერი-
კაში, ბოლოს კი არგენტინაში ამოჰყო თავი.

ეგზარხოსი პავლე, გადაყენებული თანამდებობიდან, სად
გადაკარგეს, არავინ იცის.

დიმიტრი ყიფიანი გადააყოლეს ამ ამბავს და საკუთარი
ქვეყნის სიყვარული არ აპატიეს.

ხელისუფლებას არც მარიამი დაეინყებია, ჩუდეცკის ნაცო-
ლარი და ეგზარხოსის საყვარელი, რომელსაც გვარიანი პენსია
დაუნიშნეს, ასი მანეთის ოდენობისა, მაშინ როდესაც სემინა-
რიის პედაგოგის ჯამაგირი ორმოც მანეთს არ სცილდებოდა.

თბილისს, როგორც ქალაქს, ერთი უცნაურობა გამუდმე-
ბით თან სდევდა, მისი მახსოვრობა ყოველთვის მოიკოჭლებ-
და და უსიამოვნო ამბის შენახვას მხოლოდ რამდენიმე დღით
ახერხებდა.

ეს უჩვეულო ტრადიცია არც მაშინ დარღვეულა.

ცხოვრება გაგრძელდა.

ერთადერთი, რაც ამ სასამართლოდან შემორჩა თბილისს,
სამიოდე კერძის დამზადების წესი იყო, რომელიც „ამბის მომ-
ტანმა“ დაბეჭდა, ისევ და ისევ იმ კავშირების დახმარებით
რომელზეც უკვე ითქვა, იგულისხმება პოლიციელებთან სი-
ახლოვე, ქრთამი და ძმაბიჭობა.

ასე შემოვიდა თბილისში ევროპული კერძები.

ინვის სუფი ქარის ბურღულით და სოკოთი.

ერთი დიდი იხვი განმენდილი და გარეცხილი ჩასდეთ ქვაბში,
დაასხით წყალი, რომ კარგათ დაიფაროს, ჩასდეთ მწვანილეუ-
ლობა, მოხარშეთ და გასწურეთ, როგორც სხვა სუფი.

ნახევარი ჭიქა ბურღული მოხარშეთ ცალკე ქვაბში, ჩასდეთ
შიგ ერთი კოვზი ერბო და თქვიფეთ, სანამ გათეთრდებოდეს, მიუ-
მატეთ ნახევარი ჭიქა სმეტანა, დაასხით ზედ განწურული ბულიონი.

ხუთ-ექვსი გამხმარ სოკოს გადააგლეთ მდულარე წყალი, კარგათ
გარეცხეთ, მოხარშეთ მარილ წყალში, გადმოიღეთ, დაკეპეთ წმინ-
დათ, ჩაყარეთ სანელებში, ჩაუმატეთ ორი ძირი დაკეპილი ოხრახუმი
და ერთი ცერცო, დაასხით მომზადებული ბულიონი და მიირთვით.

გემოსთვის უშვრებიან ლიმონის წვენს.
 მასალად საჭიროა:
 იხვი — ერთი.
 ქერის ბურღული — ნახევარი ჭიქა.
 ერბო — ერთი კოვზი.
 სმეტანა — ნახევარი ჭიქა.
 ხახვი — ორი თავი.
 სოკო — ხუთი ან ექვსი.
 ოხრახუში და ცერეტო — ოთხ ოთხი ძირი.
 ლიმონის წვენი — ნახევარი ჭიქა.
 პასტერნაკი, სტაფილო, პრასა, ნიახური ორ ორი ძირი.
 მარილი გემოზე.

იქვე იყო ესეც.

პაშტიტი ცხელი ორაგულია.

მოხრაკეთ ორ კოვზ ერბოში ერთი თავი დაკეპილი ხახვი, ჩასდეთ შიგ ორი გირვანქა განმენდილი, ნაჭრებათ დაჭრილი, მარილ წასმული ორაგული. შესწვით თავ დახურული. შემდეგ ჩაასხით შიგ ნახევარი ჭიქა ფრანგული ღვინო, ორი კოვზი ძმარი, ცოტა წყალი, ჩაყარეთ მარილი, ერთი დაფნის ფოთოლი და ადულეთ.

თევზი ამოლაგეთ და გააცივეთ, გირვანქა ნახევარი წვრილი თევზიდან გამოარჩიეთ ძვლები, წმინდად დაკეპეთ, მარილი მოაყარეთ, ერთი თავი ხახვი მოხრაკეთ ერთ კოვზ ერბოში, დაკეპილი თევზიც შიგ მოხრაკეთ, უყავით ხუთი მარცვალი დანაყილი სანელეებელი, ერთი ბულქი რძეში ან ბულიონში დამბალი და განურული, ერთი კოვზი კარაქი, ნახევარი ჭიქა ბულიონი, ნახევარი ჭიქა სმეტანა, ორი კოვზი დაკეპილი ოხრახუში და ცერეტო.

აურიეთ ერთმანეთში და გახეხეთ ცხრილში.

ერბო წასმულ ბლუდზე დაალაგეთ ერთ წყება შემწვარი ორაგული, ზედ მომზადებული სატენი, კიდევ ორაგული, კიდევ სმეტანა, გადააფარეთ ცომი, შესწვით ფეჩხი და მიართვით სტუმრებს.

ცალკე ჭურჭლით მიართვით შემდეგი საწებელი:

გირვანქა ნახევარი თევზი შესწვით ერბოში, ჩაასხით ერთი ჭიქა სმეტანა, წამოადულეთ, ჩაასხით შიგ ორი ჭიქა თევზის ბულიონი, მოხრაკეთ ნახევარი კოვზ ერბოში ერთი კოვზი ფქვილი, გახსენით ზემოთ გაკეთებულ წვენით, მიუმატეთ ათი-თორმეტი დაკეპილი ზეთისხილი, წამოადულეთ და მიართვით პაშტიტთან.

მასალად საჭიროა:

- ორაგული — ორი გირ.
- ერბო — სამი კოვზი.
- ფრანგული ღვინო — ნახევარი ჭიქა.
- ძმარი — ორი კოვზი.
- სმეტანა — ერთ ნახევარი ჭიქა.
- ფქვილი — ერთი კოვზი.
- მარილი, ერთი დაფნის ფოთოლი.
- წვრილი თევზი — ერთ ნახევარი გირ.
- ხახვი — ერთი თავი.
- ბულქი — ერთი.
- სანელეებელი — ხუთი მარცვალი.
- დაკეპილი ცერეტო და ოხრახუში ორი კოვზი.
- ზეთისხილი — ათი ან თორმეტი მარცვალი.

ეს ყველაფერი კი მთავრდებოდა დესერტით, ანუ მსუბუქი ტკბილეულით, გულისა და სულის სალალობოთ.

შოკოლადის პიროუხი მამორა ნაირად.

ერთად დანაყეთ წმინდათ მეოთხედი გირვანქა დაფხეკილი შოკოლადი, მეოთხედი გირვანქა შაქარი, მერვედი გირვანქა ტკბილი ნუში, თან ჩააყოლეთ ერთი კვერცხის ცილა და ერთი კოვზი წყალი, კარგათ აურ დაურიეთ, მიუმატეთ ორი კოვზი დანაყილი სუხარი, გააკეთეთ რგვალ — რგვალი წვრილი ბლითები ანუ ბუბლიკები, მოაყარეთ ისევ სუხარი, ცოტა ხაშხაში და ფეჩხი გამოაცხეთ.

მასალად საჭიროა:

- შოკოლადი — მეოთხედი გირვანქა.
- შაქარი — მეოთხედი გირვანქა.
- ნუში — მერვედი გირვანქა.
- კვერცხი — ერთი.
- სუხარი — ოთხი კოვზი.

მეზღვაურ ალექსანდრე ჭავჭავანიძეს ყურმიკვრითაც კი ვერ გაეგო ეს ტრაგიკული ისტორია, რადგან ამ ამბებიდან შორს გახლდათ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

ანკი როგორ მოჰკრავდა ყურს.

სწორედ მაშინ, როდესაც მკვლელი ლალიაშვილი სახალი-ნისკენ მიმავალ გზას გაუყენეს, მეზღვაური ჭავჭავანიძე ებრძოდა სიკვდილს ნორდნატუნის კუნძულებთან, სადაც განიცადა კიდევ კატასტროფა მისმა გემმა ძლიერი შტორმის გამო.

მდგომარეობა უნუგეგმო გახლდათ.

მართალია, კუნძულის მაცხოვრებლები გულთბილი ხალხი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმედს მაინც ვერ აჩენდა, რადგან არავითარი ნავიგაცია არ იყო, არც დამხმარე თეთრკანიანები ჩანდნენ, რაც უკან დაბრუნებას სრულიად წარმოუდგენელს ხდიდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ სურსათი — სანოვაგე დამთავრდა და გადარჩენილი ეკიპაჟი, მათ შორის ჭავჭავანიძეც, მხოლოდ ქოქოსით იკვებებოდა.

სხვა გზა აღარ რჩებოდა, რაღაც უნდა ელონათ.

სწორედ უნუგეგმო მდგომარეობის გამო გადანწყვიტა კაპიტანმა კანჯოებით გაეგზავნა ეკიპაჟის ხუთი წევრი, რომელშიც ერია ჭავჭავანიძეც, ყველაზე ახლომდებარე ნავსადგურში, სინგაპურში, რომელიც სამას სამოცი მილით გახლდათ დაშორებული კატასტროფის ადგილიდან. ამ ხუთ კაცს ჰქონდა ერთი რუკა, ერთიც სექსტანტი ანუ კუთხსაზომი მოწყობილობა და ორმოცდარვა ცალი ქოქოსის კაკალი.

ოთხი დღე — ღამე იცურეს ასე.

მეხუთე დღეს კვლავ ლეღვა დაიწყო, ნავი ამოტრიალდა და ეკიპაჟის წევრებს ცურვით მოუწიათ გზის გაგრძელება. ადვილად რომ ეცურათ, სამოსი გაიძრეს, დაიტოვეს მხოლოდ გრძელი დანები ტყავის ქამარზე შებმული.

არავინ იცოდა, თუ სად იყო ნაპირი, ან საით მიცურავდნენ, ირგვლივ ზვიგენები ჩანდნენ, რომლებიც შორიასლოდან აკვირდებოდნენ სასიკვდილოდ განწირულ მეზღვაურებს და თავიანთ დროს ელოდნენ.

დაიწყო ძლიერი, ტროპიკული წვიმა, რამაც საგრძნობლად შეასუსტა ტალღის სიძლიერე, ამის დაემატა მკვდარი ფრონა და დალუპვის საშიშროებამაც იკლო.

ვინ იცის, რამდენჯერ გადაუბრუნდათ კანჯო, მაგრამ სველი იალქანი მუდამ სწონდა, უკან ეწეოდა და კვლავ უკულმა გადააყირავებდა ხოლმე. სხვა გზა აღარ იყო, იალქანი უნდა მოეცილებინათ, რაც მოახერხეს კიდევ დიდი გაჭირვებით ზაგირის გადაჭრით.

ბედს მიენდნენ, ანუ ქარსა და ტალღებს.

ოთხი დღე — ღამე იცურეს ასე. კანჯოს გადაბრუნებისა და ზვიგენტა თავდასხმის შიშის ქვეშ. არც მიმართულება იცოდნენ და არც ნაპირის ადგილმდებარეობა, საკვებიც გამოილია და წვიმის წყალი, რომელსაც სვამდნენ, დაღვეის პირას იყო.

სიცოცხლე სანანებელი შეიქნა.

ლონემიხდილ ჭავჭავანიძეს რატომღაც ახალი წლის თბილისი მოაგონდა, სუფრითა და ოჯახის წევრების მხიარული გადაძახილით, ცხვირში იმ საჭმლის სუნიც უღივინებდა, რომელიც ყველასგან განსხვავებით, თუმცა მაინც ტრადიციულად ამშვენებდა ჭავჭავანიძეების ოჯახის მაგიდას.

აუღინავი ახალი ჭიჩხისა.

ჭერამს კურკები გამოაცალეთ, ჩაყარეთ ქვაბში, დაახურეთ თავი და თავისივე ბულში მოხარშეთ. ხანდახან ამოურიეთ, რომ არ მიიწვას და შემდეგ გახეხეთ ცხრილზე.

ნახევარი გირვანქა პიურეზე აიღეთ ერთი ჭიქა შაქარი, ხარშეთ მორვეით, სანამ არ შენითლდება და არ გასქელდება ისე, რომ კოვზიდან წყალივით არ ჩამოდიოდეს. ცოტა რომ შეგრილდება, უყავით რვა კვერცხის გული, ერთი სტოლის კოვზი პურის ფქვილი, ერთი სტოლის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ორი კოვზი კარაქი, აურიეთ, მადგით ცეცხლთან და გააცხელეთ, თან გაუჩერებლად ურიეთ, ჩაასხით არაყის ჭიქა რომი, ცხელშივე უყავით რვა გათქვეფილი კვერცხის ცილა და კარგათ აურიეთ ზემოდან ქვევით.

ეს მომზადებული მასალა გადაიღეთ ერობ ნასმულ და სუხარ მოყრილ ფორმაში, ჩასდგით ადუღებულ წყლიან ქვაბში და ერთი საათი ხარშეთ.

- მასალად საჭიროა.
- ჭერამი — სამი გირ.
- შაქარი — ერთი გირ.
- კვერცხი — რვა.
- პურის ფქვილი — ერთი სტოლის კოვზი.
- კარტოფილის ფქვილი — ერთი სტოლის კოვზი.
- კარაქი — ორი კოვზი.
- რომი — ერთი რუმკა.
- ერბო — ერთი კოვზი.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ჭავჭანიძე ველარც ოჯახს ნახავდა და ველარც სანატრელ პუდინგს გაუსინჯავდა გემოს. სწორედ ამ დროს, როგორც ხშირად ხდება, საშველი გამომჩნდა. მეხუთე დღეს მოულოდნელად მეზღვაურებმა უცხო ნაპირს მოჰკრეს თვალი, მაგრამ ისე იყვნენ ღონემიხდინი, ნავის მობრუნებაც კი ვერ შესძლეს, თუმცა აქაც გაუმართლათ, თუ ამას გამართლება ჰქვია.

ლელვამ თვითონვე გარიყათ და მალე ნაპირზე გასტყორცნათ. დალილები, არაქათგამოცლილები დიდხანს ეყარნენ ნაპირზე, ფეხის გადადგმის ძალაც კი არ გააჩნდათ, დაფეჟილ-დაბეგვილი სხეული, მარილიან წყალში ყოფნის გამო ერთავად იარებად ჰქონდათ გადაქცეული, კიდურები კი ისე დასიებოდათ, რომ ფორთხვალა შეეძლოთ. ასე ფორთხვით ეძებდნენ და ჭამდნენ ცხრაფეხებს, ზღვის ბალახს, ტალღის უკუქცევით დატოვებულ სხვადასხვა ნარჩენებს, რათა როგორმე კუჭი ამოევსოთ.

შორიახლოს ტროპიკული ტყე მოჩანდა, ხეებზე კი მაიმუნები დახტოდნენ, მაღიანად ილუქმებოდნენ სხვადასხვა ხილით. საბრალო მეზღვაურები მაიმუნებს შესცქეროდნენ იმ იმედით, რამეს გააგდებენ ხელიდანო, მაგრამ ამოდ. უყვიროდნენ, ხელით ანიშნებდნენ, რომ შიმშილი სტანჯავდათ, მაგრამ გაოცებულ ცხოველებს ან არ ესმოდათ, ან არ უნდოდათ ამის გაგება.

მაიმუნებთან მოლაპარაკებამ გვარიანი დრო წაიღო, ამიტომაც ნაპირს მომდგარი შავი ნავი მეზღვაურებმა გვიანლა შეამჩნიეს. ნავში სამი ტიტველი, მუქ ყავისფერი მამაკაცი იჯდა, მალაელები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ერთხანს უხმოდ აკვირდებოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, თვალთ ზომავდნენ, თითქოს საფრთხის სიდიდეს ამონებდნენ გამოცდილებით თუ დაკვირვებულ მზერით. მალევე დარწმუნდნენ, რომ გაძველტყავებული მეზღვაურები არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ მიუახლოვდნენ, ხელების ქნევითა და ნიშნებით მიუთითეს ნავისკენ, შიგ ჩასვეს და მათთან ერთად გაუდგნენ გზას.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ ახალი კუნძული გამოჩნდა.

ლამაზად გამოიყურებოდნენ მაღალ ხიმინჯებზე შემდგარი ნათელი, თითქმის თეთრი ქოხები, ეს მალაელთა სოფელი გახლდათ და, როგორც ყველა სოფელში, უცხოთ გამოჩინას დიდი ინტერესით ხვდებოდნენ. სახლებთან მიიყვანეს და პიტნის მავარი რაღაც შეასვეს საპატიო სტუმრებს, შემდეგ ცოტა ნედლი ბრინჯი და ქონი ჩამოურიგეს, რომელიც სულ არ ჩამოგავდა ლალიაშვილის დღიურში აღწერილ ფლავს, მაგრამ ჭავჭანიძესაც ჰქონდა გასინჯული სამშობლოში ხანმოკლე ვიზიტების დროს.

შენწყული ფლავი ზაითით.

დაარჩიეთ და კარგათ გარეცხეთ ოთხი ჭიქა ბრინჯი. ერთი ალყად დაჭრილი ხახვი მოხრაკეთ ერთ ჭიქა ზეთში, დაასხით რვა ჭიქა წყალი, უყავით მარილი და აადუღეთ: ადუღებული წყალი მლაშე არ უნდა იყოს. ჩაყარეთ შიგ გარეცხილი ბრინჯი, სანამ წყალს შეიშრობდეს, შემდეგ შუაზე მოაგროვეთ ქვაბში ბრინჯი, აახოხოლავით, დააფარეთ თავსახურავი ისე, რომ ორთქლი არ ამოუვიდეს. თავსახურავის გარშემო სველი, განურული ტილო

შემოახვიეთ, რომ ბრინჯს ლამი ანუ ორთქლი მოუვიდეს და კაკლები გაფუჭდეს.

ხუთი წამის შემდეგ თავი ახადეთ, რაც ორთქლი ქონდეს, გამოუნურეთ, ხელ ახალად დახურეთ და ტილო შემოახვიეთ, მიდგით ნელ ცეცხლთან, რომ ძირი არ მიენვას.

ბრინჯი კარგად უნდა დაიბუღოს, ლამი აილოს და არ ჩაცომდეს, ზოგი ქიშიშსაც ჩაატანს ფლავში და ისე დაბუღავს.

მასალად საჭიროა.

- ბრინჯი — ოთხი ჭიქა.
- მარილი — ორი კოვზი.
- ხახვი — ერთი გირ.
- ზეთი — ერთი ჭიქა.
- ქიშიში — ნახევარი ჭიქა.

მართალია, მალაელების მორთმეულ ბრინჯს გემო არაფრის ჰქონდა, მაგრამ შიმშილს მაინც სჯობდა, თუმცა მშიერ კუჭზე ერთბაშად დანაყრების საშუალება სტუმრებს არ მისცეს, რომ ცუდი არაფერი მომხდარიყო და ახლა უკვე მძღრობას არ გადაეყოლებინა ისინი. თუ რამეს მიაართმევდნენ, ჯერ თვითონ გაუსინჯავდნენ გემოს ყველას დასანახად, რათა მეზღვაურებს ეჭვი არაფერზე აეღოთ.

მეორე დღით სხვა კუნძულზე გადაიყვანეს იმის იმედით, რომ ვინმეს ნაანყებოდნენ, ვინც უცხო ტომის ხალხთან გასაუბრებას შეძლებდა. ასე დაატარებდნენ სოფლიდან სოფელში, მაგრამ ხმის ამომღებს ვერავის ნაანყდნენ.

ჭავჭანიძეს დრო უქმად არ დაუკარგავს და ჩვეული, დაკვირვებული მზერით სწავლობდა მალაელთა ყოფა — ცხოვრებას. მათი სოფლები ქოქოსის ტყეებში გახლდათ გაშენებული. ლერწმისგან ლამაზად დანწული ქობი კალათივით გამჭვირვალეა, ასე რომ, ქარი ამ საცხოვრებელში სრულიად ღალად დასეირნობს. ქოხები, როგორც უკვე ითქვა, ბოძებზე დგანან და მიწასთან კავშირი განწყვეტილი აქვთ. ოჯახის მთელი მორთულობა, თუკი რამ მოეპოვებათ, ქოქოსის კაკლის ნაჭუჭებიდან არის დამზადებული. ლოგინად იყენებენ ფერად ბრინჯის ჩალის ჭილოფებს და ასევე ბოჭკოვან მცენარეებისგან მოქსოვილ ფალასებს.

მალაელი ხალხი მაჰმადის სარწმუნოების მიმდევარია, მაგრამ მრავალცოლიანობა მათთვის უცხოა. მისდევენ მეთევზეობას, მოჰყავთ ბრინჯი, აშენებენ შაქრის ღერწამს და ხდიან საგოს. საგოს პალმაც ქოქოსის პალმასავით დიდია, მაგრამ უნაყოფო. ამ უნაყოფო ხის ღეროებს ჭრიან და ალბობენ მტკნარ წყალში, ამის შემდეგ ხრესავენ იარაღით, რომელიც ჭობრონსა ჰგავს, ბოლოს გარეცხილ, გაფხევილ და გამშრალ ნახერხს ბურღულის სახეს აძლევენ.

მალაელები მოხარული ბრინჯით, თევზითა და ქოქოსის კაკლით იკვებებიან, პურს სრულიად არა სცნობენ, არც ბოსტნეული მოჰყავთ, სვამენ მხოლოდ ქოქოსის რძეს, ზეთიც ქოქოსისა აქვთ, თუმცა ამასაც იშვიათად იყენებენ და იმასაც სამკურნალოდ მოიხმარენ.

მალაელთა ყოველ ქოხს საკუთარი მოშინაურებული მაიმუნი ჰყავს, რომელიც ისე გაუნწრთნიათ მაცხოვრებლებს, რომ ადის პალმაზე და ქოქოსის ნაყოფს გულმოდგინედ დაბლა ჰყრის. იგი მხოლოდ მისთვის ცნობილი ნიშნებით ატყობს, თუ რომელი ნაყოფია პატრონისთვის საჭირო: ზეთისთვის მწვანე, ჭურჭლისათვის — მწიფე, საჭმელად — მწიფე და დახეთქილი, რადგან ყველა ხეზე ერთდროულად თავს იყრიდა მწიფე, მწვანე და უნდილი კაკლები.

საინტერესო კი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ კუნძულიდან კუნძულზე ხეტიალი უკვე მოსაზებურებელი შეიქნა ჭავჭანიძისა და მისი მეგობრებისთვის, მითუმეტეს, რომ უკან დაბრუნების იმედი არ ჩანდა.

მეორე კვირის მინურულს მეზღვაურები კუნძულ ლინგაზე მიიყვანეს, სადაც ერთი ინგლისელი ვაჭარი ცხოვრობდა. ინგლისელმა თავაზიანად მიიღო და საკუთარ ოჯახში დააბინავა, ტანსაცმელიც ჩამოურიგა, რაც ჰქონდა და რაც ეკიპა-

ყის წევრებს გამოადგებოდათ. პატარა ბავშვებით უხაროდათ, რადგან რამდენიმეთვიანი შიშვლად გადაადგილების შემდეგ პირველად მოიხრეს მათთვის ჩვეული სამოსი.

ორიოდე დღე დასვენებას მოანდომეს, შემდეგ კი ადგილობრივ სულთანს ეწვივნენ, ისევ და ისევ ინგლისელის თაოსნობით. კეთილი კაცი გამოდგა სულთანი, კეთილი და სტუმართმოყვარე, სიგარები ჩამოურიგა ეკიპაჟის წევრებს და საუცხოო ჩაიც მიართვა.

სულთანი ევროპული ყაიდის კაცი გახლდათ, საცხოვრებელიც ევროპულად ჰქონდა მოწყობილი, აქა — იქ სურათებსაც მოჰყარავდით თვალს, ლამაზ სანათებსაც, ქანდაკებებსაც, მიუხედავად ამისა, სულთანი ტრადიციებსაც არ ლაღატობდა და ამ ტრადიციებში, რა თქმა უნდა, ადგილობრივი საკვებიც შედიოდა.

ლალაკენცა

მოზილეთ თხელი ცოში, როგორც ბლინისთვის, შვიდი კვერცხით, ორი ჭიქა რძით, ნახევარი კოვზი მარილი და გირვანქა ნახევარი ფქვილით. უყავით ხმელი დროყი ანუ ხაში, ექვსი მისხალი ანუ ნახევარი გირვანქა ახალი ხაში, გააჩერეთ, რომ ამოვიდეს.

ტაფაზე აადუღეთ გირვანქა ნახევარი ერბო. ამოსული ცოში ამოიღეთ კოვზებით და ადუღებულ ერბოში ჩაყარეთ. როცა შეინჯას, ამოალაგეთ საინზე, მოაყარეთ შაქარი ანუ მოასხით თაფლი და მიირთვით ცხელ — ცხელი.

მასალად საჭიროა:

- ფქვილი — გირვანქა ნახევარი.
- კვერცხი — შვიდი.
- რძე — ორი ჭიქა.
- მარილი — ნახევარი კოვზი.
- ხმელი ხაში — ექვსი მისხალი.
- ერბო — გირვანქა ნახევარი.

კაცმა რომ თქვას, დიდი სასიამოვნო გემოთი ეს საკვები არ გამოირჩეოდა, მაგრამ უხერხული იყო და ამის გამო მეზღვაურებს მაინც მოუწიათ შემოთავაზებული საჭმლის ქებადიდება. სწორედ ამის დამსახურება უნდა ყოფილიყო, რომ გახარებულმა მასპინძელმა ეკიპაჟის წევრებს ათ-ათი მექსიკური დოლარი აჩუქა და მეორე დღით მალაის კუნძულების ჰოლანდიელ გუბერნატორთან წაყვანას დაჰპირდა.

დადგა მეორე დღე.

მეზღვაურები მღელვარებამ მოიცვა, გუმანით გრძნობდნენ, რომ მათი ტანჯვა — ნამება საცაა დასრულდებოდა, რადგან იმ კუნძულიდან, სადაც გუბერნატორი ამ ქვეყანას მართავდა, თითქმის ყოველდღე დაიარებოდნენ გემები სინგაპურისკენ.

ასე აღმოჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძე სინგაპურში, სადაც სულთნის ნაჩუქარი ფულით ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები შეიძინეს მანაც და ეკიპაჟის სხვა წევრებმაც. ჩაცმულ — დახურულმა, გამოკვებულმა და მონესრიგებულმა მეზღვაურმა ჭავჭავაძემ თვალშიც გამოიხედა, ამის გამო კი იმდაგვარი რამე-რუმეების შემჩნევა დაიწყო, რასაც თითქოს ადრეც ამჩნევდა, მაგრამ თრგუნვისა თუ განცდილი ტანჯვა — ნამების გამო დიდ ყურადღებას ვეღარ აქცევდა.

ეს ყოველივე უპირველეს ყოვლისა ეხებოდა ადგილობრივ ქალებს, რომლებიც თითქმის მიშვლად დაიარებოდნენ და ატარებდნენ ძალიან მოკლე წელსკვედა კაბას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოხუცებული მანდილოსნებიც მხოლოდ მათთვის ცნობილი ხერხითა თუ საიდუმლოთი ასაკშიც ინარჩუნებდნენ ტანის სწორ ფორმას, რითაც გვარინად აოცებდნენ სინგაპურში და მის მახლობელ კუნძულებზე გამოჩენილ იშვიათ სტუმარს. ამ სანახაობამ ისე ალაფრთოვანა ჭავჭავაძე, რომ საკუთარ თავს პირობა მისცა, დაბრუნებისთანავე იზრუნებდა ამ წესის ევროპაში გადმოტანაზე, გარკვეულ ადგილებში მაინც, რათა ევროპელ ქალებსაც შეენარჩუნებინათ მოხდენილი აღნაგობა, კორსეტითა თუ ვინრო სამოსით რომ იმახინჯებდნენ ტანის ფორმას. სინგაპურში ჩასულეებმა სხვა ამბავიც შეიტყვეს.

ჭავჭავაძის ყოფილ ეკიპაჟს ის კუნძული უკვე მიტოვებულე ჰქონდა, რადგან ცდაში აზრი ვეღარ დაუნახავთ და რვა დღის შემდეგ მშვიდობიანად ჩასულა სინგაპურში. აქ, ამ დიდ ქალაქში, სადაც მრავალი გემი ირეოდა, სამუშაოს შოვნა დიდ სირთულეს არ წარმოსადგენდა. არც მათ გასჭირვებიათ, ზოგიერთები სხვა გემებზე ასულან, ზოგიერთები აქეთ-იქით ნასულ-წამოსულან, ასე რომ, ჭავჭავაძემ ვეღარავის მიაგნო.

რალა უნდა ექნა, საკუთარი თავისთვის უნდა მიეხედა.

რუსეთის ელჩი გულისხმიერი კაცი გამოდგა, ყურადღებით მოუსმინა ჭავჭავაძის და ყოველგვარ დახმარებას დაჰპირდა, ოღონდ მას შემდეგ, რაც იგი და ჭავჭავაძე მსუბუქად წაიხემსებდნენ, ისე, როგორც შეეფერებოდა მასპინძელს და ეკადრებოდა სტუმარს.

სუფრა მართლაც სანაქებო გაიშალა, რითაც ჭავჭავაძის ეჭვი კიდევ უფრო გაღრმავდა, რომ დიდი ქვეყნის ელჩი სულ მთლად რუსი არ უნდა ყოფილიყო და გარეული უნდა ჰქონოდა სხვა ჯიშის სისხლიც.

ეს საკვებსაც დაეცყო.

თევზის სუფი საერთოდ

თევზს ქაცვები გააცალეთ, გამოშიგნეთ, კარგათ გარეცხეთ, ჩაყარეთ ადუღებულ მარილ წყალში და ხარშეთ, სანამ ხორცი ადვილად მოშორდებოდეს ძვალს. შემდეგ თევზი ამოიღეთ, მის წყალში ჩასდეთ ორი თავი ხახვი, ორი ძირი ოხრახუში, ორი სტაფილო, სამი ოთხი დაფნის ფოთოლი, თუთხმეტი მარცვლი ენგიბარი და სანელბელი და ადუღეთ თავ დახურული საათ ნახევარი. როდესაც მწვანილეულობა მოიხარშება, გასწურეთ სხვა ჭურჭელში.

ბულიონის დასანმენდათ ერთი ჭიქა თევზის ნახარშ გაგრილებულ წვენი გახსენით ორი კოვზი ხიზილალა, აურიეთ დანარჩენ ბულიონში, ადუღეთ ნელ ცეცხლზე, სანამ ბულიონი კარგათ არ დაინმინდოს, შემდეგ განურეთ სუფთა ტილოში. თუ წვენი კიდევ არ იყოს კარგი სუფთა, ნახევარი ჭიქა სუფთა წყალი ჩაასხით, წვეთობით ჩაანვეთეთ ლიმონის წვენი და ხელახლად განურეთ.

რაც თევზი ახალია, მით წვენიც უფრო სუფთა გამოვა.

ხარშვის დროს წყალი ადუღდება თუ არა, მაშინვე ქაფი მოხადეთ.

მასალად საჭიროა:

- თევზი — ორი გირ.
- ხახვი — ორი თავი
- ოხრახუში — ორი ძირი
- სტაფილო — ორი
- მარილი — ორი კოვზი
- დაფნის ფოთოლი — სამი
- ენგიბარი — თუთხმეტი მარც.
- ხიზილალა — ორი კოვზი
- სანელბელი — ათი

ამას მოჰყვა რამდენიმე თავი სხვა კერძი, გულითადი საუბარი და გვარიანი დანაყრება, რომელიც დასრულდა მსუბუქი დესერტით. დესერტს თან ახლდა მამაპაპისეული „ვიშნოვკა“, რომელმაც ჭავჭავაძის სახლი, ნათესაობა, განსაკუთრებით კი ბებია გაახსენა, ვისგანაც გასინჯული თუ შეჩვეული ჰქონდა ამ ყაიდის „ვიშნოვკა“, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ, ყმანვილკაცობისას.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ვიშნოვკის“ დამზადების წესი ლალიაშვილსაც ჰქონდა აღწერილი თავის დღიურში, თუმცა ჭავჭავაძემ მაშინ, გასაგები მიზეზის გამო, არაფერი იცოდა.

არადა, ერთსაც ძალიან უყვარდა და მეორესაც ეს ოდნავ მომუაგო, სპირტით გაჯერებული სასმელი, რომლის დამზადებელი ქართველი ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში.

ასჯერ გაგონილს რომ ერთხელ ნანახი სჯობს, საკამათოდ არავის გაუხდია.

ვიშნოვკა ვიშნის

მნივე ქვიშა დაარჩიეთ, კურკები მოაშორეთ. ორ ჭიქა დაკაკლულ ქვიშაზე აიღეთ ერთი ჭიქა ფხვიერი შაქარი. დარჩეული ქვიშა ჩაყარეთ პირ განიერ ბოთლში, დაყარეთ ზედ შაქარი, კიდევ ქვიშა, კიდევ შაქარი. ბოთლი სულ არ უნდა აავსოთ, ადგი-

ლი უნდა ჰქონდეს, რომ ბოთლი ანძროთ ხანდახან. ქვიშნიან ბოთლს თავი მაგრათ არ უნდა დაუცოთ. რაიმე თხელი ტილოთი გადაუკარით თავი და დადგით მზეზე ექვსი კვირა ან ორი თვე.

ხანდახან დაანძრით ბოთლი, რომ შაქარი მალე დადნეს. შემდეგ, როცა გენებოთ ხმარება, წვენი გადმონურეთ, აურიეთ შიგ სპირტი ანუ არაყი, რა გემოზედაც გენებოთ, დააყენეთ და მიართვიეთ. წვენი გადმონურულ ქვიშნაზე დაასხით არაყი და გააჩერეთ რამდენიმე ხანს. ის ქვიშნა კიდევ გამოიღებს თავის გემოს და ძალას. გადმონურეთ და მიირთვიეთ.

ზოგი ქვიშნას რომ ჩაყრის ბოთლში, პატარა ტილოს პარკში ჩაყრის ათ მარცვალ ილს, ერთ ვერშოკ დარიჩინს და ხუთ ან ექვს მარცვალ მიხაკს, მოუჭერს თავს და ამ პარკსაც ბოთლში ჩასდებს და ისე გააჩერებს მზეზე, რამდენი ხანიც იქნება საჭირო.

„ვიშნოვკამ“ გაჭრა.

რუსეთის ელჩი მოლბა, მეზღვაურ ჭაფჭანიძის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა და სტუმარს დახმარების ხელი გაუწოდა. ელჩის ბრძანებით თუ მითითებით, ჭაფჭანიძეს გადასცეს პირადობის მოწმობა, ცნობა გემის დაღუპვის შესახებ, აგრეთვე ფურცელი დაკარგული ნივთების თაობაზე. გარდა ამისა, იმავე ელჩის მონაწილეობით ჭაფჭანიძე დასვეს კრეისერ „დიმიტრი დონსკოიზე“, რითიც მიცურდა კიდევ პორტ საიდამდე. აქ რუსეთის ელჩის სარეკომენდაციო წერილით გამოცხადდა რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებაში, რომელთა დახმარებითაც მოხვდა გემ „ჩიხაჩევი“. სწორედ ამ გემის წყალობით ამოჰყო თავი ბუენოს აირესში, სადაც გადაეყარა კიდევ ჩუდეციის მკვლელ იოსებ ლალიაშვილს, რომლის სევდიან ამბავსაც ისმენდა აგერ უკვე რამდენიმე საათია, როგორც ქართველებს სჩვევიათ, შემთვრალი.

მოგონება უცნაური რამ არის, სიმართლეს კი ჰგავს, თუმცა მის ორეულად ვერ გამოდგება. ახალგაზრდობაში ყველაფერი კარგად გვახსოვს, მაგრამ ნელ — ნელა გონება კოჭლობას იწყებს და სიბერეში მხოლოდ იმას ვიხსენებთ, რაც არასოდეს მომხდარა.

ასე დაასრულა საკუთარი ამბის თხრობა იოსებ ლალიაშვილმა და საშა ჭაფჭანიძეს შეხედა, რომელიც სასმელის ძალასა და უძილობის შემოტევას ერთდროულად ებრძოდა.

— მაშ საქართველოში დაბრუნებას არ აპირებ? — წამით გამოფხიზლდა საშა.

— ანკი რომ დავბრუნდე, რა ბედენაა, ტოლ-ამხანაგები თედო სახოკიასა და შიო დედაბრიშვილის გარდა მე არ მყოლია, ოჯახის წევრები და ნათესავები ცოცხლები აღარ დამიხვდებიან, ზოგი ალბათ ასაკმა თუ ავადმყოფობამ გადაიყოლა, ზოგიც კიდევ ჩემზე დარდმა, ოხრანკაც დამეძებს, მოკლედ იქ არაფერი მესაქმება, ვილას ვახსოვარ... — სინანულით ხელი ჩაიქნია ლალიაშვილმა.

— შიში უფრო უნდა გალაპარაკებდეს. — დააზუსტა საშამ.

— შესაძლებელია ეგრეც იყოს.

— შიში ის ტკივილია, რომელიც ბოროტების მოლოდინს ახლავს თან...

— უფრო განრისხების ბრალი უნდა იყოს. — დააზუსტა ლალიაშვილმა.

— განრისხების ძირში კი ყოველთვის ტკივილი ძევს. — კვლავ შეახსენა სადღაც გაგონილი საშამ და ჭიქის შევსება განაგრძო.

— ეჰ, ასეა თუ ისე, მე უკვე საკუთარი ბედის მძევალი ვარ, თანაც აქაურობას შევეჩვიე, ენაც გავიტეხე, ასე რომ, აღარაფერი მიჭირს. — თქვა ლალიაშვილმა და საესე ჭიქა თავისკენ მიიწია.

— დავლიოთ. — მიუხვდა საშა და სასმისს სასმისი შეაგება. დალიეს.

ერთს მეორე მიაყოლეს.

სასმელმა, როგორც ყოველთვის, თავისი გაიტანა.

რიფრაჟზე გამოფხიზლებულ ლალიაშვილს აღარც საშა დახვედრია, აღარც მისი გემი და აღარც საკუთარი ჩანანერები, რომელიც სავარაუდოდ ჭაფჭანიძეს უნდა გაეყოლებინა ხელს.

რადგან ამ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველებოდა, ლალიაშვილს ისლა დარჩენოდა ქართველები ერთი გულიანად შეემ-

კო, საკუთარი ბარგი-ბარხანა აეკრიფა და იმ თავშესაფრისკენ წასულიყო, რომელიც არგენტინის დედაქალაქის გარეუბანში მდებარეობდა.

ასეც მოიქცა.

იმ დროისთვის, როდესაც დაბოლმოდ-გამასხრებელი ლალიაშვილი სახლისკენ მიემართებოდა, გემი „ჩიხაჩევი“, როგორც იტყვიან, ტალღებს მიაპობდა და ჩინებული ამინდის ხელშეწყობით სწრაფად მიემართებოდა სამშობლოსკენ, ანუ რუსეთისკენ. გემზე, როგორც უკვე ითქვა, იმყოფებოდა საშა ჭაფჭანიძე, დაბრუნების იმედით და სხვისი მითვისებულ-მოპარული უბის ნიგნაკით, რომლის ადგილმდებარეობასა და შინაარსს გულმოდგინედ მალავდა, ერთს გემის მრავალრიცხოვან სათავსოში, ხოლო მეორეს კი გულის სიღრმეში.

მგზავრობამ რამდენიმე კვირა გასტანა.

„ჩიხაჩევი“ ოდესას მიადგა.

მინაზე ფეხდადგმული ჭაფჭანიძე ნავსადგურს გვარიანად არც კი იყო გაცილებული, რომ წინ ჟანდარმი აეტუზა და საბუთები მოსთხოვა. საშას პასპორტი არ გააჩნდა, ჰქონდა მხოლოდ სინგაპურის ელჩის მიერ გაცემული საბუთი და ისიც გემის კაპიტანთან ინახებოდა. ჟანდარმიც თითქოს ამას ელოდა, კოპები შეკრა, ქამარზე დამაგრებული კაბურა, ალბათ გზაბნეული მეზღვაურის კიდევ მეტად დამინების მიზნით, ხელით შეისწორა და საშას მკაცრი ხმით უთხრა: აბა, მე რა ვიცი, რა კაცი ხარ, საიდან მოდიხარ, რა სული დაბუდებულა შენში, ყველაფერი უნდა გავარკვიოთ, ქალაქის თავთან უნდა წაგიყვანო.

საშას წინააღმდეგობა არ გაუწევია იმ იმედით, რომ აღნიშნული პიროვნება ჟანდარმზე გაცილებით განათლებული და საქიმში ჩახედული აღმოჩნდებოდა, მითუმეტეს, რომ ქალაქის თავი იმავდროულად წყალში მაშველთა საზოგადოების თავმჯდომარეც გახლდათ, რაც გარკვეულ იმედს უჩენდა ჭაფჭანიძეს, რადგანაც მის თანამდებობაში სიტყვა „წყალი“ ამაყად ჟღერდა. ამაო აღმოჩნდა საშას იმედი.

ჭაფჭანიძე ხუთ საათს ელოდა ქალაქის თავს, მაგრამ თვალთ ვერავინ იხილა. ამ ლოდინში გამოჩნდა ჟანდარმი და ჭაფჭანიძის საბუთები პაკეტით მოიტანა, ხოლო თავად მეზღვაური, პოლიციელის თანხლებით, პოლიცემისტერთან გაგზავნა, რომლის ნახვაც ასევე ვერ მოხერხდა. ჭაფჭანიძეს ხელთ შერჩა მხოლოდ ბულგარის უბნის საპასპორტო მაგიდის უფროსი, რომელმაც მოულოდნელ სტუმარს ბინაზე გადასვლა შესთავაზა, რა თქმა უნდა, იმ დრომდე, ვიდრე ყველაფერი გაირკვეოდა.

პოლიციელი რის პოლიციელია ტყუილის გარეშე.

ჭაფჭანიძის გაცურებაც სრულიად ადვილი აღმოჩნდა.

ბინის მაგივრად მეზღვაურმა თავი ამოჰყო საპოლიციო უბანში, სადაც საკანში მოათავსეს ექვს მანანწალასთან ერთად, უკრძალავდნენ თამბაქოს მონივას, უყვიროდნენ, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ, მოკლედ, ადამიანად არ ავადებდნენ. დღე ისე არ ჩაივლიდა, ჭაფჭანიძეს პოლიცემისტერთან შეხვედრა არ მოეთხოვა, მაგრამ ბადრაგების პასუხი ყოველთვის ერთნაირი გახლდათ: ჩვენაო, ისე დავბერდით ამ საქმეში, პოლიცემისტერი თვალითაც არ გვინახავს და ესხლა შენ როგორ გინდა ნახო.

სიჯიუტემ, როგორც ხდება, მაინც გაჭრა.

რამდენიმე დღის შემდეგ პოლიცემისტერთან არა, მაგრამ საპასპორტო მაგიდის უფროსთან შეხვედრა მაინც მოხერხდა.

— გადმომცეს, ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოგიტყვამთ.

— მე პოლიცემისტერს ვითხოვდი...

— პოლიცემისტერს არა სცალიან, ერთობ დაკავებულია, მაინც რა გნებათ, რას ითხოვთ? — იკითხა უფროსმა და ჭაფჭანიძისთვის ჩამორთმეული რვეული წინ დაიდო.

— შინ დაბრუნება მინდა. — მტკიცედ თქვა ჭაფჭანიძემ.

— მაშასადამე სახსრები გქონიათ.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი უბედურების ამბავი, ვიმედოვნებ, გემის ყოველი კაპიტანი სულგრძელობას გამოიჩენს და ბათუმამდე უფასოდ მიმიყვანს.

— ეს თქვენია? — იკითხა უფროსმა და რვეული მეზღვაურს შორიდან დაანახა.

— დიას, ჩემია. — იცრუა ჭავჭანიძემ, თუმცა არც ლალიაშვილი უხსენებია და არც ის ამბავი, თუ როგორ მოჰპარა, ანუ როგორც თბილისში იტყვიან, ანაპნა ყოფილ კატორღელს საკუთარი ჩანაწერები.

— თუ თქვენია, ისიც უნდა იცოდეთ, შიგ რა წერია.

— რა თქმა უნდა ვიცი, კერძების დამზადების ხერხებია აღწერილი.

— რომელი კერძების?

— მაროჟინის.

— არ გამიგია. — თავი გააქნია უფროსმა.

— ერთგვარი დესერტია, ცივად მისართმევი, მთელი ქვეყანა მოვლილი მაქვს, ყველგან ვინერდი მისი დამზადების წესს, ევროპაში ფეხი უკვე მოკიდებული აქვს და მიღებულიც გახლავთ სხვადასხვა წვეულებებზე, იმედია ჩვენს ქვეყანაშიც მალე გამოუჩნდება დამოუკიდებელი. — თქვა ჭავჭანიძემ და იერით მიანიშნა უფროსს, რომ „ჩვენს ქვეყანაში“, რა თქმა უნდა, რუსეთს გულსხმობდა.

— კეთილი. — თითქოს მიუხვდა კიდევ უფროსი. — დავალებული მაქვს ეს ჩანაწერები გადმოგცეთ, სხვა მხრივ კი პოლიცემისტური თქვენი გამგზავრების წინააღმდეგია, ეტაპით გაგამგზავრებენ შინ.

— ეგ რაღა? — გულმა რეჩხი უყო ჭავჭანიძეს.

— აი, გატარებენ ერთ, ორ ან სამ თვეს, ერთ გადასაგზავნ ციხეში ორ თვეს გაყურყუტებენ, მეორეში სამს და ასე და ამგვარად, თუ ყველაფერს გაუძელით, ჩააღწევთ იმ თქვენი ქალაქში როცა იქნება, ღვთის წყალობით.

საპასპორტო მაგიდის უფროსი ამჯერად არ ცრუობდა.

ჯერ ერთი, ეს ამბავი კარგად იცოდა, რადგან უშუალო მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ჭავჭანიძის ბედის გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, პოლიცემისტერთან ერთად. მეორე კიდევ ის, რომ ჭავჭანიძის — იგივე ლალიაშვილის — უბის ნიგნაკი სახელმწიფოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, რაც დადგინდა კიდევ გულისყურიანი შემონებმა-შესწავლის შედეგად. ამ შესწავლაში მონაწილეობდნენ ის ქართველები, რომლებიც მუდამ უცხო ქვეყნის სამსახურში დგანან და განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებენ ამ ქვეყნების თხოვნასა თუ მოთხოვნას.

— მგონი ხუმრობის გუნებაზე ბრძანდებით. — ჭავჭანიძეს გაბრაზება დაეცყო. — რადგან არ მენდობით, გამაყოლებთ თქვენი ხალხი ბათუმამდე, თუნდაც სამი კაცი, გნებავთ ხუთი, ათი იყოს, მამაჩემი ყველა ხარჯს აანაზღაურებს ჩასვლისთანავე.

— ამის საშუალება ქალაქს არ გააჩნია. — მოუჭრა საპასპორტო მაგიდის უფროსმა.

— დეპეშა მაინც გამაგზავნიეთ, მამაჩემს რომ ვაცნობო ჩემი ამბავი.

— აბა როგორ? — გაიკვირვა უფროსმა. — სახსარი თქვენ არ გააჩნიათ, ჩვენ კი ყველა მსურველის დეპეშები რომ ვაგზავნოთ, ხარჯებს ვერ აუვალთ.

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

ჭავჭანიძე მალევე გადაიყვანეს ქალაქის ციხეში, სადაც უნდა მჯდარიყო კიდევ ათასი ჯურის დამნაშავესთან ერთად ეტაპის შედეგამდე. გულს ის უმაგრებდა, რომ ჩანაწერების შენახვის უფლება დართეს. ასე რომ, ჭავჭანიძის დღემდე რამდენჯერმე შექმლო ჩაეხება ლალიაშვილისთვის ანაპნულ უბის ნიგნაკში და თვალის გადავლო „მაროჟინის“ დამზადების წესისთვის თუ იმ საზომ-საწონი ერთეულებისთვის, რომლებიც ამ ჩანაწერებს ახლდა თან.

მაგალითად ასეთი: გირვანქა, გარნიცი, ჯაოზი, მისხალი, საპალნე, თუნგი, ჩარეკა, ვედრო, კოკა, ჩარეკა, ბათმანი, ფუთი, მარენკა, ოყა, კოდი, ასმუშკა და სხვა ბევრი ამდაგვარი რამ.

საპყრობილეში გატარებულ დროსაც ჭკვიანი კაცი სრულიად ადვილად გამოიყენებს სათავოსოდ. ჭავჭანიძეს უჭკუო

ადამიანი არ ეთქმოდა. ამდენჯერ გადაკითხვისგან ლამის ზეპირად დაისწავლა ლალიაშვილის უბის ნიგნაკი და, როგორც იტყვიან, ახალშეღვიძებულზეც ბევრითი მონაფესავით ჩამოთვლიდა „მაროჟინის“ სახეობასა თუ დამზადების წესს, რომელიც შემოსავლის წყაროდ უნდა გაეხადა, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მეზღვაურობას თავს დაანებებდა.

ამ ფიქრსა და მეცადინეობაში განვლო ათიოდე დღემ.

ერთხელაც ბადრაგმა, უფრო უსაქმურობით ვიდრე გულისხმიერებით, მეზღვაურს რჩევა მისცა: მისწერე ჩვენს ციხის უფროსს შენი ამბავი, კეთილი კაცია, ადრე ქალაქის თეატრის დირექტორი იყო, თვითონაც მსახიობობდა, ყველას ხელს უმართავს, იქნებ შენც დაგეხმაროს, დასაკარგი მაინც არაფერი გაქვსო.

ჭავჭანიძეს ეს ამბავი ჭკუაში დაუჯდა და ასეც მოიქცა.

ციხის უფროსი მართლაც ყურადღებიანი ადამიანი აღმოჩნდა. მეზღვაურს მოუსმინა, გრძელი ამბავი ერთხელაც არ გაანყვიტინა და ქალაქის თავის სახელზე წერილის შედგენა დაავალა.

სამი დღის შემდეგ ჭავჭანიძე თავდებობით გააყოლეს ერთ ქართველს, რომელიც გემზე მუშაობდა შტურმანის თანაშემწედ. გემს გეზი ფოთისკენ უნდა აეღო. რამდენიმეკვირიანი მოგზაურობის შემდეგ ჭავჭანიძემ ფეხი შედგა ფოთის ნავსადგურში და მის ტანჯვა — წამებასაც დაესვა წერტილი.

აქედან კი თბილისამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

დედაქალაქი სევდიანად დაუხვდა.

იმ დღეს მინას აბარებდნენ თბილისის ცნობილ მედუქნეს, გაეცალეს. ამ მედუქნეს და, როგორც მაშინ ამბობდნენ, მის ზავდენიას ყველა იცნობდა, ვისაც ჭიქასთან საქმე ჰქონდა დაჭერილი. კეთილი გულის კაცი იყო გაეცალე, სტუმარი უყვარდა და მასპინძლობაც გვარიანი იცოდა. დუქნის თავზე წარწერა ჰქონდა გაკეთებული, რომელზეც ასეთ რამეს ამოკითხავდა დროის სატარებლად მისული ადამიანი: მე რათ მინდა გიმნაზია დავთარი, ჩემი სწავლა არის შიითან ბაზარი. გაეცალეს, სანაქებო სადილ-ვახშამთან ერთად, შემთვრალი სტუმრებისთვის აფრინდა გოგო, ჩვენებურად მეძავიც, იქვე ჰყავდა, რითაც კიდევ უფრო იზიდავდა კლიენტურას, და როგორც იტყვიან, საღამო ხანს მის ზავდენიაში ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყო.

ოღონდ ეგ იყო, არ უნდა დაეცლია.

აი, მაშინ კი უნდა გაცლოდი.

ამის გამო იყო, რომ მისი ნამდვილი გვარ-სახელი აღარავის ახსოვდა და ისე მიმართავდნენ, როგორც მიმართავდნენ.

გაეცალე სწორედ ამ სმის გამო მოკლეს, ჯანით რომ ვეღარ დაჩაგრეს, ხანჯლით გამოასალმეს სიცოცხლეს პირად ნიადაგზე.

დროებამ ამგვარად დაიტირა მედუქნე:

თბილისის მოქეიფე ხალხმა დიდი ამბით დაასაფლავეს მედუქნე გაეცალე. თბილისში ძვირად შეხვდებოდით ვინმეს, რომ გაეცალეს სახელი არ გაეგონოს. ამ სახელს ბევრი გაუტყუილებია დიდუბისკენ, სადაც გაეცალეს ჰქონდა დუქანი. ოთხმა ზურნამ და რამდენიმე არღანმა გააცილა მედუქნე-ძმაბიჭები ერთობ დაღონებულები მიჰყვებოდნენ გულუხვ მასპინძელს, რომელიც ხშირად მასპინძლობისთვის არათუ არას ართმევდა ცუდად დარჩენილებს, პირიქით — აჭმევდა, ამევედა და ჯიბის გრომებსაც აძლევდა.

მოკლედ, თბილისელი კაცისთვის ამ სამძიმრის გაცდენა სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

საშა ჭავჭანიძე კი ნამდვილი თბილისელი გახლდათ.

როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება, სამძიმარზე მისული ადამიანი დიდი ხნის უნახავ ნაცნობ-მეგობარს წააწყდება ხოლმე. ადგილზე გამოცხადებულ ჭავჭანიძეს არზუბანი — იგივე მუქთახორა — ხალხი შემოეგება, რომლებსაც კარგად იცნობდა და მისი ჯეელობის ამფსონები გახლდნენ. ამათთან ხშირად ჰქონდა სანაძლეო ნათქვამი, ქათმის მკერდიდან ჩამონაგლეჯი ორკაპა ძვალთ ავქამი ნათამაშევი და „ჰაი დოსტი“

დაძახებული, რაც თბილისურად ნიშნავდა შემდეგს: გაჯობე და სანაძლეო მოგიგეო. ამის შემდეგ იწყებოდა სმა, რა თქმა უნდა, წაგებულის ხარჯზე. ეს დროსტარება გვიანობამდე გრძელდებოდა და ღამისკენ სუფრა შემოსწრებულებს ველარ იტყვდა. დაგვიანებულებს აზანბარში გავლა უნებდათ, რაც გულისხმობდა გათანასწორებას ღვინის სმის დროს. მიაწოდებდნენ დიდ სასმის ღვინით სავსეს და მიაძახებდნენ: აბა, აზანბარი დააღვივინეთო. ისიც შესვამდა სულმოუთქმელად და შექებას დაიმსახურებდა: ახლა კი აზანბარში გამოხველიო.

ასე ერთობოდა თბილისი. ეს ხალხი იყვნენ: კოლია ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი, ლელო ანდრონიკაშვილი თავისი ძმებით, შიხი ტუსიშვილი, ტერშმანოვი, ყარალაშვილი, დუქან-დუქან დადიონენ, ქეიფობდნენ, იქაურობას იკლებდნენ, ფულს კი არ იხდიდნენ. განსაკუთრებით ტილიპუჭურას რესტორანს არ ინდობდნენ. ააყენებდნენ კონკას, ასწევდნენ რელსებიდან, გადააყენებდნენ, შიგ დაფა ზურნას ჩასხავდნენ და ცხენების გამრეკს ეტყობდნენ, შუბაზურისკენ წაგვიყვანეთო. ამგვარ აყალმაყალს მხოლოდ ყარაჩოღლების დუქნებში არ აწყობდნენ, ცხვირპირის ჩალენვას თუ ერთდებოდნენ. ამ ხალხის გამო თბილისში გამოთქმაც კი შემოვიდა, თუ ვინმე მიკიტანს ფულს არ გადაუხდიდა, იმას არზუმანი ერქვა. ბაჩარამ ლექსიც კი გამოუთქვა ამგვარ საზოგადოებას, რომელსაც ქალაქში ამღერებდნენ კიდევ: არზუმანი რათ უყავით იმ მიკიტან არტოსა, კარგი რამე გისწავლიათ, ნეტავი თქვენს პატრონსა.

ეს ხალხი რომ ამ დღეს არ ჩააცდენდა, თავიდანვე ნათელი იყო. გაეცალეს სულის მოსახსენიებელი სუფრა გაიმართა სერგო ყაითმაზაშვილის დუქანში, რომელსაც ერქვა „გაგიმარჯოს“, სუფრა კი გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში. მესამე საღამოს გამოფხიზლებული ჭავჭანიძე ჯერ კიდევ ხვდებოდა, რომ საკუთარი თავისთვის უნდა ეშველა, რათა თბილისურ ჭაობს საბოლოოდ არ ჩაეთრია, იმ ჭაობს, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ გაექცა სავაჭრო გემის საშუალებით.

ჭავჭანიძეს უნდა დაეწყო ალემ-ველიში. თბილისურად ალემ-მიცემობა.

ჩვენებურად კომერცია.

დედაქალაქი, როგორც იტყვიან, საზოგადოებრივი კვების, ანუ დუქნების, რესტორნების, სამიკიტნობის სიმცირეს ნამდვილად არ განიცდიდა, მაგრამ ეს ყველა მაინც ერთნაირად გახლდათ მონყობილი და საკვები თუ სურსათ-სანოვარეც არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. საჭირო იყო რაღაც ახალი, მითუმეტეს, რომ ჭავჭანიძეს ტერორისტ ლალიაშვილის ჩანაწერები ჯერ კიდევ თან ჰქონდა.

დიდი მიხვედრა აღარ სჭირდება, თუ რას მოიმოქმედებდა მეზღვაური ჭავჭანიძე.

გადაწყდა, თბილისში „სამაროჟნი“ უნდა გახსნილიყო.

მალე, ჭავჭანიძის მარიფათითა და მამამისის ფინანსური დახმარებით, ქალაქის ცენტრში, თითქმის ერევანსკი პლომ-ჩადზე, მთის ქუჩის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს, „სამაროჟნი“ გაიხსნა, რომელსაც თბილისელებმა თვითონვე დაარქვეს სახელი და „გამაგრილე“ უწოდეს.

თავიდანვე ნათელი შეიქნა, რომ საქმე წამგებიანი არ გამოდგებოდა.

„გამაგრილეში“ ტევა არ იყო, ქალაქის მაცხოვრებლებს რიგის დაჭრა უხდებოდათ, წესრიგის დაცვა ჭირდა, ამის გამო კი ხშირი იყო ურთიერთშელაპარაკება და გვარიანი მუშტი-კრივიც. ამის ბრალი, სხვა ბევრ რამესთან ერთად, უნდა ყოფილიყო „მაროჟნის“ დაბალი ფასი და, როგორც იტყვიან, ფართო ასორტიმენტი.

თბილისში, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, ხშირად გაიგებდით ასეთ რამეს:

ამას წინათ „გამაგრილეში“ შევიარე, მთელი „სამაროჟნი“ ბებუთოვს ჰქონდა დაკავებული ოჯახთან ერთად, გავეშებუ-ლი ხალხი კი გარეთ ელოდებოდა.

„გამაგრილეში“ ხომ არ წავსულიყავით?..
ეგ რა კაცია, „სამაროჟნი“ ერთხელაც არ შეუდგამს ფეხი...
ალიასოვი უნახავთ მევალებს „გამაგრილეში“, გარეთ გამოუყვანიათ და გვარიანათ დაუზილავთ...
ეჰ, უფულობას რა ვუთხარი, თორემ ამ სიცხეში ჭავჭანიძეს „სამაროჟნი“ არ უნდა ვისხდეთ?..
ეს და ბევრი სხვა ამდაგვარი.

რას არ გადააწყდებოდა ადამიანი „გამაგრილეში“:

„მაროჟნი“ ნაღების ყავით, შოკოლადით, ჩაით, „მაროჟნი“ ნაღების „კლუბნიკით“, ხენდროთი ან ვანილით, „მაროჟნი“ ვაშლის და მსხლის, ლიმონის და ფორთოხლის, პუნში გლიასე, პუნში იმპერიალური მარწყვისა და სხვა ხილის, ზეფირი, პლომბირი, ჟელე.

ნათელი შეიქნა, ერთი „სამაროჟნი“ მთელ თბილისს ვერ აუვიდოდა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა...

ყველასთვის მოულოდნელად, ზამთრის სუსხიან დღეს, იმ თბილისელებს, რომლებსაც ჭყაპისა თუ ტალახის მიუხედავად მაინც გაებდათ გარეთ გამოსვლა, საყვარელი „სამაროჟნი“ გვერდით, მთის ქუჩის დასაწყისში, ახალი აბრა დაუხვდათ, ახალი წარწერით: აღმასკომის ქუჩა.

გამაგრილე, მცირე დროის განმავლობაში, კვლავ ინარჩუნებდა საკუთარ სახელს, შემდეგ ქუჩის აბრაც გამოიცვალა და სადესერტოს ფირნიშიც.

ქუჩას სერგეი კიროვის სახელი დაერქვა.

„გამაგრილეს“ უბრალოდ სანაყინე.

საზოგადოებრივი კვების ობიექტი სახელმწიფოს გადაეცა. იკლო ასორტიმენტმა, რომელიც საბოლოოდ ნაყინის ერთი სახეობით შემოიფარგლა, და საგრძნობლად დაეცა ერთ დროს საქვეყნოდ გავარდნილი სახელი თუ ხარისხი.

ამის ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ თბილისელები სანაყინეში სიარულს აღარ კადრულობდნენ და იქ მხოლოდ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხი დაიარებოდა.

საშა ჭავჭანიძე აღარავის გახსენებია, სავარაუდოდ იმ გზას გაუყვეს, რომელიც ლალიაშვილს ერთხელ უკვე გავლილი ჰქონდა.

თავი ლალიაშვილი გმირად შეიქნა, მის განვლილ ცხოვრებას გულიანად ახსენებდნენ იმ შეკრება — მიტინგებზე, რომელიც ასე ხშირად იმართებოდა იერშეცვლილ თბილისში. აკაკი ხუნდაძემ პატარა ნიგნი, იგივე ბროშურაც კი გამოსცა, სადაც ტერორისტ ლალიაშვილის ყოფა-ცხოვრება იყო აღწერილი, თუმცა მისი კულინარიული ტალანტის შესახებ არაფერი გახლდათ ნათქვამი.

ერთ დროს მეფის ობრანკის აგენტმა მონანილემ, ახლა კი ბოლშევიკების ხელის ბიჭმა, კარლო თაბუკოვმა, იგივე თაბუკაშვილმა, ნიგნიც დასტამბა ასეთი სათაურით: „ქართულ აღმოსავლური საქმელების დამზადების წესი ოჯახში და მის გარეთ“. ჩანს, ლალიაშვილის დღიური სწორედ მას ჩავარდნოდა ხელში, ისევე და ისევე პოლიციასთან ახლობლობის გამო. არც მას გახსენებია თავისი მეგობარი თუ თანაკლასელი და ლალიაშვილის ღვანლზე სიტყვაც არ დასცდენია.

დიმიტრი ყიფიანის ხსენება, როგორც სხვა ბევრი რამ, აიკრძალა.

მახსოვრობა სახიფათო გახდა.

მხოლოდ ერთი რამის დავინწყების საშუალება არ მისცეს თბილისს:

ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო...

ეგ ზარხოსი კვლავ დედაქალაქში იჯდა.

ტყავის სამოსით.

ფერდზე მაუზერით.

გულში ღვარძლით.

და ყველა პარტიულ თათბირს, სადაც ქართველების დახვრეტა-გადასახლების საკითხები განიხილებოდა თუ წყდებოდა, ასე ასრულებდა: ხაში ხომ არ გვეჭამა დიდუბეში?!

ჭ გ უ ფ ი ს — „ზღვარი“ — ნ ე ვ რ ე ზ ი (ო თ ხ ე უ ლ ი)



კახა ბაციკაძე



გიორგი ზუზბია



სერგი ლომაძე



ვასო ლომაძე

კახა ბაციკაძე

სისხლისფერი გლადიატორები

რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს,
სისხლით ირწყვება პოეზიის ვრცელი არენა,
სიმშვიდის ღმერთო, სთქვი, პოეტი ვით გაემბოროს,
ვით აერიდოს შეშლილობის მძაფრ ზეგავლენას;

ან რა ჩააქრობს ჩემს თვალეში ცეცხლის დემონებს,
დაცხრილულია თავად ზეცაც მძიმე ფიქრებით,
როგორც ქარონი, გარდაცვლილთა სულთა მეზორნე,
მეც საკუთარ სულს ჯოჯოხეთის ცეცხლში მივყვები...

გავიფანტები თვით უშავეს განცდის ყორნებად,
და ჩემივე გულს ვფლითავ ასე გაფაციცებით,
დგანან გრძნობები ჩაბნელებულ ლამპიონებად,
მეფერებიან სიძულვილის ცივი თითები...

ვისხენებ ფაუსტს და ვალპურგის ლამის აღრევას;
სისხლის წვეთების ძონისფერი კარნავალია...
მე მოგინოდებთ ყველა წესის ფარდის დარღვევას, —
ანარქია ხომ პოეზიის რთული ვალია.

და ვანადგურებ წინ აღმართულ ქარის წისქვილებს, —
ბოლომდე მიმყავს დიდი საქმე, მე, ლამანჩელის;
და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ აქილევსს, —
ბრძოლის შავ ველზე სამუდამო ფიქრად დავრჩები...

ხშირად მიყვარდა სმენა თვითონ მდინარე ლეთის
(არყოფნის განცდაც ღვთაებრივი და წარმტაცია);
დაიბზარება დედამიწის ფუჭი ხმელეთი, —
ის ველარ უძლებს პოეზიის გრავიტაციას!..

რა შეაჩერებს პოეზიის გლადიატორებს...

გიორგი ზუზბია

პოეზიის ფარფლი

პირველად, როცა ცა ჰგავდა მისხალს,
მოვიდა ჩემთან გრძნობის მცნობელი,
მაჩუქა ფერფლი ბამბუკის ხისა,
და გაქრა ნელა, როგორც ღრუბელი.

მზის კიდის ახლოს, გამჭვირვალ მთებთან,
ჰო, მინის მთებთან, თვალებით დღისა,
მოვიდა იგი მეორედ ჩემთან,
და მომცა გული ქრისტეს ჯვრის ხისა.

შემდეგ კვლავ გაქრა, ვით სული მზეთა,
მხოლოდ პოეტურ გრძნობით რომ ვხედავთ.

მერე კი იგი მოვიდა მართლა:
სიკვდილის შემდეგ, როს ღრუბლის ცრემლით
მე ავდიოდი სივრცეზე მალლა...
და მომანოდა მან ლურჯი ფერფლი;
ეს იყო ბოლოს, — ცა როს ილოცვის;
ეს იყო ფერფლი ჩემი სიცოცხლის...

სერგი ლომაძე

გული ხელეპი

მთელს სამყაროში არავინ არ მყავს,
მე ჩემი გული ხელეპით დამყავს,
და ვაკვირდები, თუ როგორ ბრწყინავს,
მონყენილს ვუმზერ, ვუამბობ ამბავს.

მე ვარსკვლავების ვუამბობ ამბებს,
და ისტორიებს, ვუთხზავ რომელთაც,
მოსავთ შუქები დილის ცის ნამის,
მცხეთისჯვართა და სვეტიცხოველთა...

მე სამყაროში არავინ არ მყავს,
გულს ვასეირნებ, ვუყვები ამბავს.

ვასო ლომაძე

თვალეპი

ჩვენი თვალეპი ერთმანეთს ჰგვანან, —
ორივეს ათბობს რაღაც სინათლე.
შენს თვალეებს ცეცხლი მეტი აქვს უფრო,
ჩემს თვალეებს დაჰყვა მეტი სიმართლე.

შენი თვალეები ბნელშიაც ხედავს,
ბნელს, სახეს ნაშლილს, აქცევს სახედვე.
ჩემი თვალეები მზეს უმზერს მხოლოდ
და ხედავს მხოლოდ გულით სახედველს.

შენ გინდა მეტი სივრცე იხილო,
ის ხმა გეძახის, ზღვა რომ ხმაურობს,
ჩემს გულს კი უნდა — ახსნას აფრები
და შენს თვალეებში იმოგზაუროს...



ნელი ბატიაშვილი პოეტური გამოხატვის ენად საგნებსა და მათ კავშირს იყენებს. საგანი არის ის, რაც არის და აგრეთვე არის კიდევ რაღაც, რაც პოეტის მზერას აირეკლავს და ამ არეკლილსა თუ გარდატეხილ სხივში იკითხება განყენებული, ფიზიკურობისგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი აზრი.

მაგალითად, ნუშისა და ტყემლის ყვავილობა თუ, ერთი მხრივ, უზადო სილამაზის გამოკვინებაა, მეორე მხრივ, წარმოადგენს სიგნალს, მინიშნებას იქითკენ, სადაც შეიძლება იყოს განწყობილების ცენტრი, რომელიც გაახლოებს, გაშინაურებს იმ აზრთან, თუ რისი თქმა სურს ლირიკულ გმირს.

ერთი შეხედვით, ლირიკული გმირი თავისუფალია, შინაგანად თითქოს საკმაოდ გახსნილიც, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც რაღაც ნათელხილვის მსგავსი მომენტი უნდა დადგეს, უკან იხევს, ბოლომდე არ იხსნება, თითქოს არც შენ გენდობა და არც საკუთარ თავს.

რატომ ხდება ასე? შეიძლება იმიტომ, რომ მასში ჭარბად არის განვითარებული ეთიკური სანწყისი, მოვალეობის გრძნობა მოყვასისა და საერთოდ, ადამიანობის, ტრადიციისა და კულტურული იმპულსების წინაშე.

ისე, პრინციპულად რომ ვთქვათ, საკითხავიც არაფერია, ვინაიდან მორალურ-ზნეობრივი მოტივაციები ნელი ბატიაშვილის ლექსს შიგანვის ენერგიასავით ამოძრავებს.

მსოფლმხედველობა და პოეტური აზროვნება — ორერთიანი მთლიანობა.

ნელი ბატიაშვილი

სუთსტრიქონიანები

ბალი აპრილის...

აქოთქოთებულს, თავბრუდახვეულს ვაშლის ყვავილში,
სუნთქვაშეკრულს სურნელისაგან,
მხარი ეცვალა ქარს თუ ნიაქქარს,
ყვავილის მტვერი, რატომღაც, მე შემომაცარა...

მივდექ და გარბის,
ახუჭუჭებულ ნიაქქარში განენილი, მეთამაშება,
ცოტაც და დავენიე, — ზოგჯერ მეჩვენება,
ის კი მოლიპულს ტოვებს ნატერფალს,
ფეხს მისხლეთს საკუთარი ხმა...

მიჩხრიალებს დრო ზიზლით,
ზოგი ჩხავილით ითხოვს, ბილნით,
უხსენებელთა გვარად, ზოგმა დაგესლა იცის,
ზოგი საკუთარ ლალატს ზედმეტად ძვირად ჰყიდის,
ერთი კი, მათ გადასარჩენად, ჯვარზე გაკვრისკენ მიდის...

ქარს შემოასხდნენ ჭინკები,
ლენენ ყველაფერს,
მთვარის გაკორტნაც სურთ, კბილებს ილესენ,
ის კი, რძოვანაზე მიედინება, ნათელი,
ვერ ამჩნევს ჭინკათა ილეთებს...

ნუში ჰყვავის, ჰყვავის ტყემალი, —
უზადობა, სილალით მთვრალი...
ნუთუ ეს მე ვარ, შემყურე მათი,
და რაზე ფიქრობს მტერ-მოყვარით გარშემორტყმული,
სულელი ქალი?

დრო გადის, ყვალაფერი იცვლება,
იმდროინდელი ჩემი ამფსონი შვილიშვილთან თამაშით ილლება,
მე კი ისევ ის ლოდი მესიზმრება,
ხავსი მის ძირებს ისევ ეფინება?
ჩემსავით მისი წვერისკენ ვინმე მიძვრება?

დაიფანტა ბობოქარი დრო გაზაფხულის,
მიილია ზრუნვა, ამაგი, ღვანლი ზაფხულის,
შემოგვპარვია შემოდგომა გზებით, ფარულით,
მოდით, გავითბოთ მისი მშვენებით გული,
სანამ ზამთარი გაგვითავისებს...

ვემორჩილები ბუნების კანონს,
მასთან დავა სისულელეა.
ქარის ყოველი შემობერვა ჩემს სიმშვიდეს არღვევს რაღაც-
ტომ,
რად მესახება წვიმა ცრემლებად,
ნეტა, რას ვნანობ...

ჭრიჭინათა სიმღერებში გატრუნული აგვისტოს ღამე,
და სიჩუმე, საქართველოს ვარსკვლავეთის ციმციმით სავსე,
მესმის, მესმის,
როგორ ივსება წვეთწვეთობით ყურძენი ნექტრით...
რა უნდა ვთქვა ამაზე მეტი...

ასეთი მერგო სამკვიდრებელი სისხლ-ხორცთან ერთად,
არა ერთხელ გაბრწყინებული სიკვდილის ბჭესთან,
წინაპრის ჩემის სიმამაცე, ფასეული ყველაზე მეტად,
როცა მკვდარიც კი ბრძოლის ველზე გიხმობს ყიჟინით.
მე კი, მე, მე, მე, მათი ვარ შვილი, არავის სხვისი...

მიტოვებული სახლი,
ლიად დარჩენილი კარი,
დასარბევად თუ დასაცინად
ქცეულა ქარის.
კვნესა ისმის სახსრის...

შენ იტყუები,
მეც გატყუებ,
თავს გიქნევ, ვითომ მჯერა
და სიცრუეთა კორიანტელში
სიცოცხლეს ვცვეთავთ ერთად...

ჩამავალი მზის სხივებთან ერთად,
ყვავილებით მოჩითულ ველზე, ანცი ნიავი
უვლიდა ფერხულს,
თავს აწონებდა ხეს, ფრიალოზე გადმოკიდებულს,
იდგა ფოთოლთა ტაშის გრიალი...

იპსონი

რომ არ მეგრძნო,
მთელი სისავსით არსის,
რა დამაჯერებდა, —
ხმელეთისაგან მოძულეული კაცი
მინას თუ ასე შეიყვარებდა...

მხოლოდ ღვთით ნაკურთხს შეუძლია,
ისე გაიხსნას,
სადღაც, შორს ქურდთან ერთად ჯვარზე გაკერისთვის
განირული
შეუშვას საკუთარ გულში...
ო, იაპონია...

ჯვარს

შენ, ერთადერთმა,
ჩვენს შესახებ იცი ყოველი,
კაცის მხეცური, ცოფიანი გახელება და
თავგანწირვის
ვერტიკალი ჰორიზონტებით...

კაი ყმა კვდებაო ომში,
გლოვა კი მათი, — დიდების სწორი,
სასობა, გზა და ტკივილი,
მილიონთა სისხლით ნაკვები,
ერის ღირსების მაცოცხლებელი...

ვერ დავძლევ შენსკენ მომავალ გზას,
ეს უკვე ვიცი,
შეუძლებელს მოითხოვს იგი, —
სულმა ზიდოს ცოდვა სხეულის,
ხოლო სხეულმა სინმინდე სულის...

რა მაცდურია, რა ცბიერი
წუთებით მოკირწყლული გზები,
შემოგაფეთებს სიახლეს ისეთს, უიმედობის იერით.
იქ შეიძლება იპოვო ყველაფერი, გარდა ნანატრის ცრემლით,
იქ შეიძლება დაკარგო ყველაფერი გარდა წყეული სევდის...

სრულიად წამლექა წვრილმანმა და
ჭორმა დამრია ხელი,
ძელყორეს იქით შენი საფლავია
და გულში ტკივილი, ჯერ ისევ ნედლი.
მე კი მას ისე ჩავუარე, ვითომც არაფერი...

ცხოვრება ჩვენი, —
ლორდი, ხურდა და ღრანტეები,
ძნელად საპოვნი გზა და კვალი, ძნელად სავალი...
სულისკვეთების ანთებული მშვენიერებით
მაინც უნდა შეეცადო, გადაიარო...

* * *

ღია ყურაშვილს

როგორიც იყავ, ისეთი წახველ,
ჩუმი, მომთმენი,
მოლოდინით პირთამდე სავსე...
ცხოვრებას იქნებ შეცვლოდა სახე,
ხელაღებულს, მტარვალს, მძვინვარეს...

* * *

დედას, მარგალიტას

გისხენებ და მხოლოდ ერთს ვხედავ,
თოვლის ფანტელს როგორ უფენ გაშლილ ხელისგულებს,
როგორ იცინი და როგორ ცეკვავ,
დღითი-დღე როგორ იყინები,
მეც, შენთან ერთად, დედავ...

ჩემს შემდეგ ნეტა, რა დარჩება,
გაუნაფავი ხელით ნანერი, იქნებ სიტყვები,
რომელთაც ჩემში
იპოვეს ერთმანეთი...
კიდევ ერთი გაცრუება იმედის...

იმ ღამეს
ტუბურაში რატომღაც ჩაიხედა მთვარემ.
შეეცოდა. იგრძნო, ამოშრებოდა მალე.
ანუგეშა,
თავისი ხატება ჩაუტოვა დილამდე...

ანდრომედა... ირმის ნახტომი...
ვარსკვლავეთის გადარბენა, ალიაქოთი...
ცვლილებათა ამ ქარაშოტში
როგორ ქარწყლდება უკვე ნასწავლი, ასე ნაცნობი...
გზა, — მარადიული ძიება
ყოფილა საყრდენის...

არა, მე იაპონელი არ ვარ.
ვიფიქრე, ალუბალს აყვავებულს,
თვალს შევავლებ და წავალ.
გამომაფხიზლა ბინდმა,
მთის კალთა როცა დაფარა...

პუდისტი პერი

ლოდზე იჯდა არარად ქცეული,
კვალად თუ იქცა წყალში თევზისა,
ეული,
არსთან სრული შერწყმა, სამყაროსეული,
სრული გაუჩინარება, გრძნეული...

იავ, ცის ნამი,
შთაგონების ნიშანი,
უფლის საჩუქარი,
ცრემლად დაგდენია.
მისი სიმძიმის ატანა ნუთუ ასე ძნელია...

კომფორტის გახელებული სურვილით,
მომძლავრებულ საგანთა წყურვილით,
ატეხილი წანწალით ტურისტის,
მოდის ტირანიით აღგზნებულნი,
ვართ ქსეროქსით გამრავლებულნი...

რა იქნებოდა სიცოცხლე
სიკვდილის გარეშე,
მარადიული ხსოვნის გარეშე,
გულისტკივილისა და სევდის გარეშე,
ამყაყებული გუბურა, — ბაყაყთა თარეში...

მარადიული იმიტომაცაა ღირებული
იცის პატრონობა თავდადებულის,
მარადიულმა განზილება ციცის, —
დაღის დასმით
შადიმანურის...

დრო მოვა და ამ პატარასაც მოუწევს რიგი
იმ წინაღობის დაძლევისა,
უძნელესის, რომელიც ვიცით
და ჩვენსავით, რასაც გასცემს თუ გაიმეტებს,
სწორედ იმდენს მიიღებს ისიც...

რა ერთგული ხარ, როგორი მღვდელმთავრე,
როცა ჰქმნი მშვენიერებას,
ბუნებაზე.
მერე კი შეჰყურებ გულცივი, გულაყრილი,
მის განადგურებას...

ზოგს ერგო სიმდიდრე,
ზოგს სიღატაკე,
ზოგს კი ორივე ერთად.
მე ფოთლის შრიალშიც სიცოცხლის წრიალი
განმაცდევინა ზეცამ...

* * *

ზვიად გამსახურდიას

ზედმინევენით ნამდვილი მოხველ,
ნახველ ზედმინევენით ნამდვილი.
განსაცვიფრებელი ესაა.
თორემ ბრბო რომ ვერ იგუებს სიმაღლეს,
ეს აქსიომაა...

* * *

მამას, მიხეილს

იყურე მაღლა და შორს,
ადამიანთა სკაში ყურებით
თავგზა აგერევა...
შენმა საფლავმა
მომცა დარიგება.

* * *

ლეილას, ჩემს დას

თუ გულგრილობა გარდაცვლილთა
მხოლოდ ჭორია,
სიხარულის ქარბორბალა ჩაგვსაფრებია.
იმ წუთამდე კი მე დამრჩენია
ჩვენს შორის ზღვარი გადასალახი...

ვინ გიკრძალავს მინის სილაღეს,
მაგრამ თუ ზეცას გაუგებ რამეს,
ამ სილაღეს გაგიასმაგებს.
სამყარო ხომ ერთიანია
და ყველაფერი კვებავს ერთმანეთს...

ბავშვობაში რომ გაცოცდებოდ, რას მალავ, ლოდო, სხეულის ქვეშ?
იმ ნათელ დღეებს?
გაცილებით მეტს?
სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ზღვარს, — ფერდელა ბჭეს?

ერთს, სიმბდალით და ეგოიზმით თავმოდგემულს მოსწონს
მეფური თვლემა,
მეორეს, ორლესულს, ჭრელსამოსიანს, მზაკვრულ
მორევად დატრიალებს.
მძიმე ტანდემი, — სიცოცხლე და ცხოვრება ერთად...
მაგრამ რამდენჯერ შეუფაკლავს მშვენიერებას,
არ კი მეგონა...

ლაშა გიორგაძე

კიე ფილბი

(ჯიმიზ ზონის ანტიპოდი)

ამერიკული დაზვერვის სახელგანთქმული შეფი, ან განსვენებული ალენ დალესი (ნათელში იყოს!) თავის წიგნში „დიდი სიმართლე“ წერდა: „ახლახან გამოქვეყნებულ საგაზეთო ცნობებში ეს შემთხვევა მოიხსენიებოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ამ ბოლო ხანებში. ლაშარაკია იმაზე, რომ კიმ ფილბი, რომელსაც მაღალი პოსტები ეჭირა ბრიტანულ საიდუმლო სამსახურში, აწარმოებდა მსტოვრულ საქმიანობას საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ მერე მსოფლიო ომის დაწყებიდან ვიდრე 1951 წლამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი საბჭოეთს გადასცემდა ყველაფერს, რაც მის ხელში გაივლიდა და რაც, უეჭველია, წარმოადგენდა მათთვის უდიდეს ინტერესს. ეს კი გახლდათ მასალები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებს, აგრეთვე თავად ამ სამსახურის უშუალო ოპერაციებს. ამის წყალობით საბჭოეთი ახერხებდა სათანადო ზომების დროულად მიღებას და მოქმედი აგენტურის უგუნებელყოფას. ფილბის ინფორმაცია, პრაქტიკულად, მონინალმდეგეს ხელთ უგდებდა ფილბისავე თვისტომთ.“

ამჟამად აღარავის აეჭვებს ის ფაქტი, რომ ფილბი, ბიორჯესისა და მაკლინის გაქცევამდე, ითვლებოდა ბრიტანული საიდუმლო სამსახურის ფრიად პერსპექტიულ თანამშრომლად და ნორმალურ პირობებში თავისუფლად შეიძლება მისი შეფიცვა გამხდარიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილბი არ ყოფილა უგვარტომო კოსმოპოლიტი (როგორც სხვა არაერთი მსტოვარი) ანდა აუტსაიდერი. მას არავინ სდევნიდა, მისთვის არავის დაუგია მახე და არავის ჩაუთრევია ფინანსურ ხაფანგში. თავის სამშობლოში იგი მიეკუთვნებოდა საზოგადოების მაღალ ფენებს და მის წინაშე ბრწყინვალე კარიერის ყველა კარი ღია იყო“.

აი, როგორ დინჯად, აუღელვებლად, საქმიანად, ყოველგვარი ლანძღვა-გინებისა თუ ანათემის გარეშე ახასიათებს საბჭოთა დაზვერვის სუპერ-მსტოვარს ანუ კრემლის უბადლო აგენტს შეერთებული შტატების მსტოვართუხუცესი და „ცივი ომის“ ბაირახტარი, დაუძინებელი მტერი კრემლისა. აი, ამას ჰქვია ობიექტურობის მაღლი და წერის კულტურა! აი, როგორ მასტერ-კლასს გვიტარებს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის (კურთხეულ იყოს!) ერთ-ერთი თავლასაჩინო ფიგურა და სიმბოლო...

იგივე უნდა გავიმეოროთ ამერიკელ მკვლევართა ნორმან პალმერისა და ტომას ალენის მისამართით, რომლებმაც თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში „შპიონაჟის ენციკლოპედია“ (1997 წ.) თითქმის ოთხი ვეება გვერდი დაუთმეს კიმ ფილბის ცხოვრებას და მოღვაწეობას, მაშინ როდესაც თვით ალენ დალესს წილად ერგო გვერდნახევარზე ოდნავ მეტი.

აი, როგორ მოგვიტხრობენ ისინი მოსკოვში „ბრწყინვალე ხუთეულად“ მონათლული (პოპულარული ამერიკული ფილმის „ბრწყინვალე შვიდეულის“ ალუზიით) „კემბრიჯის ხუთეულის“ ყველაზე ბრწყინვალე წევრის, თანამედროვე იანუსად ქცეული კაცის ავკარგიან ასავალ-დასავალს:

„ჰაროლდ (კიმ) ფილბი (1912-1988) — საბჭოთა შპიონაჟის ასი, რომელიც დიდხანს მუშაობდა აგენტად ბრიტანულ დაზვერვაში და ლალატობდა თავის სამშობლოს. ითვლება „კემბრიჯის ხუთეულის“ მესამე წევრად და დანარჩენი ორი — გაი ბიორჯესი და დონალდ მაკლინი გაიცნო ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, კემბრიჯში.“

მისი მამა ჰარი სენტ-ჯონ ფილბი, ცნობილი მოგზაური და ავანტიურისტი, მსახურობდა ინდოეთში პენჯაბის შტატის ბრიტანელი კომისრის მოადგილედ და 1910 წელს იქ დაქორ-

წინდა. მის ქორწინებაში შაფერი გახლდათ ლეიტენანტი ბერნარდ მონტგომერი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში სახელი გაითქვა, როგორც დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა ყველაზე შესანიშნავმა გენერალმა (თავად ფილბი-უფროსი, როგორც ურყევი ფაშისტი და თავისი ქვეყნის პოტენციური მტერი, ომის დროს ინტერნირებული იყო).

პირველი მსოფლიო ომის წლებში კი, როდესაც ერაყი ჯერ კიდევ არ გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს უძველესი მიწა-წყალი ატარებდა მესოპოტამიის სახელწოდებას, ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობამ იქ წარგზავნა სენტ-ჯონ ფილბი და დაავალა, რომ საუდის არაბეთის მეფის იბნ-საუდის ქვეშევრდომნი დაერაზმა იმ ტომთა წინააღმდეგ, რომლებიც თანაუგრძობდნენ თურქებს. ფილბიმ ჩინებულად გაართვა თავი დავალებას და მეფის სანდო პიროვნება გახდა. ის მიათვალეს „დიდაცურ კორესპონდენტებს“ (იმხანად ასე ეძახდნენ ინგლისის საზოგადოების პრივილეგირებულ ფენათა წარმომადგენლებს, რომლებიც ილენოდნენ ბრიტანული საგარეო დაზვერვის სამსახურში).

სენტ-ჯონის პირმო შაროდ ადრიან რასელ ფილბი დაიბადა ინდოეთში. მას „კიმი“ შეარქვეს რედიარდ კიპლინგის ამავსე სახელწოდების სამსტოვრო რომანის გმირის პატივსაცემად. ფილბი სწავლობდა ვესტმინსტერის იმავსე სკოლაში, სადაც თავის დროზე სწავლობდა მამამისი, 1929 წელს კი ჩაირიცხა კემბრიჯის უნივერსიტეტთან არსებულ ტრინიტის (წმ. სამების) კოლეჯში ისტორიის შესასწავლად. სასწავლო კურსის დამთავრებისას ფილბი აპირებდა სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურში ჩადგომას, მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ სწორედ კემბრიჯში გადაიბირა. „მე დამავალეს ჩანერგვა კონტრდაზვერვის სამსახურში ისე ღრმად, რამდენადაც მოხერხდებოდა, — იხსენებდა შემდგომში ფილბი. — რაც შეეხება იმას, თუ სად და როდის ჩავდექი საბჭოთა დაზვერვის სამსახურში, ეს გვეხება მხოლოდ მე და ჩემს ამხანაგებს“.

1933 წელს მან დატოვა კემბრიჯი და გაემგზავრა ვენაში, სადაც 1934 წლის 24 თებერვალს ცოლად შეირთო ალისა (ლიტვი) ფრიდმანი, კომუნისტი, რომელზეც ადგილობრივი პოლიცია ანადირებდა. ფრიდმანმა, ფილბიზე გათხოვების შედეგად, მიიღო ბრიტანეთის ქვეშევრდომობა. იმხანად ფილბი საჯაროდ ასაღებდა თავს მგზნებარე ანტიკომუნისტად და გენერალ ფრანსისკო ფრანკოს მომხრედ, რომელიც ომობდა ესპანეთში. მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ფილბისათვის, რომ ვენაში უამრავი მეგობარი მოეხვეჭა კომუნისტთა და სოციალისტთა რიგებიდან.

ფილბი ერთხანს მუშაობდა ერთ ლიბერალურ ყოველთვიურ ჟურნალში, მერე თავისი ჟურნალისტური კარიერა გააგრძელა ლონდონის „ტაიმსში“, სადაც აშუქებდა ესპანეთის სამოქალაქო ომის მოვლენებს. გენერალ ფრანკოს ჯარებთან იმყოფებოდა და მართლმორწმუნე ფაშისტად მოჰქონდა თავი. 1939 წელს მან დატოვა ესპანეთი და გაეყარა ლიტვის — ფილბი დაულალავად იქმნიდა მემარჯვენეთა მომხრის იმიჯს და ექოთირებოდა, რომ ცოლად კომუნისტი ჰყოლოდა.

მისივე სიტყვით, ესპანეთის შემდეგ იგი ისევ იქნა გადაბირებული სადაზვერვო მუშაობისათვის, ოღონდ ამჯერად „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ (ბრიტანეთის საგარეო დაზვერვა) მიერ. ამ უწყების ინფორმაციის თანახმად კი ფილბიმ თავად მიმართა მათ და თავისი სამსახური შესთავაზა. დაზვერვაში მოსაწყობად მას დახმარება გაუწია მამამ, რომელიც პირადად შუამდგომლობდა „ინტელიჯენს სერვისის“ შეფთან — სერ სტიუარტ მენზისთან. მიუხედავად იმისა, რომ ფილბი დაქორწინებული იყო კომუნისტზე, იგი უყოყმანოდ მიიღეს „ინტელიჯენს სერვისში“. 1941 წლის სექტემბერში ფილბის შესთავაზეს მუშაობა აღნიშნული უწყების კონტრდაზვერვის ქვედანაყოფში, მისი გამოთქმით, „საიდუმლო სამსახურის კაკალგულში“.

ფილბი სათავეში ჩაუდგა განყოფილების ესპანურ სექციას და მეორე მსოფლიო ომის წლებში მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა



კიმ ფილბი

დამყარებული სპეციალურ ოპერაციათა სამმართველოსთან, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა შეიარაღებულ წინააღმდეგობასა და პარტიზანულ ბრძოლას გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. იმ თანამშრომელთა შორის, ვინც ექვემდებარებოდა ფილბის, იყვნენ ცნობილი ინგლისელი მწერლები გრემ გრინი და მალკოლმ მაგერიჯი. ფილბის მოღვაწეობა სადაზვერვო ოპერაციების ორგანიზების ხაზით ესპანეთში, პორტუგალიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში იმსახურებდა უმაღლეს შეფასებას მისი ხელმძღვანელობის მხრიდან. ენერგიული და გონიერი თანამშრომელი თვალში მოუვიდა თვით მენზისს! კოლეგები უკვე უზნობდნენ, რომ ფილბი, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს „ინტელიჯენს სერვისის“ თავკაცი გახდესო.

1944 წლის ოქტომბერში იგი სათავეში ჩაუყენეს „ინტელიჯენს სერვისის“ ახალ ქვედანაყოფს — IX განყოფილებას, რომელსაც ევალეობდა ბრიტანულ სპეცსამსახურებში კომუნისტთა ჩანერგვის მცდელობათა ნეიტრალიზაცია. მოგვიანებით ფილბი დაწერს ამის თაობაზე: „ეს იყო წარმოუდგენელი, თითქმის გროტესკული იაღლიში მათი მხრიდან“. ფილბი ამ განყოფილების ხელმძღვანელობას მარტოდმარტო შეუდგა ერთ პანანკინტელა ოთახში, მაგრამ წლინახევრის შემდეგ თავისი განყოფილება გადაქცია მსხვილ ქვედანაყოფად, რომელსაც ეკავა მთელი სართული და რომელშიც 30-ზე მეტი თანამშრომელი ირიცხებოდა.

გამომჟღავნების პირველი რეალური მუქარა თავს დაატყდა ფილბის 1945 წლის აგვისტოში, როდესაც დასავლეთში გაქცევა დააპირა „ენკავედეს“ თანამშრომელმა კონსტანტინ ვოლკოვმა, რომელიც მუშაობდა სტამბოლში საბჭოთა ვიცე-კონსულის საფარქვეშ. ვოლკოვი დაუკავშირდა ბრიტანეთის საკონსულოს და შესთავაზა გადაცემა ინფორმაციისა საბჭოთა აგენტების შესახებ, რომლებიც ჩანერგილ იყვნენ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო სტრუქტურებში. ვოლკოვი ამბობდა, რომ ორი მათგანი მსახურობდა „ფორინ ოფისში“ (ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო), ერთი კი ხელმძღვანელობდა კონტრდაზვერვის ქვედანაყოფს ლონდონში [მამასადაამე, უნდა ვიგულისხმობ, შესაბამისად, გაი ბიორჯესი, დონალდ მაკლინი და კიმ ფილბი. — რედ.]; ვოლკოვი აფრთხილებდა ბრიტანეთის საკონსულოს, რომ ინფორმაცია მისი გაქცევის განზრახვისა და საბჭოთა მსტოვრების შესახებ არ გადაეცათ ტელეგრაფით, რადგანაც რუსები კითხულობდნენ ბრიტანულ დიპლომატიურ შიფრებს (რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს).

ვოლკოვისეული ინფორმაცია დიპლომატიური ფოსტით გაგზავნეს ლონდონს და ერთი კვირის შემდეგ მან თავი ამოჰყო „ინტელიჯენს სერვისში“... ფილბის მაგიდაზე. იგი, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდა, რომ თავად იყო ერთი მათგანი, ვის დასახელებასაც აპირებდა ვოლკოვი. „მე შევყურებდი ქალაქებს იმაზე დიდხანს, ვიდრე ჩვეულებრივ, რათა გონს

მოვსულიყავი“, — ასე დანერს მოგვიანებით ფილბი თავის მემუარებში „ჩემი წყნარი ომი“ (1968). მერე კი ცბიერ ფილბის ბედმა გაუღიმა. სწორედ იგი დანიშნეს სპეცსამსახურის იმ თანამშრომლად, ვისაც დაევალა გამგზავრება სტამბოლში, რათა შეხვედროდა ვოლკოვს. მაგრამ იმ დროისათვის, როცა ფილბი ჩააღწია სტამბოლს, ვოლკოვი უკვე უკვალოდ გამქრალიყო და მის შესახებ არავის აღარაფერი სმენია. ჩანს, ფილბი დაუკავშირდა საბჭოთა კურატორს ლონდონში, ამცნო მას ვოლკოვის მოსალოდნელი გაქცევა დასავლეთში და ამგვარად გადაწყვიტა ხვედრი უიბოლო დისიდენტისა.

1945 წლის სექტემბერში, როდესაც ვითარება ისევ საგრძნობლად გამწვავდა, ფილბი უკეთეს მზადყოფნაში დახვდა მოსალოდნელ განსაცდელს. დასავლეთს თავი შეაფარა ქოტავაში (კანადა) საბჭოთა საელჩოს მშობრავმა იგორ გუზენკომ და კანადის სპეცსამსახურთა წარმომადგენლების წინაშე შეუდგა ყველაფრის დაფქვას, რაც იცოდა. დაკითხვებს ესწრებოდა ბრიტანული საგარეო დაზვერვის თანამშრომელი, რომელიც მოსმენილის ანგარიშს ყოველდღე უგზავნიდა... ფილბის. ის კი გუზენკოს აღსარებებს აცნობდა რუსებს. და თუმცა გუზენკოს მიერ გადაცემულ ინფორმაციას მოჰყვა „გერეუს“ პოლკოვნიკ ნიკოლაი ზაბოტინის, ინგლისელი ფიზიკოსის ალან მისის და სხვა საბჭოთა მსტოვრების გამომჟღავნება, ფილბი ამჯერადაც არ დაზარალებულა.

იმავე 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დროს დაზვერვის დარგში დამსახურებისათვის ფილბი დააჯილდოვეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენით. მისი წარდგენა ჯილდოზე პირადად მენზისმა დანერა. საზეიმო ცერემონია დაჯილდოებისა ჩატარდა ბუკინგემის სასახლეში. იქიდან რომ ბრუნდებოდნენ, ფილბი ამერიკულ „სი-აი-ვის“ თანამშრომელს ჯეიმზ ენგელტონს გადაულაპარაკა: „რაც ამ ქვეყანას ახლა აკლია, ეს არის ერთი ხომიანი პორცია სოციალიზმისა!“ შემდგომში ენგელტონი იხსენებდა, რომ ფილბის ნათქვამმა ლაბის თავზარი დასცა და გონებაში ჩაინიშნა.

1946 წელს ფილბი ცოლად შეირთო ეილინ ფურსი, ვისაც იცნობდა და ვისთანაც ცხოვრობდა 1940 წლიდან. იგი მუშაობდა ბლექტლი პარკში [ბრიტანეთის ამოშიფრვის სამსახურის შტაბ-ბინა]. ეილინმა ფილბის უშვა სამი შვილი ჯერ კიდევ დაქორწინებამდე და კვლავ ფეხმძიმედ იყო დაქორწინებისას (რათა ცოლად შეერთო ეილინი, ფილბის მოუწია განქორწინება ლიტვი ფრიდმანთან. ბრიტანული კონტრდაზვერვის თანახმად, ეს ქალი იმხანად ცხოვრობდა საბჭოთა აგენტთან აღმოსავლეთ ბერლინში. ადრე, როდესაც ლიტვი იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, იგი მსტოვრობდა რუსების სასარგებლოდ. მაგრამ არც ამას, არც მის კომუნისტურ მსოფლმხედველობას არავითარი ვნება არ მიუყენებია ფილბისათვის, ვინც კვლავინდებური ნდობით სარგებლობდა თავის უწყობში).

1946 წლის დამლევს ფილბი დანიშნეს სტამბოლში „ინტელიჯენს სერვისის“ იქაური ბიუროს უფროსად. ხელმძღვანელობას სურდა, რომ მას ოპერატიული მუშაობის გამოცდილება შეეძინა. იმ ორი წლის მანძილზე, ფილბი თურქეთში რომ გაატარა, მან რამდენიმე აგენტი გაგზავნა საბჭოთა თურქესტანში (რაც წინასწარ ამცნო რუსებს). იმავე სტამბოლში საბჭოთა კურატორმა ჰკითხა ფილბის, თუ რა იცოდა მან „ეფ-ბი-ის“ გამოძიების შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა ვაშინგტონში ბრიტანეთის საელჩოს მიმართ. ეს იყო გამოძახილი გრანდიოზული ოპერაციისა („ვენონას“), საბჭოთა საიდუმლო მიმონერის გაშიფრვას რომ ახორციელებდა. ამერიკელთა მიერ ამოკითხული ზოგიერთი დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ ბრიტანეთის საელჩოში (აშშ) მოქმედებდა საბჭოთა მსტოვარი.

სტამბოლში ორწლიანი მუშაობის შემდეგ ფილბი წარგზავნეს „ინტელიჯენს სერვისის“ წარმომადგენლად აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წიაღში. ეს გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები პოსტი ბრიტანულ დაზვერვაში. ფილბის გამოთქმით, იდგა „მსტოვართა ერა“: ალჯერ

ჰისი, ჯუდიტ კოპლონი, კლაუს ფუქსი, ჰარი გოლდი, დევიდ გრინგლასი, იულიუს და ეთელ როზენბერგები. ფილბის ჰქონდა კონტაქტი აგრეთვე კანადის სპეცსამსახურებთან, რაც აძლევდა შესაძლებლობას, თვალი ედევნებინა გამოძიებისათვის, რომელიც დაიწყო გუზენკოს მხილებათა შედეგად.

1949 წელს, ვაშინგტონს გამგზავრებამდე, ფილბის გაესაუბრა სერ მორის ოლდფილდი, რომელმაც დაიკავა მისი წინარე თანამდებობა IX განყოფილების უფროსისა. ოლდფილდმა უამბო ფილბის ოპერაცია „ვენონას“ და „ატომურ მსტოვართა ჯგუფის“ საქმეთა გამოძიების შესახებ.

ვაშინგტონში ფილბის შეუზღუდავი დაშვება მიეცა ამერიკულ სპეცსამსახურთა მასალებზე (სამხედრო დაზვერვის სტრუქტურების გამოკლებით, რომლებიც ინგლისელებს სხვა არხებით უცვლიდნენ ინფორმაციას). ფილბი საკმაოდ დაუახლოვდა ენგელტონს, რომელიც იმხანად სათავეში ედგა „სი-აი-ვის“ სტრატეგიულ ოპერაციათა სამმართველოს. კვირაში ერთხელ ერთად სადილობდნენ ხოლმე რესტორანში „ჰარვიზი“ (იქ, სხვათა შორის, უყვარდა სიარული ედგარ ჰუვერს, მაგრამ ეს სუფთა დამთხვევაა) და საუბრისას ერთმანეთს უცვლიდნენ ინფორმაციას. „ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა აიხსნებოდა გულწრფელი ადამიანური კეთილგანწყობით ერთიმეორისადმი“, — წერდა შემდგომში ფილბი. — ჩვენ ვსაუბრობდით ყველაფერზე... არ ძალმიძს იმის თქმა, თუ რომელ ჩვენგანს უფრო აძლევდა ხელს ეს რთული თამაში. მე ვიცოდი, რას აკეთებდა ენგელტონი „სი-აი-ვი“-ში. იმანაც იცოდა, რას ვაკეთებდი, „ინტელიჯენს სერვისში“. ოლდნი მის წინაშე ერთი უპირატესობა მქონდა: მას წარმოადგენდა არ ჰქონდა, რას ვაკეთებდი მე სინამდვილეში“.

ადრე ენგელტონი იყო სტრატეგიულ სამსახურთა სამმართველოს წარმომადგენლად რომში. იქ მან გაიცნო ტედი კოლეკი, რომელიც მსახურობდა იმ ორგანიზაციაში, ისრაელის მთავარ სადაზვერვო სამსახურად გადაქცევა რომ ეწერა შემდგომში. კოლეკი, თავის მხრივ, 1934 წელს იმყოფებოდა ვენაში და, შესაძლოა, მოეხსენებოდა ფილბისა და ლიტვის დაქორწინების ამბავი. მოგვიანებით იგი გახდა იერუსალიმის მერი, 1949 წელს ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ვაშინგტონში და უეჭველად შეხვედებოდა თავის ძველ მეგობარს ენგელტონს. წლები რომ გავიდა, ალაპარაკდნენ, თითქოსდა კოლეკმა უამბო ენგელტონს ფილბის ურთიერთობა კომუნისტებთან 30-იან წლებში და მან ეჭვი აიღო, რომ ფილბი „ორმაგი აგენტი“ იყო. თუკი ეს ასეა, შესაძლოა, ენგელტონი იყენებდა ფილბის, მაშინ როდესაც ფილბი ფიქრობდა, რომ იგი იყენებდა ენგელტონს. მაგრამ ამერიკულ სპეცსამსახურთა ოფიციალური წყაროები ზემოხსენებულ ვარაუდს უარყოფენ.

ფილბის, როგორც ბრიტანული დაზვერვის წარმომადგენელს, შეერთებულ შტატებში ხვდებოდა აგრეთვე ამერიკელი მშობრავი მერედით გარდნერი. ამ ქალს მიუკუთვნება საკვანძო როლი ოპერაცია „ვენონას“ წარმატებაში. მან ფილბის უჩვენა გამიფრულ საბჭოთა დოკუმენტთაგან ზოგიერთი და უთხრა, რომ სავარაუდო აგენტი მოკალათებულია ბრიტანეთის „ფორინ-ოფისში“. ფილბი მიხვდა, რომ გამომჟღავნება ემუქრებოდა მის ამხანაგს — დონალდ მაკლინს და გააფრთხილა „კაგებე“.

მან აგრეთვე აფრინა დეპეშა ლონდონს, „ინტელიჯენს სერვისის“ შტაბ-ბინაში, სადაც აღნიშნა, რომ ორი საბჭოეთის-დან გაქცეული — ვოლკოვი და ვალტერ კრივიცი — მიანიშნებდა, რომ „ფორინ-ოფისის“ ერთ-ერთი მალაჩინოსანი პირი (კარგი ოჯახიშვილი), დაწყებული 30-იანი წლებიდან, არის საბჭოთა საიდუმლო აგენტი. ეს დეპეშა თავისებური მტკიცებულება იყო იმისა, რომ ფილბი რუსებს არ ემსახურებოდა. ამ დეპეშის გამოსობით მაკლინის მდგომარეობა კიდევ უფრო შემამოფოთებელი შეიქნა, მაგრამ ფილბი დროულად გააფრთხილა იგი და დაეხმარა, რომ თავი გადაერჩინა.

ბიორჯესი და მაკლინი გაიქცნენ საბჭოთა კავშირში 1951 წლის მაისში. ბრიტანელმა და ამერიკელმა კონტრამზვერავებმა მყისვე ეჭვის თვალი დაადგეს ფილბის. მან მიაშურა ერთ

უდაბურ ადგილს ვირჯინიის შტატში და დამალა იქ მსტოვრული ფოტოაპარატი და სხვა მონყოილობანი, რითაც სარგებლობდა საიდუმლო დოკუმენტთა კოპირებისას. თავი იგრძნო სრულიად უმნიშვნელოდ და დამშვიდდა. ფილბი იცოდა, რომ ვერც ინგლისელები და ვერც ამერიკელები ვერ გაბედავდნენ ამკარად დაედოთ მისთვის ბრალი უმალესი ხელმძღვანელობის ნებადაურთველად, ხოლო ზემდგომთა სანქციას სჭირდებოდა უდავო სამხილნი, რომლებიც არ მოეპოვებოდათ.

მაგრამ ენგელტონის დაეჭვება იმდენად ძლიერი იყო, რომ მან დაიყოლია აშშ ცენტრალური დაზვერვის იმჟამინდელი დირექტორი უოლტერ ბედელ სმიტი, „ინტელიჯენს სერვისისთვის“ მიემართა თხოვნით — გაენვიათ ფილბი ამერიკიდან. გენერალი სმიტი ამ თხოვნას ამართლებდა იმით, რომ ინგლისელმა დაკარგა „სი-აი-ვის“ ნდობაო. ჰუვერიც (გვბ) დაეთანხმა სმიტს. ფილბი დაბრუნდა ლონდონში, ხოლო ფეხმძიმე ელინი ერთხანს კიდევ რჩებოდა ვაშინგტონში.

ბრიტანულმა კონტრდაზვერვამ დააპატიმრა ლონდონში ჩასული ფილბის პასპორტი და დაპატიმრა იგი ბიორჯესსა და მაკლინთან მისი მეგობრობის თაობაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ფილბიმ განაცხადა, რომ მას არ მეგობრობდა და სულ რაღაც ორჯერ მოუკრავს თვალი ჯერ კიდევ კემბრიჯში სწავლისას. მიუხედავად ამგვარი მტკიცებისა, ივლისში იგი დაითხოვეს სამსახურიდან და გადაუხადეს გამოსასვლელი შესანდარი 2000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

ფილბი დაუბრუნეს პასპორტი და „ინტელიჯენს სერვისის“ შეფის სერ ჰუი სინკლერის პროტექციით, იგი მოეწყო „ობსერვერის“ და „ეკონომისტის“ კორესპონდენტად ახლო აღმოსავლეთში.

ამასობაში ღრუბლები თანდათანობით გროვდებოდნენ მის თავზე. პრესაში გავრცელდა ხმა, რომ საბჭოეთიდან გაქცეული ვლადიმერ პეტროვმა, ბიორჯესისა და მაკლინის გაქცევის თხრობისას, ფილბი დაასახელა მსტოვართა ჯგუფის „მესამე კაცად“. ამ მეტსახელს ხანგრძლივი სიკიცხელი ეწერა. 1955 წლის 25 ოქტომბერს პარლამენტის რომელიღაც წევრმა პირდაპირ ჰკითხა პრემიერ-მინისტრს ენტონი იდენს, არის თუ არა ფილბი „მესამე კაცი“? ოდნავ მოგვიანებით საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა, რომელმაც შეცვალა იდენი პრემიერის პოსტზე, საჯაროდ ჩამოხსნა ფილბის ყველა დაეჭვება.

ფილბი გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე ფასეული საბჭოთა აგენტებიდან, რომელზეც გადიოდა უმალესი ხარისხის საიდუმლოებათა მქონე სტრატეგიული ინფორმაცია. ასე მაგალითად, ვაშინგტონში ყოფნისას მან შეიტყო ანგლო-ამერიკული გეგმები ალბანეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობისა. საამისოდ დასავლეთს განზრახული ჰქონდა, ზღვითა და ჰაერით გადაესროლა იქ რამდენიმე ასეული დივერსანტი. რუსებმა ფილბის ინფორმაცია ალბანელებს გადასცეს, ისინი კი თავით ფეხამდე შეიარაღებულნი დახვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს და თითქმის ერთიანად გაუღტეს. თითო-ოროლა გადარჩენილი კი ტყვედ იგდეს.

ცოტა ხნის შემდეგ ფილბი, როგორც უურნალისტი, გაემგზავრა ბეირუთს. მის დამქირავებლებს არ აცნობეს, რომ კორესპონდენტის თანამდებობა მხოლოდ საფარი იყო მისთვის. საქმე ისაა, რომ ფილბი — დაუჯერებელია! — „ინტელიჯენს სერვისის“ კვლავ აიყვანა სამსახურში. ბეირუთში მას მაშინვე დაუკავშირდნენ „კაგებეს“ წარმომადგენლები. ფილბის საბჭოთა კურატორის სიტყვით, მონაცემები, რომელთაც გადასცემდა ფილბი, ძირითადად, წარმოადგენდა პოლიტიკათა პარტიების ფასეულ კომენტარს და არა — სადაზვერვო ცნობებს. როდესაც ბეირუთში „ინტელიჯენს სერვისის“ ბიუროს უფროსად დანიშნეს ფილბის ძველი მეგობარი და თანამოსამსახურე ნიკოლას ელიოტი, ფილბი მისი ნდობით აღჭურვილი პირი გახდა.

ბეირუთში ფილბი შეხვდა მამას. ელინი, ცოლი ფილბისა, და ხუთი შვილი დარჩნენ ინგლისში. 1957 წლის 11 დეკემბერს ელინი გარდაიცვალა. ტუბერკულოზმა გაურთულა გულის მდგომარეობა. მამინ ფილბიმ ცოლად შეირთო ელეონორ ბრიუერი, „ნიუ-იორკ ტაიმის“ კორესპონდენტ სემ ბრიუერის მეუღლე, რომე-

ლიც 1959 წლის იანვარში გაეყარა ქმარს ლონდონში, ცოლად გაჰყვა ფილბის და დაბრუნდა ბეირუთში მის შვილებთან ერთად.

1961 წლის დეკემბერში წრე ფილბის გარშემო კვლავ შეიკრა. დასავლეთში გაიქცა „კაგებეს“ თანამშრომელი ანატოლი გოლიცინი. 1962 წლის ზაფხულში იგი დაკითხეს „სი-აი-ვი“-ში, რის შედეგადაც კონტრმზვერავებმა დაასკვნეს, ფილბი მსტოვარი არისო (1961 წელს ბრიტანულ სპეცსამსახურთა თანამშრომელს ჯორჯ ბლეიკს, რომელიც რუსებსაც ემსახურებოდა, მიუსაჯეს პატიმრობა 42 წლით. და ფილბი ვარაუდობდა, რომ გამომჟღავნების შემთხვევაში მასაც ანალოგიური ხვედრი ელოდა).

1962 წლის დამლევს „ინტელიჯენს სერვისში“ გადაწყვიტეს, რომ არსებული სამხილები საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მისდგომოდნენ ფილბის და მისგან აღიარება მიეღოთ. ნიკოლას ელიოტმა, რომელიც იმჟამად ლონდონში იმყოფებოდა, თავად განაცხადა, ამ მისიას მე შევასრულებო. 1963 წლის იანვარში იგი შეხვდა ფილბის და უთხრა: „კი, მე გადმოგიგდებ საშველ რგოლს. გპირდებით, რომ შენი თანამშრომლობის საზღაურად სამართალში არ მიგცემთ“. მეორე დღეს ფილბი ეახლა ელიოტს და წარუდგინა ორგვერდიანი აღიარება. მომდევნო სამი დღის განმავლობაში ელიოტი ფილბისგან იღებდა ახალ და ახალ აღიარებებს, მერე კი დაბრუნდა ლონდონში და მარჩიელობდა: კიმი თავს მოიკლავს თუ არაო?

მაგრამ ფილბიმ გაქცევით უშველა თავს. „კაგებეს“ თანამშრომლებმა ბეირუთში დამალვა იგი საბჭოთა სატეროტო გემზე, რომელიც ოდესში მიდიოდა. ხოლო 1963 წლის 3 ივლისს რუსებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ფილბიმ საბჭოთა მოქალაქეობა მიიღო და მოსკოვში იმყოფება. მოგვიანებით ფილბი გახდა ერთადერთი კაცი დედამიწის ზურგზე, რომელსაც მინიჭეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი და საბჭოთა წითელი დროშის ორდენი. იგი განაგრძობდა მუშაობას „კაგებეში“, და, ზოგიერთი მონაცემით, არცთუ მცირე როლი ითამაშა ამ ორგანიზაციის მომავალი თავმჯდომარის იური ანდროპოვის კარიერულ აღზევაში. მეშუარეობაც ჩაუჯდა და გამოსცა წიგნი სათაურად „ჩემი წყნარი ომი“.

1963 წლის სექტემბერში ელეონორ ფილბი შეუერთდა ქმარს მოსკოვში, მაგრამ უკვე მომდევნო წელს, შტატებში მგზავრობიდან რომ დაბრუნდა, შეიტყო, რომ ფილბი ხვდებოდა მელინდას (დონალდ მაკლინის მეუღლეს). 1965 წლის მაისში ელეონორი სამუდამოდ გადაბარგდა ამერიკაში. სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე მან დაწერა წიგნი „მსტოვარი, რომელიც მიყვარდა“.

მელინდამ 1966 წელს მიატოვა ფილბი და გარკვეული ხნის შემდეგ ისიც დაბრუნდა შეერთებულ შტატებში (წარმოშობით ამერიკელი იყო). მოგვიანებით ფილბიმ, ჯორჯ ბლეიკის მეშვეობით, გაიცნო ლამაზი რუსი ქალი რუფინა ივანოვა, რომელიც მასზე თითქმის ოცი წლით უმცროსი იყო. ისინი დაქორწინდნენ მოსკოვში 1971 წლის დეკემბერში.

1988 წლის მარტში ლონდონის გაზეთ „სანდი ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფილბიმ თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრებას თავისი სირთულეები აქვს, მე შეჩვეული ვარ ამ ქვეყანას და სხვაგან არსად ვისურვებდი ცხოვრებას. ეს ჩემი ქვეყანაა, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ვემსახურებოდი მას და აქ მიწა ვპოვო უკანასკნელი სავანე. მნადია, რომ ჩემი სული განისვენებდეს ამ მიწა-წყალზე“. ორი თვის შემდეგ, 11 მაისს, იგი გარდაიცვალა გულის უკმარისობით. ფილბი დაკრძალეს სამხედრო სასაფლაოზე კუნცევოში და მიაგეს პატივი, რომელიც ჩვეულებრივ ენიჭებათ „კაგებეს“ გენერლებს.

ცნობილი ბრიტანელი მწერალი ნაიჯელ ვესლეი თავის წიგნში „ციხვერი სია“ (1989) გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ფილბი სინამდვილეში „სამმაგი აგენტი“ ბრძანდებოდა და მუშაობდა ინგლისელთა სასარგებლოდ რუსების წინააღმდეგ.

1990 წელს საბჭოთა კავშირში გამოვიდა საფოსტო მარკების სერია, მიძღვნილი საბჭოთა მზვერავებისათვის; ერთერთ მათგანზე გამოსახულია ფილბის პორტრეტი“.

ყოველივე ზემოთქმულს მოგვითხრობს ამერიკული „შპინაჟის ენციკლოპედია“.

ანდრე ტარკოვსკი


სიტყვა აპოკალიფსზე

გამოსვლებს მაინცდამაინც ჩვეული არ ვარ, თან ისეთს, როგორსაც ახლა ვაპირებ და მითუმეტეს ისეთ ადგილას, როგორც ეკლესიაა. ცოტა მერიდება კიდევ ჩემი მიწიერი კონცეფციებისა. მაგრამ რადგანაც რაიმე ნინასნარ მომზადებული მოსხენება არ გამაჩნია, უბრალოდ შევეცდები ვისაუბრო, თუ რას ნიშნავს ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის — აპოკალიფსი. ვფიქრობ, ეს დამეხმარება კიდევ და თან ნათელს გახდის, თუ რატომ ვებედავ ამას აქ დღეს. ამ ფესტივალში ჩემი მონაწილეობის ფაქტი, მაგონი, უკვე აპოკალიფსური ხასიათს ატარებს. ვგულისხმობ იმას, რომ რამდენიმე თვის წინათ რომ შემეტყო ეს ამბავი, ვერაფრით დავიჯერებდი. თუმცა ბოლო დროს თვით ჩემი ცხოვრებაც გარკვეულწილად აპოკალიფსურად წარმართება. ასე რომ, ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილება, მაგონი, სავესებით ბუნებრივი და ლოგიკური.

„აპოკალიფსი“ ალბათ ყველაზე დიდი პოეტური ქმნილებაა, რაც კი ოდესმე შექმნილა დედამიწაზე. ეს ფენომენი მოიცავს ყველა მცნებას, რაც ადამიანს ზემოდან დაუდგინდა. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ იმთავითვე კამათობენ, წმინდა იოანეს „გამოცხადების“ ამათუმი ფრამენტის ინტერპრეტაციის გამო. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მივეჩვიეთ, რომ „გამოცხადება“ განიმარტება. ჩემი აზრით, ესაა ზუსტად ის, რისი გაკეთებაც არ ღირს, რადგანაც აპოკალიფსის განმარტება შეუძლებელია, რამეთუ აპოკალიფსში არ არის სიმბოლოები. ეს — ხატია, იმ გაგებით, რომ სიმბოლოს ინტერპრეტაცია შესაძლებელია, ხატისა კი — არა. სიმბოლოს გამოიყვანა შეიძლება, უფრო სწორად — შეიძლება აქედან გარკვეული აზრის გამოტანა, ან რაიმე ფორმულის მიგნება. მაშინ, როდესაც ხატის გაგება არ ძალგვიძს, არამედ მისი მხოლოდ აღქმა ან შეგრძნება შეგვიძლია, რადგან მას განმარტების უსასრულო ვარიანტები მოეპოვება. ის, თითქოს სამყაროსთან კავშირის უსასრულობას გამოხატავს, აბსოლუტურსა და დაუსაბამოს. აპოკალიფსი ამ ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია. ის ნიგნის ბოლო კარია, რომელიც კაცობრიობის ეპოპებს აგვირგვინებს — სულიერების გაგებით.

ჩვენ ძნელბედობისას გვიწევს ცხოვრება და ეს სიძნელეები ყოველწლიურად მატულობს. თუმცა ისტორიის იმდენი ცოდნა კი გვაქვს, რომ გვახსოვდეს, თუ რამდენჯერ იყო უკვე გამოცხადებული აპოკალიფსური ერა. ნათქვამია: „ნეტარია, ვინც კითხულობს და ისმენს ამ ნინასნარმეტყველების სიტყვებს და იმარხავს მასში დაწერილს, რადგანაც ახლოა ჟამი“ (გამოცხ.1:3). და მაინც, აქ დროის პირობითობა იმდენად ამკარია, რომ ზუსტად არ შეგვიძლია იმის თქმა, რაზეც იოანე წერს. ეს შეიძლება სხვადასხვა მოხდეს და ათასწლეულების შემდეგაც. ადამიანის სულიერი მდგომარეობის მთელი აზრიც ისაა, რომ საკუთარი არსებობის გამო პასუხისმგებლობა იგრძნოს. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ „გამოცხადება“ მაშინ დაწერილიყო, როცა ცხოვრება განვლილია. ამიტომაც არ შეიძლება „აპოკალიფსის“ ტექსტიდან არავითარი დასკვნის გამოტანა დროის — როგორც ასეთის — თაობაზე.

ალბათ შენიშნავდით, რომ „აპოკალიფსი“ დატვირთულია თარიღებითა და ზუსტი ციფრებით. სახელდება მსხვერპლთა და მონამეთა რაოდენობები. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არაფერს ნიშნავს. ეს თითქოს მხოლოდ ერთგვარი სისტემაა, რომელიც ემოციურად აღიქმება. ციფრები, ზუსტი თარიღები მნიშვნელოვანია, როცა საქმე ადამიანის ბედისწერას ეხება — მომავლის განჭვრეტას. ერთ მაგალითს მოვიყვან: ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა ნიგნი „რობინზონ კრუზო“.



ყოველთვის მომწონდა და აღმაგზნებდა კიდევ იმის ჩამონათვალი, თუ რა გამოირიყა ზღვამ ნაპირზე, რამაც რობინზონის ავლადიდება შეადგინა. ჩვენ მატერიალურულად ვცხოვრობთ და დროსა და სივრცეს ვებლაუჭებით. ანუ ამ ფენომენთა წყალობით ვარსებობთ და ძალიან მგრძობიარენი ვართ მათ მიმართ, რადგან ისინი ჩვენს ფიზიკურ ყოფას ჩარჩოებში აქცევენ. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი. მაშასადამე აქვს არჩევანის თავისუფლებაცა და შემოქმედების მოთხოვნილებაც. ბოლო დროს, უფრო სწორად — უკვე დიდი ხანია, ჩვენ თავს ვეკითხებით: ხომ არ არის შემოქმედება ცოდვა? რატომ გვიჩნდება ასეთი კითხვა თუკი ვიცით, რომ სწორედ შემოქმედება მიგვანიშნებს, ყველას ერთი მამა გვყავსო. რატომ გვიჩნდება, მე ვიტყვოდი — ასეთი საშინელი აზრი? იმიტომ, რომ ბოლო ასწლეულის კულტურულმა კრიზისმა იქამდე მიიყვანა ხელოვანი, მას ყოველგვარი სულიერი კონცეფციის გარეშე შეუძლია მოღვაწეობა, როცა ხელოვნება თითქოს ინსტინქტს ემსგავსება. ხომ ცნობილია, რომ ზოგიერთ არსებასაც კი გაჩნია ესთეტიკის განცდა და შეუძლია რაიმე დასრულებული შექმნას — ფორმალური, ნატურალისტური გაგებით. ვთქვათ — ფიჭა, რომელსაც ფუტკარი აკეთებს, რათა იქ თავი დააფაროს. ხელოვანი — ნიჭს, რომელიც მას მიეცა, ისე ეპყრობა, როგორც თავის საკუთრებას. აქედან მომდინარეობს მცდარი აზრიც, თითქოს ნიჭი არაფერს გვაგვალდებულებს. ამით აიხსნება სულიერების ის უკმარისობაც, რომელიც თანამედროვე ხელოვნებაშია გამეფებული. ხელოვნება ან ფორმალისტურ ძიებადაა გადაქცეული, ან გასაყიდ საქონლად. იმის მტკიცებას აღარ შევუდგები, რომ კინო ამ მოცემულობის მწვერვალზე იმყოფება. ის ხომ გასული საუკუნის ბოლოს, სწორედ შემოსავლის მიღების მიზნით — ბაზრობებზე დაიბადა.

ამას წინათ ვატყავს მუზეუმში გახლდით. იქ უამრავი დარბაზია, რომელიც თანამედროვე სასულიერო ფერწერას ეთმობა. მაგრამ ეს უნდა ნახოთ, რადგან ეს საშინელება! არ მესმის, რატომ უჭირავთ მათ ასეთი მუზეუმის კედლები ან როგორ შეუძლიათ მორწმუნეთათვის შთაგონების მინიჭება, მითუმეტეს კათოლიკური ეკლესიის მესვეურთათვის. ეს — წარმოუდგენელია!

ახლა კი — დღევანდელი კრიზისზე. ჩვენ მცდარ სამყაროში ვცხოვრობთ. ადამიანი თავისუფალ და უშიშარ არსებად შეიქმნა. მაგრამ ჩვენი ისტორია გაჯერებულია მაგალითებით, როცა ბუნებისგან დამალვასა და თავდაცვასაც კი ვცდილობთ, რაც სულ უფრო გვაიძულებს ერთმანეთს მივეტმასნოთ. ჩვენ ვურთიერთობთ არა იმიტომ, რომ ეს მოგვწონს, ან ამით სიამოვნებას ვიღებთ, არამედ იმიტომ, რომ გვემინია. ეს ცივილიზაცია მცდარია, თუკი მსგავს პრინციპს ეფუძნება. ყოველი ახალი ტექნოლოგია, მთელი ეს ტექნიკური პროგრესი, რომელიც ისტორიას თან ახლავს, სინამდვილეში პროთეზს წარმოადგენს. ის ხელებს გვიგრძელებს, მზერას გვიმახვილებს, შესაძლებელს ხდის უფრო სწრაფად გადავადგილდეთ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ახლა გაცილებით ჩქარა ვმოძრაობთ, ვიდრე გასულ საუკუნეში. მაგრამ ამის გამო უფრო ბედნიერნი არ გავხდარავართ. ჩვენი პიროვნება, ასე ვთქვათ — ჩვენი პერსონალურობა,

საზოგადოებასთან კონფლიქტშია ჩართული. ჩვენ ჰარმონიულად სულაც არ ვვითარდებით. ჩვენი სულიერი განვითარება იმდენად ჩამორჩება, რომ უკვე ამ ყოვლისნამდევანი ტექნოლოგიური პროცესის მსხვერპლნი ვაგხდით. უკვე აღარ შეგვიძლია ამოგვივინთოთ ამ მორვეიდან, ძალიანაც რომ მოვინდომოთ. შედეგად, როცა კაცობრიობას ახალი ენერჯის მოთხოვნილება გაუჩნდა, შემდგომი ტექნოლოგიური განვითარებისათვის და როცა მან ამ ენერჯის მიაგნო, მაშინ ის ზნეობრივად მოუზადებელი აღმოჩნდა, რათა თავის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა იგი. ჩვენ იმ ველურებს დავემსგავსეთ, რომლებმაც არ იცოდნენ, რაში გამოიყენონ ელექტრო მიკროსკოპი — ლურსმნების ჩასაჭედებლად თუ კედლების დასანგრევად. ნათელია, ჩვენ იმ სისტემის ტყვეობაში აღმოვჩნდით, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია.

შემდგომ ისტორიულ განვითარებასთან ერთად იმდენად უცხონი ვაგხდით — იმდენად აღარ გვჯერა ერთმანეთისა, რომ შეგვიძლია ერთმანეთსაც კი დავეხმაროთ, ოღონდაც გადავრჩეთ. თან ყოველი ჩვენგანი პერსონალურად არც მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პიროვნებას არავითარი ფასი არ გააჩნია. ანუ ვკარგავთ იმას, რაც იმთავითვე გვეუბრა — არჩევანის თავისუფლებას, თავისუფალ ნებას. აი, რატომ ვაფასებ ჩვენს ცივილიზაციას, როგორც მცდარს. რუსმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ნიკოლაი ბერდიაევმა ზუსტად შენიშნა, რომ ცივილიზაციის ისტორიაში ორი ეტაპია. პირველი — კულტურისა, როცა ადამიანის განვითარება მეტ-ნაკლებად ჰარმონიულია და სულიერ საფუძველს ემყარება. და მეორე — არაადამიანური ჯაჭვური რეაქცია, როცა ეს დინამიკა კონტროლს აღარ ექვემდებარება, სადაც საზოგადოება კარგავს კულტურას.

რა არის აპოკალიფსი? როგორც მოგახსენებთ, ჩემი აზრით, ადამიანის სულის ხატია — თავისი მოვალეობითა და პასუხისმგებლობით. ყოველი ადამიანი გადის იმას, რაც წმინდა იოანეს „გამოცხადების“ თემაა. ანუ შეუძლებელია ამის გაუფლგობა. საბოლოოდ, სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონამეობა და აღსასრული შინაარსობრივად ტოლფასი ცნებებია. პიროვნება ენამება და აღესრულება, ისტორიული ციკლი სრულდება და ენამებიან და აღესრულებიან მილიონები. ადამიანს ხომ მხოლოდ იმ ბარიერის გადალახვა ძალუძს, რაც მას დაუწყესდა.

ახლა კონკორმიზმზე. იოანეს „გამოცხადებაში“ ნათქვამია: „ვიცი შენი საქმენი: არც ცივი ხარ და არც ცხელი: ოჰ, ნეტა ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან“ (გამოცხ.3:15,16). ანუ გულგრილობა, უმოქმედობა ცოდვას უთანაბრდება, ე. ი. დანაშაულს ღვთის წინაშე. მეორე მხრივ: „ვიც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი. მაშ ეშურე და შეინანე“ (გამოცხ.3:19). ერთი სიტყვით, ეს მონანიების განცდაა გზის დასანყისი. ასეთი გრძნობა სხვადასხვაგვარად ეუფლება სხვადასხვა ადამიანს, სხვადასხვა დროს. დოსტოევსკი ავიღოთ. არსებობს ვერსია, რომ ის რელიგიური, მართლმადიდებელი მწერალია, რომელმაც საკუთარი რწმენისა და ძიების საკითხები აღწერა. მე კი მგონია, რომ ეს მთლად ასე არაა. დოსტოევსკიმ თავისი აღმოჩენები მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ იგი გახლდათ პირველი, ვინც იგრძნო და ასახა სულიერების უქონლობის პრობლემა. მისი გმირები იტანჯებიან იმიტომ, რომ არ შეუძლიათ სწამდეთ. თუმცა სურთ, მაგრამ დაკარგეს რწმენის ნიჭი. მათი სინდისი ატროფირებულია. ამიტომ ხდებოდა დოსტოევსკი წლიდან წლამდე სულ უფრო ახლობელი — მოღუროს კი, სწორედ იმის გამო, რომ ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. რადგან ყველაზე ძნელია — გნამდეს. რადგანაც, სასწაულის მოლოდინში ყოფნა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ბედნიერია ვისაც აქ გაუმართლა, მაგრამ ცოტა თუ შეძლებს ამით დაიკვებოს. თავი ბედნიერად და თავისუფლად რომ იგრძნოს, აუცილებელია უშიშარობა.

რალაც ჯადოსნური ხერხებით ყველა ეს პრობლემა ასახული აპოკალიფსიში. საბოლოოდ — „აპოკალიფსი“ ბედისწერაზე მოგვითხრობს. ადამიანის ბედზე, რომელიც როგორც პიროვნება, საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. როდესაც ბუნება

რომელიმე სახეობას გადაშენებისგან იხსნის ხოლმე, მაშინ ეს სახეობა ყოფიერების დრამას ველარ აღიქვამს. იმდენად, რამდენადაც ადამიანი თავის გზას თვითონ ირჩევს, არჩევანის თავისუფლების წყალობით მას არ შეუძლია გადაარჩინოს ყველა, არამედ მხოლოდ საკუთარი თავი. მაგრამ მან უნდა იხსნას სხვებიც. ჩვენ არ ვიცით, რა არის სიყვარული. უაღრესად ხელაღებით ვეპყრობით საკუთარ თავს. არასწორად გვესმის, რას ნიშნავს გვიყვარდეს საკუთარი თავი და ამისი გვერიდება კიდევ, რადგან ვფიქრობთ, საკუთარი თავის სიყვარული ეგოისტობას ნიშნავსო. ეს შეცდომაა, რადგან სიყვარული — მსხვერპლია, იმ გაგებით, რომ ადამიანი ვერ გრძნობს ამას, მაგრამ ეს გვერდიდან შესამჩნევია, სხვების მიერ. თქვენ რა თქმა უნდა ეს იცით. ხომ გახსოვთ: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ანუ საკუთარი თავის სიყვარული ყველა გრძნობის საფუძველია. და არამხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანმა შეიმეცნა საკუთარი თავი და არსებობის აზრი, არამედ იმიტომაც, რომ ყველაფერი ყოველთვის საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოს.

იმის თქმა როდი მსურს, რომ დიდ წარმატებას მივალნი იმაში, რაზედაც ვესაუბრებით და რალაქმაუნდა სამაგალითოდაც არავისთვის გამოვდგები. პირიქით — მიმანია, რომ ყველა უბედურების სათავე ისაა, რომ საკუთარ თავს ყურს არ ვუგდებ. სამწუხაროდ, გარემოებებიცა და შედეგიც ნათელია, რომელთანაც მცდარ შეხედულებებს მიყვავართ. მაგრამ უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ „აპოკალიფსი“ მხოლოდ სასჯელის კონცეფციას შეიცავს. ალბათ, მთავარი, რასაც ის გამოხატავს, იმედია. მიუხედავად იმისა, რომ ახლოა ჟამი ყოველი ჩვენგანისათვის პერსონალურად, მთლიანობაში ყველასთვის — არასდროსაა გვიან. აპოკალიფსი ცალ-ცალკე თითოეულ ჩვენგანს აფრთხობს, მაგრამ ყველასთვის ერთად — იმედია და ამ გაგებითაა ის „გამოცხადება“. საბოლოოდ ესაა დიალექტიკა, გამოხატული ხატებით. ის ხელოვანისთვის ისეთი შთაგონების წყაროა, უნებურად გაოცებს, თუ რამდენი საყრდენი ნერტილის პოვნას ახერხებ აქ, სულის ნებისმიერი მდგომარეობისთვის.

დროისა და სივრცის გაქრობის თაობაზე, მათ გარდაქმნაზე ნათქვამია გამოგნებელი სიტყვები. აი, სივრცის შესახებ: „და დაცივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღის ხე, მიქნევარე ქართი რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილესს. და გრავნილივით შეგრავნილი შეიკრა ზეცა და ყოველი მთა და კუნძული თავ-თავიანთი ადგილებიდან იძრნენ“ (გამოცხ.6:13,14). გრავნილივით შეგრავნილი შეიკრა ზეცა — ამაზე მშვენიერი არაფერი წამიკითხავს. ან კიდევ, მეშვიდე ბეჭდის ახსნის მომენტი. უკეთესად როგორ შეუძლია ხელოვანს გადმოსცეს ეს, როგორ შეიძლება აღწერო დაძაბულობაცა და მოლოდინიც, თუ არა: „და როცა ახსნა მეშვიდე ბეჭედი, ასე, ნახევარი საათით დღემილი ჩამოვარდა ზეცას“ (გამოცხ.8:1). როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა — აქ კომენტარი ზემდებელია. ახსნილია მეშვიდე ბეჭედი და რა ხდება? არაფერი! სიჩუმე ისადგურებს. წარმოუდგენელია! აქ ხატის არარსებობა ყველაზე ძლიერი ხატია, რომლის წარმოდგენაც კი შესაძლებელია. საოცარია!

არის ასეთი წიგნი, რომელშიც ავტორმა — კასტანედამ — აღწერა ერთი ჟურნალისტის ამბავი, ანუ საკუთარი ამბავი, თუ როგორ სწავლობდა ერთ მექსიკელ ჯადოქართან. ეს უაღრესად საინტერესო წიგნია. მაგრამ საქმე ეს როდია. გაჩნდა ლეგენდა, რომ არავითარი ჯადოქარი არ არსებობდა, არც დღიურები ყოფილა, ყოველივე კი კასტანედამ გამოიგონა: საკუთარი სწავლება, რომლის მეშვეობითაც სამყაროს შეცვლა სურდა, ჯადოქარიც და მისი მეთოდიც. მაგრამ ეს საქმეს სულაც არ ამარტივებს. პირიქით — ართულებს კიდევ. ანუ თუ ეს ყოველი ერთი ადამიანის მოგონილია, კიდევ უფრო დიდი საოცრება ყოფილა, ვიდრე ის, რომ ყველაფერი მართალი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ მხატვრული სახე საბოლოოდ ყოველთვის საოცრებაა.

ისევ ნაწყვეტი მეთავე თავიდან. დროის შესახებაც არაჩვეულებრივად ნათქვამი: „ხოლო ანგელოზმა, რომელიც ვიხილე ზღვასა და ხმელზე მდგარი, თავისი ხელი აღაპყრო ზეცად, და

დაიფიცა ცოცხალი უკუნიითი უკუნისამდე, რომელმაც შექმნა ცა და ყოველივე ციური, მინა და ყოველივე მიწიერი, ზღვა და ყოველივე ზღვიური, რომ უკვე აღარ იქნება დრო“ (**გამოცხ.10:5,6**). ეს ყველაფერი დაპირებას, იმედს ჰგავს. და მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც გამოცხადდა რჩება, რადგან „აპოკალიფსი“ არის ერთი ადგილი, რომელიც „გამოცხადების“ კვალობაზე ძალიან უცნაურადაა დაწერილი: „და როცა შეიძლება ქუხილმა გაიღო თავისი ხმა, მე დავაპირე წერა, მაგრამ ჩამესმა ხმა ზეცით, რომელმაც მითხრა: დაბეჭდე, რაც თქვა შეიძლება ქუხილმა, და ნუ დაწერ“ (**გამოცხ.10:4**). საინტერესოა, რა დაგვიძალა იოანემ? მაგრამ რატომ გაგვანდო, რომ დაგვიძალა? რას ემსახურება ეს ინტერმედია, რემარკა? რა არის ის, რაც ადამიანმა არ უნდა იცოდეს? ანგელოზთან მისი ურთიერთობის დეტალები? „გამოცხადების“ მთელი აზრი ხომ სწორედ ისაა, რომ ადამიანს ეუწყოს. იქნებ თვითონ ცოდნას მოაქვს უბედურება? გახსოვთ: ცოდნა ამრავლებს მწუხარებას. თუ ჩვენივე მომავალი დაგვიძალა? ან მისი რომელიმე ფრაგმენტი. მე რომ მკითხოთ, საერთოდ ვერც შევძლებდი ცხოვრებას, საკუთარი მომავალი რომ მცოდნოდა. მაშ ცხოვრება აზრს კარგავს, თუკი მისი ბოლო წინასწარაა ცნობილი. რა თქმა უნდა აქ მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას ვგულისხმობ. არის აქ რალაც წარმოდგენილი, სრულიად ზეადამიანური კეთილშობილება, რომლის წინაშეც ადამიანი თავს, ერთდროულად მიუსაფარ და თან დაცულ ახალშობილად გრძნობს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ჩვენი ცოდნა სრულყოფილი არ ყოფილიყო, რომ არ შეგვებულა მარადისობა, გვქონოდა იმედი. არცოდნა ხომ იმედს შეიცავს. არ იცოდე — კეთილშობილებაა, იცოდე — ვულგარულობა. ამიტომაც „აპოკალიფსის“ ასეთი მზრუნველი ხასიათი იმედს ჩამისახავს და სრულიადაც არ მაფრთხობს.

ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე: რა უნდა ვქნა ახლა, როცა „გამოცხადება“ ნავიკითხვებზე სრულიად ნათელია, რომ ისეთი ველარ ვიქნები, როგორც აქამდე, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ შევიცვალე, არამედ იმიტომაც, რომ მემცნო: ვალდებული ვარ შევიცვალე, რადგან ვიცი ის, რაც შევიტყვე. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ ხელოვნება, რასაც ვემსახურები, შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ჩემს „მე“-ს არ გამოხატავს, არამედ მოიცავს იმას, რაც ადამიანებთან ურთიერთობით ავითვისე. ხელოვნება ცოდვად გადაიქცევა, თუკი მის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის დავიწყებ. რაც მთავარია, საკუთარი თავის მიმართ ინტერესს დავკარგავ. იქნებ აქედან იწყება კიდევ ჩემივე სიყვარული საკუთარი თავის მიმართ.

მინდა მადლობა გადავუხადო მათ, ვინც დღევანდელ შეხვედრაზე მომიწვია, თუმცა ახალი არაფერი მითქვამს. მე მხოლოდ ის მივიღე, რაც მსურდა — ხმამალა მეფიქრა თქვენი თანდასწრებით — მეგრძნო ამ მომენტისა და პროცესის განსაკუთრებული მნიშვნელობა. თქვენ მომეცით საშუალება, ჩავლრმავებოდი საკუთარ აზრებს და გამომეტანა გარკვეული დასკვნები, რადგან მარტოობაში ამგვარი ფიქრი შეუძლებელია. თუკი ნაბიჯს გადავდგამ და ახალ სურათს ხელს მოვიკიდებ, ჩემთვის უკვე ნათელია, რომ ამას თავისუფალ შემოქმედებად ველარ განვიხილავ, არამედ — იძულებით აქტად, როცა ეს სიამოვნება კი არა, უმძიმესი ვალდებულება იქნება. სიმართლე რომ ითქვას, არც არასოდეს მესმოდა, რომ ხელოვანი შეიძლება ბედნიერი იყოს შემოქმედების პროცესში. ბედნიერი? იქნებ ეს სიტყვა არც არის ზუსტი? არა მგონია. ადამიანი ბედნიერებისთვის როდი ცხოვრობს. არის რალაცე-ბი, რაც ბედნიერებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

დიდი მადლობა.

სენტ-ჯეიმსის ტაძარი, ლონდონი, 1984 წ.

რუსულიდან თარგმნა მამუკა მადლარია

ნინო სადღობელაშვილი

ზღაპარი სამივე დროისთვის და უფრო ანეყოსათვის

(ლევან ბოლქვაძის კოლიტიკური სატირა)

რამ უნდა გააკვიროვოს თანამედროვე (ქართველი) მკითხველი (ბავშვი), რომელმაც ათასწლეულის განახლებისთანავე რალაც ახალ, ფანტასტიკური ფიქრისკენ მიმართა აშუშუნებულ სამყაროში შეაბიჯა, აუცილებელი სახადივით „პარი პოტერიც“ მოიხადა, ტოლკინის შემადრწუნებლად დიდებულ მითოლოგიასაც ეზიარა, ყოფიერების ყველა ღრეჭო-ჭუჭრუტანიდან კი დღემდე ღვარად მოჩუხჩუხებს ადამიანურ გამოწვანთა ჟანრები — ანიმაციიდან დანწყებული, თამაშებით დამთავრებული. მკითხველი ამ ყველაფერს თავდაპირველი ტექსტიდან იცნობს და სრულიად კომფორტულად გრძნობს თავს რა-არგადანდენილ უახლეს ისტორიაში, როგორც მის კუთვნილ ჟამში. კომფორტულობა გაკვირვების უნარს რალაცნაირად გამოიციხავს.

მე კი გაკვირვებაზე მინდა გიამბოთ. უნარზე, რომელიც მხოლოდ მე კი არა, ნებისმიერ მკითხველს (მათ შორის ბავშვსაც!) შეძრავს, როცა ამ ნიგნს აღმოაჩენს. ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“. ეს ნიგნი სულ ცოტა ხნის წინათ გამოსცა „ინტელექტმა“ და ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო რამ, რაც ამ ბოლო ხანს რომელიმე გამომცემლობას შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა. რადგან ეს არის სრულიად თანამედროვე ზღაპარი, ზღაპარი დიდებისთვის (თუმცა ახლა ბავშვებიც არანაკლები მკითხველები არიან), რომელიც გასულ საუკუნეში დაიწერა, ამ ზღაპრის შინაარსისა და სათქმელისთვის წარმოდგენილად სახიფათო ეპოქასა და რეჟიმში.

ამ ნიგნის შესახებ ჩემი მეგობრის, მარიამ ნიკლაურისგან მქონდა გაგონილი, მაგრამ ვინაიდან მასაც არ მოეპოვებოდა შინ, ერთადერთხელ დასტამბული, ძველი გამოცემა, მაშინ ვერსად მივაკვლიე და მხოლოდ ახლახან შევძელი წამეკითხა. ნიგნს მაკა ჯოხაძის არაჩვეულებრივი, მძლავრფიქრიანი და ჭკვიანი წერილი ახლავს, სადაც ბევრ სააზროვნო რამესთან ერთად, იმაზეც წერია, თუ ვინ იყო ლევან ბოლქვაძე. დღემდე მაინც უცნობი ავტორი, რომელმაც თავის სიცოცხლეში (და ეს სიცოცხლე, ეპოქის შესაბამისად, ტყვეობით, ტანჯვითა და სიმძიმეებით იყო აღსავსე) ერთადერთი ნიგნი დაწერა.

თუმცა ეს ნიგნი იმდენად დახვეწილი, მხატვრული ოსტატობით აღბეჭდილი და ზუსტია, რომ პირველივე ფურცლებიდან მიხვდებით, საქმე რომ წამდვილ ლიტერატურასთან გაქვთ.

ყველაზე თვალშისაცემი და საკვირველი კი ის არის, რომ ზღაპარი ისეთი ცინცხალია, ისეთი ახალი, თანამედროვე, გეგონება აგერ ახლა, შენ გვერდით დაიწერა, შენ მიერ ნაცხოვრები და განცდილი მოვლენების მხატვრული აღუზიით.

როგორც ყველა ზღაპრის წესია, ლევან ბოლქვაძის ზღაპარიც ჯადოსნური სამყაროს რეტროსპექტივია, გამონაგონი ქალაქ-სახელმწიფოს ფანტასტიკური ქრონიკა, სადაც ყოველი თქვენიანი მოხვედრილა კიდევ, ან ვინ იცის, ეგებ დღესაც იქ ვხვთალობთ?

ტირანული ქვეყნის ალგორიას ვგულისხმობ. ზღაპარში მას „ბედნიერი ქალაქი“ ჰქვია, და მართავს მეფე ჩიგიდ XVI, რომლის აბსურდული კანონები და მმართველობის მთელი

სისტემა ზღაპარშიც კი ადამიანებს დიდ მწუხარებაში აგდებს.

ნიგნის ფაბულა ფანტასტიკური ჟანრის-თვის დამახასიათებელი სტრუქტურითაა ნაგები: შორეულ ნაოსნობაში დაკარგული მამის ოცნება – შვილიც ზღვასთან მებრძოლი კაპიტანი გაიზარდოს, ნელ-ნელა ხდება. 12 წლის ბიჭი, კონსტანტინე, რომელსაც სიმამაცის გამო მეზღვაურებმა ჭაბუკა შეარქვეს, დიდ, ხიფათიან თავგადასავლებს გაივლის, რათა საკუთარი თავი იმ შორეული და უფრო დიდი ბრძოლებისთვის გამოსცადოს.

ყველაფერი კი იმით იწყება, რომ ჭაბუკა და მისი დაიკო, ობლობის გასაქარვებლად პაპას სოფელში რომ წაუყვანია, ერთ საღამოსაც სახლის სხვენში ძველისძველ ნიგნს აღმოაჩენს. ნიგნში უცნაური სიტყვა წერია – „მავია“..

აი, ასე იხსნება კარი უცხო, ჯადოსნური სამყაროსთვის, სადაც, ქართული ფოლკლორისთვის დამახასიათებელ ნიშან-სიმბოლოებთან ერთად, ბევრ მართლაც საუცხოო რამეს და ვინმეს შეხვდებით. მწერლის ფანტაზია უკიდურესად, ნიგნში ნამდვილი ფოიერვერკია, და რაც მთავარია, ყველა ეს გამონაგონი – სულიერი თუ უსულო, ტოპონიმი თუ ანტიურაფი – ფარულ ღრმა აზრს გულისხმობს, მნიშვნელოვან კოდს ასიმბოლოებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ტექსტის მიღმა კიდევ ტექსტი იკითხება – ერთგვარი რეალობა, რომელიც მწერლის ფიქრის და ტიკვილის საგანია. ასე რომ არ იყოს, ამ ყველაფერზე ამგვარი მხურვალეებით ვერ დაწერდა, ვერც გმირს მოსთხოვდა ასეთ თავგანწირვას სიკეთისათვის.

მთავარი კოდი ტექსტის პირველი მოცემულობაა – მამა წასულია, „შინ არ არის“, უმამოდ დარჩენილ ძეს კი ათასი სიქველის ჩადენა მოუწევს, რათა სამყაროში სიკეთე გადაარჩინოს.

ეპოქა, რომელშიც ეს ზღაპარი იწერებოდა, „უმამო“ იყო, ამ „უმამობაში“ კი გნებათ უღმერთობა იგულისხმებდა, ან თუ გნებათ ძალიან კონკრეტულად და ზუსტად – მამებდახვრეტილი დროის სახელდება, როცა შესწნ ნინ მდგომი, შენი „წინაპარი“, ფიზიკურად აღარაა შენთან, რათა გმირობის მაგალითი მოგცეს ტირანებსა და ურჩხულებთან ბრძოლის ველზე მარტო დარჩენილს. ასეთ დროს შეიძლება შვილი არც ისე ღონიერი იყოს, არც ისე ძლიერი, მაგრამ მას თავგანწირვა მოეთხოვება.

ზღაპრის გმირი – ჭაბუკა – ასეთი „შვილია“. მთელი ქვეყნიერება ახლა მას შეჰყურებს, რათა უსარგებლო ნარჩენებად ქცეული სიკეთე თავისი პირველქმნილი არსით დააბრუნოს სამყაროში.

ამის გამო უნდა მოხდეს იგი ზღაპარში, რადგან ზღაპარში ყველაზე მეტი სინამდვილეა.

სინამდვილეა, მაგალითად, ის, თუ როგორ ეწირება ერთი ყვეყნი და ბოროტი მეფის ახირებებს უამრავი ადამიანი. სინამდვილეა ისიც, თუ როგორ შეიძლება იქცე ყურმოჭრილ მონად, როცა შიში შეგიპყრობს; ისიც ნამდვილია, სიკეთის კეთება აზრს რომ კარგავს მაშინ, როცა ირგვლივ აღარაინაა კეთილი, ან როცა ქვეყანაში სიკეთის სახელით დიდ სიბრძნევებს, მეტიც, ბოროტებას განეჩებენ...

რა ქვეყანაა ასეთი „ბედნიერი ქალაქი“? ამას მე ვერ მოგიყვებით. ეს უნდა ნაიკითხოთ. ნაიკითხოთ და მაშინვე ბევრ რამეს მიხვდეთ. ამ ქალაქში ციხეს „ოქროს გალია“ ჰქვია (გამჭვირვალეშეშებიანი პოლიციის შენობების ესთეტიკა ხომ არ გაგონდებათ?), ნებისმიერი ამბოხის მსგავსი მოვლენის ჩასახშობად კი მაშინვე მთარული ჭორები ვრცელდება – „ღარიბებისთვის უფასო საჭმელი იქნებაო, თითო ხელი ტანსაცმელი დაურიგდებათ ყველას, ავადმყოფებს – უფასო წამალი, ბალებს – ტკბილეული, პატარაძლებს – ჭრელი ჩითი და დარაია“ და ასე შემდეგ... (აღბათ აქაც გაგახსენდათ წინასაარჩევნო დაპირებების მჭახე პათოსი, ან უმ-



რავლესობის გულის მოსაგებად, „ზემოდან“ გადმოყრილი ჰუმანიტარული „კათარზისები“, სასადილოები, ერთჯერადი აქციები – მრავალჯერადი დაყვედრებებით...)

ამ ქალაქში შეუძლიათ ბედნიერება ამგვარად მოგანიჭონ – ერთ დღესაც, ცამონმენდილზე, უმაღლესი სამეფო საბჭო დაადგენს, რომ „ადრე განზრახული მაინის ორშაბათის ნაცვლად განმეორებით შედგეს გასული წლის დეკემბრის ხუთშაბათი, რომელიც გამოირჩეოდა უხვი თოვლითა და ზომიერი ყინვით“ და, გაგანია ზაფხულში გამოცხადებულ დეკემბრის დღეს, მოსახლეობის სრული მობილიზებით, მთავარ მოედანზე მოეწყოს სახალხო „გუნდაობა“ და „ციგურაობა“. წინააღმდეგობის განევის ან რეალობის ფარული ან ცხადი მინიშნების („როგორ, ეს ხომ თოვლი არაა!“) ნებისმიერი პროვოკატორი დაისჯება სამაგალითოდ, ხოლო ყველაზე აქტიური მოციგურავე ან მოგუნდავე დაჯილდოვდება მეფის საჩუქრით!

აბსურდის მამებსაც შემურდებოდათ, ისეთი ამბები.

ამ ყველაფრის გამოა, აღბათ, ქალაქს ისეთი რამეებიც სჭირს, რისი შეცვლაც მეფის კანონებს არ შეუძლია – ყვავილები ჭკნება, ტორტის ბისკვიტები ქვაბშივე ცვივა, არადა პრინცესას – მეფე ჩიგიდის ქალიშვილს – უყვავილოდ და უტორტოდ ცხოვრება ვერც წარმოუდგენია...

ერთმანეთთან ვერ თავსდება სილამაზე და აბსურდი – ბოროტების ნიღაბი.

ზღაპარში ერთი პერსონაჟია – ეშმაკი ტინიტო, რომელსაც ჯერ კიდევ სიმონ მეფის დროს უცხოვრია და მეფის საყვარელი ეშმაკი ყოფილა. ჭაბუკას გაცნობის შემდეგ ტინიტო თანდათან ადამიანდება – ეშმაკისთვისაც აღარ მოიძებნება ადგილი ბედნიერ ქალაქში, ეშმაკიც კი მის გამოსხნას ცდილობს.

ვერც დროებით შევებად მოფიქრებული „სიკეთის გაკვეთილები“ ველარაფერს ცვლის, ადამიანები ისე შეეჩვივნენ ტირანიას, მონობას, შიშს, რომ ეს სიკეთე რაღაც უცხო ხილად ეჩვენებათ, დისკომფორტს განიცდიან. როცა სიკეთის გაკვეთილების მასწავლებელი – პროფესორი კომპოტინი – ამას აღმოაჩენს, უკვე გვიანია – გარემო, ცხოვრება, ყველაფერი ამ აბსურდითაა გაჟღენთილი, მონობისადმი მიდრეკილების, სიბრძნევის ამ ექსტაზით... ადამიანებს თითქოს სძინავთ. მათთან დროც არ მუშაობს – დრო დატყვევებულია.

და არის კიდევ ერთი დიდი ვერაგობა, რომელიც ყოფიერების ნიშნად ქცეულა – ეს პასიური სიკეთეა. ანუ – სიკეთე ქმედების გარეშე, მისი ჩანასახშივე ჩამკვეთი იდეა. ცოტას თუ ჩვეულმავდებით, ეს იგივე ბოროტებაა. სიკეთე, რომელიც არ აქტიურობს, რომელსაც პოზიცია, მიმართულება არ გააჩნია, ბუნებრივად მიიდრიკება ბოროტებისკენ. მეფე ჩიგიდის ქალაქიც სიმბოლოა – ნებისმიერი საზოგადოების, ფორმაციის, ადამიანთა ერთობის, სადაც მთავარი ბოროტება – აქტიური სიკეთის დეფიციტია. ასეთი ფონი წარმოშობს ყოველგვარ ტირანიას.

ამიტომაცაა ეს ზღაპარი ასეთი მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი. ზღაპარი დიდებისთვის და პატარებისთვის, წარსულისთვის და მომავლისთვის. და ყველაზე მეტად კი – აწმყოსთვის.

როცა ის რამდენჯერმე გულდასმით ნავიკითხე, გამიჩნდა სურვილი, „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ შეიტანონ სკოლის სახელმძღვანელოებში, დაარიგონ სამინისტროებსა და ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ადამიანთა ბედზე ზრუნვა მთავარი მოვალეობაა.

ეს ზღაპარი უნდა ნაიკითხოთ ყველამ, რათა ეტკინოს სიკეთის ტრაგიაში და ადამიანური სულის გაუდაბურება; რათა აღმოაჩინოს საკუთარი თავი დატყვევებულ დროში და თუნდეს ბრძოლა მისგან თავდასაღწევად.

როსტომ ჩხეიძე

გედის სიმღერა აკაკი განწერელისადმი

(ჩანაწერების ციკლი „ჩემი სოლილოჰი“)

რისკენ მიიღებოდა ან რა ენადა ამქვეყნად? — მხოლოდ მემღერა ჩემთვის მაინც და უხმაუროდ. რა უყვარდა?

— მყუდროება და კარგი მუსიკა. არაერთი ლიტერატორის ლანდი გადაიღებებს ჩვენს წინაშე, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ სიტყვების მთქმელი — მხოლოდ მყუდროებას რომ მიეღებოდა, კარგ მუსიკას, თავისთვის სიმღერას და უხმაურო არსებობას. არაერთისა, ოღონდ... არამც დაარამც აკაკი განწერელისადმი, ვისი ცხოვრებაც გამოირჩეოდა დაუცხრომლობით, მღელვარებით, შეხლა-შემოხლთით, დაუსრულებელი პოლემიკით, რაც სხვა რა არის, თუ არა ხმაური, და ამას თვითონაც აღიარებდა, ისევე, როგორც მწარე სიტყვების (თუმც მართალია, — თავს ინუგეშებდა) ხარჯვას.

და ეს — სიმღერის ნაცვლად. არადა, თურმე ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ყოველგვარ პოლემიკა.

რა იყო მაინც წუთისოფლის ასეთი განჩინება, მისი წრფელი ლტოლვა და სწრაფვა ასე უცნაურად რომ შემოტრიალებულიყო და რაც არ ენადა, მისთვის შეენირა მთელი ცხოვრება?

ბედისწერაო, — თვითონ ასე ახსნიდა.

და გული წყდებოდა, ოცნება ასე რომ მიჰკარგვოდა სადღაც ცხარე დისკუსიებში ჩართულს, და მხოლოდ ჟამიდან ჟამზე წამოაგონებოდა სულის სიღრმეში მიჩქმალული სწრაფვა მყუდროებასა და უხმაურობაში, კარგ მუსიკასა და უჩუბარ სიმღერაში თხემით ტერფამდე გადაშვებისა.

მეხსიერება კი ამოაგებდა ეპიკურეს სულიერ აუღელვებლობას ანუ ათარაქსიას და მისივე სენტენციას: იცხოვრე უჩინრადო! — და სევდიანად მიადევნებდა: მაგრამ მაინც ვინ მოახერხა ამ ფილოსოფიური მაქსიმების მიხედვით ცხოვრებაო? — სევდას კი ორონისაც დაურთავდა: ადვილად იტყვის ენაო!

მღელვარებაში ჩაბმულსა და ბრაზით ანთებულს დროდადრო რომ მოუნდებოდა გარედან შეეხედა საკუთარი თავისათვის, მაშინ იქმნებოდა უბის წიგნაკის ჩანაწერები, რომელთა ერთ ნაწილსაც გააერთიანებდა და სახელწოდებით — „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“ — კიდევ გამოაქვეყნებდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1969-70 წლების ნომრებში.

მოულოდნელი გახლდათ ეს პუბლიკაცია, რაკილა ამ ჟანრის თხზულებანი ჩვენში იმხანად არ იწერებოდა მწერლის სიცოცხლეშივე გამოსამზეურებლად და მკითხველის დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი აღმოჩნდებოდა — ზოგი თუ ინტერესით მიადევნებდა თვალს, ზოგიც ორონიულად ეტყოდა სამწერლო გაზეთის რედაქტორს რევაზ მარგინს: პოლ ვალერობაც რომ მოუნდომებიაო.

აღტაცებულიყო აკაკი განწერელი პოლ ვალერის პიროვნებითა და ღვანლით, მისი კრიტიკული და ესეისტური პროზა არანაკლები ღირსებისად რომ მიაჩნდა, ვიდრე მისივე პოეზია, კაბინეტში მისი ვეება პორტრეტი გამოეკიდა, კაცობრიობის ამ საამაყო შვილისა, ვის შესახებაც ჯერ კიდევ 1938 წელს დაენერა და ლექციებისასაც ვრცლად ეხებოდა მის შემოქმედებას. 1970 წლის 18 ოქტომბერს საგანგებოდ მოინახულებდა ვალერის სამარეს ქალაქ სეტში, ყვავილებით შეამკობდა და მოკრძალებითაც ეამბორობოდა საფლავის ქვას.

მის ზეგავლენას კოლოსალურად რომ შეაფასებდა მსოფლიო აზროვნების განვითარებაში, გიგანტადაც მოიხსენიებდა და ალბერტ აინშტაინის გავლენასთანაც შეაბოლოებდა, დითირამბს ამ სტრიქონებით დაავიროვებდა:

— ჩვენ არამარტო თავყვანს ვცემთ მას, არამედ განვიცდით უწმინდეს შიშს ამ უნივერსალური გენიის წინაშე, რომელიც ყველაზე თავმდაბალი ადამიანი ყოფილა თანამედროვეებს შორის.

მაგრამ „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ თაობაზე არსად აღნიშნავდა, შთამაგონებელი ეს მოწყენილი ფრანგი ბატონი (საკუთარ თავს როგორც მოიხსენიებდა ეს უჩვეულო კაცი) თუ გახლდათ, ის კი არა, დაბეჯითებით განაცხადებდა: არავის ვბაძავთ. და მკაცრადაც გაკილავდა ყოველგვარ მიბაძვას, განსაკუთრებით გენიალური ქმნილებებისა: კატეგორიულად უკუსაგდებიაო.

— გენიალური ნიშნავს დამთავრებულს, ხოლო დამთავრებულის განმეორება არ შეიძლება.

განმეორება ასლის გადაღებაზე შორს რომ არ მიდის, ეს თავისთავად, ოღონდ მთლად დაბეჯითებითაც ნუ ითქმის: გენიალური ნიშნავს დამთავრებულს, — თორემ ვის შეუტანია ეჭვი მიქელანჯელოს გენიალურობაში, თუმც მისი ქანდაკებანი თითქმის უკლებლივ დაუმთავრებელია.

ვალერის ხსენებას ამჯერად რომ მოერიდებოდა, სამაგიეროდ, სხვა სახელებს წამოატივტივებდა იმ მოტივით: ჩემს ამ ჩანაწერებს არც ერთი ლიტმოტივი გასდევს — ლა როშფოკოსავით, არც მარტოდენ აზრის აპოლოგია — პასკალივით, და არც ღრმა სუბიექტივიზმი მსჭვალავს ფლობერის ბარათებივით.

სხვა ფრაგმენტში ლა ბრიუერსაც მოიხსენიებდა მათ გვერდით, და კიდევ — ვასილი როზანოვს: მისი პროზით ჩემი გატაცების მიუხედავად, „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“ მისი გავლენით არ დამინერიაო.

და კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით განაცხადებდა: ეს ჩანაწერები უშუალოდ პირადი შთაბეჭდილებების გავლენით შეიქმნა, სრულიად დამოუკიდებლად. გარდა ამისა, ოდნავ გონიერი ავტორი გენიოსებს არ ბაძავს, მათი განმეორება შეუძლებელია. უანრობრივად მაინც როგორ განსაზღვრავდა?

როგორ და... გედის სიმღერად.

და პირობას დებდა, რომ ამ სიმღერას სიკვდილამდე განაგრძობდა.

გედის სიმღერაო...

მხოლოდ ასე ამჯობინებდა — ხატოვნად და მეტაფორულად, და ეს ის კაცი, ვინც მეცნიერებაში უმძლესს ღირებულებად და მიღწევად აღიარებდა დეფინიციის სიზუსტეს.

ამჯერად კი ზურგი ექცია მისთვის ყველაზე ძვირფასი კატეგორიისათვის და პოეზიის მორევში გადაშვებულიყო, სულ სხვა განზომილებაში, და ამიტომაცაა, რომ აღარ გამოვლევინებთ, რამდენიმე ათწლეულზე გადაჭიმული გედის სიმღერის ვის გაუგია — გედის სიმღერა ზომ ისაა, რომ ერთბაშად, სპონტანურად უნდა ამოიქცას სულთმოპოვების წუთებში. პლატონი, ვისგანაც ეს მომხიბლავი ლეგენდა გადმოგვცემია, სწორედ ამას გვაუწყებს.

ასეა თუ ისე, აღიარებით კი არ აღიარებდა „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ პირველობივად ლიტერატურულ ზეგავლენას, მაგრამ რადგანაც წინასწარვე იცოდა, რომ მკითხველს აუცილებლად წამოაგონებოდა ეს სახელები და უპირველესად მაინც პოლ ვალერი, იმით ეცდებოდა აერიდებინა კრიტიკოსთა „ზედმეტი“ ჩაკირკიტება, რომ ასე მოჭრიდა სათქმელს: ოდნავ გონიერი ავტორი გენიოსებს არ ბაძავს, მათი განმეორება შეუძლებელიაო.

განმეორება კი შეუძლებელია, მაგრამ ბიძგის მომცემი და შთამაგონებელი რომ იყოს საკაცობრიო კულტურის უკეთესი მიღწევანი, ამით ვითომ რა შავდება?... მითუმეტეს, აკაკი განწერელის ესეც შეეძლო ემტკიცებინა: ყველა პოეტური ტაეპი, ყველა ციტატა (თვით გენიოსებისა), რაც კი „დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებში“ მომაქვს — ჩემია, რადგანაც ჩემს სტილში არიან

მოცუვლი და მებმარებიან საკუთარი სულიერი განცდების ამ ფიქრების ვიბრაციის დროსო.

და შეგონებასაც შემოგვთავაზებდა:

— უბრალო მოკვდავსაც შეიძლება ენვიოს ისეთი აზრი, როგორც დიადი გონებისაგან იბადება ან დაბადებულია.

თუკი ასეა, მამ მხოლოდ ეს მომხდარიყო: — დამასწრეს!

და ერთბაშად აპილპილდებოდა უხილავი ოპონენტის წარმოდგენისას: ამიტომ უხამსს შეუძლია ივარაუდოს, რომ მე ერუდიციის საჩვენებლად მჭირდება ვისიმე დამონმება. არა, ისინი („ციტატები“) ჩემს ზღვაში შემავალი ნაკადები არიანო.

და რაკილა ამ ჩანანერებს სიმღერასთან აიგივებდა, სხვათა პოეტური ტაეპებისა და ციტატების გათავისების პროცესს ასე განმარტავდა: „ერუდიცია“ — საკუთარი სიმღერის უამს უნდა გვეხმარებოდესო.

რაც უნდა იყოს, მკითხველის წარმოსახვაში რაკილა მაინც არიალდებოდა ყველა ის სახელი და თხზულება, აკაკი განერელია შეჩქვიფდებოდა, მათთან თავის გატოლების მცდელობა მაინც არავინ დამაბრალდოსო, და ამიტომაც მიიჩნევდა აუცილებლად იმ მოკრძალებულ განცხადებას, რომ გრანდიოზული ლიტურგიის ან სიმფონიის გვერდით არსებობდა იადონის ვალობაც და ამ პატარა ფრინველის ვალობაც შეიცავდა „თავისებურ კონტრაპუნქტს“.

ჩანანერთა ამ წყებას გულში ლილის რომ უთანაბრებდა, ფურცლებს ისე შეარჩევდა და დალაგებდა, რომ ეს ფრაგმენტები — მუსიკალური კონტრაპუნქტისა არ იყოს — ძირითადი ლაიტმოტივისა და ვარიაციების მსგავსად აჟღერებულყოფნენ.

შეავსებდა და შეავსებდა ამ უანრითაც გატაცებული და ნიგნში გაცილებით ვრცელ მონაკვეთს შეიტანდა. ცხადია, მუსიკალურ კონტრაპუნქტს კვლავაც შეინარჩუნებდა, და ალბათ რარიგ ეხარბებოდა სტენდალისა, სამ სიტყვაში რომ ჩაენურა ჰანგათა სამყაროს ამომწურავი განმარტება: მუსიკა ჩემი სულიაო.

სტენდალს რომ არ ეთქვა, მე ვიტყვოდიო, — ალბათ რამდენჯერ გაუმეორებია გუნებაში და გული სულაც აღარ წყდებოდა ნოტებს რომ ვერ არჩევდა. აკი ვერც სტენდალი არჩევდა ნოტებს, მაგრამ ყველა სპეციალისტზე, თვით ვირტუოზ შემსრულებლებზე უკეთ ესმოდა მუსიკა. ან შექსპირს რისთვის სჭირდებოდა პროფესიონალი მუსიკოსი ყოფილიყო, როდესაც მუსიკის შეგრძნებას ისედაც უიგივებდა უზენაეს შეგრძნებას.


მუსიკისადმი გულგრილობას აკაკი განერელია ფიზიოლოგიურ დეფექტადაც კი მიიჩნევდა და მხოლოდ იმანუელ კანტს პატიობდა, ჰანგათა სამყაროს რომ გაურბოდა, პატიობდა, რადგანაც მას თავის სფეროში გიგანტად აღიარებდა.

თავის მცირე ტრაპეზად კი ეგულეობდა აკაციის ფოთლებში ვარდის ჩიტის ვალობა, შუბერტის „ბარკაროლას“ ან „დილის სერენადას“ ფირფიტის ტრიალი და ბარათაშვილის უკვდავი სტროფის რომელიმე ტაეპი.

ის კი არა, ასეთი ექსტაზიც შეიძლება დაუფლებოდა: ხანდახან გგონია კაცს, რომ ჩვენი პლანეტის ტრიალს საკუთარი ღერძის ირგვლივ თუნდაც ის ამართლებს, რომ აქ, დედამიწაზე ბასს უკრავენო.

და თვითონ სამყაროს მოდელი, რომელიც აინშტაინის ფიზიკას შეექმნა, თავიდან ბოლომდე უზარმაზარი სიმფონიური ნყოფისად წარმოედგინა.

და რარიგ გაიხარებდა, როდესაც ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გაეცნობოდა რუტ მორის მონოგრაფიას „ნილს ბორი — ადამიანი და მოქალაქე“ და იქ ამოკითხავდა: აინშტაინს ეკუთვნის სიტყვები, რომ ბორის ძიებანი ატომის აგებულებაში უმაღლესი მუსიკალური ფორმა გახლდათ აზროვნების სფეროში.



— როგორც ვხედავთ, ჩვენი შედარების ფუნდამენტიც მყარი ყოფილა.

„დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“ ხელმეორედაც რომ გამოქვეყნდებოდა მთლიანი სახით „ინტელექტის“ მიერ წამოწყებულ პროექტში „ჩანანერები“, შეივსებოდა აკაკი განერელიას დღიურის ჩანიშვნებითაც „მოგზაურობა ჩვენეთსა და დაღესტანში“ (ოთხ მოგზაურობას რომ მოიცავს: 1932, 1935, 1971 და 1975 წლებში) და იმ ფრაგმენტებითაც, ჩემი გარდაცვალების შემდეგ თუ დაიბეჭდებო, — თვითონ რომ ირწმუნებოდა და ახლა მისი ქალიშვილი დედა განერელია იოსებ ჭუმბურიძეს მიანდობდა ამოსარჩევად.

ის არამატო ამოარჩევდა, არამედ ისე მარჯვედაც განალაგებდა, თითქოს თვითონ ავტორს შეედგინოს, და ძირითადი ლაიტმოტივიც და ვარიაციებიც იმ მომხიბლაობით აჟღერდებოდა, როგორც „მთავარ“ მონაკვეთში, ეს ნაწილიც იმ მთავარის სრულყოფილებიან გაგრძელებად რომ წარმოგვიდგებოდა და აღარ გაგვიჩნდებოდა სურვილი „ჩანანერების“ ციკლის ეს ნიმუში ხელახალი გამოცემისას სხვაგვარი არქიტექტონიკითაც აგვეგო, ნიმუში, რომლის სახელწოდებაც ყველაზე შესაფერისი სიტყვათშეთანხმება გამოიძებნებოდა: „ჩემი სოლილოკვიო“.

რას გულისხმობს ეს სიტყვა?

ის ნეტარი ავგუსტინეს ერთ-ერთი თხზულების სათაური გახლდათ და ნიშნავდა: საუბარს საკუთარ თავთან განმარტობისას.

და რა გასაკვირია, აკაკი განერელიასაც საკუთარ თავთან საუბარი ასევე რომ დაესათურებინა, ჩანანერების შემდგენელს კი ამ ფრაგმენტში გამჟღავნებული მისი სურვილი ნიგნის სახელწოდებაც ექცია.

ამ ჩანანერების შინაგან დრამატიზმს — და ტრაგიზმის გაღვებასაც — რომ ჩაუკვირდებოდა, მის სუნთქვას შეადარებდა მდინარის პირას გამოჩეხული თევზის სულის ლაფვას, ხანგამომშვებით რომ აღებს ლაყურებს და უკანასკნელად ისრუტავს ჰაერს.

უთუოდ ტიციან ტაბიძის ქვევზე გარჩენილი კალმახის ხილვა გაერია ხელი მისთვისაც და... დაე ამოეყოლებინა გულისძგერისათვის ეს შეგრძნება, ბედის განაჩენად ნავულისხმევი.

ნეტარი ავგუსტინეს ლანდი კი ხშირად შემოგხვდებოდა ამ უბის ნიგნაკის ფურცლებზე და ერთგან მისი სულიდან ღვთისადმი აღვლენილ ლაღადისს, „აღსარებანიდან“ ამოწერილს („... გვიან მოგაპურე შენ, უფალო ჩემო!.. ჩემს შიგნით იყავი შენ, მაგრამ მე არ ვიყავ შენთან!.. და დაგობრუნდი შენ და შეველ ჩემსავ თავში!.. არა უკუ მიიქციო სახე შენი ჩემგან, რამეთუ არ მმანთქოს ბნელმა, ო, უფალო ჩემო!“) დავით ნინასწარმეტყველის ფსალმუნებს გაუთანაბრებდა, მეორეგან სიამაყით განაცხადებდა: გამოკვლევები „ავგუსტინეს ჰიმნოგრაფიისა და ლექსნყოფის შესახებ“, „ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის „სიძე“ და „ავგუსტინე და საქართველო“ ჩვენს დამსახურებად მიგვაჩნიაო, — მესამეგან რომან-ეტიუდად მონათლულ „ფაიდას გამოცხადებაზე“ არ მოერიდებოდა იმის თქმას: მცირე მოცულობის თხზულებათა შორის მის შესადარს XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ვერავინ დაასახლებს. მას ავგუსტინეს პიროვნების შესასწავლად 25-წლიანი შრომა უძევს საფუძვლადო...

სავულისხმობა ის ჩანანერიც, როდესაც განაცხადებს, რომ კარლ იასპერსის ღრმა მოაზროვნედ აღიარებისათვის მისი ერთი ნიგნიც „დიდი ფილოსოფოსები“ იკმარებდა, რომელიც უმთავრესად სამ გიგანტს ეხება და შრომის მთავარი ნაწილი ასეა დასათაურებული: „პლატონი. ავგუსტინე. კანტი“.

— ვფიქრობ უკეთესი სამეულის შერჩევა არც შეიძლებოდა. სხვაგან გვიზიარებდა იმ განცდას, თუ როგორ შეეძრა გულის სიღრმემდე „აღსარებანის“ იმ თავებს, სადაც ნეტარი ავგუს-

ტინე დედის — მონიკას — გარდაცვალებას აღწერდა, და მეტი თვალსაჩინოებისათვის ფრანკესკო პეტრარკას ტრაქტატსაც გაიხსენებდა „ქვეყნისადმი ზიზლის შესახებ“, ნაწილობრივ ავგუსტინეს გავლენით დაწერილს (ტრაქტატის საუკეთესო ადგილია ავგუსტინეს მონოლოგი სიკვდილზე), და ლევ ტოლსტოის გასაოცარ „ივან ილიჩის სიკვდილსაც“ თუ ასევე საკვირველ აღწერას კონსტანტინ ლევიჩის აღსასრულისა „ანა კარენინაში“ — მარტოდენ „ბელეტრისტიკა“ მონიკას სიკვდილის სურათთან შედარებით.

და იმასაც რომ განაცხადებდა: ამ წიგნმა თითქმის 1300 წლის „გამოცდა ჩააბარა“ კაცობრიობასო, ისურვებდა, რომ სხვა წიგნებსაც ასევე „კარგად ჩაებარებინათ გამოცდა“.

როგორ არ ეხარებინა მკითხველისათვის, რომ ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანის“ თარგმანს გვპირდებოდა ბაჩანა ბრეგვაძე, და მალე გამოვიდოდა მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულება მარკუს ავრელიუსისა — „ფიქრები“.

და აღტაცებული დასძენდა: — ბაჩანა ბრეგვაძე პირველხარისხოვანი ლიტერატორია. იგი სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია.

ყველა დიდი შემოქმედი ინტიმურ მეგობრად უნდა გაიხადო, — ამ შეგონებას რომ გამოთქვამდა, უილიამ შექსპირის ალტერ ეგოს, ჰამლეტის, სიტყვებს გაიხსენებდა: თხილის ნაჭუჭში მოვთავსდებოდი, სიზმრები რომ არ მანუხებდნენო, — და დასძენდა: გენიალური ტრაგედიის პერსონაჟი და მისი შემოქმედი უმაღლეს ჩემს ინტიმურ მეგობრებად იქცნენო, — და ამ სიას გააგრძელებდა ჰომეროსით, ევრიპიდით, პეტრარკათი, სერვანტისი, ფიუტრეით, ბარათაშვილით, ჰამსუნით, კლდიაშვილით, ვაჟა-ფშაველათი, აკაკით, ვალერიით, რომელთაც განასხვავებდა სვიფტის, ვოლტერის, დიდროსა თუ სალტიკოვ-შჩედრინისაგან, საერთოდ სატირიკოსთაგან, რომელნიც, მიუხედავად დიდი მწერლობისა, ინტიმურ მეგობრებად არ ეგულებოდა.

სხვა ფრაგმენტში კვლავ დაუბრუნდებოდა ამ თემას და სიას სათავეში კვლავ შექსპირს რომ ჩაუყენებდა, ამჯერად სამეულს მოადევნებდა, უწინარესად ავგუსტინეს, და მასთან ერთად მონტენსა და ფლობერს, განსხვავებით პლოტინისაგან, ვინც — მისი „ენადების“ გრანდიოზულობის მიუხედავად — ვერასოდეს გახდებოდა მკითხველის ინტიმური მეგობარი, ეს საზომი კი უცილობელი და გადამწყვეტი გახლდა.

აკაკი განერელია არ გამოიციხებოდა, რომ შესაძლოა სუბიექტივიზმს იჩენდა, ამიტომაც დაურთავდა: ასე პირადად ჩემთვისაა, თორემ მის გაზიარებას არავის ვაძალეობ.

მის შესადარს XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ვერავინ დაასახელებსო...

სხვაგან შეეძლო დაენერა: დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ჯერ კიდევ შესასწავლია, უფრო ღრმად, ვიდრე ეს მე მოვახერხებ, ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავო, — მაგრამ ამგვარი გულწაქვითვის გამჟღავნება გამონაკლისად რჩება მის ჩანაწერებში, რადგანაც თავმომწონეობა და ქადილი უფრო ბუნებრივად გამოსდის.

იმასაც არ კმარობს, აღნიშნოს: ყველაზე სრული და სრულყოფილი გამოცემა გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული მემკვიდრეობისა ჩვენ განვახორციელებთო, — და მოადვენებს, რომ 1936-37 წლებში მის მიერ გამოცემული გრიგოლ ორბელიანის „წერილების“ ორტომეულის ანალოგს ვერავინ გაიმეორებს, სრულიად ვერავინ („ამგვარი პუბლიკაციისათვის საჭიროა კავკასიური ომის შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურის გაცნობა, აგრეთვე არაერთგზისი მოგზაურობა ჩიჩნეთსა და დაღესტანში“); და რომ მისი „ათენაიდა-ევდოკია“ დაწერილია ასგზის უკეთ და ვრცლად, ვიდრე თვით შარლ დილის განთქმული მცირე ეტიუდი ბიზანტიელ დედოფალზე; და რომ მონოგრაფია „ქართული კლასიკური ლექსი (VII-XVIII სს)“... ქართული ვერსიფიკაციის ბიბლიაა.

ის გასაგებია, ბრემის მართლაც უკვდავ წიგნს — „ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრება“ — ფაუნის ბიბლიად

რომ მოიხსენიებს, მაგრამ... საკუთარ გამოკვლევაზე... ვერსიფიკაციის ბიბლიაო?!

ეგოტიზმი და თვითკმაყოფილება და... ასეთი?!

ამბიცია და საკუთარი თავით აღტაცება და... ამისთანა?!

გალაკტიონ ტაბიძესაც კი ვერ უპოვნით თავისი პოეტური გრანდიოზულობის ამგვარ შეფასებას. პოეტურ სახარებადაც სხვებმა გამოაცხადეს მისი ის სანიშნავეტი პოეტური კრებული „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, თორემ თვითონ ასეთი რამ არსად დასცდენია.

კონსტანტინე გამსახურდიაც კი მორიდებოდა ეგოტიზმის, საკუთარი თავით აღტაცებისა და თვითკმაყოფილების ასე გამჟღავნებას.

პავლე ინგოროყვა ხომ... პირობითობა რაა, წამი რაა, პირობითად და წამითაც ვერ წარმოიდგენ, რომ პავლე ინგოროყვა აცხადებდეს: ჩემი „გიორგი მერჩულე“ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებისა თუ ვერსიფიკაციის ბიბლიაა. არადა, აკაკი განერელია „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ სხვა ფრაგმენტებში სარკაზმითაც კი შეავლებდა მზერას თავმომწონეობაში ჩაძირულ თანამოცალმეებს და შეავლებდათ: ეგოტიზმი გოეთესა და სტენდალს შეშვენით. ჯერ „ფაუსტი“ და „პარმის სავანე“ დაწერეთ და ეგოტიზმს მერე გაპატიებენო.

ეტყობა, თვითონ მიაჩნდა, რომ „ფაუსტიც“ უკვე დაენერა და „პარმის სავანეც“.

ფრიდრიხ ნიცშე ხშირად რომ ამბობდა მე-ს, იმასაც ნაჰკრავდა ყისტს: თვით ნიცშეს ამბიციაც შეუწყნარებელია ანუ საფუძვლიანი ამბიციაც კიო (და დასძენდა: უსაფუძვლო ამბიცია ხომ მთლად გულისამრევიაო).

ტოლსტოის დიდი სიყვარული ჩეხოვისადმი, მისი აღტაცება ჩეხოვით სავსებით გასაგებიაო, — რომ განაცხადებდა, ამის გახსენება დაესაჭიროებინა დიდი ნოველისტის თავმდაბლობის წარმოსაჩენად: ჩეხოვი დიდი ხელოვანია, თუმცა ეს აზრი თვითონ მას, ალბათ, არასოდეს სწვევია. ჭეშმარიტ ტალანტს საკუთარი თავით აღტაცება არ ახასიათებსო.

და კიდევ ეს მკაცრი სიტყვები: თავმომწონე — ფარსის პერსონაჟიაო; და კიდევ უფრო მკაცრიც: თვითკმაყოფილება სასიკვდილო სუფარა სჯობია. თუმცა — თვითკმაყოფილი თავის თავად მკვდარიაო.

როგორც ჩანს, თავისი მონოგრაფიისათვის ბიბლიის დარქმევაში საკუთარი თავით აღტაცებისა და თვითკმაყოფილების ნატამალსაც ვერა ხედავდა. ამ გადმოსახედიდან მსოფლიო სახელის მკვლევარზე ასგზის უკეთესი რომ გგონია თავი, დიდი ამბავი, არა?!

რა კარგია, რომ შემდგენელი — მიუხედავად აკაკი გენერელიასადმი უღრმესი მონივნისა — არ მორიდებია თვითგანდიდების ფრაგმენტების ჩატოვებას ჩანაწერთა ამ ციკლში, არ ცდილა ტექსტის და, შესაბამისად, ავტორის პორტრეტის „შელამაზებას“ და მარტოდენ მისი დიდი ერუდიციის წარმოჩენას, უღრმესი და მახვილგონივრული დაკვირვებებით დადასტურებულის, უბის წიგნაკშიც თვალნათლივ რომ იჩენს თავს, როგორც დაუნერელი ესეების, ლიტერატურული პორტრეტებისა თუ სამეცნიერო ნარკვევების თეზისები, თვითონ თუ ვეღარ მოაბამდა თავს მსჯელობისა და ვრცელი სიუჟეტის გამლას, უშურველად რომ დაგვიტოვებდა მათზე ლიტერატურული წერილების — და ეგებ მონოგრაფიებისაც — დასაშენებლად, შთამაგონებლად ხომ თავისთავად.

ყველაფერს ვერც აუხვალ ადამიანი და ყოველთვის დაგრჩება განუხორციელებელი ჩანაფიქრები, მოკლე ჩანიშნებსა თუ ფრაგმენტებში მიმოფანტული, მაგრამ აკაკი განერელის ზომიერ მეტი დარჩენოდა ასეთი განზრახვანი და, სამწუხაროდ, მიზეზს მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩენდა — მთელი ცხოვრება პოლემიკას რომ გადაჰყოლოდა, ერთხელ გამოთქმულ შეხედულებათა დაუსრულებელ დაცვას, დრო აღარ დარჩენოდა იმ განზრახვათა აღსასრულებლად, მის ესთეტი-

კურ ბუნებასთან ყველაზე ახლოს რომ იყო, არადა, მის სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს, ნაცვლად იმისა, პირიქით ყოფილიყო — ტომების უმეტესობას ეს რკალი მოიცავდეს და არა შესლა-შემოხლის ჟინით ანთებული წყება არამარტო ვრცელი წერილების, არამედ მონოგრაფიებისაც.

ხელახალი გამოცემისას იმ პირვანდელ ტექსტებს ზოგიერთ შემთხვევაში (პავლე ინგოროყვასა და გიორგი წერეთლის წინააღმდეგ) რამდენადმე ცვლიდა და ყველაზე უხემ გამოთქმებსა და პასაჟებს ამოკვეთდა, მაგრამ ამ სახითაც დიდად არა ნელდებოდა თავდაპირველი სიცხარე, ზოგიერთ შემთხვევაში კი თავდასხმის სამიზნეთა ვინაობასაც არ გაამხელდა — ერთხელაც კი, ისე გამძვინვარებულიყო, რარიც უძნელდებოდა ამ გვარ-სახელთა (ივანე ლოლაშვილის, შალვა ხიდაშელის, აკაკი ხინთიბიძის) წარმოთქმა, რომ დაუსახელებლად „შემუსრავდა“ მათ სამეცნიერო ნაშრომებს. ამჯერად გაუნელებლად შეინარჩუნებდა იმ პირვანდელ გაგულებას, თუმც სიცოცხლის მიმწუნრზე სრულიადაც რომ გადაეფასებინა თავისი პოლემიკური დაუმცხრალობა და შემწყნარედ მოპყრობოდა „მონაწილედგეთ“, ტომებს ვერც შეადგენდა და ლამის ერთადერთი წიგნის ამარა დარჩებოდა.

წუხდა, მწვავე დისკუსიებს ასე რომ ჩამოეცილებინა თავისი ნამდვილი საქმისათვის და უმცროს თანამოკალმეებს შეაგონებდა, რომ მის გზას არ გაჰყოლოდნენ და პოლემიკაში არ ჩაეშრიტათ ძალ-ლონე.

მხოლოდ მემლერა ჩემთვის მაინც და უხმაუროდო...

უმცროს თანამოკალმეებთან საუბრები კი ძალიან უყვარდა და ცხოვრების წესადაც გადაეცია — საერთოდაც, ყველა თაობის ლიტერატორი იყრიდა თავს მასთან, პლატონური აკადემიის მსგავს გარემოს რომ ახვედრებდა და უხვადაც გასცემდა ცოდნას და არც მათგან ეთაკილებოდა შეძენა. მჭევრმეტყველებით რომ გამოირჩეოდა და ლიტერატურის უკიდევანო სამყაროს ხელშესახებად გადაგიშლიდა თვალწინ და მისი სიღრმეებს მოგახილვინებდა, რა გული გაგიძლებდა, კვლავ და კვლავ არა სწევოდი და ლიტერატურული „შიშილი“ იქ არ მოგკლავ უჩვეულო და მომხიბლავ სივრცეში გადატყორცნილს.

თუმც შეგახსენებდნენ, რომ: ლიტერატურა არ გახლდათ ვარიეტე, არამედ — გეთსიმანიის ბალი და გოლგოთა.

ეს გარემო შთამბეჭდავი შტრიხებით აქვთ აღწერილი ემზარ კვიტიანიშვილსა და რევაზ კვესელავას, ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი იმ ოთახის სული აქვთ მოტანილი ცოცხლად და შთამბეჭდავად, თავისებური ოაზისისა გაუდაბურებულ სინამდვილეში, თუმც სხვანიც არიან მოვალენი ალაღვიონ დროჟამის ის მონაკვეთი, როდესაც აკაკი განერელია ძველთა ბრძენთა დარად ამლელვარებდა ერთი ოთახის უკიდევანობას. თავისი აკადემიის მთავარ მიზნად კი მომხიბლაობის უწყვეტობის შენარჩუნება ესახებოდა.

ხშირად გაისმოდა: ესა და ეს დიდი მწერალია ან შესანიშნავი მწერალია? და იშვიათად: მომხიბლავი მწერალია?

აკაკი განერელიას თავისი საზომი რომ მოემარჯვებინა ლიტერატურულ მოვლენათა შესაფასებლად, ამ გადასახედოდან ორ მთავარ თვისებას გამოარჩევდა: მომხიბლაობასა და სულიერ მუსიკალობას, — რათა დაბეჯითებით განეცხადებინა: ვისაც ისინი არ გააჩნია, იგი მხოლოდ მთხველიაო.

ეს უპითეტი — მომხიბლავი — როგორც შეფასების საზომი, ვასილო როზანოვთან ამოუკითხა, კორნეი ჩუკოვსკიზე აღმატებული გამოთქმები რომ არ ენანებოდა: შესანიშნავი მწერალიო, ჩინებული ადამიანიო, ასეთიო, ისეთიო, — ოლონდ დასძენდა: მაგრამ იგი არ არის მომხიბლავი მწერალი, ეს კი ლიტერატურაში ყველაფერს ნიშნავსო.

და რაკილა ლიტერატურაში მომხიბლაობა ნიშნავდა ყველაფერს და ყველაზე მეტს, აკაკი განერელია ამ თვალთახედვით გამოარჩევდა თომას მინისა და უილიამ ფოლკნერის პროზას (განსაკუთრებით „ხმაურსა და მძვინვარებას“), მარ-

გერიტ იურსენარის „ადრიანეს მოგონებებსა“ და „ფილოსოფიურ ქვას“, თორნტონ უაილდერის „მარტის იდებს“, უილიამ გოლდინგის „შპილს“, „ბუზების მბრძანებელსა“ და „საგანგებო ელჩს“, რობერტ მუზილის „უთვისებო კაცს“.

რევოლუციამდელ ქართულ პროზაში ამ თვალსაზრისით გამოჰყოფდა დავით კლდიაშვილს.

და მოადვენებდა: ალარაფერს ვამბობ ანტიკურ მწერლობასა და ალორძინების ეპოქის გიგანტებზე, დიდი ხანია მათგან განუშორებლად ვცხოვრობო.

ამ ჩამონათვალში არსად გაიეღვებს ჯონ სტაინბეკი, თუმც სხვა ფრაგმენტში მისი „ტორტილა ფლეტი“ სწორედ ამ ეპითეტითაა მოხსენიებული: მომხიბლავიაო.

მომხიბლაობას კი მარტო სხვაში კი არ ეძებდა, არამედ საკუთარ თავსაც სთხოვდა სტილურ დახვეწილობასა და არტისტიზმს, კომპოზიციურ აგებულებას კი მუსიკალურ კონტრაპუნქტს უმორჩილებდა.

საუბისნიგნაკო ჩანანერებშიც ვერ მისცემდა თავს უფლებას, ესთეტიკურ სამოსელზეც არ ეზრუნა და შინაარსობრივად თითქოსდა დამორიშორებული ფრაგმენტები შთამბეჭდავ მოზაიკურ სურათად არ წარმოესახა, დროსა და სივრცეში ძალდაუტანებლად რომ დაგატარებდა და გაგრძობინებდა პლატონის აკადემიის მსგავს თავყრილობა-სერობათა მადლს, იქ გულუხვად მიმოზნეულ შეხედულებათა ერთ ნაწილს „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ ციკლში რომ ეწერა გადარჩენა.

სადაც გინდა გადაშალე „ჩემი სოლილოკვიო“, ყველგან შემოგეფეთება ღრმა და მოხდენილი დაკვირვება თუ თვალსაზრისი, იმ კაცს რომ მიგახლოვებს, ნიგნები ცოცხალ არსებათაგან რომ არც განერჩეობდა და კითხვა — ლოცვისაგან, და უჩვეულოდ ამიტომაც გამოიყურებოდა ნიგნსმოკლებულ სინამდვილეში, მითოსსმოკლებულ დროზე არანაკლებ ტრაგიკულად რომ წარმოისახებოდა...

სულ სასთუმალთან უნდა ჰქონოდა შემოწყობილი.

სულ ხელში უნდა სჭეროდა.

და ტრიბუნაზე ასულიც თავისუფლად ვერა გრძნობდა თავს, თუკი ხელთ ნიგნები არ ექნებოდა — ამოალაგებდა ხოლმე ვეება პორტფელიდან, ააკოკოლაგებდა, ზედ მარჯვენა ხელს დაადებდა და ისე ამჭევრმეტყველებდებოდა.

ისეთი განცდა გეუფლებოდა, რომ ისევე იწოვდა ნიგნებიდან სასიცოცხლო ძალასა და ენერჯიას, როგორც ანთეოსი — დედამინისაგან.

ნიგნსმოკლებული სინამდვილე...

მითოსსმოკლებულ დროზე არანაკლებ ტრაგიკული...

მაგრამ ხომ შეიძლებოდა თავის გარშემო მაინც შეექმნა ნიგნის მითოსი, არ მორიდებოდა „ძველმოდურობასა“ თუ „ყავლეგასულ“ რომანტიკას და თავისკენ მიეზიდა და განდობილებად ექცა ის ადამიანები, რომელნიც სწორედ ამგვარ სვანეს დაექებდნენ შეგნებულად თუ ექვეყნეულად და აგერ ლიტერატურული ორდენის წევრები ხდებოდნენ.

ყველგან შემოგეფეთება ღრმა და მოხდენილი დაკვირვება თუ თვალსაზრისიო...

თუნდ:

— პინდარეს, ჯელალ ედ-დინ რუმისა და დანტეს შემდეგ არავის უსაუბრია უზენაესთან და თავის დემონთან ისე უშუალოდ და გულწრფელად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს. აი, მისი უპირატესობა სხვა, უნივერსალური გენიოსების წინაშე. ან:

— აკაკიმ მთელი საქართველო განმსჭვალა თავისი მელოდიით. ამ მხრივ მას ანალოგი არ მოეძებნება (დაუშვათ ეს ამონარიდიც სხვა ჩანანერედან: „აკვიდან „გათხროლ სამარმდე“ მოგდევთ იგი, გავსებთ, გწვრთნით, და ბოლოს მიგაცოცხლებთ იმ წყვდიადისაკენ, „საიდანაც არავინ დაბრუნებულა“).

ანდა:

— სკეპტიკოსი მონტენი გრანდიოზული შეჯამება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის საუკეთესო

მიღწევებისა აზროვნების სფეროში. ამიტომ მას უფლება ჰქონდა, ბევრი რამ გადაეფასებინა ამ ცივილიზაციის მონაპოვართაგან.

ან კიდევ:

— „ცრემლებიდან ილიმებოდა...“ — ეს ჰომეროსის სიტყვებია კასანდრაზე. განსაცვიფრებელი პოეტური აღმოჩენაა.

ან თუნდ ეს:

— დასანანი, რომ „ვისრამიანის“ გენიალური მთარგმნელის ვინაობა უცნობია. როგორც ინტიმური ცოდნაა ქართული ენისა: ყოველი სიტყვა მღერის, ყოველი სიტყვა ლივლივებს.

ანდა კიდევ ეს:

— უდიდესი ფილოსოფოსის ჰეგელის „ქრისტეს ცხოვრება“ არაფრად ვარგა. არც დიდი ფრანგი მეცნიერი-სემიოლოგის ერნსტ რენანის თხზულება, იმავე სათაურით. ჩანს, ზოგჯერ არც ფილოსოფოსის გენიალური ჭკუა კმარა, არც განათლებული მეცნიერის გულმოდგინება ისეთი კოსმიური ფენომენის სრულყოფილად დახასიათებისას, როგორც ქრისტეა.

დიდად მოიხიბლებოდა, ალბერტ აინშტაინზე რომ ამოიკითხავდა: მის ყველაზე არსებით თვისებას მისივე რელიგიურობა ქმნიდა, — მაგრამ თვითონ ეკლესიის გარეთ ძალიან ეჭვებოდა იქ, ემპირიუმში სამგვაროსანი ღმერთის არსებობა და მისთვის უფრო მახლობელი იყო ანტონ ჩეხოვის რაციონალიზმი, მისტიციზმს რომ გაურბოდა, რადგანაც იქ, ზემოთ არაფერი ეგულებოდა სრული სიცარიელის გარდა.

ეგაა, სიონში შესვლისას უმალ ავიწყდებოდა თავისი რაციონალიზმი, მყუდროებითა და იმედით ივსებოდა და ხელი თავისთავად მიინევა პირფერის გადასანერად, როგორც კი ჯვარცმულის ხატს შეხვდებოდა.

— ტაძარში საღმრთო ემპირიუმის არსებობისა გვჯერა, ეკლესიის გარეთ კი — მარტოდენ ჯოჯოხეთისა. თუმცა ამგვარი სულიერი ანტინომია ვერაფერი სახარბიელო ვითარებაა.

რა გასაკვირია, რომ ძალიან არ ეჭაშნიკებოდა ამგვარი გაორება და ერთხელაც ინატრებდა: ნეტა მეც აინშტაინივით ყოვლისმხილველი და გამგები თვალებით შევცქეროდე ზეცის თალსო.

და ძალდაუტანებლად შემოდოდა მის ცნობიერებაში მარტივობის სამრეკლოს ზარების გუგუნი, რომელსაც ოდესღაც ასე მიჩვეოდა და რომელიც შორს, ძალიან შორს ისმოდა. და სიხარულით გაიხსენებდა, თუ როგორ ეხმარებოდა არქიდიაკონს ვება „გულანის“ (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში რომ დავანებულიყო) გადაფურცლისას, მეორე ხელში კი გრძელი, თავის სიმაღლე კელაპტარი ეყრა.

მარტივს, თავის ტაძრიანად, ჩვენი პლანეტის ყველაზე ლამაზ და მომხიბლავ ნერტილად რომ აღიარებდა, იმ გარემოებასაც საგანგებოდ გაიხსენებდა, რომ ეს ტაძარი აეგოთ წარმართულ — დიდი მუხის — ადგილას, და რაკილა მუხას მეგრულად ჭყონი ეწოდება, აქედან მომდინარეობდა მარტივობის ჭყონდიდელთა იერარქიული დინასტია, და რომ XII საუკუნის ქართული პარლამენტის სხდომის ანუ „დარბაზობის“ დროს ჭყონდიდელი მეფის გვერდით იჯდა.

და როგორ არ ეამაყა, რომ ორი ძმა — ლეონტი და ამბროსი განერელიები — უკანასკნელი შთამომავლები იყვნენ ჭყონდიდელებისა. ლეონტი კი მისი პაპა გახლდათ.

ხოლო სალხინოს პატარა სამოთხედ მოიხსენიებდა და პატარა ვერსალად. მერე რა, რომ ის არ გახლდათ თუნდ ბარიატინსკის მამულის (მარინო) მასშტაბის საცხოვრებელი, ვერ შეედრებოდა იმ გრანდიოზულ და ბრწყინვალედ მოვლილ სასახლეს. სამაგიეროდ, იმ დაბლობში, სადაც ვინროკალაპოტიანი, მაგრამ ღრმა და ზურმუხტისფერი მდინარეც მიედინება, შიგ მოლაღე ფორაჯებიანი კალმახებით, ისეთი სიჩუმე მეფობდა, თითქოს მისტიკურ გარემოში მოხვდიოთ.

— ასეთი რამ კი არსად განმიცდია.

მაგრამ დანგრევაზე რომ მიმდგარიყო მიურატების სასახლე და იგივე ბედი მოელოდა კარის ეკლესიასაც?

სალხინოს გადასარჩენად, სასახლისა და კარის ეკლესიის აღსადგენად იმ რჩევას შესთავაზებდა ხელისუფალთ: ვაქციოთ ის მწერალთა და ხელოვანთა დასასვენებელ ადგილადო.

ჩანანერები მემუარული გაელვებებითაც რომ ივსებოდა, რა გასაკვირია, აქაც რომ გამოენათებინა გრიგოლ წერეთლის სახებას, თუმც მასზე აკაკი განერელიას შესანიშნავი ლიტერატურული პორტრეტი ჰქონდა შექმნილი, და თითქოს რაღაც იყო დასამატებელი. არსებითად არც არაფერი, მაგრამ რაკილა ძალიან სიამოვნებდა ამ გვარ-სახელის მოხსენიება (არ ყოფილა მისი საჯარო გამოსვლა — ყოველ შემთხვევაში, მე რასაც დავსწრებივარ — რომ ეს პიროვნება არ მოეგონებინოს განსაკუთრებული კრძალვით და უპეზე გადმოდენილი კურცხალით), როგორ არ გამოეხატა კიდევ ერთხელ ბედნიერების ის შეგრძნება, რომ გამორჩენილ ელნისტთან ოჯახში ადვილად მისვლის უფლება მოეპოვებინა სტუდენტობისას.

გამონათებენ ლევან ლეონიძისა და ირაკლი ამირეჯიბის სილუეტებიც, და იმ დაუფინყარი შეხვედრის საბაბი გახდებოდა აკაკი განერელიას ნარკვევი „პლატონ ოსელისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული, ლევანს ძალიან რომ მოეწონებოდა და თავის ძმას, გიორგი ლეონიძეს, სთხოვდა ავტორის გაცნობას და ირაკლი ამირეჯიბთან ერთად „პალასის“ ეზო-რესტორანს მიაკითხავდნენ.

— მე იშვიათად მინახავს ისეთი რაინდული სულის, მიმოხვრისა და ქართული მეტყველების მაღალი კულტურის მქონე ადამიანები, როგორც ჩემი მასპინძლები იყვნენ. მათ ყველაფერი უხდებოდათ: ბოხი ხმით საუბარიც, ჭიქების ხელში ჭერაც, ლაპარაკიც ლიტერატურისა და მეცნიერების საკითხებზე, საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების მოგონებაც.

ჩანანერში ეს შეხვედრა განზოგადებულია იმის ნიმუშად, თუ რაოდენ გულისხმიერად ეპყრობოდა უფროსი თაობა მაშინდელ ახალგაზრდობას.

და კიდევ იმის ნიმუშად, რომ 30-იანი წლები იყო ხანა ქართული ჯიშის შესანიშნავ ეგზემპლართა შემუსვრისა სულმდაბალთა და უჯიშოთა მხრივ, მარტო პოლიტიკური მიზეზებით კი არა, არამედ ზოოლოგიური შურის შედეგადაც.

და მთელი ცხოვრება გულს უღრღნიდა ეს შეკითხვა: სად და როგორ მიეფარნენ თვალს ასეთი ბრგე, განსწავლული და მთელი ჩვენი საზოგადოების დამამშვენიებელი პიროვნებანი, და ისიც — ასე გლობალურად, ასე მასობრივად?..

გახსენებულია ის ეპიზოდიც, რომელსაც უნებლიეთ შეესწრებოდა, თუ როგორ ეტყოდა ბრაზმორეული ვლადიმერ გეგელია შალვა ნუცუბიძეს: რატომ ჩამოიყვანე ბერლინიდან კორნელი ხოშტარია, ტიტე მარგველაშვილი და ტოგონიძე ბერიას დავალებით, ხომ იცოდა, რომ აქ მათ დახვრეტდნენო, — ის კი ცინიკურ პასუხს გასცემდა: საკუთარი ხალატი უფრო ახლოა სხეულთანო, — და შემკითხველიც და მასთან ერთად გვარი გეგელიაც სილის გასანწავად რომ განივდნენ მისკენ, ის გაასწრებდათ და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდა.

და ამ მოგონებას აკაკი განერელია დასძენს: ამჟამად თბილისში მისი სახელობის პლატოები და ქუჩებია, ინერება მასზე ქება-ქებათანი, მონოგრაფიები... საქართველოში მისამართები საშინლად არეულიაო!..

ცხადია, არ უნდა დაიფაროს შალვა ნუცუბიძის იძულებითი მონაწილეობა იმ ტრაგიკულ ამბავში, მაგრამ არც ის იქნება გამართლებული, რომ ეს პიროვნება ამოიკვეთოს ქართული კულტურის ისტორიიდან — მისი მეცნიერული და ლიტერატურული ღვაწლი გვავალებს მონოგრაფიების დაწერასაც მასზე და საქებარი სიტყვების თქმასაც.

აკაკი განერელია მეტისმეტ სუბიექტივიზმს იჩენს, და ეს იმიტომ, რომ თვითონაც დაინტერესებულიყო და იკვლევდა პეტრე იბერის ბიოგრაფიას და... ამ თვალსაწიერიდან, ეტყობა, ხელისშემშლელი მოეჩვენა შალვა ნუცუბიძის ფიგურა და კულტურის ისტორიიდან გაძევება მოუნდომა კაცს, ვინც გახსნა ფსევდო-დოინისე არეოპაგელის ვინაობის საიდუმლო და საერ-

თაშორისო რეზონანსი მოუპოვა პეტრე იბერის სახელს, და ამასთან ერთად წამოჭრა ქართული რენესანსის პრობლემა მთელი თავისი მასშტაბურობით და, გარდა იმისა, რომ აღმოსავლური რენესანსის იდეას მისცა დასაბამი, კიდევ ერთი საყრდენი შესძინა ქართული მესიანიზმის რწმენას და უმძიმეს ჟამს თავის მხრივაც განამტკიცა ქართველი ერის სულიერი მხნეობა.

საგულისხმოა ის ფრაგმენტებიც, აკაკი განერელია რომ ძრახავს იმ ადამიანებს, რომელთაც იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კედლებს მიღმა დატოვებს, წარმოაჩენს მისი გარიგების გარემოებებს და იმონებს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომის 1974 წლის 10 იანვრის ოქმის ამონაწერს, მეცნიერთა ამოი გაბრძოლებას, რათა ეს უსამართლობა მაინც გამოსწორებულიყო.

თავისთავად რაიმე ტიტულს მნიშვნელობას არ ვანიჭებო, — ირწმუნებოდა, — მაგრამ მატერიალური უპირატესობანი, რომელნიც აკადემიკოსებს აქვთ, დამეხმარებოდა ლექციებისაგან თავი გამეთავისუფლებინა და მწერლობაში უფრო ნაყოფიერად მეშუაგავო.

მთლად ასეც არ ყოფილა — მის პატივმოყვარეობას ესალბუნებოდა თვითონ ნოდებაც აკადემიკოსისა.

ამიტომაცაა, რომ ვერა და ვერ მოინებებდა ამ განზილებას და ნაცნობსა თუ უცნობთან მღელვარედ იმეორებდა: მე აკადემიკოსად ამირჩიეს, ოღონდ... შტატი არ არსებობსო. სადაური რა არჩევა გამოდიოდა?!. ეთაკილებოდა, რომ კვლავაც მხოლოდ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის სახელით იხსენიებდნენ.

პავლე ინგოროყვა თავის გულდანყვებებსა და იმედგაცრუებებს თავისი — თითქმის უკვე გადაწყვეტილი — აკადემიკოსობის ჩაშლის გამო იუმორით უმკლავდებოდა: ნამდვილი აკადემია ჩემს ბინაშიაო.

აკაკი განერელიას საამისოდ იუმორი სრულიად არ გააჩნდა, თორემ პავლეს კვალობაზე მაინც გაიმეორებდა: ნამდვილი აკადემია ჩემს ბინაშიაო.

რა — არა თუ?!
თუმც უპირველესი სწრაფვა მაინც მუშაობის პირობების გაადვილება-შემსუბუქება გახლდათ, ამ შემთხვევაში შეეძლო სრული მიუკერძოებლობა გამოეჩინა და თავისი არცთუ მდიდარი ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის მიზეზად (თვითონ უფრო მკაცრად ამბობს: ეგზომ მცირე, სულ მცირეო) არ მოედო განუწყვეტელი სამსახური. მართალია მისი დიდი სეხნია — აკაკი ნერეთელი — არა მსახურობდა და მისი გენიის ნაყოფიც ასე უხვი გახლდათ, მაგრამ ხომ მსახურობდა გოეთე? ხომ მსახურობდა ილია ჭავჭავაძე? ამიტომაც არა ღირდა თავის მოტყუება:

— არნივები ყველა პირობებში ქმნიან დიადს, მათ ძალიან მაღლა შეუძლიათ ფრენა. ნიბლიას ეს არ შეუძლია.

თუკი ქართული ვერსიფიკაციის ბიბლიის შემოქმედი ხარ, მეტი რალა გინდა, ნიბლიობას რატომ ჩემულობ?

მაგრამ როდესაც პირისპირ დგებოდა საკუთარი თავის წინაშე, ილუზიები ეფანტებოდა. და მას შეეძლო თვალი გაესწორებინა ოცნებათა ჩაფრფვლისათვისაც.

თორემ აგერ კიდევ ერთი ფრაგმენტი.
თუ შეგვახსენებდა, რომ: ნაადრევად გარდაიცვალნენ კიტის, ლერმონტოვი და ბარათაშვილი და ცოტა მეტი ხანი დაჰყვეს დედამისაზე ედგარ პომ, მოპასანმა და ჩეხოვმა, — ბედისწერის ამ განაჩენს იმ კუთხით შეგვახსენებდა:

— ამიტომ სამსახურს ნურაფერს დავაბრალებთ. მიზეზი ჩვენსავე თავში უნდა ვეძიოთ. ღმერთი მხოლოდ რჩეულებს ეამბორება შუბლზე.

და ასეთი უკომპრომისობა საკუთარი თავის წინაშე იმის გამოისობითაა, რომ ვერ მოახერხა ეცხოვრა ისე, როგორც მისი შინაგანი ბუნება კარნახობდა — ემღერა თავისთვის მაინც და უხმაუროდ. ხმაურმა, მისთვის საძულველმა პოლემიკამ წარსტაცა ბევრი რამ, კამათის ეშხში შესული კი თავს ვე-

ლარ იოკებდა გადამეტებებისაგან, და ლოცვისა და აღსარების წაღილი რომ მოუვლიდა ანუ ჩუმად, საკუთარ თავში ჩაძირული და სულგანაბული მიუგდებდა ყურს ანგელოსთა და ლუციფერთა დიალოგს, თითქოს შუბერტის „ბარკაროლას“ უკრავდნენ სადღაც, ანდა ბახის რომელიმე ქორალი მოისმოდა, მუხლებზეც დაეცემოდა გამჩენის წინაშე, რაკილა ასეთი ნუთებით ხანდახან მაინც აჯილდოებდა, და ანთებულ შანდალთა ალის ციმციმსა და კრთომას თავისი სულის სრბოლად რომ აღიქვამდა უფლისადმი, შენდობას ამისათვის ითხოვდა: თუ „უდანაშაულოთა სისხლი დამიღვრია“ ლიტერატურაშიო.

სიცოცხლე დაისისაკენ ეშვებოდა და კიდევ უფრო მძაფრად აგონდებოდა ის შეგონება: კარგად იცხოვრა მან, ვინც თავის ენას მოუარაო.

თვითონ კი...
— მე ამ სიბრძნეს ყური არ ვათხოვე ჩემი ცხოვრების მანძილზე.

და მხოლოდ ახლა, როდესაც მერვე ათეულს გადასცილდებოდა, გაარაფრდებოდა მის თვალში ყოველგვარი გარეგნული წარმატება და ერთადერთი სიმღლა ითრთოლებდა მის არსებაში — სიკვდილის მოახლოების ჟამის მაუნყებელი.

არასოდეს ესმოდა ვასილი როზანოვის შიშისა სიკვდილის წინაშე, არც ლევ ტოლსტოის „არზამასის საშინელებისა“ („იგი ხომ ყველაზე უკეთ ასახავდა ადამიანის კვდომის პროცესს“).

მართლაც რა ამოად დრტვინავდა როზანოვი, — ვინც აგერ რენატო პაჯიოლის დიდ გამოკვლევაში ავგუსტინესთვის, რუსოსთვის, პასკალისთვის, ჯოისისთვის, კაფკასა და მსოფლიოს სხვა დიდი მწერლებისა და მოაზროვნეებისათვის შეედარებინა, — თავზარდაცემული ცახცახით რომ გამოთქვამდა სიკვდილის შიშს, არადა, ყოველგვარი კონვენუსების შეგრძნების დაძლევიტ გარდაიცვლებოდა.

ან არზამასის საშინელებას რატომ უნდა დაეთრგუნე, როდესაც შეიძლებოდა სიკვდილს ისე შეხვედროდი, როგორც ოდესლაც სატრფოს — პაემანზე, ოღონდ არა მღელვარებით, არამედ მშვიდად. და ალერსისას თვალებს რომ ვხუჭავდით და გავინაბოდიოთ, ასევე უნდა გავნაბულიყავით სიკვდილთან ალერსშიც, ჩვენი თვალების დახუჭვაზე კი ჯალათი თვითონვე იზრუნებდა.

და... უკანასკნელად გაიეღებდა სახე იმისა, ვინც შეუცილებლად, ერთხელ და სიკვდილამდე გვიყვარდა გაუხუნარი სიყვარულით.

ასეთი ბუნების კაცს დაენანებოდა და ძალიანაც დაენანებოდა, ამგვარ ფიქრებსა და განცდებში გახვევის ნაცვლად ძალ-ღონე გაუთავებელ პოლემიკაში რომ ჩაეშრიტა.

აკაკი განერელია ისეც მოელოდა სიკვდილს, და კიდევ ისეც, როგორც... მფარველი ანგელოზის ფრთების შეხებას.

— ოდნავ გონიერი კაცი ჩემს ასაკში სხვაგვარად არ ფიქრობს.

ოღონდ ვიდრე ხმის სიმები დაუნყდებოდა და ლოცვები შეეყინებოდა ბაგეზე და სიკვდილი კიდევ იზეიმებდა მის დუმლს, „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ სიმღერას არ მოეშვებოდა.

აკი გედის სიმღერად ეგულისხმა იმთავითვე.
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევედიან გედადო, — გალაკტიონი ასე და მხოლოდ ასე რომ ოცნებობდა თავის აღსასრულს და სიკვდილის გზას ვარდისფერსა და ესთეტიკურ საბურველში ხვევდა, აკაკი განერელიასაც მოენდომებინა მასთან ჩაზიარება, რაკილა ისიც მელოდიისა და სიმღერის ტალღებს მიჰყვებოდა, და თუმც გალაკტიონურად ვერ ამოეთქვა ეს განცდები, სულის სიღრმეში ხომ თვითონაც მინდომოდა იმ რალაც უხილავს, რომლის შეგრძნებაც მუსიკის მაღლსა და იდუმალებას თუ შეეძლო, იმ სადღაც გვერდით დარჩენილ გზას, როდესაც — სულიერი აღმაფრენისა და სინრფელის ნუთებში — სხვა არა გინდა რა ნუთისოფლისაგან, ოღონდ დაგცალდეს: მხოლოდ იმღერო შენთვის მაინც და უხმაუროდ.

ნინო დეკანოიძე

სად, მაინც სად ქრება ის წლები?..

**(რაზო ჭიჭიშვილის „მინების განაწილება“
და ერთი მსახიობის თეატრი)**

მორიგ ლიტერატურულ თავყრილობას მიდევნებული ეს სარედაქციო მასალა დაგვიანებულად გაიშიფრა; შესაბამისად, დახანებთაც იბეჭდება.

ამგვარი დაყოვნება, რასაკვირველია, არანაირი საგანგებო ვითარებით არ ყოფილა გამოწვეული. ანდა ვის უნდა ენიხანსარმეტყველა, წლების წინათ დაწერილი ერთი „რიგითი“ ნოველა, ამ დღეს მსახიობის მიერ ოსტატურად წაკითხული, ჩვენი რაოდენობრივად მოკრძალებული აუდიტორიის წინაშე, უვერტიურად თუ მოერგებოდა რიცხვმრავალ „სახელოვანთა“ ყრილობას, ტკბილმხარედ რომ გადაიგრგვინა მწველი ზაფხულის წინარე.

ყრილობის დელეგატთა მორაულ ხმებს სანდო წყაროებად თუ მივიჩნევთ, ამ მეტად მჭექარე ღონისძიებას არაფერი ჰქონია საერთო სამწერლო ცხოვრების შემაჯამებელ ხუთწლედთან; უფრო ქონებრივი დეკლარაციებისა თუ ადმინისტრაციული ძალაუფლების გადამონმებით დამამკრალან ფრიად... და შესაბამისად, სავალალო ანგარიშით დამარცხებულთ დარბაზი გულმოსულად მიუტოვებიათ, გამარჯვებულთ კიდეც დედოფლურ-რაინდული დიდებულეების სრული სვლით ე. წ. „პოსტები“ გადაუნაწილებიათ კვლავ თავისავე სასარგებლოდ. და ჯვარი სწერიან, მაგრამ ასე წლის მერე იმ კარიბჭეს რომ მიატანენ, „სადა არა არს თვალდება“, „მართალი“ საქმითაც შეაბიჯებენ?

ახლა ჩვენს საქმეს რომ მივადევნოთ თვალყური. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამართული ყოველი ლიტერატურული ღონისძიება ზედმინევენით მიესადაგება შინაარსს, ამიტომაც ყურისსაგდებადაც საინტერესოა. ოღონდ ამ შეხვედრებიდან ამოკრებილი მასალა, დაბეჭდვის მერე, მიმდინარე ცოცხალი პროცესების ანარეკლადაც თუ მაინცდამაინც ვერ გამოდგება, ვუბოდიშებთ მკითხველს...

იმდღევანდელი ღონისძიებაც **როსტომ ჩხეიძემ** წარმართა. მან შეახსენა აუდიტორიას, რომ **რეზო ჭიჭიშვილის** ნოველას „**მინების განაწილება**“ მსახიობი **მერაბ შარიქაძე** წაკითხავდა.

როსტომ ჩხეიძემ მწერლის შემოქმედებაში პროზის ეს ნიმუში ერთ რიგით ნანარმოებად დაასახელა. თავისი ნათქვამის გასამყარებლად იქვე განმარტა, სიტყვა „რიგითი“ იგულისხმბა საუკეთესო საუკეთესოთა შორის, რითაც გამოირჩევა რეზო ჭიჭიშვილის პროზა და იოტისოდენა ჩავარდნასაც ვერსად მიაგნებს საამისოდ გაფაციცებული მკითხველი. მან ისიც გაიხსენა, რომ „ლიტერატურული სამშაბათობები“ ამგვარი შეხვედრებით სხვა დროსაც გამრავალფეროვნებულია. საგანგებოდ მონვეულ მსახიობებს წაუკითხავთ **ოთარ ჩხეიძის**, **ჯემალ ქარჩხაძის**, **მურმან ლებანიძის** ნოველები; წაუკითხავთ პიესები — თარგმნილი თუ ორიგინალური... ლექსები ხომ თავისთავად...

მასპინძელმა ორიოდ წლის წინანდელი სტუმრობაც შეახსენა აუდიტორიას რეზო ჭიჭიშვილისა; როცა აქ, ამ დარბაზში, მისი იუმორისტული კრებული „**კურო**“ განიხილეს და

განავრცო კიდეც საუბარი ამ გამორჩეული ოსტატის დამსახურებაზე ქართულ მწერლობაში; და არა მხოლოდ:

— მსოფლიო მასშტაბის პროზაიკოსია, მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის ბრალია, რომ მწერლობას ზოგადად და რეზო ჭიჭიშვილს კერძოდ, არა აქვს ის ალიარება, რაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ დადგება ის დღეც, როცა დასავლეთი აღმოაჩენს რეზო ჭიჭიშვილის პროზის თავისებურსა და მხატვრულ სამყაროს და რაც ახლა ჩვენთვის ასეთი ძვირფასი და საყვარელია, არ იქნება მათთვისაც ინტერესმოკლებული და შეფასდება ისე, როგორც მწერლის შემოქმედება იმსახურებს.

გამომსვლელმა ისიც დასძინა, რომ ე.წ. აბსურდული რეალობის ასახვისათვის დასავლელ მწერლებს სჭირდებათ წარმოსახვის დიდი გაქანება, რაც ჩვენთან, სამწუხაროდ, რეალობა და შიშველი ნატურალიზმია. ოღონდ ამ ნატურალურ სურათებს შესაფერის ადგილს თავის შემოქმედებაში მხოლოდ დიდი ხელოვანი თუ მიუჩენს, და ასეთი არის სწორედ ბატონი რეზო ჭიჭიშვილი. მისი აბსურდული სამყარო მეტად მრავალფეროვანია: აღსავსე გროტესკით, ტრაგიზმით, მისტიციზმით, საერთოდ კი იუმორის ყველა შრეა ამ რომანებსა და მოთხრობებში წარმოჩენილი, თანაც მთელი თავისი მშვენიერებითა და სიმძაფრით.

უშუალოდ ნოველის კომპოზიციასა და სიუჟეტზე კი მიუთითა: — „მინების განაწილება“ ძალიან ხელშესახებად წარმოაჩენს ჩვენს რეალობას. მწერალთა კავშირის ყოფა აქ განზოგადებული — მისი სრული დეგრადაცია და სულიერი კრახი. ეს არის ჩინებული სატირა მწერალთა კავშირზე.

და კიდეც:

— ნოველის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა თავშეყრამათი თავდაპირველად თუ სიცილ-ხარხარს იწვევს, მერე იჩენს თავს ძალიან დიდი გულისტკივილი; მითუმეტეს, რომ ფინალში ყველაფერი იცვლება. მისტიკური ფონი ხელახლა მძაფრდება და სიცილი აღარ არის მხიარული, რადგან ტრაგიზმი და კომიზმი ერთმანეთში ითქვიფება და ძალიან დიდი მღელვარებით გავსებს, და გინდა როგორღაც დააღწიო თავი ამ ყველაფერს, მითუმეტეს მწერალიც მიგიძღვის საამისოდ.

სიტყვის ბოლოს როსტომ ჩხეიძემ არც ის დატოვა გაუმხელელი, რომ ნოველის თავდაპირველ ვარიანტში ყოველი პერსონაჟი თავთავისი გვარ-სახელით ყოფილა და მერე შეცვლილა... თუმცა მაინც გამჭვირვალე მინიშნებებია, ოღონდ კარგი იქნება, თუ ყველას ვინაობა გაიშიფრება, ბატონო რეზო — მიმართა მწერალს, ვინც დარბაზში იჯდა თავის მეუღლესთან, სათნო და სიმპათიურ ქალბატონ მარინა ვერულაშვილთან ერთად, და ვითომც უბრალო მონიტორესე ისმენდა ყოველივეს მონადინებით, სხვათა თვალისთვის შეუმჩნეველი სიფხიზლით.

და მთავარი და დასანიწარუებელი სათქმელი: მთელი საათის განმავლობაში მსახიობი მერაბ შარიქაძე — მისი სახელი მახლობელივით გაისმის ალბათ ყოველ ოჯახში, სადაც საქართველოს რადიოს უსმენენ; გამორჩეულად ალბათ უფრო იქ, რადიოსპექტაკლების ყურისგდება რიტუალივით რომ დაინესეს.

მერაბ შარიქაძემ სამაგალითო ოსტატობით წაკითხა რა ნოველა, ყოველი პერსონაჟი, მახასიათებელი მღელვარებითა თუ განცდებით, სათითაოდ შეაგრძნობინა მსმენელს. ზედაპირული განსაკუთრებულობისა და მომწუსხავი თავისდაფასების გარეშე, გადაუჭარბებლად რომ ითქვას, მან შეძლო ერთი მსახიობის თეატრი მსმენელისათვის სისავსით განეცდვიენებინა.

მსახიობის მერე შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად სიტყვა ეთხოვა **გია მურღულიას**, ლიტერატორს, პედაგოგსა და პოეტს.

კომპაქტურად შეკრული გამოსვლა მან თეზისებად ჩამოაყალიბა:

1. ეს მოთხრობა „მინების განაწილება“ არა მხოლოდ საბჭოური ყოფის, არამედ ადამიანური ყოფის აბსურდულობას ეხება. რა ხშირად გვიპყრობს ახლა ასეთი განცდა — ის, რაც „საბჭოური“ გვეგონა, რად არ გაქრა მაშინ საბჭოთა კავშირის გაქრობასთან ერთად? ეტყობა ეს ასე სულაც არ ყოფილა.

2. აქ ასახული აბსურდი (ცოცხალი ადამიანები საფლავის მინებს ინაწილებენ) იმავდროულად სოციალური სტატუსის გარკვევის, მოპოვებისა თუ განმტკიცების მცდელობაცა და ასახვაც არის. თავისთავად აბსურდი ამ ადამიანებს არ აღიზიანებთ, რადგან რაც გამოიხატება იმ წუთებში, უკიდურესად კონკრეტულია და არც შეუმჩნეველი დარჩება არავის და არც გულგრილს დატოვებს.

3. ეს ყველაფერი ძალიან სევდიანი და ძალიან სასაცილოც არის ერთსა და იმავე დროს. თანაც ეს „სისტიმა“, რომელიც თამაშის საკუთარ წესებსა და შესაბამის ურთიერთობებს გულისხმობს. ამ სისტიმაში ადამიანისთვის ადგილი არ არის — აქ სქემები მოქმედებენ. დააკვირდით, იმ გროტესკული სხდომის დასრულებისას რა უაზროდ გამოიყურება ყველა, მაშინ როდესაც სრულიად პირიქით უნდა ყოფილიყო. ეს არსებები აბსურდში ბუნებრივნი არიან და ჩვეულებრივ რეალობაში — აბსურდულინი. ამიტომ სრულიად ლოგიკურია მოთხრობის ფინალური სურათი: „უცბად უზარმაზარი მთვარე გამოცურდა ღრუბლებიდან და ყველაფერი გაანათა. ხის ტოტი, ხის ძირი, კედელი, ქვა, ფანჯარა, ტროტუარი და ასფალტი გააკაშკაშა. გროვა-გროვად დაყოფილი ხალხი რალაც გაურკვეველმა შიშმა აიტანა“ — იერონიმ ბოსხის ფუნჯილა აკლია მას. ამ სურათს კი მთავარი კითხვა მოსდევს: „სად, სად წავიდა, რაზე ფიქრში, ვისთან ბრძოლაში და დავაში გაილია ეს ორმოცდათერთმეტი წელი?..“ როდესაც ამგვარი ყოფასა და „ცხოვრებას“ ნამდვილი ნათელი მოეფინება, ყველაფერს (ტოტს, ხის ძირს, კედელს, ქვას, ფანჯარას, ტროტუარს, ასფალტს...) აზრი მიეცემა, ვარდა ადამიანის სრულ არარაობად ქცეული „ცხოვრებისა“.

4. მოთხრობის მთავარ საზრისთაგანი ის არის, თუ ტოტალიტარულ საზოგადოებაში როგორ უნდა მოაჩვენო შენი ფიქრი და გადანყვეტილება სხვას მის ფიქრად და გადანყვეტილებად, ბოროტება კი — სიკეთედ; ანუ აქ წარმოდგენილია ადამიანთა მოტყუების ტექნოლოგია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დემოკრატიის მთავარი ნაკლოვანება ჩანს — ჩვენ ერთად ვწყვეტთ იმას, რაც მე უკვე გადანყვეტილი მაქვს: „მართალია, ფაქტიურად ყველაფერი წინასწარ იყო გადანყვეტილი და განაწილებული, მაგრამ ბევრს ეგონა, სწორედ დღეს, აქ, ამ ალაგას მოხდება მოსახდენი“.

5. ამ მოთხრობის ზოგიერთი ფრაზა უკვე ლიტერატურულ (და ცხოვრებისეულ!) კლასიკად იქცა:

„მე არ მმარხავთ?“ — წყნარად იკითხა ჭოლა ჭონქაძემ პირველი რიგიდან“.

„ჩამოვა ამხანაგი ვარსკენი და მოახსენეთ თქვენი სატკივარი“.

„განვიხილავთ, ბატონო, ამ საჩივარს და თხუთმეტი წლის შემდეგ გადმოგასვენებთ წმინდაგორაზე რეზერვში“ ...

„სიაში კი ვარ, პატივცემულო აქცენტი, მაგრამ ვიყავი ბედუბნეში და ჩემს ადგილზე სხვა მარხია...“

შენს საფლავში სხვა რომ მარხია, კიდევ არა უშავს, შენს ცხოვრებაში რომ მარხია ვილაც სხვა შენს ნაცვლად — ეს მეტი უბედურება!



რეზო ჭეიშვილი, როსტომ ჩხეიძე, მერაბ შარიქაძე

ამ ადამიანებს — პერსონაჟებს — უკვდავება მართლაც გაანტირებული აქვთ — ამაზე ბატონმა რეზომ იზრუნა.

მე არა მხოლოდ გული მწყდება, არამედ განცვიფრებული ვარ, რომ ჯერჯერობით არავის გასჩენია სურვილი, ამ მოთხრობის მიხედვით თუნდაც მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაეღო — დიდებულ სანახაობას ვიხილავდით.

ჩემი მხრივ დავურთავ, რომ კარგი იქნება, თუ ბატონი გია ამ თეზისების მონახაზის ქარგაზე მისთვის ჩვეულ მშვენიერ წერილს ააგებს.

მოგონებები დაუდო საფანელად თავის გამოსვლას მწერალმა **მიხეილ ანთაძემ**:

— უპირველესად დიდი მადლობა მინდა გამოვთქვა ამ არაჩვეულებრივი საღამოსთვის. ბატონმა მერაბმა მართლაც რომ გააცოცხლა ეს ნოველა შესანიშნავი წაკითხვით. განსაკუთრებით მივსიყვარულეები ბ-ნ რეზოს, ვინც მართლაც უდიდესი მწერალია. მე ამას ყოველთვის ვეუბნები, როცა ერთმანეთს ვხვდებით ის კი მპასუხობს: რაც დრო გადის, ბაბუაშენს ემსგავსებო. სიამაყით აღვნიშნავ, როდესაც უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, პარალელურად კინოსასცენაროს განხრითაც ჩავირიცხე, სადაც ჩემი ხელმძღვანელი ბატონი რეზო იყო. კიდევ უფრო მეამაყება, რომ ბატონ რეზოს ვიცნობ იმ დროიდან, როცა ვიყავი სრულიად ბავშვი. ჩემი ბაბუა, მიხეილ მგალობლიშვილი, კინოსტუდიის მთავარ რედაქტორად მუშაობდა და ხშირად დავყავდი თავისთან სამსახურში...

მიხეილ ანთაძემ 60-იანი წლების კინოსტუდია შთამბეჭდავად და ცოცხლად გაიხსენა. განსაკუთრებით **მიხეილ კვესელავას** დირექტორობის ხანა, როცა ქართული კინო აღიარების გზაზე გავიდა და იმ თაობის რეჟისორებთან ერთად ამ წარმატებას ახალგაზრდა მწერლებიც ინაწილებდნენ, რედაქტორებად რომ მოეყარათ თავი ამ სახელოვნებო დაწესებულებაში. მონივნებით დასახელა რა ისინი, ჩვენც სიამოვნებით ვიმეორებთ: **ნოდარ დუმბაძე, რეზო ჭეიშვილი, რეზო ინანიშვილი, რეზო კვესელავა, არჩილ სულაკაური, ამირან ჭიჭინაძე, გიგლა ხუნიშვილი, ემზარ კვიციანიშვილი, რეზო ებრაელიძე, არლი თაყაიშვილი, გურამ გეგეშიძე, ედიშერ ყიფიანი, ოტია იოსელიანი, გურამ ფანჯიკიძე, ანზორ სალუქვაძე, ლევან ჭელიძე...**

სიტყვით გამომსვლელმა ყმანვილობაში აღქმული კინოსტუდიის გარემო დახატა და დასძინა, რომ ამ უნიჭიერესი ხალ-

ხით კეთდებოდა დიდი საქმე და დულდა შემოქმედებითი ცხოვრება...

მერე კი მწერალს განსაკუთრებული სისათუთით მიმართა:

— ბედნიერი ვარ, რომ შინ მაქვს თქვენი ავტოგრაფით ბაბუაჩემისთვის ნაჩუქარი მოთხრობების პირველი ნიგნი „ბზიანეთი“. ალბათ ბევრი ჩემნაირია თქვენი პატივისცემელი, მე არ ვიჩემებ განსაკუთრებულობას, მაგრამ თქვენი ყველა ნაწარმოები ნამიკითხავს და მიმარწმუნებთ ჩემს მასწავლებლად, მისაბაძი ბრძანდებით მწერლობაში.

ცნობილია ჟურნალისტიკა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა **იოსებ ჭუმბურიძემ** თავისი გამოსვლა ჩვეული უშუალოებით გაახშირნა:

— ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო ისაა, რომ ბატონი რეზო გულიანად იცინოდა ამ ნოველის მოსმენისას და ეს ბატონი მერაბის დამსახურებაა. ძალიან ორიგინალური შეხვედრაა, თითქოს მოთხრობის ასეთნაირად კითხვა არ უნდა ინვესტდეს მძაფრ ინტერესს. პროზა მაინც შინ საკითხავია, შენთვის, ჩამყუდროებულად წასაკითხი. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაეუხვება ხაზი, მსახიობმა ჩინებულად გაართვა საქმეს თავი. მას არ დარჩენია არცერთი რეპლიკა, ფრაზა, დეტალი საყურადღებო რომ არ გაეხადა. ბატონი რეზო ჭეიშვილი პროზის ოსტატია. უილიამ ფოლკნერი რომ მიუთითებს, მოთხრობაში ყოველი სიტყვა ზუსტი უნდა იყოს, აქ არის სწორედ ის სიზუსტე. მაგრამ დიდი მწერალი ინყება იქ, სადაც ინყება მისტიკა და რაზეც როსტომმა გაამახვილა ყურადღება თავის ცნობილ ესეიში რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას რომ მიუძღვნა „საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი“; და რაც დღესაც აღნიშნა. რა შთამბეჭდავი ფინალია ამ ნოველაშიც. თითქოს კითხულობ ჩვეულებრივ მოთხრობას, მაგრამ თურმე სადა ხარ... გადი ფინალთან, იქ დაგხვდება დიდი მწერალი, ყველასაგან განსხვავებული... შვეიტკობთ ეს ბედნიერება, რომ გვყავს ასეთი ოსტატი და ის ჩვენ გვერდითაა.

ჩვეულებისამებრ, ორიგინალური ხედვით გამოირჩეოდა ქალბატონი **მანანა გაბაშვილი**. მან როგორც ისტორიკოსმა, სულ სხვა დაკვირვება წამოსწავა:

— ჩემთვის ეს მოთხრობა ძალიან საინტერესოა ბევრი თვალსაზრისით. მისი მოსმენისას ასოციაციური ფიქრები მომეძალა. ამ პერსონაჟთა ქმედებას მაინც მიაბიძგურად აღვიქვამ იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება ჩვენს სინამდვილეში: იყიდება ქართული მიწები უცხოელებზე, რითაც ასამარებენ საქართველოს...

პოეტმა **მარლოტა კვატალიანმა** სასიამოვნო შთაბეჭდილებანი გაუზიარა მსმენელს ქვიშხეთური ზაფხულებიდან, სადაც ტრადიციად დაუმკვიდრებიათ, ყოველ სააგარაკო სეზონზე რეზო ჭეიშვილი თვითონვე უკითხავს ახალ ნიმუშებს ე.წ. ვერანდაზე, საგანგებოდ თავმოყრილ მოაგარაკებს ანუ მისი შემოქმედების თავყვანისმცემლებს.

პოეტმა ქალბატონმა ქვიშხეთური ეპიზოდი მომხიბლავად განავრცო ლექსით — „ქუთაისის სახლი“, რომელიც მწერლისადმი მიუძღვნია და მსმენელს მისი ლირიკული გახმოვანებით შეაძლებინა ქვიშხეთიდან ქუთაისში „გადაესერნა“ რეზო ჭეიშვილის კარ-მიდამოს მოსახილველად.

სიტყვით გამომსვლელთა შორის აზრთა სიმავილით გამოირჩნენ აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკოსი **თეიმურაზ ნადარეიშვილი**, უშიშროების ჩინოსანი **ჯემალ ფოცხვერია** და ლიტერატორი **ნიკოლოზ სანებლიძე**.

თითოეულმა მეტად ორიგინალური მიგნება-დაკვირვებანი გაახშირნა.

საგულისხმო ვარაუდებისა თუ ალუზიური აღმოჩენების მოთავეების შემდეგ თეიმურაზ ნადარეიშვილმა კოლეგალური აღფრთოვანებით მიმართა მწერალს; რომ პირადად გაცდა, ფიზიკის მისეული ცოდნით, რადგან ერთ-ერთ პერსონაჟს შესანიშნავად გადმოაცემინა „ფართობით“ სიდიდეები... რაც ითქვა, მეცნიერული თვალსაზრისით იყო სწორი — ბოლოს პროფესიონალი ექსპერტის პრესტიჟით დაადასტურა.

კამათიც გაიმართა: ნოველის თარგმნა უცხოურ ენებზე რამენაირად ხომ არ შელახავდა ეროვნულ თავმოყვარეობას...

იყო დაბეჯითებული საუბარი ნაწარმოების აღქმისა და ნაკითხვის კუთხით, რომ ეს ნოველა კონკრეტული სამეტყველო ხორცშესხმა და ასეთ დროს ხმოვანებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ფონეტიკური ეფექტი არის მაღალი... და რომ ამბავი, რაც ნოველაში აისახა, სავსებით შესაძლებელია მომხდარიყო თუნდაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში 1914 წელს ანდა ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ დროს.

რასაკვირველია, დისკუსიას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას საკუთარი ნოველის ირგვლივ გულგრილად არ უგდებდა ყურს მწერალი. რეპლიკა, როგორც ასეთი, მას არ გაუხმაურებია; ანდა ვინ იცის, ეგებ მოხაზა კიდევ ფიქრში ახალი ნოველის კონტურები...

შეხვედრა კი თვითონვე დაასრულა, უბრალოდ და სადად, როგორც სჩვევია, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე:

— ახლა ვერაფრით გაგაკვირვებთ და პატარა ნაგლეჯს ნაკითხვავთ „ცისფერი მთებიდან“:

„...ორი სათაური ადრეც გეუბნებოდი, წასული ამბავია და ახლაც გეტყვი, არ იყო საჭირო, მე თავისთავად ცისფერს კი არ ვენიანალმდეგებოდი ანდა ტიან-შანთან, — ზეციურ მთებთან კი არ მქონდა გართულება, ზედმეტია ერთი-მეთქი, გიმტკიცებდი. ორი არ იყო საჭირო, თუმცა ერთიც რომ დაგესართებია უარს არ გეტყოდი. გაგესამებია, თუ გაგეხარებოდა, ვინ დაგიშლიდა ან ანი ვინ დაგიშლის, მაგას არ დაგამაძლიდი, უკვე კარგად ხვდები. საერთოდ სოსო, შენ, გინდაც თქვენ იმას კი აკეთებთ, რაც შეგიძლიათ (შეგიძლიათ თუ არა სხვა საკითხია), მაგრამ იმას არ კითხულობთ რა შეიძლება; იმას კი ითხოვთ, სავსებით სწორად, რა გინდათ, მაგრამ რა გეკუთვნით არ გაინტერესებთ...“

სოსო, რისი უფლება და საშუალება გეკონდა არ იცოდი, ანი თუ გეცოდინება, არა მარტო შენ, არ იქნება უსარგებლო, თუმცა თუ არ გეცოდინება, არც მაგით შეიცვლება რაიმე. სოსო, ნგრევის დროს დეკორაცია იცვლება, ფერები ირღვევიან, იდღვივებიან ხელახალი განცალკევების მოლოდინით; ამ პროცესს სოსო, ნგრევისა და დეფორმაციის დინამიკას, ხელახალი შენების პერსპექტივას არც მთლად ზუსტი, მაგრამ სწორი განსაზღვრა და გათვალისწინება ჭირდება, მარტო აქ კი არა, მხოლოდ ჩვენთან კი არა, — საერთოდ და ორი სათაური, ეს ნუ დაგაბნევს, არაფერ შუაშია. დრო დგას და მიდის, სოსო და ჩვენც თანმიმდევრობით, მხოლოდ არა ერთმანეთის მიყოლებით, გავდივართ წრებრუნვიდან, ვტოვებთ სცენას, სადაც ყველას ჩვენი როლი და სიმართლე გვერგო, ამიტომ ჩვენ-ჩვენი სიმართლთაც გავვიმარჯოს, ჩემო სოსო...

— ვაჟა ზაზაევიჩი, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენმა სოსომ ანი რა უნდა გააკეთოს?

— ჩვენმა სოსომ უნდა გააკეთოს ის, რასაც აკეთებდა აქამდე!

ჭეშმარიტად ბრძნული პასუხია.

პირადად მე, თქვენი და სხვათა მონამორჩილი, იმას ვაკეთებ, რასაც ვაკეთებდი აქამდე — ამ პრინციპისათვის არასოდეს მილაღატნია! ჩვენ კი ერთხელ კიდევ და საბოლოოდ შევხვდებით ერთმანეთს...“

ია საკანდელიძე

სულის მშენიარების ქიებაში

(მადია გივილიაშვილის გახსენება)

განსაკუთრებული მომხიბვლელი-ბით, არტიზმითა და სათნოებით გამოარჩევდნენ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მედეა ბიბილიაშვილს მისი თანამედროვე თეატრის კრიტიკოსები. მედეა წარმატებულ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და 1964 წლიდან 90-იან წლებამდე მარჯანიშვილის თეატრის ყოველ მეორე თუ არა, მესამე სპექტაკლში მანც, მთავარ როლს ასრულებდა. 40-ზე მეტი როლი ჰქონდა შესრულებული თეატრსა და კინოშიც.

ბევრი ინერებოდა მის მსახიობურ ოსტატობაზე. ინერებოდა არა მხოლოდ ჩვენთან, საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც. მაგალითად, 1972 წელს მოსკოვსა და პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში), მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს, გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“ წერდა: „საინტერესოა ახალგაზრდა მსახიობის მედეა ბიბილიაშვილის დედოფალი ელისაბედი (შილერის „დონ-კარლოსი“). აქ მსახიობი, რომელმაც ასე მკაფიოდ, ჟანრული ძარღვიანობით ითამაშა ნასტია აკაკი გენაძის პიესაში — „წმინდანები ჯოჯოხეთში“, პოულობს პრინციპულად სხვაგვარ ფერებს, აღწევს საოცარ ფსიქოლოგიურ სიზუსტეს, ნახატის აკვარელურ გამჭვირვალობას, აქვს შინაგანი ძალების ამოუწურავი მარაგი, რომელიც სიყვარულშიც იჩენს თავს და პოლიტიკაშიც“.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა „დონ სეზარ დე ბაზანი“ მედეას პოეტური, ჰეროიკული, ნაზი და ბოზოქარი მარიტანა. „მედეას მარიტანა მადრიდის მოედნების მახაა, გოიას ნახატიდან გადმოსული, ფეხშიშველობაც რომ შვენის და დიბა-ატლასის ქოშიც რომ უხდება, წითელი მარჯნისფერი ჩითის ნაძონიცი რომ ამკობს და ხავერდის საინფანტო სამოსიც რომ გაადედოფლებს, იმდენად ლამაზია მისი გმირის სულიერი სამყარო“, — წერდა ცნობილი თეატრალი კირა კვიციანი.

მარჯანიშვილის თეატრისა და მედეას რეპერტუარი გამდიდრა ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისიმ“, სადაც მედეა ზუსტად ჩანვდა ავტორის ჩანაფიქრს და მის მიერ განსახიერებული მუნჯი ვისი, უპატრონოდ დარჩენილი, სხვაზე დამოკიდებული, რეალობას მონყვეტილი საქართველოს ალეგორიული სახეა. მედეა მეტყველი თვალებით, კომიკურობამდე მისული უმწეო მოძრაობებით, უთქმელად ისე გამოხატავდა პიესის მთავარ სათქმელს, რომ იმდროინდელ ცენზურასაც გულიანად აცინებდა და გამგებ მაყურებლამდე უჩუმრად მიჰქონდა ავტორის გულისტკივილი.



მედეას შეეძლო გმირთა ხასიათებთან ინტიმური სულიერი კონტაქტის დამყარება, ამიტომ ახერხებდა ერთი ამოსუნთქვით როლის დაბადებას. მისი ყოველი გმირის ქცევა ადამიანური სისუსტის ელემენტებსაც შეიცავდა.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ თამაზ ჭილაძის პიესა „ბუდე მეცხრე სართულზე“ და მის მიერ განსახიერებული მაკას ფსიქოლოგიური პერსონაჟი. მედეას შესაძლებლობა, გმირის ნებისმიერი ტკივილი და ტრაგიკული განცდაც, არა მხოლოდ ნათლად, ცხადად და ესთეტიკურად, არამედ ქალური მომხიბვლელობის სრული შენარჩუნებით წარმოეჩინა, არაჩვეულებრივ გარემოს ქმნიდა პარტნიორის მამაკაცური ხიბლის გამოსავლენად. ამიტომაც ეს სპექტაკლი, საპასუხო იმპულსებიდან გამომდინარე, პარტნიორთა შორის არსებული შინაგანი ქვეცნობიერი დიალოგით, კოტე მახარაძე — მედეა ბიბილიაშვილის აქტიორული პლასტიკისა და სიტყვის ზეიმად იქცა.

თეატრიდან მედეამ კინოშიც გადაინაცვლა და მშვენიერი სახეები შექმნა. ოლოლი და ზანდა ოთარ აბესაძის „ჩემი ქალაქის ვარსკვლავსა“ და „ანარეკლი“. მისი გმირების დახვეწილი არისტოკრატიული გარეგნობა, აღმოსავლურ-დასავლური სილამაზის იშვიათი შენამება და შემოქმედებითი ოსტატობა ყოველთვის ინვევდა მაყურებლის სიყვარულსა და აღტაცებას.

პირად ცხოვრებაშიც საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა. ძალიან დიდი, უსაზღვრო, თავდაუზოგავი სიყვარული იცოდა, მთლიანად მიეცემოდა გრძნობას. იცოდა თქმა: „სიყვარული ერთია, იგი ჩვენი არსების ღვთიერი ნაწილია. მხოლოდ პერსონები — სიყვარულის ადრესატები იცვლებიან, რომლებიც ამ ღვთიურ ნაწილს სტუმრობენ“. ეთანხმებოდა სტენდალს და მიაჩნდა, რომ ადამიანის სულიერ გან-

ვითარებაში ყველაზე დიდ როლს მის მიერ განცდილი ყოველი ქვემარტივი სიყვარული ასრულებს.

მედეას დიდი სიყვარული მისი მეუღლე, ცნობილი ექიმი რამაზ ვადაჭკორია გახლდათ. იგი არის მედეას ერთადერთი მშვენიერი ქალიშვილის თამუნა ვადაჭკორიას მამა. თამუნა მხატვარი გახდა და დედის პროფესია არ გააგრძელა. მათ შესაშურად თბილი დედაშვილური ურთიერთობა ჰქონდათ.

უბედნიერესი იყო მედეა, როცა შვილიშვილები — ნიკუშა და გიორგი (ჩიკვილაძეები) მოველინენ ამ ქვეყანას. ძალიან ამაცობდა მათით. განსაკუთრებით რეჟისორობისაკენ ნიკუშას ლტოლვა ახარებდა. იქნებ მასთან მაინც არ დამაკლდეს როლებით, ხუმრობდა და იმედოვნებდა. ნიკუშა მართლა გახდა რეჟისორი და ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი საყვარელი ბებიის — მედეას — ხსოვნას მიუძღვნა.

თუმცა საზოგადოებისათვის მაინც ამოუწურავი და უცნობი დარჩა მედეას, როგორც მსახიობის, ისე პიროვნულ ღირებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

მედეა არა მხოლოდ აღსანიშნავად ლამაზი, ნიჭიერი მსახიობი, არამედ მდიდარი ადამიანური თვისებებით სავსე, ფილოსოფიურად ღრმა რელიგიური რწმენის მქონე, საოცრად მოაზროვნე ქალბატონი გახლდათ.

ძალზე მტკივნეული გახლდათ მისთვის, 90-იანი წლებიდან დაწყებული, ქვეყნად არსებულ ბევრ საჭირბოროტო, მოუგვარებელ პრობლემასთან შეხება. განსაკუთრებით

მომრავლებულ უპოვარ, მათხოვრადქცეულ ადამიანთა ბე-
დი ანუხებდა.

ნარმოიდგინეთ და, ბევრ მათგანთან ახლობლობდა კი-
დეც. ეკლესიიდან გამოსვლისას ხურდებს რომ ჩამოურიგებ-
და, მოიკითხავდა, მათი პრობლემების შესახებაც იცოდა და
ეხმარებოდა. იტყოდა ხოლმე:

— ვითომ იმ ხურდა ფულებს რომ ვარიგებთ და „დამსახუ-
რებულად“ ვისმენთ მადლობასა და ლოცვას ამ გაჭირვებული
ხალხისგან, ამიტომ ვართ მათზე უკეთესები?! ჩვენ ხომ ყვე-
ლანი ღმერთის მავედრებელი მათხოვრები ვართ, ზოგს ასე
გაუმართლდა ცხოვრებაში და ზოგს — ისე. ეს უპოვრები
თავზე დატეხილ უარყოფით ემოციებს უდრტივებულად გარ-
დაქმნიან ყველაზე უსათნოეს დადებით ენერგიად — ლოცვა-
სა და ღვთის სადიდებელ მადლიერებაში. მხოლოდ ღმერთმა
იცის, ამით რა სახის დახმარებას გვინვეენ და რა ფუნქციას
ასრულებენ ღვთის წინაშე, — და სწორედ ეს მიაჩნდა მედე-
ას ჭეშმარიტი ქრისტიანობის ერთ-ერთ რთულ გამოვლენად.

ერთხელ პრესაში დაინერა: მედეა ბიბილეიშვილმა
მათხოვრისაგან თავად აიღო ხუთი ლარიო.

საქმე ისაა, რომ ერთ დღეს დიდუბის ეკლესიიდან გამო-
სულ მედეას, სადაც ყოველ ორშაბათს დადიოდა და ლოცუ-
ლობდა, ფული არ ჰქონდა, ამიტომ მათხოვრებსაც ვერაფე-
რი მისცა. ეს იმდენად უჩვეულოდ ეჩვენა ერთ მათხოვარს,
შინისაკენ მიმავალ მედეას უკან დაედევნა და უთხრა:

— გეტყობა, მართლა ძალიან გაგიჭირდა, აი, ეს ხუთი ლა-
რი, მე კიდევ მაქვს და არ მოგერიდოსო, — თან ისეთი კმაყო-
ფილი სახით შესცქეროდა, რალაც სიკეთისა და დახმარების
შანსი რომ გაუჩნდა, მედეას გაელიმა, დაფიქრდა და ფული გა-
მოართვა. მართალია, მეორე ორშაბათს ეს ხუთი ლარი გაორ-
მაგებულად უკან დაუბრუნა, მაგრამ ადამიანს სხვისი დახმა-
რების სურვილი არ დაუკარგა და ამით განცდილი სიამოვნე-
ბა აგრძნობინა. ან, ვინ იცის, იქნებ გაახსენა და განუმტკიცა.

სამართლიანი ვიქნები, აქვე თუ შევნიშნავ, რომ ძირითა-
დად ადამიანთა უმრავლესობა სარწმუნოებასთან ასე
ღრმად რალაც დიდი განსაცდელის, ტრაგიკული შემთხვევის
შემდეგ მიდის, განსაკუთრებით იმ დროს ხდებოდა ასე, საბ-
ჭოთა ეპოქაში.

მედეას ცხოვრებაში ასე არ მომხდარა. მან ეკლესიაში
ადრეულ ასაკშივე ძალიან ლამაზმა, გალალეულმა და ბედ-
ნიერმა შეაბიჯა. იგი ჯერ კიდევ იმ დროს ესწრებოდა წირვა-
ლოცვას, როცა ეკლესიის მრევლს ძირითადად მოხუცი, შაო-
სანი ქალბატონები წარმოადგენდნენ.

მისი მშვენიერებით თვით მამა გაბრიელიც მოხიბლულა.
ერთ დღეს, როცა მედეა სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარში
შესულა, მამა გაბრიელს მოუკრავს თვალი, ფეხზე წამომდ-
გარა და დაულოცავს: „ღმერთმა გიკურთხოს ეს სილამა-
ზეო!“ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მამა გაბრიელი მხოლოდ
გარეგნულ მშვენიერებას არ ხედავდა, იგი ადამიანის სულის
მჭვრეტელიც გახლდათ, ალბათ, მედეას სულიერებაც დაი-
ნახა და ამიტომ დალოცა.

ბუნებრივია, მსახიობის პიროვნულ ჩამოყალიბებაში დიდი
როლი შეასრულა მისმა გარემოცვამ. იგი დაიბადა იმ დროში
ცნობილი ადამიანების, ექიმების — თამარ გურაბანიძის და
დავით ბიბილეიშვილის — ოჯახში. მათი სახლის კარი მუდამ
ღია იყო მოყვასისათვის. იქ ხშირად ნახავდით როგორც დახ-
მარების სათხოვნელად მოსულ ადამიანებს, ისე იმხანად ცნო-
ბილ ექიმებს, საზოგადო მოღვაწეებს, კინოსა და თეატრის
მსახიობებს. სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, ელე-
ნე ყიფშიძე, მარინა თბილელი, აკაკი კვანტალიანი და ბევრი
სხვა დავითისა და თამარის უახლოესი მეგობრები იყვნენ.

ხელოვნების, თეატრისა და ლიტერატურის ტრფიალი,
ქრისტიანული მცნებანი და მოყვასისადმი დახმარება მშობლებ-

მა ჩაუნერგეს მედეასა და მის ასევე მშვენიერ და კეთილშობილ
დას (ცნობილ ლიტერატურათმცოდნეს) მათა ბიბილეიშვილს.

ორივეს ბედნიერი ბავშვობა და ყმანვილქალობა ჰქონდა.
თავისი დროის ძალიან პოპულარული ახალგაზრდები იყე-
ნენ. ბევრს სურდა მათთან მეგობრობა და ახლობლობა.
თუმცა მედეა არასდროს აქტიურობდა და არ ირჩევდა მე-
გობრებს. „მეგობრებს მხოლოდ განგება, შემთხვევა და ბე-
დისწერა გვთავაზობს და მათ უნდა გავუფრთხილდეთო“, —
ამბობდა და გულის კარი ყოველთვის ღია ჰქონდა.

ამიტომ მის მეგობართა შორის, გარდა თავისი წრის ადამი-
ანებისა, ხშირად ნახავდით ყველა სოციალური ფენის წარმო-
მადგენელს. არავის ეუბნებოდა უარს დახმარებასა და მფარვე-
ლობაზე. შეიძლება საკუთარი თავისთვის არ შეენუხებინა მა-
ვანი და მავანი, მაგრამ მოყვასის პრობლემის მოსაგვარებლად
არასდროს უჭირდა თხოვნა. ძალიან ბევრს გაუკვალა გზა.

ისე კი მედეასთვის სამყაროს იდუმალებათა შეცნობა ყვე-
ლაზე მეტად დაკავშირებული იყო თეატრთან. მიაჩნდა, რომ
როცა იურიდიულ კანონთა ძალა მთავრდება, აუცილებელია
დაინყოს ზნეობრივ კანონთა მოქმედება ხალხზე. ხოლო ამ ზნე-
ობრივი სამსჯავროს არსებობაში მედეა ეკლესიისა და თეატ-
რის როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ
ბედნიერი იყო, ეცოცხლა თეატრით და ცდილობდა შემოქმედე-
ბითად ეცოცხლებინა ის საქმე, რასაც თითქმის ოთხი ათეული
წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრში ემსახურებოდა.

ერთ დღეს მედეასთან ერთად დიდუბის ეკლესიიდან გა-
მოვდიოდი. ვილაც პატარა გოგონა მოგვიახლოვდა და
გვითხრა: თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმი, 20-თეთრიანი
გვაჩუქეთ, რა!

გაგვეცინა და საფულეში რაც ხურდა ფულეები გვექონდა,
ორივემ მივეციოთ. ცოტა ხანში ისევე მოგვესმა:

— თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმი, 20-თეთრიანი გვა-
ჩუქეთ, რა!

ახლა სხვა გამვლელს სთხოვდა დახმარებას, სხვათაშო-
რის, უკვე სხვა პატარა ბიჭუნა და გოგონა.

მედეამ შემომხედა და მითხრა: „არ ვიცი, შეგიმჩნევია თუ
არა, ამ სიტყვებით ძალიან ხშირად ითხოვენ შემწეობას პა-
ტარა ბავშვები“.

— კი, შემიმჩნევია, — ვუთხარი გაღიმებულმა.

— ხომ იცი, ჩვენი თვალი ამ ცივილიზაციის მთავარი ნი-
შანია. მხოლოდ ჩვენი დროის შესაბამისად გამოვლინდება
თვალის ფიზიოლოგიურ-ოპტიკური და ალბათ მეტაფიზი-
კური შესაძლებლობანი. როგორც პავლე მოციქულის ეპის-
ტოლეში წერია: „ჩვენ ბუნდოვნად ვხედავთ და ბუნდოვნად
აღვიქვამთ, როცა სრულყოფილი მოვა, ეს ბუნდოვანებაც
განქარდება. მანამდე გვრჩება რწმენა, იმედი, სიყვარული“.
ვინ იცის, ეს მშვიერი ბავშვები ლუკმაპურის სანაცვლოდ მარ-
თლა ენაცვლებიან ჩვენი თვალის ჩინის ჭირს, ბუნდოვანე-
ბას და საერთოდ ჩვენს უმეტერებას.

არადა, ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია. ძალიან მხვდება
ყურში ეს ფრაზა და მაფიქრებს. იქნებ განგება ამ ბავშვების
სიტყვათა მეშვეობით თავის სათქმელს გვეუბნება!

დაფიქრდი და მეც ძალიან მენიშნა მედეას ნათქვამი. ახ-
ლახან გამახსენდა, სადღაც ამოვიკითხე, რომ ამერიკაში 4
წლის გოგონა ტელევიზორის ერთი არხიდან მეორე არხზე
გამავალ მულტფილმებს უყურებდა და შემდეგ უყვებოდა
მშობლებს. ვესტელმა კი ისეთი „სათვალე თვალი“ გამოუშ-
ვა, რომლის საშუალებით ყველას შეუძლია ერთ არხზე სხვა
არხის გადაცემის ნახვა.

ასეთი არაორდინარული აზროვნება და რწმენა ჰქონდა
მედეას. სწორედ ამ რწმენით უმკლავდებოდა ცხოვრებისე-
ულ დაუმსახურებელ გამოწვევებს, რადგან მის ცხოვრებას
არც ტრაგიკული შემთხვევები აკლდა და არც დიდი განსაც-

დღეები, მაგრამ ახერხებდა და მათ ღვთის ნების რთულად აღსაქმელ გამოვლენად მიიჩნევდა.

თუმცა სიცოცხლის ბოლომდე გაურკვეველ ღია ქრილობად დარჩა, რომ 2005 წელს მარჯანიშვილის თეატრის 23 მსახიობთან ერთად თეატრის დატოვება მოუხდა. მერე კი პრესაში დაინერა, რკინის ფარდა ჩამოაფარეს ამ მსახიობებსო. მართალია, ასმათ ტყაბლაძის ძალისხმევით, ზოგი მსახიობი დააბრუნეს თეატრში, მაგრამ მედია ამ საპროტესტო აქციაში აღარ მონაწილეობდა და არც დაბრუნებულა. დიახ, თითქოს მართლა მოვიდა მავრი, თავისი საქმე გააკეთა და წავიდა.

მედეას კი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ცხოვრების ბოლოს თავისი აზრი გაუჩნდა...

ერთხელ უკვე უკუბრუნებული სენით დაავადებულს ვესტუმრე. ჩვეულებრივ მის ლამაზ საძინებელ ოთახში მოგკალათდით და ვსაუბრობდით.

— ხომ იცი, თეატრი ჩემთვის მეორე ტაძარი იყო, მეორე სახლი. ამიტომ ყოველთვის მქონდა პროტესტის გრძობა, რომ მსახიობობა ღვთისგან კუთრხეულ პროფესიათა შორის არ ითვლება, პირიქით. მას შემდეგ, რაც ის რკინის ფარდა ჩამოგაფარეს და თეატრიდან წამოვედი, სულ ვფიქრობ, იქნებ უფალმა ამ გადაწყვეტილებით ცხოვრების მეორე ნახევარში დაფიქრებისა და განსჯის დრო გამიხანგრძლივა. აბა, ღმერთი ჩემთან ფეხით ხომ ვერ ჩამოვიდოდა და მეტყოდა ამის შესახებ. იქნებ ჩემი ავადმყოფობაც განვლილი ცხოვრების საზღაურია!

— გინდა თქვა, რომ აპატიე იმ ადამიანებს? — შევეკითხე დაძაბულმა.

— უპატიებლობა გაცილებით ადვილი რამეა, ვიდრე პატიება. ვისურვებ, ეს სირთულეც გადავლახო.

— ჰო, მაგრამ რაღა მართო შენ? რამდენი მსახიობი გრძობს თავს ბედნიერად ცხოვრების ბოლომდე! ეს რა უსამართლობაა! — ვერ დავიოკე ვერც ცრემლი და ვერც პროტესტის გრძობა უფლის ამ შეუცნობელ გზასა თუ სასჯელზე.

— რატომ მართო, აგერ სოფიკოც ასე გაიტანჯა ამ დაავადებით, ნანა მამალაძეც. ნატო ვაჩნაძე ცაში დაიფრფლა, გიორგი შავგულიძეც ისეთი გაუგებარი შემთხვევის მსხვერპლი გახდა... გარდა ამისა, ზოგი ამქვეყნად ვაგებთ პასუხს, ზოგიც — იმქვეყნად. ალბათ, არ უნდა ვინუნუნოთ ჩვენს ხვედრზე, თუმცა ეს ძალიან ძნელია!

— აბა, რა ვქნათ, მსახიობობა აიკრძალოს? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— არა, ცხადია, მაგრამ მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ყველა განსახიერებელი როლის შემდეგ ჩვენი გმირის ცოდვები მოვიწინით, რადგან როლის შესრულებისას, აუცილებლად შევდივართ მის ცოდვა-მადლში. ეს შეიძლება არც ისე გასაგებია, მაგრამ მე მხოლოდ ამ გამოსავალს ვხედავ.

— ჰო, აღსარება კარგი გამოსავალია, — დავეთანხმე, შვებით რომ ამოვისუნთქე.

— თან აღსარებას ადამიანი მხოლოდ თავისი სულის საცხოვნებლად არ ამბობს. ჭეშმარიტად ნათქვამი აღსარების დროს ამ ადამიანის სულიერება და ენერგეტიკა იწმინდება და ხელი ეწყობა სამყაროს ნათელი მხარის ძალის გაძლიერებასა და ღვთიურ კანონზომიერ პროცესთა აღსრულებას იმ სივრცეში, სადაც ვცხოვრობთ, — დამაჯერებლად თქვა მედემ.

— იქნებ ეს ყველაფერი დაგენერა? (ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ მედია მშვენივრად წერდა და ბევრი საინტერესო ჩანაწერიც ჰქონდა გაკეთებული. განსაკუთრებით მოვიხიბლე მისი ერთ-ერთი ოდა-მიძღვნით, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის მიმართ ჰქონდა დანერვილი).

— ჯერ ამის გამგებს ძალიან ცოტას ვიცნობ, გინდა გიყუად ჩამთვალონ? — მითხრა და ბალიშიდან ფურცელი ამოიღო, — ნახე, რა ლოცვა ვიპოვე? მთაში ქართველთა უძველესი ლოცვისთვის მიუგნიათ.

ფურცელი გამოვართვი და ლოცვა წავიკითხე:

„დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივენი, შამქმნელო და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო, უმცირესში ჩატეულო, უწონო, უმანძილო, ცარიელავ და სავსევე, უყამო, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც უფლება უფლებათა, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან და სამართლიანი სხვათა მიმართ, რათა დავიცვა ცის სინმინდე!“

ეს რომ წავიკითხე, აღვფრთოვანდი.

— სხვა განზომილების ასეთი საოცარი შეგრძნება და მსგავსი მეტაფიზიკური განცდა არსად შემხვედრია! — ვთქვი და გაოგნებულმა შევხედე მედესა.

— ხედავ, ალბათ მომამზადა ღმერთმა ამ დღეებისთვის! ამ ლოცვამ თითქოს თვალებიდან ლიბრი მომაცილა, — თქვა მედემ და თვალზე ცრემლი მოერია.

— „რათა დავიცვათ ცის სინმინდე!“ — გავიმეორე ლოცვის ბოლო სიტყვები და გავაგრძელე, — ღმერთო ჩემო, ასე შორეულ წარსულში თურმე უფრო ზუსტად და მარტივად ფიქრობდნენ ცხოვრების არსსა და ცის სინმინდეზე, რომლითაც მიეზლოდა მტყუნსა და მართალს. დღეს კი მეცნიერულად რას არ ამტკიცებენ, რამდენ წარმატებას აღწევენ, მაგრამ პირიქით, უფრო რთულდება ეს ცხოვრება.

— ცის სინმინდეს კი, ალბათ, სწორი ცხოვრებით, აღსარებით განწმენდილი სულის მშვენიერებით დავიცავთ, რადგან ღმერთს ვერაფერს გამოაპარებ! ვინ იცის, ნეტა ჩემი ცხოვრებით სწორად ვიცავდი ცის სინმინდეს? — თქვა დაფიქრებულმა მედემ.

— იცავდი. შენ ხომ ყოველთვის გულწრფელი იყავი საკუთარ თავთან, გრძობებთან. თან „არ არის კაცი, ცხონდეს და არა სცოდოს“. ჩვენი სარწმუნოებაც ხომ ამას ამბობს. გარდა ამისა, ცოდვა ხომ არსებული კანონებით შექმნილი თვალსაწიერის მიღმა ჩადენილი ქმედებაა და აკრძალული ხლის მოპოვების სხვადასხვა ინტერპრეტაცია. ანუ იმ თვალსაწიერში სხვადასხვა ინტერპრეტაცია. ანუ იმ თვალსაწიერში შესვლაც, რომელიც ჯერ არ გვაქვს ათვისებული. გაისხენე, ადრე რამდენი რამ ითვლებოდა ცოდვად! ძალიან რთულია ნორმის დადგენა. მე თუ მკითხავ, შენი შემოქმედებით და საინტერესო გააზრებით, არა მხოლოდ ზრდიდი ამ თვალსაწიერს, არამედ აკეთილშობილებდი კიდევ, — ვუპასუხე და მეც ცრემლი მომერია.

მედეას ჩემს სიტყვებზე გაეცინა.

— არ ვიცი რამდენად, ერთი კია, ყველა მსახიობს ძალიან მოსწონს, როცა მის მიერ განსახიერებული როლის შესახებ იტყვიან: მსახიობმა შეძლო თავისი გმირის ხასიათთან ინტიმური სულიერი კონტაქტის დამყარება და ახალი სული შთაბერაო! — ბოლო სიტყვებს ცოცხა ცინიზმი გაუჩინა და განაგრძო, — ჰოდა, მაშინ ბოლომდე უნდა ვუპატრონოთ ამ ახალ სულს და გავაპატიოსნოთ აღსარების საიდუმლოთი, — თქვა ეს და მომმართა:

— იცი, რა გითხრა, გამოიყენე ეს მოსაზრებები შენს რომანში, პერსონაჟები ასაუბრე ამ თემაზე! ავტორი თუ ბოროტის დამარცხების კონკრეტულ გზებს ვერ დასახავს, ისე წარმოების შექმნას აზრი არა აქვს. შექმნილი, გამოგონილი ბოროტის ზედმეტად გათარეშებით ჭეშმარიტად არსებული ბოროტი ძლიერდება! ამით კიდევ უფრო რთულდება ცხოვრებაც და ცის სინმინდის დაცვაც!

სამწუხაროდ, მე ჩემს რომანს დღის სინათლე ვერ ვანახე! კიდევ უფრო მეტად სამწუხაროდ, ეს მედემთან ჩემი ბოლო შეხვედრა გამოდგა! იგი 2008 წლის 11 მაისს გარდაიცვალა. მას შემდეგ უკვე მეშვიდე წელი დაინყო. ღვთიური რიცხვია შვიდი, ალბათ, მოვიდა დრო, რომ მედეას ის რკინის ფარდა ჩამოვაცილოთ!

გავიხსენოთ, 31 აგვისტო მედეას დაბადების დღეა!

ელგუჯა თავბერიძე

სტენდალის ნაპოლეონი ქუთაისური პარიაციებით

სად ქუთაისი და სად ნაპოლეონი, მითუმეტეს სტენდალის ნაპოლეონი?! — იფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება. ანრი ბელს რომ თავი დავანებოთ, ქუთაისსა და ნაპოლეონთან დაკავშირებულ ერთ ამბავს მოგიხსნათ, რომლის გახსენების ბიძგი სწორედ სტენდალის ნაპოლეონმა მოგვცა. ამიტომ სჯობს ამით დავიწყოთ.

„გრძელი ბორცვები მეტყველებდნენ, რომ იქ უამრავი მეომარი იყო დამარხული“ — წერია სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრების“ მანანა ჯაოშვილისეულ თარგმანში, რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის მეთორმეტე ნომერშია დაბეჭდილი. საუბარი ახალგაჩინილ, მეომართა გვამებით წარმოქმნილ ბორცვების მწკრივზეა. ორიგინალშიც ავტორს ზუსტად აქვს მინიშნებული, რომ მინა ორმოებით იყო გადათხრილი და ბორცვთა მწკრივი მეომართა გვამებით წარმოქმნილიყო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრება“ სრულად უნდა ითარგმნოს, მაშინ აზრობრივი და ენობრივი ხარვეზიც აღარ იქნება. ჟურნალში დაბეჭდილი ფრაგმენტები გემოვნებითაა შერჩეული, მაგრამ გაბმული თხრობა მაინც სხვაა, იქაური ლაფსუსი ავტორს დაბრალებდა, ამ შემთხვევაში კიდევ მთარგმნელი ნაწილით მთელის შთაბეჭდილების შექმნას ცდილობს, რაც სულაც არაა იოლი. ხშირად ახერხებს, ხშირად — ვერა, ისიც ვთქვათ, სტენდალური ნაპოლეონის გასააზრებლად მთელი მისი შემოქმედების ცოდნაა აუცილებელი და ხანაც ქებით, ხანაც ძაგებით მოხმობილი ნაპოლეონის სახე ყველაზე მეტი სრულყოფილებით მაშინ იქნება აღქმული. ზემოთმოხმობილ ფრაზას მივუბრუნდეთ — სასაცილო გენერალი კარტო ხელმძღვანელობდა ტუილონის ალყას, სადაც უამრავი მეომარი დაიღუპა. ნაპოლეონმა კი ძალიან მალე აიღო ეს ქალაქი და თავდაცვითი სიმაგრეების დათვალიერებისას გვამებისგან გაჩენილ ბორცვებს რომ შეხედა, თავის ძმას — ლუის უთხრა: ვინც ამ ჯარისკაცებს შეტევაზე გადასვლა უბრძანა, თავისი საქმე რომ სცოდნოდა, ჯარისკაცები ახლა ცოცხალი იქნებოდნენ.

მოკლედ, სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრება“ სრულად უნდა გადმოქართულდეს, მანანა ჯაოშვილისეული ფრაგმენტების მიზნდება მკითხველისათვის სწორედ ამის საწინდრად გვეჩვენება.

ნაპოლეონის თითოეული ნაბიჯი იყო და იქნება მკვლევარ-ისტორიკოსთა, მხედართმთავართა, ხელოვანთა თუ სხვა სპეციალისტთა განსჯის საგანი. ეს ის შემთხვევაა, როცა ყურადღება კი არ ნელდება, უფრო და უფრო მატულობს და ეს იმის გამო, რომ თვითონ ბონაპარტე გახლდათ წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანი, წინააღმდეგობრიობის ასხნას კიდევ ბევრი ფიქრი სჭირდება.

ხშირად ასეთი შეკითხვაც დაგვისვამს ერთმანეთისთვის: რა იქნებოდა, ნაპოლეონი მის ცხოვრებაში ბარასი რომ არ გამოჩენილიყო? — და ხუმრობითაც გვიპასუხნია: ცოლად ჟოზეფინა დე ბოგარნე არ ეყოლებოდა-ო; — ამით იმის თქმა გვინდა, რომ ნაპოლეონის ცხოვრებაში ერთმანეთს გადაჯაჭვოდა ბედიც და უბედობაც, ბედი, რომელსაც ხშირად თვითონვე ჭედდა, უბედობასაც თვითვე კვერავდა.

სტენდალისეული ნაპოლეონი ერთ-ერთ მართლად დანახულ ნაპოლეონად უნდა მივიჩნიოთ. შარლ ბონაპარტისა და ლეტიცია რამოლინის ვაჟის ამბებში ბევრი ჭორი და მართალია არეული ერთმანეთში. ჭორ-მართლის გარკვევაში ყველაზე მეტად სტენდალი, მისი თანამედროვე (ერთხანს თანამოაზრეც) დაგვეხმარება. ამიტომ გააკეთა მანანა ჯაოშვილმა კარგი საქმე, გაგვახსენა სტენდალის ნაპოლეონი, კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრა ბონაპარტეზე, რომელიც, არა მგონია, ბევრს არ ჰყვარებოდა ჭაბუკობაში (მერეც) და ახლაც არ უყვარდეს.

არცერთ მხედართმთავარსა და მონარქს არ ღირსებია ისეთი დიდებული წელი, როგორც იყო ბონაპარტესა და ფრანგთათვის 1800 წელი, — ამბობს სტენდალი. იქნებ სულაც არავის დაუთვლია, რომელი მონარქისთვის რომელი წელი იყო გამორჩეული, მაგრამ ფრანგი ხალხის ყველაზე უკეთ მცნობი ნაპოლეონისათვის რომ მართლაც ეს წელი დიდებული იყო, აშკარაა.



ნაპოლეონთან რა მოსატანია, მაგრამ ბავშვობაში მათემატიკას სწორედ იმის გამო ვენაფებოდით რამდენიმე ბონაპარტისტი, ნაპოლეონს რომ უყვარდა. მის ფრაზებს ვიზებირებდით, თითოეულ ნაბიჯს ვაკვირდებოდით, გარემოცვის ავანჩავანი ხმ ვიცოდით და ვიცოდით...

ქუთაისის მუზეუმში მუშაობისას ქალაქის ძველ უბანში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. იდეა ჩემი იყო: რაიონებში ნასასვლელი ფული არა გვაქვს, და, ქუთაისის კიდევ ერთხელ შემოვლა ვცადოთ-მეთქი, შევკადრე მუზეუმის მაშინდელ დირექტორს, პატიოსნებით გამორჩეულ (პატარა ექვთიმეს ეძახდნენ, არცთუ შემთხვევით) მიხეილ ნიკოლეიშვილს. ექსპედიცია ორად გაიყო. მე აღმოჩენით არაფერი აღმომიჩენია. პეტრე კოსტანოვი მომიყვა ამბავს, რომლის ექსპედიციის დღიურში შეტანა, დირექტორმა საჭიროდ არ მიიჩნია.

ფრანგების ეკლესიასთან ვილაც ოკრიბელი ლომთაძე ცხოვრობდა თურმე ქირით. ბევრს სვამდა ეს კაცი, ნასვამსა და გალემილს ცოლი შინ არ უშვებდა. დაინახავდა მთვრალს, ლენინით ფანჯრიდან გაიშვერდა ხელს და დაუყვირებდა მარჯვენააქნეული — სადაც გამოლენჩიდი, იქ ნათარიე.

ლომთაძეც მიდიოდა, ხან ერთი ბინის, ხან მეორის სარდაფში ათევდა ღამეს. იღვიძებდა, სვამდა. ბოლოს კეთილმოხილი სითხის ხშირი მიღებისგან მოჩვენებებიც დაწყებია. ჰოდა, ცოლმა რომ ხელი აუქნია და წამოვიდა გაბრაზებული და გულჯავრიანი, მოედანზე გამოსულს ავტო ვილაც კაციც არ დახვდა მარჯვენააქნეული?!

შენ მაინც რალა გინდა, შენი... — შეუყვირია ლომთაძეს და მოუტეხავს ხელი.

ორი კვირა იყო ლენინის ძეგლი შეფუთული... პეტრე კოსტანოვი იმ იმედით გამეწვინა, ამას არსად არასდროს ვიტყვოდი. სიკვდილის წინ გამიმხილაო — დააბოლოვა კაი მთხრობელმა, კაი ქუთაისელმა, კოსტანოვის გვარის კაცმა.

ბუნებრივია, საიდუმლო ვერ შევუნახე ცხონებულს და დირექტორს მოვუყვიე. ვითომ გაეცინა, მერე თვალები მოწკურა და: დღიურში არ შეიტანოო, — მითხრა.

ექსპედიციის მეორე ნაწილმა შაფათა დანიელის ძე ხახანაშვილის სარდაფში, პარიზში, 1885 წელს დამზადებული, ნითელი მარმარილოს სადგარზე ჩამოსხმული ნაპოლეონის ბრინჯაოს ბიუსტი აღმოაჩინა.

გდებულა სარდაფში მსოფლიო მბრძანებელთაგან (ესეც სტენდალიდანაა) ტანჯვისთვის განწირული იმპერატორის საღებავით ცხვირმოთხრილი ბიუსტი. მუზეუმელები დახარბებინ, აღტაცებულან, საუკუნის

წინანდელიაო, აჭყლობინებულან. ებრაელს მეტი რა უნდოდა, 5 ათას მანეთად (კაიხელა ფული იყო იმ დროს) დაუფასებია სარდაფში მიგდებული ნაპოლეონი. მაგრამ შაფათამ რა იცოდა, მასზე არანაკლებ „ებრაელთან“ რომ ჰქონდა საქმე. დირექტორმა 5 ათასის მეათედი შეაძლია. იმან ახლა აქეთ დაუნყო დამუნათება, ნაპოლეონია, ბატონო, ჭიჭიკია ხომ არააო.

მეორე დღეს შვიდასზე აიყვანა „პატარა ექვთიმე“ ფასი, შაფათამ: 4 ათასს კაპიკი არ დააკლდებო. მერე ერთი კვირა აღარ მიაკითხეს მუზეუმელებმა და ვითომ შემთხვევით შეხვდნენ (დირექტორმა დაარიაგ ასე), შაფათამ: მუქთად უნდა თქვენს დირექტორს, დაგნაცვლე, ერთი საუკუნის ნაპოლეონია (ორის საიდან იქნებოდა?!), ბოლოს და ბოლოს 2 ათასი მანეთი მაინც არ უნდა მომცესო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 1500 მანეთად იყიდეს მაშინ (ექსპედიცია 1984 წელს ჩატარდა) 99 წლის წინათ ჩამოსხმული ბიუსტი ნაპოლეონისა. მერე ხშირად მახსენებდა დირექტორი, იმათ კარიერაში ნაპოლეონი ნახეს, შენ რა მოიძიეო. მეც ვეუბნებოდი — ლომთაძის ამბავი-მეთქი. როგორ იყოო (ვითომ არ ახსოვდა), ვუყვებოდი.

მერე ბიუსტი კაბინეტში დაიდო მიხეილ ნიკოლეიშვილმა და, არ ვიცი, თვითონ თუ სხვამ აღმოაჩინა მათ შორის მსგავსება. სი-

მალლითა და ცხვირის მოყვანილობით მართლაც ჰგავდა ბონაპარტისტი მიხეილი ნაპოლეონ ბონაპარტეს. იმასაც ამბობდნენ, თუ გინდათ კაი გუნებაზე დააყენოთ, უთხარით, ბიუსტის ალიკვალი ხართ-თქო, გაელიმება და სათხოვარს უკეთ შეისმენსო.

ამბობდნენ, გამიგონია. იყო რაღაც მასში ბონაპარტული... ისიც ვთქვათ, მათემატიკისადმი ინტერესი რატომ გავიწინედა ისტორიის მასწავლებელმა გვითხრა, ჩვენ ლექტორს გაუგია, მარქსს კალმანის ჭამა უყვარდაო, და იმდენი უკალმანია, კინალამ გაუცხია სულიო. ახლაც არ ვიცი, მართალია თუ ტყუილი. ის კი ვიცი, მყარად რომ დავრწმუნდი, დიდ დამიანთა მიბაძვა სულაც არაა კარგი. ანდა ლიტერატურაც ხომ ძალიან უყვარდა ფრანგთა კონსულს. ჰოდა, ამას ვიკითხავ, ამდენი მაგალითების ამოხსნას არა სჯობს-მეთქი?..

ის ამბავი სულ უნდა გახსოვდეს, სამხედრო სკოლის მოწაფე ნაპოლეონს გონდოლაში ჩაჯდომა და ბლანშართან ერთად გაფრენა რომ უნდოდა. კოჭებზე ეტყობოდა, ვინც იქნებოდა. მასწავლებლებიც ხომ ამას წინასწარმეტყველებდნენ — გარემოებამ თუ ხელი შეუწყო, წარმოშობით და ხასიათით კორსიკელი ყმანელი წინ წავაო. ნასვლაც იმას ჰქვიოდა!

თამარელა ნონორია

მადლიანი სანუს(ა)რები

(ნუციკო დეკანოზიშვილის ჰომაგიური კრებულის „ნამსხვრეები“ გამო)

ნუციკო დეკანოზიშვილმა თავის მეორე პოეტურ კრებულს „ნამსხვრეები“ უწოდა.

სათაური არც ნეოლოგიზმია და არც დადებითი ინფორმაციით დატვირთული, ამდენად არც სასიამოვნო ასოციაციებს აღძრავს. თაურ სახელში თერთმეტი თანხმომავანი ოთხ ხმოვანს ეყრდნობა და ბგერათა ეს არათანასწორობა, ხანდახან შეიძლება სემანტიკური ველის განმსაზღვრელიც კი იყოს. კრებულთან მიახლებიასა საძიებელი ყოველთვის სათაურის გახსნა, სათაურის გასაღების მოძებნაა. ეს კითხვა პოეტსაც აწვავს, მისთვისაც უპასუხოა:

**ანდა ვინ იცის
რატომ ვიყავი გამჭვირვალე, თანაც მსხვრევალი.
(„გვირგვინიანი ზამთრები“)**

შემდეგ კი საინტერესოა მიმართება პოეტის მსოფლმხედრასა და შინაგან მგრძნობელობას, სათაურსა და სალექსო ფორმას შორის.

უძველესი დროიდან, რაც პლატონმა თავის „სახელმწიფოში“ პოეტურ მსოფლმხედველობას თეორიული საფუძველი ჩაუყარა და პოეზიის ფუნქციად სახელმწიფოებრივი მიზნებისადმი მოტივირებული მსახურება დაადგინა, მას შემდეგ სიტყვიერი კულტურა და მისი ყველაზე სუბტელური (მთავარებით) სფერო — პოეტური ხელოვნება, იდეოლოგიათა სამსახურში იდგა, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ფორმა წარმად არავის უქცევია, ანუ არ გამხდარა სადავო, გამოხატვის რა საშუალებით იქნებოდა გამოთქმული აზრი. ეს უფრო ინდივიდის შემოქმედებითობით განპირობებული აქტი გახლდათ, თუმცა შინაარსი უცილობლად ნიჭიერ ფორმაში ჩაედინებოდა. სუბიექტუ-

რი პროცესია სათაურის გამოგონების ხელოვნებაც. „ნამსხვრეების“ სემანტიკას ასე ხსნის ნუციკო დეკანოზიშვილი: იგი შემოქმედებას პოეტის სულის დაშლას ადარებს (თუმც არა მსხვრევას!), რომელიც მკითხველის დახმარებით, უნდა შეერთდეს, შეკონინდეს და ხელახლა გამოლიანდეს!

„ჩვენში თუ ჩვენს ირგვლივ ყოველთვის იმსხვრევა რაღაც, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ამ ნამსხვრეების წამოკრეფა, მოგროვება, გამთელება და ახალ ღირებულებად გადაქცევა“, — ასე ფიქრობს პოეტი თემურ ჩხეტიანიც და ეს სიტყვები ამშვენებს ნუციკოს კრებულის გარეკანს. აღსანიშნავია ისიც, რომ თემურ ჩხეტიანის ერთ-ერთ ლექსს „ნამსხვრეები“ ჰქვია:

**რასაც ვეხები,
ყველაფერი ბასრია და მტკიცეულია,
თვითონ მუხლებზე დაცემული
შიშველი ხელით ვკრეფ ნამსხვრეებს
იმ ძვირფასი ნივთისას, მე რომ
ძალიან მიყვარდა...**

მოგეხსენებათ, მსხვრევა არ გახლავთ უმტკიცეულო... და მაინც რას გვეუბნებიან „ნამსხვრეები“?

ჩინელებისგან კაცობრიობას ბევრი რამ უსწავლია — მათ შორის უკანასკნელ ადგილას არ დგას ადამიანის სწრაფვა ჰარმონიისაკენ. ასეთი ჰარმონია თავისთავად არსებობს ადამიანში, მაგრამ მან ის უცხოდან ახლობლად უნდა აქციოს ნებისყოფით, ფიქრითა და ქცევით. თანაც ჰარმონიასთან ერთჯერადი მიახლება არ არის საკმარისი, ეს მრავალგზისი პროცესია და ადამიანისაგან შინაგან წვას მოითხოვს. და რომ ამ სწრაფვის პროცესში პაუზა არ არსებობს და რაღაც წამით გადახვევაც კი უკვე ჰარმონიის დაკარგვას უდრის... სათქმელის უკეთ გადმოხსაცემად ისევე ნუციკოს უსათაურო ლექსი გამოდგება:

**ყოველთვის მიწოდდა, დამეჭირა წამი,
როდესაც
ყველაზე მეტად განგიცადე,
და გადამექცია წუთებად,
საათებად.
მაგრამ ამ წამმა დამატყვევა და
აღარ მიშვებს სხვა წამებში.
აი, ეს არის ჩემი წამება!**

„ნამსხვრევების“ არსის უკეთ წარმოსაჩენად გია მურღუ-ლიას იგავთა კრებულიდან „სიბრძნე მინიატურაში“ (143 იგა-ვი) ჩინურს დავიმონებთ:

ერთხელ ხინგ ში (მასწავლებელი) ესაუბრებოდა იანგ ლის (მონაწესს) ადამიანის უმთავრეს უნარზე — გულში ჩაიცხროს მრისხანება და არ მისცეს მას გარეთ გამოსვლის საშუალება. იანგ ლიმ ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელს და შეწუხე-ბულმა აღიარა, რომ მას ჯერ არ შესწევდა მტრის პატიების უნარი. თუმცა კი გულწრფელად ილტვოდა ამისკენ.

— მე მყავს მტერი, — დაიწვილა მონაწესმა, — და სურვილი მაქვს ვაპატიო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მომიხერხებია მრისხანების გულიდან განდევნა.

— დაგეხმარები, — უთხრა ხინგ შიმ და თიხის გაბზარული ჩაიდან გადმოიღო, — აიღე ეს ჩაიდან და ისე მოიქეცი, რო-გორც შენს მტერს მოუპყრობდი. იანგ ლიმ აიღო ჩაიდან და უნდობლად შეათვალიერა, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცე-ოდა. მაშინ ბრძენმა უთხრა:

— ეს ძველი ჩაიდან მხოლოდ უსულო ნივთია, ნუ გეშინია — ისე მოიქეცი, როგორც მტერს მოუქცეოდი.

მაშინ იანგ ლიმ ჩაიდან თავს ზემოთ ასწია და მთელი ძა-ლით დაანარცხა იატაკზე. ჩაიდან პატარ-პატარა ნამსხვრე-ვებად იქცა. ხინგ შიმ დახედა ჭურჭლის ნამსხვრევებით მო-ფენილ იატაკს და მონაწესს უთხრა:

— ხედავ რა მოხდა? ჩაიდანსაგან მაინც ვერ გათავისუფ-ლდი! ის მხოლოდ უამრავ ნამსხვრევად აქცია, რომლებითაც შენ და შენმა ახლობლებმა შეიძლება სხეულის ნაწილები გა-იჭრაო. ამიტომ ყოველთვის, როცა ვერ შეძლებ გულიდან მრისხანების განდევნას, გაიხსენე ეს ნამსხვრევები! აქ ნუცი-კოს სტრიქონებს შეგახსენებთ:

**აქ ვერ შემოხვალ
ყველაფერი საბრალოდ ძირს ყრია და მთავრდება
ფხვს თუ გაიჭრი ლურჯი სასანთლის ნამსხვრევებზე.
(„ნამსხვრევები“)**

ლექსში „თოვლი“ ასეთ რამეს ჩანერს პოეტი:
თვალებს მისერავენ შიგნიდან ჩამტყდარი შუშები.

ეს კი უხმო, შინაგანი მსხვრევის ასოციაციას იწვევს, თუმ-ცა უფრო კარგი იქნება, არ დაიშვას ბზარის გაჩენაც კი იქ, სა-დაც ის არ უნდა არსებობდეს! რადგან ბზარი სამუდამოა, ის არ მთელდება. უჯრედებს აქვთ საკუთარი მახსოვრობა!

იგავში მრისხანება ჰარმონიიდან გაქცევია, მაგრამ მინიშ-ნებების მიუხედავად, ნუციკოს ახალ კრებულზე პირდაპირ ვერ ვრცელდება მისი სიბრძნე, რადგან პოეტი თავისი ლექსე-ბით ჰარმონიისკენ ესთეტიკის სვლით მიიღტვის. კრებული სიყ-ვარულით დაწერილი ლექსებითაა დახუნძლული. ნუციკო-სათვის სიყვარული არსებობის ერთადერთი პრინციპია, რად-გან მხოლოდ სიყვარული ინარჩუნებს როგორც „მთელ ნივთს“, ასევე მისი ლექსების სულს და არ აძლევს მას უფლე-ბას — იქცეს ნამსხვრევებად!

ნუციკო დეკანოზიშვილის „ნამსხვრევების“ მთავარი მო-ტივი „შესაქმეს“ უახლოვდება, რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და სახედ, ამიტომ ადამიანმაც უნდა გაი-მეოროს ეს ქმნადობა — შექმნას საკუთარი თავი! უფალი გვაძლევს შესაძლებლობას და თავისუფალ ნებას, შესრულე-ბა კი ადამიანთა საქმეა.

„ვფიქრობთ, რომ ნუციკო დეკანოზიშვილის კრებულის სახელწოდება „ნამსხვრევები“ გამოხატავს არა მარტო ამ კრებულის მრწამსს, არამედ იმ სტილურ თავისებურებას, რი-თაც გამოირჩევა მისი პოეზია. იგი თითქოს შლის, ანამცე-ცებს თავის სულს, რათა ხელახლა აღადგინოს და ერთ მთლი-ანად წარმოსახოს“, — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ამ კრე-ბულის რედაქტორი როსტომ ჩხეიძე.

ამ სტრიქონებით კი ნუციკო თითქოს გვაფრთხილებს:

**არ შემოხვიდე!
ეს ნამსხვრევები უნდა ვკრიფო მთელი ცხოვრება,
კარადის თავზე, იატაკზე, მიწაზე, ცაში...
(„ნამსხვრევები“)**

და ხანდახან იმასაც ვფიქრობთ, რომ ლექსის გამომგონე-ბელნი, რამდენჯერმე დაბადების შემდეგ ხდებიან პოეტები, ოღონდ ალბათ, ისევე იმ თავდაპირველ ქვეყანაში იბადებიან და ახსოვთ უმთავრესი, შენარჩუნებული აქვთ თაურცოდნა.

71 ლექსიდან პირველი ლექსის სახელი სათაურად მოერგო კრებულს და ბოლო ლექსსაც „ისევ ნამსხვრევები“ ჰქვია. თუკი მივიჩნევთ, რომ შემოქმედება სულიერი ცხოვრების ნამცეც-ნამცეც მოგროვებაა, მაშინ პოეტის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან იდეური ბრძოლა თუ ომი მოგებული აქვს. თავის მსუბუქე და წყლიან ლექსებში იგი კარგა ხანია თავის თავს შორს გასცდა და უსმენს „წვიმად გადმოქცეულ უენო ცარგვალს“, საიდანაც გვიმხელს:

**ღვარად მოდიან ჩემი ნითელი
ოცნებები და გზადაგზა ლექსებს აყვავებენ.
(„სიყვარულის სახელით“)**

ნუციკოს „ნამსხვრევები“ ლაღად დაწერილი ლექსებია, სადაც ფორმა და შინაარსი ერთმანეთს ავსებს და ინტონაცი-ებსა თუ პოეტურ რემინისცენციებს კარგად იჭერს მკითხვე-ლის გაფაქიზებული ხედვა თუ სმენა.

დღეს პოეტები ისევე აგრძელებენ იმ ძიებათა მაგისტრა-ლურ ხაზს, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან პოეზი-ის ახალი ფორმების ძიებას (ხარანაული-სტურუა და ჩანტლა-ძე-გეგეჭკორი) უკავშირდება. ამ მიმდევართა შორის ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსების გამორჩევა ინტონაციური ჟღე-რადობით, პოლიფონიურობითა თუ ემოციური ნაკადის სი-ზუსტით, ალბათ, უპრიანი იქნება.

ამ კრებულის პათოსს მსჭვალავს მშვიდი, თვინიერი სიყვა-რული ერთი შეხედვით უბრალო საგნებისა და მოვლენებისადმი. პოეტი თითქოს ზღაპარში ცხოვრობს, ან სულაც ზღაპარს იგო-ნებს. მისი პერსონაჟები ზღაპრიდან გადმოდიან და უადგილო-დაც არ რჩებიან; ყოველი მათგანი თავის ზღაპარში გარბის, მერე ისევ ბრუნდება... მაგრამ პოეტი უკვე სხვა ზღაპარში ანუ სხვა ლექსში ცხოვრობს. ეცხადებიან პოეტს ლექსები, თავისივე პერ-სონაჟები და სათაურებს ითხოვენ, სარჩევში ადგილს იხვენი-ან... ამის დასტურია თუნდაც ლექსის შემდეგი სტრიქონები:

**ადგილზე!
გიშვერენ თითს და,
შენ უნდა მიიღო პოზა,
ასე სჯობს... რად მიღირს, იცი,
ჩემი პოეტური პროზა?!
(„როქსის სიყვარულით“)**

ნუციკოს პოეზიას ვერც ლექსი პროზად დაერქმევა და ვერც პოეტური პროზა, მაგრამ აქ ნამდვილად არის შენაკადე-ბი ნარატიული, თხრობითი პოეზიისა.

ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსების კითხვისას იგრძნო-ბა, როგორ ზუსტად ეძებს იგი შესაბამისი აზრისთვის ბუნები-თად დამაჯერებელ სიტყვებს და პოულობს კიდევ. ზუსტად ისე, როგორც ამ ლექსში:

**და ჩემს ირგვლივ ცივი საგნები,
დგანან და ისე მშვიდად, მშვიდად
მიცქერენ.
(„გვირგვინიანი ზამთრები“)**

ან:
**არ შეიძლებოდა, ნივთების ძალად არჩადება
როცა ყველა ნივთი სიცოცხლისათვის იყო საჭირო.
(ისევ „ნამსხვრევები“)**

კონკრეტული პოეტის პოეზიაზე ფიქრისას ერთი უცნაური გრძობა გვეუფლება ხოლმე, ყოველთვის შეუმცდარად ვგრძობთ, რომელი ადამიანური უჯრედიდან წერს პოეტი. ნუციკო დეკანოზიშვილი თავის პოეზიაში მთელი სხეულითაა ჩასახლებული და წერს „ჟამიკარ-თავგზააბნეული“, ხმამაღლობს კიდეც და როცა თავს ვერ იმაგრებს, „ხელუხლებელი მეტაფორებით“ რთავს ფრაზებს... მისი პოეზიის არსში ჩასანვდომად ხანდახან აუცილებელია ჰაერის გამოღებაც. აკი თვითონაც წერს: „უსახელოდ ჰაერში ადი“, ან: „შევიდეთ ცაში“, ხან ასეც ხდება: „და დილაში ფეხი შემოდგა“, ან თუნდაც: „ჰაერში როცა იფანტები მსუბუქ მარცვლებად, ხანდახან გინდა, რომ უბრალოდ სადმე შეგროვდე. ჩარგე მინაში ოცნებები, რაღაც ამოვა, — ან ქრისტესისხლა, ან უფრო — ლექსი“ („მინა“).

რა უბრალოდ და მშობლიურად, ამავე დროს რა ტკბილ-ტრაგიკულად ახერხებს იგი ჩვენი, ყველას სახლების მარადიული მკვიდრისა და ბინადარის, ან უკვე „რბილი ხმით“ (პოეზიაში ლამის გაცვეთილი ჭრიჭინის ნაცვლად!) მკითხველამდე მოტანას. ლამის სურნელიც „მოისმის“ ნუციკოს სახლიდან, სადაც იმართება

**ჭრიჭინას მონოსპექტაკლი,
კიბის ქვეშ რბილი ხმით წარმოდგენილი
მარადიულ სიყვარულზე...**

ლექსში „ძნელი სიზმარი“ ასეთ რამეს ამჩნევს პოეტი:

**თვალნათლივ ვხედავ
როგორ ხრიან თავებს სახლები,
დედაბოძებს ეზღინებან,
ნესტიან სარდაფს რომ ქვებს შორის
შეავლონ მზერა...**

იმასაც ხედავს — „ცას უყურებდა სახურავი ჩვენი სახლისა“, გვიყვება იმ მშობლიურ სახლზე, რომელიც არასდროს დაუტოვებია ნუციკოს, ამიტომაც მის ლექსებში აქცენტირებული არ არის დრო, და არც პოლარული ასოციაციებია — ბავშვობა, ყმანვილქალობა, ან სულაც დიდობა, ანდა დედობა — ქალის გვირგვინი და შინდისფერი მზის მოძალეა. აქ ერთი უწყვეტი დროა და ამიტომაც იგი დღესაც ასე ლამაზდროულად „ეზიდება სიტყვებს სახლიდან“ და გვჯერა ნუციკოსი „წვიმებისას, როცა ჩემი სახლის კედლები იჟღინთებთან სევდით, ლექსით“, მაშინ ზუსტად გრძობს, „როგორ სტყვიათ სახლებს ყველა სახსარი“.

მადლიანი სანუხარი ანუ ის ხერხემალი, რომელიც მის ლექსებს აერთიანებთ, ალბათ ის ტკივილია, რომელიც ალუბლისფერი კარის მიღმა მცხოვრებ ნუციკოს გამოარჩევს და განასხვავებს სხვანაირობის ვერმიმტევებელ სინამდვილეში.

წერილის ერთ მონაკვეთში ვისაუბრეთ მისი ლექსების ნარატიულ ნაკადზე, სადაც კონვენციური ლექსი და თავისუფალი (ვერლიბრი, ვერბლანი) ერთმანეთს ენაცვლება. ნუციკოს ლექსწყობაში ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი, რომელიც რითმისთან დამოკიდებულებაში შეუზღუდავია, გაიგივებული არ არის ვერბლანთან ანუ ურიტმო, თეთრ ლექსთან.

რაც შეეხება ტრადიციული სალექსო ფორმებისა და საზომების მრავალფეროვნებას, იგი უცილობლად ნუციკოს პოეტური სიმნიფის მაუწყებელია. საინტერესოა დაკვირვება პოეტის თვრამეტმარცვლიან ლექსებზე „გზადიდობები“ და „აპრიორი“, რომელთა მეტრული ნესრიგი ასეთია 3/2/4/4/3/2; ამ ლექსებში აქცენტური მახვილის გადაწინააღმდეგობა მეტად ყურადსაღებია. ლექსი „გადარჩენები“ ცხრამეტმარცვლიანია, მეტრული სქემით 5/4/5/5. ამ ლექსებმა სპეციფიკურობის გამო მიიქცია ყურადღება. ერთგან ასე წერს:

**ვიგონებ მარტის ქარებივით არეულ ვერბლანს.
(„თუნდაც დაცინვით“)**

შემდეგ კი იქვე აგრძელებს:



ნუციკო დეკანოზიშვილი

**ქუჩაში გამვლელს პოეტების ფეხზე მავალი,
უყუყუბი სონეტს და ერთადერთს...**

და მთავარი სიტყვები, რომლებიც პოეტმა უნდა თქვას, რომ წიგნად შეიკრას მისი სათქმელი, ნუციკო დეკანოზიშვილს უკვე ნათქვამი აქვს და იგი, ყოჩივარდების თავყრილობებიდან გამოქცეული, ბიბინა მოღებით, პოეტური იებით, ყვითელკაბა, დასტაქარი ქრისტესისხლებითა და წერილებით ვინმე X-ზე, რომლებიც „ყველაზე მეტად მოჰგავდნენ ნარცისებს“, მოდის და აცხადებს, „მიყურე ბოლომდე – სადამდე მივიღვარ, მსუბუქი თითებით, გაცისფერებული“, და დარწმუნებული ვართ, რომ ასე აჩქარებული, უსათუოდ მოვა ჩვენქალაქამდე...

**მე დავატარებ ყვავილებს
მექალაქიდან
შენქალაქამდე.**

(„ძირები მაინც... (ადელის სინდრომი“)

ერთგან აცხადებს „კომპასებს ლექსებს უჭრვენებო,“ — და ამ კრებულშიც

**აი, ასე, და სწრაფად,
ურითმოდ
ფართხალებს გული.
(„წერილი კლარას“)**

ნუციკოს გული... და ისევ მოდის, და გამართლებად, გზადაგზა „ბავისმიერ ბგერებსა“ და „დახავსებულ სიტყვებს იგონებს, წყალდიდობისას სათქმელად და მოსაჭიდებლად“ და ჰა, მოვიდა კიდეც...

**შემხედე, მოვედი
ტილოზე, რომ ჭიამაიების კოპლებივით
მრავალწერტილებით
დანალმული
ჩემი უკვდავება
მოგახსრო.
(„მოვედი“)**

ნუციკო დეკანოზიშვილის პირველ კრებულს „ამინდები ბისზე“ ერქვა. მის ახალ კრებულსაც ასეთი ამინდები ვუსურვოთ და ვუნატროთ, კვლავ „წრეზე სიტყვებით დანთებული ცეცხლი გიზგიზებდეს“ მის პოეზიაში, რათა კვლავ ასე ლამაზად მიიტანოს თავისი ლექსის „მხოლოდ ნედლი თავთუხები — მადლიანი სანუხრები“ მკითხველის გულამდე.

ზურაბ ლავრელაშვილი

რატომ ვერ ვკითხულობთ ვაჟა-ფშაველას?

(ვაჟა-ფშაველა და ნიცჟა...)

„ეს წერილი არის ცდა იმისა, რომ ერთგვარად წარმოაჩინოს ვაჟა-ფშაველასა და ნიცჟეს ურთიერთმიმართება და გარკვეულწილად, დააკმაყოფილოს ამ საკითხისადმი ინტერესი“, — წერს მაია იანტბელიძე სტატიის „ვაჟა და ნიცჟე“ („ჩვენი მწერლობა“, №11, 2014).

თითქმის საუკუნის წინათ რუსთაველის შესახებ ქართველმა მკვლევარმა შენიშნა: „რუსთაველი ეკუთვნის ისეთ მწერალთა რიცხვს, რომელთა შესახებ ყველა ლაპარაკობს და რომელთა ნაწერებს დაკვირვებით არავინ კითხულობს“ (კონსტანტინე კაპანელი).

მეორე ასეთი ავტორი, ვის შესახებაც ყველა ლაპარაკობს, მაგრამ დაკვირვებით არავინ კითხულობს — ვაჟა-ფშაველაა, ოღონდ რიგით მკითხველს თუ მაინცდამაინც არ მოეთხოვება, პოეტის შემოქმედების ფესვებს ჩასწვდეს და განმარტოს, გააანალიზოს მისი ნაღვანი, რაღა ვთქვათ ქართველ პროფესიონალ მკვლევართა შესახებ, რომლებიც ვაჟას ნაწერში ზერელედ იყურებიან და მარტო თავიანთი შეთხზული, გამოგონილი ვარაუდებით არიან გართულნი...

ვერ იქნა და ვერ ეღიროსა ჩვენი კლასიკური მწერლობა სიღრმისეულ ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს, კვლევას; მიზეზი კი ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, ფრიად ბანალური და ლამის დაუფერებელია — ქართველი მკვლევარი ყურადღებით არ კითხულობს საკვლევ მასალას და ქოთანსაც ყური იქით ებმის, საითაც ჩვენებურ კრიტიკოსს სურს...

ეს კურიოზული ვითარება განსაკუთრებით ვაჟას შემთხვევაშია შესამჩნევი. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მკითხველს უკომენტაროდ ვთავაზობ მაია იანტბელიძის წერილიდან ამოკრეფილ ციტატებს და ვაჟას პოემების სათანადო სტროფებს:

„მინდიას ხედვა არის გულის და არა გონების, სამყაროს შემეცნების საფუძველზე მოპოვებული უნარი,“ — გვეუბნება წერილის ავტორი.

„გამეცნიერდა გლეხია,“ — წერია პოემაში.

„ამ საზოგადოების ტრადიციულ ღმერთს უპირისპირდება ალუდა ქეთელაურის ინდივიდუალობა, მისგან მოპოვებული (?!), უშუალოდ განცდილი სრულყოფილი ღმერთი,“ — გვიმტკიცებს კრიტიკოსი.

„ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,“ — ტუქსავს თავისიანებს ალუდა.

„ალუდას მიერ წვდომილი ღმერთისათვის არ არსებობს მტრად და მოყვრად... გაორებული სანუთრო,“ — ესეც წერილიდანაა.

„მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა,“ — იქადნება ქეთელაური.

ცალკე სატირალი და სავაგლახოა ულოგიკობისა და აბსურდულობის „ხოშორი მარგალიტები,“ რასაც წერილში ვაწყდებით:

„ღვთიური სიბრძნისა და ადამიანური ყოფის ურთიერთმიმართება კრახით დამთავრდა,“ — წერს კრიტიკოსი, მერე კი გვამცნობს: „ქაჯებს ეს სიბრძნე... დემონებად აქცევდა.“

მსგავს „ორიგინალურ“ დასკვნას ადგანან თურმე ცნობილი მკვლევარებიც:

„ალუდას მიერ შინაგანად განცდილი უნივერსალური ღმერთიც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ქრისტიანულად მოაზრებული ღმერთი“ (თამაზ ჩხენკელი).

მოკლედ, მთავარია ჩვენმა კრიტიკოსებმა ნაღმა-უკულმა აბრუნონ სიტყვა „ღმერთი“ და არ ანაღვლებთ, რა წერია ვაჟას თხზულებებში...

თ. ჩხენკელის შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, ზერელობა და დაუკვირვებლობა უფრო შორსაც არის წასული, რამდენადაც „ქართველ კრიტიკოსთა ერთ ნაწილში,“ ვისაც თურმე „გველისმჭამელის“ მხატვრობა აეჭვებს, როგორც ამას მ. იანტბელიძე აღნიშნავს, უთუოდ ეს მკვლევარიც იგულისხმება:

„გველისმჭამელი ვაჟას დიდმნიშვნელოვანი პოემაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მკრეხელობად არ უნდა ითვლებოდეს იმის თქმა, რომ მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით იგი ვერ შეედრება... გენიალურ „ალუდა ქეთელაურს“ („ტრაგიკული ნიღბები“).

მერედა რით მტკიცდება თურმე „გველისმჭამელის“ მხატვრული არასრულყოფილება? აი, ერთი არგუმენტი: „პოემაში ჭარბობს ეთნიურ მაგიურობას მოკლებული, პუბლიცისტური ხასიათის ლექსიკა და ფრაზეოლოგია...მინდია გლეხია, ხევსურთა თემი — სამშობლო, მინდომს სამკვიდრებელს ქოხი ჰქვია, ხატობას — დლეობა, ხოლო ქავს — სახლი და კოშკი...“

ახლა პოემას ჩავხედოთ: „ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,“ — ეს მეოთხე თავის დასაწყისია.

ხოლო იმ თავის დასაწყისში, რომელშიც თ. ჩხენკელს სიტყვა „სახლი“ არ მოსწონებია (პუბლიცისტურობის საბაბით!), მინდიას საცხოვრებელი ასეა აღწერილი:

„ფრილო კლდის თავს სახლი დგა, ცას ებჯინება ბანითა.“ როგორც „პუბლიცისტურია“ ეს სურათი, მკითხველმა განსაჯოს...

ხოლო თუ მაინცდამაინც სიტყვა „ქავის“ პოვნა უნდოდა მკვლევარს, ისიც აქ არის, მზიას სიზმარში:

„ათასგან ციხე ირღვევა, ქავ-ციხეებთან სახლია.“

„ალუდა ქეთელაურში“ კი პირიქით, მკვლევარისათვის საძულველი პუბლიცისტური თქმანი არცთუ იშვიათია:

„მშვიდობით, ჩემო სახ-კარო.“ — ასე ემშვიდობება ალუდა თავის საცხოვრებელს.

უფრო ადრე კი ვაჟა შატილიონებზე წერს: „თავ-თავის სახლებს მიჰმართეს ჭერხოთით კარიანითა.“

(საგანგებოდ ვეძებ და სიტყვა „ქავი,“ რომელიც თ. ჩხენკელს რატომღაც „ეთნიური მაგიურობის“ აღმნიშვნელად მიაჩნია, მხოლოდ ორჯერ ვნახე პოემაში და ორჯერვე ეს სიტყვა გამოყენებულია მხოლოდ კედლის სინონიმად, რომელზეც მოკლული მტრის მარჯვენებს ჰკიდებდნენ: „ნაილ, მიაკარ ქავადა!“ — ეუბნება მინდია ალუდას, მეორეგან კი ხევისბერი ასე საყვედურობს ურჩ შატილიონს: „რამდენ სხვა მაჰკაღ, შენს ქავზე ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია.“

როგორც ვხედავთ, მკვლევართა გასაოცრად, ალუდაც და შატილიონებიც „სახ-კარში“ ცხოვრობენ და არა „ქავში“; ეს სიტყვა ვაჟასთან ციხეს, სიმაგრეს აღნიშნავს და არა საცხოვრებელ შენობას. ასეთივე მნიშვნელობისაა ის „გველისმჭამელშიც.“)

ამის შემდეგ ალბათ აღარ უნდა გაგვიკვირდეს მ. იანტბელიძის დასკვნა, ვერ მოხერხდა შეთანხმება იმაზე, თუ რა წარმოადგენს თურმე „გველისმჭამელის“ ძირითად აზრს..

ცხადია, აზრს ვერ იპოვნია, თუ თხზულებას ჯეროვნად არ წაიკითხავ! ხოლო მიზეზი იმისა, თუ რად ებინდებათ მზე-

რა ჩვენს კრიტიკოსებს, ასევე ბანალური და გულდასაწყვეტია — არაპროფესიონალიზმი და მცირედმცოდნეობა...

აი, ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ არ ესმით კრიტიკოსებს ვაჟას მწერლობის გენეტიკური და ტიპოლოგიური ფესვები და რად ედებიან ლობე-ყორეს, როცა ხან ნიცშესთან ეძებენ მსგავსებას და ხან, ვთქვათ, „უბანიშალებთან“:

„ინდივიდუალისტური თვალსაზრისები რომ აძლევდა ბიძგს ვაჟას საკუთარი, განსხვავებული, პოეტური პოზიციის შესაქმნელად, ამაში არაფერია უცნაური...“ — ეს წერილში მოჭანილი იუზა ევგენიძის დასკვნაა.

მამასადამე, „ინდივიდუალისტური თვალსაზრისები“ რომ არ არსებულყო, ვაჟა თურმე „გველისმჭამელს“ ვერ დასწერდა...ნიცშეც იმიტომ დასჭირდათ ჩვენს მკვლევარებს სასწორის პინად, ვითარება ისე წარმოეჩინათ, თითქოს ვაჟამ ეს პოემა გერმანელი მწერლის გამოჯავრებით შექმნა...ამით აიხსნება დანიტერესებაც, რაც იყო და არის თურმე ჩვენს ლიტერატურულ წრეებში ვაჟასა და ნიცშეს ურთიერთმიმართებისა გამო, როგორც ამას მ. იანტბელიძე აღნიშნავს...

არ ვიცი რომელ ლიტერატურულ წრეებს გულისხმობს კრიტიკოსი, მაგრამ „ვაჟას და ნიცშეს კონკრეტულ ნაწარმოებთა თუ გმირთა ხასიათები“ რომ ცა და დედამიწასავით განსხვავდება, ეს კი უჭევლია!..

და ამას თავად მ. იანტბელიძეც აღიარებს!..

„მიუხედავად ზემოთქმულისა, არის უმთავრესი განსხვავება ამ ორი ავტორის ნაწარმოებთა შორის.“

საკითხავია, თუკი ორ შემოქმედს შორის უმთავრესი განსხვავებაა, როგორღაა შესაძლებელი მათი „ურთიერთმიმართების“ კვლევა და საერთოდ, რა აზრი აქვს ამის კვლევას?!

აღბათ ის, რომ მერე თ. ჩხენკელივით ეჭვქვეშ დავაყენოთ ქართული მწერლობის ჯერაც დაუფასებელი შედეგრი, პოემა „გველისმჭამელი“, თანაც ასეთი ბრალდებით, პუბლიცისტური...!

პარალელურად, ნამუსი მოვნმინდოთ ჩვენს გენიალურ პოეტს, იდეის პოვნის სიძნელე მხატვრული ნაწარმოების ნაკლებ ღირებულებას როდი მიუთითებსო...

ოდნავ მეტი მეცნიერული კეთილსინდისიერებით რომ მოჰკიდებოდნენ საკითხის კვლევას ქართველი კრიტიკოსები, მალევე დარწმუნდებოდნენ, რომ ნიცშესა და ვაჟას „ურთიერთმიმართება“ ოდენ ინტელექტუალური გასართობია, ჩხირკედელაობაა, და მეტი არაფერი, რაკილა მინიმუმ 1900 წლამდე, ისიც დიდი ალბათობით, ვაჟა „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ვერ წაიკითხავდა: რუსულად ეს წიგნი 1900 წელს ითარგმნა, ხოლო თავად გერმანიაში ის ძალზე მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა. მაგალითად, 1885 წელს „ზარატუსტრას“ მეოთხე ნაწილი სულაც 40 ეგზემპლარი გამოვიდა ნაცნობთა მცირე წრისათვის.

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ს. ფრანკი იხსენებს: „1901-2 წლებში შემთხვევით (!) ხელთ ჩამივარდა ნიცშეს წიგნი „ასე იტყოდა ზარათუსტრა“...“

როგორც ვხედავთ, თვით რუსულ ინტელექტუალურ წრეებშიც კი მეოცე საუკუნის დასაწყისში ნიცშეს „შემთხვევით“ თუ ეცნობიან.*

მით უმეტეს საეჭვოა, იმ დროისათვის, ანუ „გველისმჭამელის“ წერისას, ის სცნობოდა ვაჟას...

„ალუდა ქეთელაური“ სულაც 1888 წელს დაიბეჭდა, როცა გერმანიაშიც კი, ნიცშესავე აღიარებით, მას არავინ კითხულობდა; ამის მიუხედავად, მ. იანტბელიძე მაინც ასკვნის: „მარტოობა ხვედრი და თანმდევი ვაჟა-ფშაველას გმირებისაც, რომელნიც გერმანელი ავტორის გმირივით გამოირჩეულნი არიან სხვათაგან.“

მერე ამას მოსდევს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კიდევ ერთი „ობოლი მარგალიტი“, არანაკლები თ. ჩხენკელის შეფასებისა, „გველისმჭამელი“ მხატვრულად არასრულყოფილი პოემაო...

„ნიცშეს ზარატუსტრას საქმედ ადამიანებთან მისვლა და მათი „მოქცევა“ მიაჩნია. ასეთივე ფუნქციას გაუცნობიერებლად (!) კისრულობენ ვაჟას პერსონაჟები.“

როგორი ქებაა სიტყვის დიდოსტატისათვის — შენი მთავარი პერსონაჟები გაუცნობიერებლად მოქმედებენ და მსჯელობენო!.. ანდა რანაირად ეთანადება ეს დახასიათება „პოემის საოცარ ფილოსოფიურ სიღრმეს და ეთიკურ-მეტა-ეთიკურ შეხედულებათა მონიფულუბას“ (სხვაგვარ, ეტყობა, ვაჟა ეთიკურ-ესთეტიკურად მოუწინააღმდეგებელია! — ზ.ლ.)...

ხომ წარმოგიდგენია, მკითხველო, ფილოსოფიურად „საოცრად ღრმა“ თხზულება, რომლის გმირიც გაუცნობიერებლად „კისრულობს ადამიანებთან მისვლას და მათ მოქცევას!“

და აჰა, მარტო რიტორიკული შეძახილია დაგვრჩენია თვლემამორეული ლიტერატურათმცოდნეების გამო-საფხიზლებლად: ნუთუ ვაჟას ეს ეკადრება — სიტყვების რა-ხარუხით და უმნიფარი აზრებით მისი შედეგების შერყვნა-დამახინჯება? ნუთუ არ დადგა დრო, ელემენტარულ მეცნიერულ დონეზე მაინც ნაკვირვალად ჩვენს კლასიკოსები, რომლებიც ისედაც ჯიჯგნეს და აბურთავეს ახლამოდურმა თუ ძველმა „ინტელექტუალებმა?“

ვაი, რომ ვერ ვკითხულობთ, ვერა...

* საკითხის შესახებ იხილეთ მ. კორენევას საინტერესო სტატია „რუსული ნიცშეანიზმის ისტორიიდან.“ (<http://ec-dejavu.ru/n/nietzschismo.html>). სტატიაში სხვათა შორის ვკითხულობთ: „რუსი მკითხველი ნიცშეს თხზულებებს საკმაოდ გვიან ვაეცნო. ეს აიხსნებოდა პირველ რიგში ცენზურული აკრძალვით, რომელიც გერმანელი მწერლის წიგნებს დაედო და საკმაო ხანი გაგრძელდა... ამ მხრივ საგულისხმოა 1908 წელს მ. პიროჟოვის მიერ გამოცემული „ანტიქრისტეს“ ბედი: წიგნი არამარტო აიკრძალა, არამედ გამომცემელი სასამართლოში დაიბარეს და ორკვირიანი პატიმრობა მიუსაჯეს. აქედან ცხადია, რომ „გველისმჭამელის“ დაწერის დროსაც კი ნიცშეს კითხვა არცთუ უხიფათო იყო.“

მწერალთა სახლში ლიტერატურული ფესტივალის „გარა“ ფარგლებში, გაიმართა ოთხი პოეტის — **ცირა ყურაშვილის, თეა თაბაგარის, ცია ლაბაძისა და ლელა ლაჩაშვილის** — ლიტერატურული საღამო. შემოქმედებმა საზოგადოებას თავიანთი ლექსები წარუდგინეს. დარბაზში ნამდვილი პოეზიის სული და სურნელი ტრიალებდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის „გარას“ მიერ დაფუძნებული ლიტერატურულ ფესტივალს (დამფუძნებლები: **ქეთევან გარაყანიძე და გიორგი კულაშვილი**) ორი წლის ისტორია აქვს. მისი მიზანია ლიტერატურისა და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანთა პოპულარიზაცია, მათი გაცნობა საზოგადოების ფართო წრისათვის.

რიგით მეორე ფესტივალი „გარა“ წელს, მარტასა და აპრილში, ორ ეტაპად გაიმართა. პირველი, რეგიონული ეტაპი ჩატარდა იმ რაიონებში, საიდანაც გახლდნენ „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“. ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ხუთ რაიონში: ყვარელში, ჩარგალში, ახალციხეში, საჩხერესა და ვანში — წარადგინეს **მურმან ჯინორიას** მონოსპექტაკლი „**ქარი მწყურია მე პირდაპირი**“. შემდეგ ფესტივალმა გადაინაცვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც ოთხი დღის განმავლობაში ოცდახუთმა ავტორმა წარადგინა საკუთარი შემოქმედება.

„გარა“ ერთადერთი ფესტივალია, რომელიც არ ითვალისწინებს კონკურსს, აქ ყველა გამარჯვებულია, ხოლო აბრევიატურა ასე იწოდება — **გიყვარდეს, არ უარყო, რწმენით აგისრულდება**.

მარინე ტურავა

მშვიდობა — ომზე არანაკლებ საშიში

(კობა ცხაკაიას „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“)

ჩვენი უახლოესი წარსულის უმძიმესი ხანა — გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე გარდაუსახავს კობა ცხაკაიას მხატვრულად რომანში „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“. ნარკომანიის პრობლემა, თბილისისა და აფხაზეთის ომები მთელი თაობის ბედისწერად ქცეულა, ამიტომაც უწოდებს ავტორი ამ თაობას დაკარგულს. რომანი რთულია არა მხოლოდ თემატურად, არამედ კომპოზიციურადაც. ერთი და იგივე ეპიზოდი მრავალჯერ ნყდება და ისევ ახლდება, სხვადასხვა ინტერპრეტაციით არის მოწოდებული. ხშირად გვხვდება ერთი ამბის რეალური და სიზმრისეული ასხნა, თუმცა ჭირს მათი გარჩევა ერთმანეთისაგან. თხრობის განახლება არახალია ჩვენი ლიტერატურისათვის და ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში იღებს სათავეს. გიორგი მერჩულის ცნობილი ფრაზა: „ან კვალავაც პირველი იგი ნაშთი განვაახლოთ“ — ამის ნათელი დასტურია. თუმცა თანამედროვე მწერლები „ნაშთის განახლებას“ სხვა მხატვრული ფუნქციით იყენებენ.



კობა ცხაკაია

წინასიტყვაობაშივე გვეუბნება მწერალი, რომ ნაწარმოებს კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტი, საბრალდებო დასკვნა, უდევს საფუძვლად, რითაც ხსნის გაბნეულ და კალიდოსკოპურ თხრობას. რა თქმა უნდა, ეს პირნიმნდად პოსტ-მოდერნისტული ხერხია, რომელსაც ავტორი მიმართავს. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული თამაში ორგანულია ამ რომანისა და ზოგადად კობა ცხაკაიას შემოქმედებისათვის. თუმცა, მგონია, რომ ამგვარ თხრობას არსობრივი ასხნაც აქვს და ზუსტად გამოხატავს ნაწარმოების გარეგნულად ქაოტურ, არათანმიმდევრულ, ჭრელ მხატვრულ ქრონოტიკას. აღრუულ დროსა და სივრცეში შეუძლებელია თხრობა თანმიმდევრული და ლოგიკური იყოს... ამბები კადრებივით ენაცვლება ერთმანეთს, რაც კობა ცხაკაიას პროფესიით არის განპირობებული, რეჟისორები, ეტყობა, სწორედ ასე აღიქვამენ ცხოვრებას...

რომანში ასახული სამყარო დეკონსტრუირებულია, ცენტრი მოშლილია, არ არსებობს დემიურგი, უღმერთო სამყაროში ადამიანები საყრდენისა და სიყვარულის გარეშე არიან დარჩენილნი. მოშლილია ზღვარი მამაკაცსა და ქალს შორის, ქვეყნობა ხშირად თანწყობით არის ჩანაცვლებული. ამის მაგალითია „იდეალური ოჯახები“, რომელთაც მწერალი გვიხატავს. ამგვარ ოჯახებში მამაკაციცა და ქალიც ერთნაირად მოიხმარენ ნარკოტიკს, ერთნაირად აღიქვამენ მოვლენებს, ერთნაირად აზროვნებენ...

ნარკომანიის თემას მოსდევს აფხაზეთის ომის თემა... ომი, როგორც თვითრეალიზაციის, საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენის ერთადერთი ასპარეზი, რადგან სხვა ასპარეზი არ არსებობს. ომი ფატალურად ზემოქმედებს ადამიანებზე, მყისიერად ცვლის მათ, თუმცა მაინც ვერ ივიწყებენ, ვერ აქცევენ ზურგს. მეტიც, საბრძოლო მოქმედებათა დასრულების შემდეგაც აგრძელებენ ომს, პარტიზანობას იწყებენ. ძალაუვნებურად ნაშთივითი დედა ბრეტისეული პრობ-

ლემა — ომზე არანაკლებ საშიში შემდგომი ხანაა და ამიტომაც ემინიათ ადამიანებს მშვიდობის.

ომს უკავშირდება რომანის დილემათაგან უმთავრესიც: ღირს ბრძოლა სიმართლისა და სამართლიანობისათვის, როცა ეს ბრძოლა თავიდანვე განწირულია დამარცხებისათვის და მხოლოდ იარაღი ხარ ვილაცის ხელში, თუ სირაქლემას პოზა უნდა ამჯობინო და ჰემინგუეის პერსონაჟებივით პირად ცხოვრებაში, სიყვარულში ჩაძირვით უნდა გაეცქე ომის საშინელებებს...

კობა ცხაკაიას პერსონაჟები ნამდვილობითა და თვითმყოფადობით გამოირჩევიან. ისეთი შეგრძნება გრჩება, რომ მწერალმა ისინი რეალური ცხოვრებიდან წიგნში ჩაასახლა. ბევრს ორი სახელი აქვს: ლექსიკონანოდარა, სანჩო-გოჩა; ბევრს მხოლოდ მეტსახელი: ზაკუტალა, უზამბარი, ლამაზო, პუშკინა, შავი, ჩირიკა, კრაკაილა... ალბათ, იმის ნიშნად, რომ მათ მხოლოდ თავიანთ ბნელ მხარეთა

რეალიზება შეძლეს... ნათელი კი გაქრა...

რომანის მხატვრული ენა, თემატიკიდან გამომდინარე, არ არის ლიტერატურული, აკადემიური. პერსონაჟები ჟარგონზე საუბრობენ, 90-იანი წლების რუსულ-ქართულ სპეცენაზე, რომლის ლექსიკურ მარაგს ასე გულმოდგინედ აგროვებს ლექსიკონანოდარა. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ მეორე გამოცემის ბოლოს ავტორი ამ „ბლატნოი ლექსიკონსაც“ დაურთავს, რადგანაც რამდენიმე წელიწადში ეს ენა გაუგებარი გახდება, დღეს უკვე სხვა ჟარგონი მკვიდრდება, ამჯერად ქართულ-ინგლისური. მწერალი ოსტატურად აგებს დიალოგებს, „საჭმლის გადასამუშავებელი საუბრები“ ხშირად მსუბუქ ფილოსოფიურ დისკურსში გადაჰყავს, ოდნავ ირონიული და სარკასტული აქცენტებით...

მინდა ცალკე გამოვყო სანჩოს უკანასკნელი წერილი, რომელიც თინიკოსათვის აფხაზ წერეთელს (?) მოაქვს, რატომღაც ეს წერილი რუსულ ენაზეა დაწერილი, ცოტა გაუგებარია, ქართულ რომანში რუსულად დაწერილი ბარათის მხატვრული ფუნქცია, თუმცა ეს ხერხიც არ არის ახალი ლიტერატურისათვის. სანჩო-გოჩას წერილი მთელი თაობის ტრაგიზმსა და ფატალიზმს იტევს, ბევრ კითხვაზე პასუხობს, თუმცა რომანში ბლომად არის პასუხგაუცემელი კითხვებიც.

ამ რომანის მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება სურვილი, ეს ნაწარმოები სცენასა ან ეკრანზე იხილოს, რადგანაც ეს არის გამზადებული სცენარი, რომლის დაკარგვაც არასწორი იქნებოდა...

აკა მორჩილადის „გასეირნება ყარაბახში“, ლამა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“, ზურაბ სამადაშვილის „ობლები“, სოსო ნადირაძის „ხაკისფერი ჩადრი“ — ჩვენი უახლოესი წარსულის პრობლემებს მიეძღვნა, დღეიდან მათ შორის უნდა მოვიპოროთ კობა ცხაკაიას რომანიც — „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“, რომელიც გამომცემლობა „საუნჯემ“ დასტამბა.

ანი იმნაძე

„გალაკტიონის ფიქრებთან ერთად სეტიალი“

იმ დღეს გორის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები ყველასთვის და ყოველთვის სანატრელ სტუმარს ხვდებოდნენ. შეხვედრის საბაზი და მიზანიც ჩვეულებრივი არაჩვეულებრიობა იყო — როსტომ ჩხეიძის მორიგი ბიოგრაფიული რომანის „კომიკოსი ტრაგედიაში“ წარდგინება. რომანის მთავარ პერსონაჟად ამჟამად, არც მგელი, არც ნაკლები, გალაკტიონი მოგვევლინა, ხოლო ის სასურველი და მონატრებული სტუმარი, ცხადია, თვით ავტორი გახლდათ.

დარბაზში შეკრებილთ მიესალმა და ღონისძიებას წარუძღვა გორის უნივერსიტეტის პროფესორი მარინა ცარცვაძე:

— ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავს, — თქვა მან, — მეც მყავს ჩემი გალაკტიონი, მურმან ლებანიძეს თავისი: „ჩემ გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ“. კონსტანტინე გამსახურდია იგონებს: გალაკტიონი მეუბნებოდა, ამ საუკუნეს ჩვენ ორნიც ვეყოფითო. გალაკტიონის სახელი და შემოქმედება მართლაც, ალბათ, საუკუნეებს გადასწვდება — მას წაიკითხავენ, დაიზიარებენ, მისით იამაყებენ, მისგან სწავლას შეეცდებიან თაობები. თუმცა ისიც სწორია, რომ ყოველთვის ყველას ეყოლება საკუთარი გალაკტიონიც. როსტომ ჩხეიძის გალაკტიონიც სხვაა, სულ სხვა, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა.

ქალბატონმა მარინამ მაღლობა გადაუხადა მწერალს მობრძანებისთვის, იმისთვის, რომ უყვარს და ახსოვს აქაურობა... შემდეგ კი სიტყვა გორის უნივერსიტეტის პედაგოგებს გადასცა. გთავაზობთ მოკლე ამონარიდებს მათი საინტერესო გამოსვლებიდან.

თამარ სიღამონიძე:

— ეს წიგნი ჩვენს დიდ ფენომენზეა, რომელსაც მე რამდენადაც ვუახლოვდები, იმდენად მშორდება. ავტორი გალაკტიონის მეორე პოეტურ კრებულს — „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ — მოიხსენიებს სიმბოლიზმის სახარებად და შესაფერისადაც წარმოაჩენს ამ წიგნის თავისებურება-ღირსებებსაც და პოეტის უღრმესი სულის შრეებსაც. ამ ბიოგრაფიული რომანის სათაურით „კომიკოსი ტრაგედიაში“ ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის გასაღები პოეტის ტრაგიკულ ცხოვრებაში, ხელოვნურად აგებულ მოდელში შესაღწევად.

ვაჟა ჩოჩია:

— რომ არ არსებულებოდა ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, რამხელა უფსკრული იქნებოდა ბიოგრაფიული რომანის მიმართულებით. ეპოქის სულს დაინახავ, როცა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებს წაიკითხავ... ჩვენ ველით, რომ მან დაწეროს (და ეს თუნდ მკითხველის დაკვეთად მიიღოს) ბიოგრაფიული რომანები ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე...

მერე ბატონი როსტომის ლექციას ვუსმენდით სულგანაბულნი. დამსწრეთაგან უმრავლესობას უკვე მოესწრო წიგნის წაკითხვა, წაწილს — ჯერ ვერა. თუმცა ავტორის მოსმენა, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველასთვის უაღრესად სასიამოვნო და საყურადღებო გამოდგა. შიგადაშიგ რეპლიკებით გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ პიროვნებისა თუ მოვლენისადმი. ხან ამოოხვრაც ისმოდა, ხან — ჩუმი ჩაცინებაც... იმის მიხედვით, თუ რას ყვებოდა ლექტორი.

თითქოს სპექტაკლს ვესწრებოდით, სადაც კარგი მაყურებელი ყოველ სცენაზე სათანადოდ რეაგირებს... სპექტაკლი შემთხვევით არ მიხსენებია. ბატონმა როსტომმა გაგვახსენა გალაკტიონის თეატრალური რეჟისორის დიპლომი და მის მიერ დადგმული ერთადერთი, მაგრამ განუმეორებელი სპექტაკლი — საკუთარი



გიორგი სოსიაშვილი და იოსებ ჭუმბურიძე

ცხოვრების დრამა ტრაგიკული ფინალით მოშარავანდებული... აქვე წარმოგიდგინთ ლექციის ძალზე შემოკლებულ ვარიანტს.

როსტომ ჩხეიძე:

— თუ ვინმეზეა აუცილებელი საუბარი, ეს გალაკტიონია. მსოფლიო მასშტაბის პოეტია და ჩვენთვის ასერიგად თავმო-სანონებელი. ერთხანს პოპულარული იყო უფრო ცხოვრების წესით, ვიდრე პოეტური მონაპოვრითა და სულიერი ღირებუ-ლებებით. მასზე აქამდეც ბევრი დაწერილა. ამდენი წიგნი არ-ცერთ სხვა მწერალზე არა გვაქვს. სამი ბიოგრაფიული რომა-ნი: ნოდარ ტაბიძის, ვახტანგ ჯავახიძის, რევაზ თვარაძის. არ-სებობს შესანიშნავი გამოკვლევა მიხეილ კვესელავასი. დაარ-სებულია გალაკტიონოლოგიაც — გალაკტიონის საოცნებო დისციპლინა (რუსთველოლოგიის ანალოგიით), რომელსაც თეიმურაზ დოიაშვილი უდგას სათავეში.

გალაკტიონი თვითონ უწყობდა ხელს იმ აზრის შექმნას, რომ ლოთი და გაუნათლებელია, თავის გადასარჩენად სჭირ-დებოდა ამ ცრუსმების დაყრა. არადა, ასეთი განათლებული პიროვნება ბევრი არ არის ქართულ მწერლობაში.

ლექსების დათარიღება და ბიოგრაფიული ფაქტებიც ძნელი მოსაძიებელი და დასადგენია, რადგანაც შეგნებულად ურევდა და ცალკეულ ლექსებს გამოგონილ ბიოგრაფიებსაც უთხზავდა. მისი 25 ტომი ნამდვილი ლიტერატურული განძია, განსაკუთრე-ბით უნდა მოვიხსენიო მისი უბის წიგნაკის ჩანაწერები. ყველა-ფერი ყოველთვის ბოლომდე არ წერია, მაგრამ ბევრი საინტერე-სო ცნობაა. საკუთარი თავის საუკეთესო პიარ-მენეჯერია, მიუ-ხედავად იმისა, რომ შიშის პირობებში ცხოვრობს.

ოლია ოკუჯავა შემლირი რევოლუციონერია. მისი ძმებიც. გა-ლაკტიონი მათგან შორსაა. მათ არ სთხოვს არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ სინამდვილეში საქართველოს მართვის სადავეები მათ ხელშია. მისთვის ყოველად მიუღებელი აღმოჩნდა ის ამბები, ახალი რეალობა რომ დაამკვიდრა. 1924 წელს დაიბეჭდა მისი პოემა ჟურნალ „მნათობში“. პოემაში მოქმედება ხდება საზღ-ვარგარეთ. ამ დროს, საქართველოში ავგისტო-სექტემბერში ამ-ბოხებაა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლები. ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა შეზარა გალაკტიონი და პოემაში დაამატა პასაჟები, როგორ არბევენ ხალხს, როგორ მოე-დინება სისხლი. ცენზურა და ჩეკისტური კრიტიკა მიხვდა, რომ რეალურად აჯანყების ჩახშობის სცენებია წარმოსახული. გალაკ-ტიონს აპატიმრებენ მხოლოდ ერთი დღით, რაკილა ოლია ოკუჯა-ვამ მთელი თავისი გავლენა მოიშველია და დაიხსნა. გათავისუფ-ლებულს მთელი კვირა ხმა არ ამოუღია და მერე იწყებს ლაპა-რაქს... სულ სხვა ხმით — დამნიებული, ზაფრადაცემული ადამიან-ისა. მერე კიდევ მოირგო ნილაბი ასოციალური ადამიანისა.

აკაკი ნერეთელი ხუმრობდა — ცოლი მყავს — არა მყავს, შვილი მყავს — არა მყავს, პენსია მაქვს — არა მაქვსო...

გალაკტიონს სამი ცოლი ჰყავდა და არც ჰყავდა...

საინტერესო ქალი იყო ოლია. ცოლ-ქმარი ერთად აპირებდა რომანის დაწერასაც კი. გალაკტიონის ნიჭის დამფასებელი იყო ოლია, გემოვნებიანი მკითხველი, თუმც მათი ურთიერთობა არა ყოფილა მთლად ისე ია-ვარდით მოფენილი, როგორც რომანტიკოსები.

გალაკტიონს შედეგრიც ბევრი აქვს და ყალბი, დითირამბული ლექსიც. თითქმის ყველა ჯილდო ჰქონდა მთავრობისაგან ბოძებული.

გამოსცემდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს, აკაკის მიბაძვით, ის ხომ „აკაკის კრებულს“ უშვებდა. ძალიან ბაძავდა აკაკის. თავიდან ჰქონდა ილიას მიმართ ამრეზილი დამოკიდებულება, შემდეგ მოკრძალება და თავყვანება. გალაკტიონის თვითმკვლელობა იყო გაგრძელება წინამურისო — თქვა თემურაზ დოიაშვილმა და სწორია, მართალია. სამშობლოს სევდიანად მთლიანად ილიასთანაა გაიგივებული.

ცამფერყანწლებმა დაამკვიდრეს თვითმკვლელობის კულტი ჩვენში. გალაკტიონთან ეს ფიქრი სულ ტრიალებს — სურვილიც იყო და... თამაშიც იყო ერთგვარი. უნდოდა და ვერ ბედავდა. ბოლოს მაინც ასე დაამთავრა. მურმან ლებანიძის ლექსისა არ იყოს, დირიჟორი თვით იყო, რაც მოხდა და გათავდა და რაც ახლა ხდებოდა, მისი ჟინი მართავდაო. დადგა სპექტაკლი და ისე წავიდა. თავისი რეჟისორობა არსად გამოუყენებია, გარდა ამისა.

* * *

იმდღევანდელი სპექტაკლის დამთავრებასაც აღარაფერი უკლდა. მომხსენებლის ღრმა და საფუძვლიან ანალიზს უნივერსიტეტში სწორედ ღრმად და მომზადებული საზოგადოება შეხვდა. ასე რომ, იმ დღეს კარგ მთქმელს კარგი გამგონე ჰყავდა... გორის უნივერსიტეტის მასპინძლობით მოხიბლულმა სტუმრებმა თავიანთი შთაბეჭდილება გაუზიარეს შეკრებილთ.

წინა ვახანია:

— გალაკტიონ ტაბიძის სახელის გამოჩენა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა ციკლში მოულოდნელი სულაც არ გახლავთ. არც ეპოქისა თუ თვითონ პიროვნების სირთულე აშინებს მწერალს და დაწერილის მოცულობა და მასშტაბი ხომ არა და არა, და მაინც, ასეთი ნიგნების შექმნა ჩვეულებრივ ადამიანს ალბათ გაუჭირდება. ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი ადამიანებს მიგვაჩნია, რომ ავტორს ზებუნებრივი უნარი აქვს. ეს უფლისაგან მიანიჭებული მადლია.

გალაკტიონის ფიქრებთან ერთად ხეტიალი, მის სამყაროსთან თანაარსობა, მასავით თავისუფალი „სიზმრებით“ აზროვნება, მისეული ქარაგმების ამოხსნა და გაშინაგანება ხანგრძლივი და რთული კვლევის შედეგად მიიღწევა მხოლოდ. მაგრამ ამავე დროს მკვლევარს უნდა ჰქონდეს ის შინაგანი, უხილავი, ღვთიური მადლი, ინტუიცია, რომელსაც ზეზუნებრივი უნარი ვუწოდებ და ურომლისოდაც მხოლოდ მშრალი, უფული და უინტერესო დასკვნები მიიღება.

როგორც ავტორს სჩვევია, წიგნი ლაღად და სასიამოვნოდ იკითხება და ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა, ამბავი თვითონ უნახავს, თვითონ შესწრება, კარგად ახსოვს და ამიტომაც შეფასება, მიხვედრა, სწორი ინტერპრეტირება მისთვის ადვილია. ალექსანდრე ბატონიშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, შოი არაგვისპირელის, არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, რევაზ გაბაშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა თუ სხვათა თანამედროვე ავტორისაგან რა გასაკვირია, რომ გალაკტიონიც სცნობოდა, მაგრამ, ცხადია, საქმე ნაცნობობა-უცნობობა სულაც არ არის და როცა ერთი შეხედვით მარტივსა და ისედაც ცხად დასკვნას ვკითხულობთ, ვიცით, რომ ეს უამრავი ვარაუდის, განუწყვეტელი, მოუსვენარი, დღე და ღამე ფიქრისა და დაკვირვების ნაყოფია.

ცხოვრებისეულ ტრაგედიაში აღმოჩენილი, შემოქმედის მიერ თავის გადასარჩენად მორგებული როლი, ნილაბი კომიკოსისა იმდენად აშკარაა, რომ იმის დაჯერებაც ძნელია, თუ ეს მანამდე არ ვიცოდით, მანამდე არ დაგვინახავს, მანამდე არ შეგვიძინებია.

ბატონ როსტომს აქვს საოცარი თვისება გულთამხილაობისა. მისთვის ღიაა ადამიანთა გულები და ამის დასტურად იმ ეპიზოდთა გახსენებაც კმარა, რომლებშიც გალაკტიონისა და ოლია ოკუფავას ურთიერთობაა აწერილი. ამ ურთიერთობათა საყრდენად დოკუმენტებს გვანჯდის — ოლიას ბარათებს, გალაკტიონთან მიწერილს. ამ წერილებით თვითონ ოლია ოკუფავა გვიყვება საკუთარი თავის შესახებ, იმდენად ღიად, ამკარად, ისეა გადმოშლილი მისი შინაგანი სამყარო, პირდაპირ ხელისგულზე გვიდევს სულის მოძრაობის ყველა ნიუანსი.

როგორც ბატონი როსტომი ამბობს ხოლმე, თვითონ კი არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ ის წერილები გადმოუწერია და კომენტარები დაურთავს. აი, სწორედ ეს კომენტარებია მთავარი. ამ წერილების ასე დანახვა, ასე წაკითხვა, ასე გაანალიზება-წარმოჩენა სჭირდება, რომ დაგვენახა ის უზარმაზარი რომანტიკა, ვნება, ჟინი, ხილვათა უმანკოება, რაც ამ ბარათთა თითოეულ სტრიქონს ახლავს, თორემ სწორად აღქმისა და ინტერპრეტაციის გარეშე რახანია ოლია ოკუფავა გვიყვება, მაგრამ ვინ იყო გამგონი და გამგები, ვინ იყო მისი პოეტური ნიჭის დამნახავი?!

საოცრად ლამაზ და ზუსტ კომპოზიციურ ჩარჩოშია მოქცეული ეს ჩინებული ბიოგრაფიული რომანი. რომანტიკულ და პოეტურ დასაწყისს — საღამოები ხავერდის ყდამი — ამთავრებს და აგვირგვინებს დახურული ყდა, დახურული წიგნი, პოეტის აღსასრული, რომელიც თავისი ექსპრესიითა და გზებით, ვფიქრობ, აჭარბებს სხვა ეპიზოდებს და ამის საფუძველიც ავტორს, ცხადია, ყოფითმა რეალობამ მისცა.

ასე რომ, ხელთა გვაქვს გალაკტიონზე დაწერილი რომანი, რომელიც არც უკვე დაწერილი კარგი, შესანიშნავი ნიგნებისა და არც აწი, მომავალში დასაწერი ნიგნების ფონზე, დარწმუნებული ვარ, არ გახუნდება და შეინარჩუნებს თავის უდიდეს და განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ემოციური ზემოქმედების უნარს.

იოსებ ჭუმბურიძე:

— როსტომმა ახსენა სამი ბიოგრაფიული რომანი, გალაკტიონს რომ მიუძღვნეს რევაზ თვარაძემ, ვახტანგ ჯავახიძემ და ნოდარ ტაბიძემ. სამივე წიგნი განსხვავებულია, სამივე პირველხარისხოვანი.

მეოთხე კი თვითონ როსტომისაა.

ოთხი ბიოგრაფიული რომანი!

და ვერ იტყვი, რომელი რომელს სჯობს.

ეს არც უნდა ვარკვიოთ.

მთავარია, რომ ოთხივე ისეთია, გალაკტიონს რომ ეკადრება. როსტომის წიგნი მათ შორის ყველაზე დიდტანია.

მაგრამ ბევრი თავისთავად არ ნიშნავს კარგს. მთავარი ხარისხია.

საბედნიეროდ, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებშიც ძნელად გამოარჩევ უკეთესს.

ყველა... უკეთესია.

ამას ხშირად ვამბობ: უფრო მეტად ის კი არ მაკვირვებს, რომ ამდენს წერს, არამედ ის, სიუხვე ხარისხს ოდნავადაც რომ არ აზარალებს.

მოკლედ, საჯარო ლექცია ეძღვნება გალაკტიონს.

მომხსენებელია როსტომ ჩხეიძე.

მსმენელი — გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა.

ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს.

ასეთი საჯარო ლექციებით უნივერსიტეტს თავისი მისიის უკეთ შესრულებაში ეხმარება.

მისასალმებელია, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს კარგად ესმით...

* * *

სტუმარს მიესალმენ, მადლიერება და სიამოვნება გამოთქვს, თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს გორის უნივერსიტეტის პროფესორმა კლარა ელჩიბეგაშვილმა და ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგემ ნელი ბაბუციძემ.

ერთხმად აღინიშნა ასეთი შეხვედრების მნიშვნელობა და გამოითქვა სურვილი, რომ შეხვედრები კვლავაც გაგრძელდეს.

ლელა ჯიყაშვილი

ოვალურ ჰორიზონტიანი ჰორტრეტი

თითქოს ჩვეულებრივი რამ უნდა ეთქვა, ისეთი ტონით დაინყო: რაღაცები ხდებოდა, და მოაყოლა: ლევანი აღარ არის, ლოღობერიძეო. ოდნავ გაბზარულ ხმაზე მივხვდი, როგორ არ უნდოდა ამ სიტყვების თქმა, როგორ ამოაყოლა ბრაზისა და სიმწრის ნაფლეთები სიტყვებს მისმა მეგობარმა გია მირზაშვილმა...

სულ რამდენიმე წელი იყო, რაც ლევანი გავიცანი, მას მერე ვიცოდი, რომ ლევანი იყო!

როცა დათო მალრადის პოემა თარგმნა ინგლისურად და ამ პოემამ დიდი მონონება და პრემიაც კი დაიმსახურა, დათო მალრადემ ალაღად თქვა: მგონი ლევანმა კიდევ უფრო უკეთ თარგმნა, ვიდრე მე დავწერეო. თქვა და სითბო ჩაელვარა მომღიმარ თვალებში. მეც გადმომედო. ლევანი იყო და მისი ყოფნა რაღაცნაირ სიკეთედ მეგულებოდა.

ის იყო კაცი, ვისაც ინტელექტი და ცხოვრებისეული გამოცდილება საშუალებას აძლევდა, ისეთ სიღრმეებამდე მისულიყო, იშვიათად რომ შეხედავს ადამიანი. მერე ეს ფილოსოფიასთან წილნაყარი აღქმა რეალობისა თავისი ხალასი იუმორით გაეწონასწორებინა.

სულ რამდენჯერმე შევხვდი. ერთხელ თავის სიყრმის მეგობარზე, ირაკლი ჩარკვიანზე ვლაპარაკობდით. მაშინ აღმოვაჩინე, რომ სრულიად არ უნდოდა და არ შეეძლო რამე შეელამაზებინა, ისე არ ეთქვა, როგორც ნაღდად გაატარა გულში. თავის მოკრძალებულ ბინაში, ჟამისფერი შპალერის ფონზე (მგონი სულ არ იყო ჟამისფერი, მაგრამ ჟამთასვლა რომ ეტყობოდა, მახსოვს და ჩემმა მეხსიერებამაც გააჟამისფერა), თაროებზე ჩამონყობილი ინგლისური წიგნების სიახლოვეს რაღაცნაირად მოკრძალებით იჯდა. თითქოს უცხო იყო ასე მასმედისთვის, საჯაროდ ლაპარაკი, თითქოს არც დიპლომატიური კარიერა ჰქონია ოდესმე, არც ლიტერატურა ეთარგმნა... თითქოს არც არაფერი ყოფილიყო.

თითქოს უცხო იყო თავადაც... არაფერი ამბობდა, მაგრამ აუცილებლად ეუცხოვებოდა რუტინულ ქაოსში ჩაძირული თავისი ქვეყანა. ჭაპანყვეტა იმისთვის, რაც არ ღირს, და იმისი სრული დაუნახაობა, რაც მთავარია. ეუცხოვებოდა მონადირის ინსტინქტით ქალაქს შესეული „ნარმატებულები“ და ნარუმატებლობის ფარდის უკან შერჩენილი ნამდვილი ნარმატება.

დედამინა არც ისე დიდია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოს. მოსწონდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ნებისმიერ პეიზაჟს ჰორიზონტი ოვალურად უმრუდდებოდა და „დედამინისად ქმნიდა“. მოსწონდა, როცა საზღვრები იშლებოდა და ფიქრით შეეძლო ეს ოვალური მრავალფეროვნება ჟანგბადად ექცია, რომელსაც შეისუნთქავდა, დააგემოვნებდა...

გაქცევაც უცდია და დაბრუნების ტკივილიანი გზაც გაუვლია...

რომელიმე ოვალურჰორიზონტიანი პეიზაჟი ყოველთვის ეზიდებოდა უკან — დედამინისკენ.



ლევან ლოღობერიძე, ირაკლი ჩარკვიანი და გია მირზაშვილი

მოსწონდა, როცა ქალაქში მეგობრები ეგულებოდა: ირაკლი ჩარკვიანი, გია მირზაშვილი, გიო გაბუნია, გოგლიკო გოგასძე, ვახო სამხარაძე, პაპუნა სვანიძე, ვანიკო დიდია, მამუკა და ბიჭი ტყავაძეები... კიდევ არ ვიცი, ვინ...

და უცხოდ იჯდა თავის პატარა ბინაში იმიტომ, რომ წელ-წელა იძარცვებოდა მისი ქალაქი მეგობრებისგან, ნამდვილებისგან, გულწრფელებისგან.

თუმცა ზემოდან თუ დახედავ, კიდევ უფრო მოირკალება ჰორიზონტი, კიდევ უფრო დამრგვალდება მინა, რომელზეც ამდენი ხანი გიცხოვრია და რომელიც შენდა წილად გიტყვეპნია კიდევ. ალბათ, ლევანს ეადვილებოდა ასე ერთად შეკრული დედამინის სიყვარული... ეადვილებოდა მშვენიერების აღქმა იქიდან, სადაც ადამიანს არ მიუწვდებოდა ხელი ხელყოფისათვის... ამის შინაგანი პოტენცია ჰქონდა, ამიტომაც ერთ დღესაც, მაისის დასაწყისში, ძალა მოიკრიბა და შორიდან დაგვხედა...

ლევან ლოღობერიძის ხსოვნას

ძველებური ძმაკაცო და უღალატო მეგობარო, გვედგა ბოთლი მაგიდაზე, სალაყობდ და საზიაროდ. გულში გვედო სევდა რუხი და ფიქრები აზრიანი, საუბარი შესაქცევი და სიბერე ადრიანი.

გაჭვარტლული კედლები და აცვენილი ოცნებები, ყავისფერი კონიაკი და წარმტაცი გოგოები... ვკამათობდით, ვლადობდით, ხან კარვად და ხანაც ცუდად, მივიჩნევდით ცას ქალამნად, ცისარტყელას შვიდფერს — ქუდად.

გავკაჟდით და მოვიქანცეთ, ყავლი გაუვიდა ხალისს, ვეღარ ნახავ დაღამებას, ვეღარ შევსწრები აისს. ძველებური ძმაკაცო და უღალატო მეგობარო, მაინც სავსე გვიდგას ბოთლი, სალაყობდ და საზიაროდ.

გია მირზაშვილი

ერიკ ემანუელ შმიტი

სასტუმრო ორი სამყაროს ბასაყარზე

ლორა (ასკენის): ო, რა სასაცილოდ განასახიერებთ.

მაგი (გაკვირვებული): რას?

ლორა: უხერხულობას.

მაგი გამარჯვებული იერით გადახედავს პრეზიდენტსა და შულიენს. გამხსნეველები მაგი კიდევ ერთხელ შეეცდება, როგორმე ერთი ქათინაური მანც ამოღებოდა. დააღებს პირს, მაგრამ ვეღარ დახურავს, ზის ასე მუხჯივით პირდაფრენილი. ლორა თბილად უხდის მადლობას.

ლორა: გადასარევი, გავგიჟდი!

მაგი: ოღონდ მე თავს სულაც არ ვიკატუნებ.

ლორა (მადლიერ): ეს ხომ მთლად გასაგიჟებელია.

მაგი (ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით): მე თავს არ ვიკატუნებ.

ლორა: ეს მათრობელაა პირდაპირ. იცით, მსგავსი რამ პირველად ხდება ჩემს თავს.

მაგი ტრიუმფალური მზერით შესცქერის პრეზიდენტსა და შულიენს, რომლებიც მხრებს იჩეჩავენ.

ლორა: კიდევ რა!

მაგი გასაჭირშია და წარმოთქვამს უზადრუკ ბანალობას.

მაგი: თქვენ ლამაზი ხართ, მადმუაზელ!

ლორა: ო, არც თქვენ ხართ ურიგო. მე ვიტყვოდი, რომ ძალიან სიმპათიური ბრძანდებით.

პრეზიდენტი და შულიენი სიცილით იფხრინებიან. აშკარაა, რომ ბოროტულად ხალისობენ.

მაგი: თქვენ რა, საქმე არაფერი გაქვთ? გაიარეთ რა, სადმე გაერთეთ!

ლორა აწყნარებს მაგის და ხელს წაავლებს.

ლორა: თქვენ ამას შესანიშნავად განასახიერებთ.

მაგი: რას განვასახიერებ?

ლორა: სისულელეს. შეყვარებული ადამიანი სულელდება.

მაგი ისევ გამარჯვებულის იერს მოიხრებს და შულიენსა და პრეზიდენტს ნიშნის მოგებით გადახედავს.

შემოდის დოქტორი S...

დოქტორი S...: ლორა, ბატონებო, ახლა კი გთხოვთ, მართო დამტოვოთ...

ლორა: გამორიცხულია! მაგიმ ეს-ესაა ხელი მთხოვა. ხომ მართალია?

დოქტორი S...: ლორა, მე სრულიად სერიოზულად გელაპარაკებით.

ლორა: არც მე ვარ ხუმრობის გუნებაზე. (მოულოდნელად სევდა იპყრობს) ყოველ შემთხვევაში, მე ვისურვებდი.

დოქტორი S...: შულიენს უნდა დაველაპარაკო.

შულიენს შიშისგან გააყრყოლებს. დანარჩენები პატივისცემით ტოვებენ ოთახს. ლორა მორჩილად დერეფანს „-კენ მიემართება. შულიენის წინ ჩავლისას თავს ვერ შეიკავებს და იტყვის:

ლორა: სწორად მოიქეცი, რომ თამაშში მონაწილეობაზე უარი განაცხადებ. დედამინაზე უეჭველად გონების გადაკეტვამდე შემეყვარდებოდი.

ლორა შულიენს საპასუხოდ დროსაც არ უტოვებს და სასწრაფოდ გაცვლება იქაურობას, რათა მაგს დაენიოს.

დოქტორი S...: შულიენ, თქვენ ეს-ესაა საოპერაციო ბლოკში შეგიყვანეს. ექიმთა გუნდმა რამდენიმე შიდა ჩაქცევა დაადასტურა.

შულიენი: გამოვძვრები?

დოქტორი S...: ექიმები ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. (პაუზა) ამჟამად თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

შულიენი: რატომ მეუბნებით ამას?

დოქტორი S...: მინდა, არაფერი დაგიმალოთ.

დოქტორი S...: გასვლას აპირებს.

შულიენი: როგორ? სულ ეს არის?

დოქტორი S...: განა ეს თქვენთვის საკმარისი არ არის?!

დოქტორი S...: გადის. *შულიენი მარტო რჩება, დათრგუნული და მტკივნეული შიშით შეპყრობილი.*

ლორა დერეფნის კართან გამოჩნდება და შულიენის შეთვლიერებას იწყებს, თითქოსდა მის შავბნელ ფიქრებს ხვდება. ლორა შულიენთან გააბაზმს საუბარს. ამ დროს ის სრულიად უბრალოა, არ ცდილობს გაეპრანჭოს მამაკაცს.

ლორა: ნუ გეშინიათ.

შულიენი (აგრესიულად): ერთი ჩემს დღეში დამანახა თქვენი თავი. მაინტერესებს, რა გუნებაზე იქნებოდით.

ლორა: მეც განა თქვენს დღეში არა ვარ?

შულიენი (გაგებით): მაპატიეთ. (ნაძალადევი ღიმილით) ყველაზე დიდი ბანალურობაა, როცა ფიქრობ, რომ უნიკალური ხარ.

ლორა: იძულებული რომ ყოფილიყავით ჩემოდანში გემოგზაურათ, მაინტერესებს, რომელს აირჩევდით, ჩემოდანს საცხეს ლურსმნებით, თუ ატლასით გაქეძგილს?

შულიენი: ატლასით გაქეძგილს.

ლორა: მაშინ ნუ გეშინიათ. თქვენ ხომ ისედაც არ იცით, რა მოგივათ, ამიტომ ამჯობინეთ ლურსმნებით გატენილ ჩემოდანს ატლასით გაქეძგილი. იყავით მიმნდობი.

შულიენი: თუ გაქვთ მცირედი წარმოდგენა მანც, რაც ზემოთ ხდება?

ლორა: მე მაქვს იმედი.

შულიენი (უიმედოდ): როგორ შეიძლება, ადამიანი ასეთი ოპტიმისტი ოყოს?

ლორა: როცა სხვა გამოსავალი არ გაქვს, აბა რა უნდა ქნა? მე მივეჩვიე ყველგან ენერჯის დაბანდებას, მის ბოლომდე ხარჯვას. შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი კუნთები გამოწურულია ყოველგვარი ჯანისგან, მე არ ვარ ორმხრივი სიყვარულის მოტრფილე. მე უფრო გიჟური სიყვარულის ქომავი ვარ. მე სიკვდილიც მიყვარს.

შულიენი ვერ ბედავს აღიაროს, რომ ლორას გამოსვლამ, რბილად რომ ვთქვათ, დააბნია.

შულიენი: თქვენ უეჭველად მოსწონხართ მამაკაცებს.

ლორა: ცდებით. მე მამაკაცებს მხოლოდ ვაფრთხობ. ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება სერიოზულმა ყმანვილკაცმა შემეყვაროს. ყველამ იცის, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მინერია. ასევე ყველამ იცის, რომ ბავშვის მუცლით ტარებასა და მშობიარობას ვერ შევძლებ. დედამინაზე მე მხოლოდ ქალს მიმსგავსებელი არსება ვარ. მოჩვენება ვარ! მე ვერავის ვაჩუქებ მომავალს. იქ ისინი ცხოვრობენ როგორც უკვდავნი. მათ არ უყვართ, ისინი მხოლოდ აბანდებენ.

შულიენი: თქვენი არ მჯერა.

ლორა: ერთხელ ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა დამადგა თვალი. მირეკავდა, მსტუმრობდა, მიგზავნიდა ყვავილებს. მეუბნებოდა, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ქალი ხარო. თითქმის მჯეროდა მისი. მოგვიანებით მეგობარმა გოგონამ წვრილწვრილად მომიყვა მთელი მისი ისტორია. თურმე ტყუპისცალი და ავადმყოფობის გამო რამდენიმე წლის წინათ მოკვდომია. თურმე ვერაფრით ვერ გლოვობდა მას, დის სიკვდილში იდანაშაულებდა თავს, ცდილობდა, როგორმე ცოდვა გამოსეყიდა. გესმით? ჩემი დახმარებით ის სხვას მიმართავდა. მე მისთვის გამჭვირვალე ვიყავი. (პაუზა) უარი ვთქვი მის ვიზიტზე. (პაუზა) მთელი უბედურება ის იყო, რომ ჩემი უარი მას კიდევ უფრო უბედურს ხდიდა.

შულიენი: ახლა?

ლორა: ცოლად ნორმალური გოგონა შეირთო, ელოდება ბავშვს და ბედნიერების ზღვაში ცურავს. ჩემდამი სიყვარული

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №16

სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი გლოვის ნაწილი. **(პაუზა)** მძულს სიცოცხლე! შეცოდება შეურაცხყოფს. **(პაუზა)** თქვენ მიიჩნევთ, რომ ძალიან ამაყი და ქედმაღალი ვარ?

ისმის ზარი. ციმციმებს ტაბლო. ყულიენი და ლორა გაკვირვებისგან შეკრებიან. შემობრბან დოქტორი შ... და მისი ორი ასისტენტი.

დოქტორი S...: სიტუაციას შეაფასებს და ყულიენს მიუბრუნდება.

დოქტორი S...: ყულიენ, თქვენი რიგია.

ყულიენი პანიკაშია. სახეზე მკვდრის ფერი გადაეფინება. საზარელი შიშისაგან შეშდება.

ყულიენი: ჩემი?

დოქტორი S...: დიახ, წამობრბანდით ლიფტისკენ.

ყულიენი არ ინძრევა. ასისტენტები მას ორივე მხრიდან ხელს გაუყრიან და ლიფტისკენ წაიყვანენ. დოქტორი შ დასამშვიდებლად მხარზე ხელს დაადებს. ყულიენი ველარ იტანს ამ გულის გამანვრილებლად მჭახე ზარს და უაზრო ლოდინს. კანკალეებს.

ყულიენი (თავისთვის): მე მოვკვდები, დარწმუნებული ვარ, რომ მოვკვდები.

მოულოდნელად დაუსხლტება დოქტორ S...-ს და ლორას მიუბრუნდება, თითქოსდა გასასვლელს ეძებსო.

ყულიენი: მეშინია.

ლორა: არ უნდა გეშინოდეს. მე, მაგალითად, არასდროს მიპყრობს შიში.

ყულიენი: მეშინია, ლორა! მელაპარაკეთ!

ლორა: რა გინდათ, რომ გითხრათ?

ყულიენი: სასწრაფოდ ილაპარაკეთ თქვენზე, მოყვებით! იჩქარეთ! ერთი წუთილა დამჩნა. სად ცხოვრობთ?

ლორა (იმავე ტემპში): ზღვის სანაპიროზე მდებარე ჰორიზონტივით განიერფანჯრებიან სახლში.

ყულიენი: იქ არის პლიაჟი?

ლორა: დიახ, არის. გრძელი თეთრი და ლურჯი პლიაჟი. ვგიჟდები, როცა ზღვის გაყოლებაზე ხეივანში მასეირნებენ.

ყულიენი: მერე? რისი გაკეთება გიყვართ?

ლორა: მიყვარს ოცნება. მუსიკის მოსმენა. მიყვარს მუსიკასთან ერთად ირგვლივ ჩამონოლილი სიჩუმის მოსმენაც.

ყულიენი: კიდევ რა გიყვარს?

ლორა: ხარბად კითხვა, რათა ვიცხოვრო ყველა იმ ცხოვრებით, რომლებიც სინამდვილეში არ მექნება.

ყულიენი: მერე, მერე?

ლორა: მერე... ვისურვებდი, შეყვარებული ვიყო.

ყულიენი (მის ხმაში განგაში იგრძნობა): ოოო, მეც. **(ყულიენი ლორას მწველ მზერას მიაპყრობს, მგზნებარედ და გულწრფელად, ხმამაღლა წარმოთქვამს):** თქვენ ლამაზი ხართ.

ლორა (აღელვებული ხმით): რატომ მეუბნებით ამას?

ზარი რეკავს, მაგრამ ლიფტი, ჯერჯერობით, არ ჩამოსულა. ყულიენი ბოლო წამებით საჩვენებლობს.

ყულიენი: იმიტომ, რომ ასე გავიფიქრე თავიდანვე, როგორც კი თვალი შეგაეღეთ, მაგრამ თავი არ შემინუხებია, ჩემი აზრი თქვენთვის გამეზიარებინა. **(ციებ-ცხელებით შეპყრობილი)** როგორც კი ლიფტი გაჩერდა და კარი გაიღო, უმალ საოცარი, უცნაური და არაჩვეულებრივი მომეჩვენეთ, ვითარცა ველური ზურმუხტი. მაშინ ჩემთვის გავიფიქრე: მე არა ვარ ლამაზი **(მაგრამ ამ გოგონას მშვენიერება ორივეს გვეყოფა).**

ლორა: გაჩუმდით.

ყულიენი: შემდეგ დოქტორმა S...-მა მოგმართათ. „გამარჯობა ლორა“. მან მხოლოდ და მხოლოდ ორი მარცვალი წარმოთქვა, ორი მჟღერი ნოტი, რომლებმაც თქვენს ტუჩებს კოცინის ფორმა შესძინა. ვიფიქრე: „მე ყულიენი მქვია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მისი სახელი ორი ადამიანისთვის იწოდებოდა. ეს იქნება ორივესთვის შეთხზული მუსიკა“.

ლორა: გაჩუმდით.

ყულიენი (ბუნებრივად ემატება თვითდაჯერებულობა): შემდეგ მესმოდა, როგორ მედგრა დაუდექით დოქტორ S...-ს, თქვენ ნაგავდით ხომალდის ცხვირზე აღმართულ ღვთაებას,

რომელსაც არაფერი აშინებს და ძალუძს ღიმილიანმა გაუსწოროს თვალი ავისმომასწავებელ დინებებს, აგორებულ ტალღებს და დამანგრეველ მძვინვარე ქარბუქს. მაშინ ჩემთვის გავიფიქრე: მე ვერ გავბედე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, ამ ყმანვილქალის გამბედაობა ბარემ ორ ადამიანს ეყოფა.

ლორა: გაჩუმდით.

ყულიენი: როგორც კი ეს ძლიერება შევამჩნიე, უმალ ვიგრძენი მისი სისუსტეც, სისუსტე, რომელსაც ყველა შინაგანი ძალის მობოლიზება შობს. იმ ძალების, რომლებიც შეიძლება მოულოდნელად დაიმსხვრეს. მაშინ ჩემთვის გავიფიქრე, რომ შესაძლოა თქვენ დახმარების ხელს საჭიროებდით **(ლიმლით)**. სხვა ცხოვრებაში, რომელიც ახლა უკვე ნამდვილად ვერსად გამექცევა, ჩემი ორივე ხელი თქვენს სამსახურში იქნება. აი, რა მსურდა მაშინ მეთქვა, ვერ გითხარით, ვერ გავიგმნილეთ, რომ ზღვის სანაპიროზე იმ დიდ სახლში თქვენთან ერთად ცხოვრება მსურდა. ვერ გითხარით, რომ ასევე მინდოდა, თქვენს გვერდით მუსიკისა და სიჩუმისათვის დამეგლო ყური. ერთი სურვილი მქონდა — მეთქვა თქვენთვის, რომ ნაკლები გეკითხათ და მეტი დრო ცხოვრებისთვის მიგექძვანათ.

ლორა: გაჩუმდით.

ყულიენი: აი, ახლა, როცა თქვენს წინ აღმოვჩნდი, ვიგრძენი, რომ რალაცნაირმა ციებ-ცხელებამ შემიპყრო. ჰო, მოულოდნელად დამატყდა ეს ციებ-ცხელება თავს. მე ახლა ამ ციებ-ცხელებით ვსუნთქავ; ის მიღვიძებს მადასა და ენთუზიზმს, მავსებს იმ ძალით, რომელიც დედამიწის აწევას შემადლებინებს. ეს ძალა თქვენც ავადგმევინებთ ფეხს, ჩემს მკლავებში მოგაქცევთ, დაგახრჩობთ ამბორით, შეავსებს თქვენი ცხოვრების ყოველ წუთს, ყოველ წამს. ეს ძალა მე ვარ. მე გადავწვე სიკვდილს... **(პაუზა)** რა უცნაურია... უკვე თითქმის აღარ მეშინია.

ზარი წყდება. სიჩუმე უხეში, გაუსაძლისი. ყულიენი და ლორა თავზარდაცემულნი და დაბნეულნი დგანან. დოქტორი შ... მშვიდი ნაბიჯებით უახლოვდება ყულიენს.

დოქტორი S...: ეს ცრუ განგაში იყო. თქვენი ჟამი ჯერ არ დამდგარა. ასეთი რამ არც ხდება ხოლმე. თუ ხდება — იშვიათად, მხოლოდ ოპერაციის დროს. როგორც ჩანს, რალაც გაუთვალისწინებელი მოხდა.

ყულიენი და ლორა თავს სულ უფრო და უფრო დათრგუნულად გრძნობენ.

დოქტორი S...: დაგტოვებთ.

ყულიენი და ლორა ველარ ინძრევიან, გეგონება, ბედ-ილბალმა ორივე ადგილზე გააქვავაო.

გასვლის წინ დოქტორი შ... შემოტრიალდება, დაფიქრდება და ბოლოს იტყვის.

დოქტორი S...: ძალიან ვწუხვარ ამ გაუგებრობის გამო.

დოქტორი ფიქრობს, რომ თქვა, რისი თქმაც მართებდა. ის გადის. ლორა და ყულიენი გაშეშებული შესცქერიან ერთმანეთს.

ყულიენი (როგორც ექო იმეორებს): ძალიან ვწუხვარ.

იცინის ნერვიული სიცილით.

შეძრულია.

ლორას მღელვარება იპყრობს.

ყულიენი ნამდვილ შლევს ემსგავსება.

ლორა: ყულიენ!

ყულიენი (ისტერიკულად): ძალიან ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ... ძალიან ვწუხვარ... გაუგებრობა... ვწუხვარ...

გაცოფებული ყულიენი ეცემა სკამებს და ერთიმეორის მიყოლებით წააქცევს. ის დაგროვილი აგრესიისგან და ცოფისგან უნდა გათავისუფლდეს. ის ოთახს მუსსრს გაავლევს. მის მძვინვარებას მთელი არაფერი გადაურჩება.

მოგვიანებით ყულიენი იატაკზე გაიშხლართება. მხრები ნერვიული ქვითინისგან უთრთის.

ყულიენი: ძალიან დაგვიანდა. ხომ ვამბობდი, მეტისმეტად დაგვიანდა.

ლორა (თბილი ხმით): და რა დაგვიანდა?

ყულიენი: ჩემი სიყვარული. დავავიანე მეთქვა შენთვის: „მიყვარხარ“.

ლორა: შენ ეს არ გითქვამს.
ჟულიენი: კი, როგორ არა, ვთქვი!
ლორა: არა, არ გითქვამს. შენ მხოლოდ კონკრეტულ რა-
 ცებზე ისაუბრე, უფრო — დეტალებზე. თქვი, რომ ზღვის
 სანაპიროზე გასურს ცხოვრება ასევე, უსმინო მუსიკას და...
 არა, არა, არ გითქვამს.
ჟულიენი: ვთქვი, ეს სიტყვები ჩემს ბაგეთ ასჯერ მაინც
 მოწყდომია, გეგონება, გაზუთხული ვარჯიშებიანო სექსის
 გიმნასტიკიდან. მაგრამ ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი,
 რომ ისინი ნამდვილად წარმოვთქვი. ახლაც კი მენვის ტუჩები.
ლორა (თრთის, ემოციების მოთოკვას ცდილობს): შენ არა-
 ფერი გითქვამს.
ჟულიენი: გიმეორებ, რომ გითხარი.
ჟულიენი მზერას არ აშორებს ლორას. დგება, მიუახლოვდება
მას და ნაზად აკოცებს. ლორა თრთის კოცნისგან, შემდეგ შეაჩე-
რებს ჟულიენს, რათა ჰკითხოს:
ლორა: ხომ არ მიცოდებ?
ჟულიენი: წამითაც კი.
განაგრძობენ კოცნას. ლორა ჟულიენს მიეტმასნება.
ლორა (თვალცრემლიანი): ეს უსამართლობაა. მე ცხოვრე-
 ბაში არაფრის მეშინოდა, ახლა კი შიშმა შემიპყრო.
ჟულიენი: რისი გეშინია?
ლორა: შენი დაკარგვის.
მაგი შემოდის და ერთმანეთს ჩახუტებულ ჟულიენსა და ლო-
რას წაასრებს.
მაგი: ბოდიშს ვიხდი...
ჟულიენი (მხიარულად): რა უცნაურია, მას შემდეგ, რაც
 ყველაფერი ასე შესანიშნავად აეწყო, ადამიანებს პირზე მხო-
 ლოდ ბოდიში აკერიათ.
მაგი: სრული იმედგაცრუების განცდა დამეუფლა. მე კი-
 დევ დარწმუნებული ვიყავი, რომ არსიყის ბრწყინვალე მას-
 ტერკლასი ჩავატარე.
სამივე იცინის.
შემოდის დოქტორი S...
დოქტორი S...: ჟულიენთან მიინდა დალაპარაკება.
ლორა (აღელვებული): ნუ წამართმევთ მას.
დოქტორი S... ლორას თავაზიანად გაუღიამებს.
ლორა (იმპერატიულად): ის აქ დარჩება. მეც არსად ვარ
 წამსვლელი. გამოჯანმრთელების სურვილი ამიერიდან არა-
 ვის აქვს.
მაგი ლორას თბილად გამოსდებს ხელკავს.
მაგი: კეთილი, მე ისევე დაუზღუნდები ჩემს ხელობას, გაე-
 ხდები ნდობით აღჭურვილი პირი. სასიყვარულო ამბებში ამ
 როლს მე ვასრულებ ხოლმე. (ირონიულად) ეს უცილოდ ჩემი
 შეუდარებელი იერსახის პირდაპირი შედეგია.
ისინი გადაიან. დოქტორი S... ჟულიენს უახლოვდება.
დოქტორი S...: არ ვიცი, რა მოხდა, რაღაც მომენტში
 თქვენ კინალამ გამოძვევით კომიდან.
ჟულიენი (ილიბება): დიახ, კარგია, რომ ასე მოხდა. ნისლი
 გაიფანტა. (მოულოდნელად) და ლორა?
დოქტორი S...: ვერაფერს გეტყვით.
ჟულიენი: რას ფიქრობენ იქ, ქვემოთ?
დოქტორი S...: გული უნდა იპოვონ გადასანერგად. ეს ერ-
 თადერთი გამოსავალია.
ჟულიენი: რაიმე შანსი არსებობს?
დოქტორი S...: „შანსი“ სწორედ რომ ის სიტყვაა. ვილაცა
 უნდა მოკვდეს, ლორამ რომ იცოცხლოს. ადამიანი რომელიც
 სენ-ლუის საავადმყოფოში მოხვდება; მაგალითად, თქვენს
 ზნე-ბუნებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თქვენს ის-
 ტორიაზე, ასევე არაფერია ნათქვამი თქვენს არჩევანზე. (მოუ-
 ლოდნელად ცდილობს, ნათქვამში მეტი სიზუსტე შეიტანოს) ადა-
 მინი დედამიწას უკვე გარკვეული მონაცემებით მოველინება.
 ეს მონაცემები უწინარეს ყოვლისა მის მემკვიდრეობას, ოჯახ-
 სა და ნაცნობთა წრეს ეხება, ასევე მისი მოვლინების ადგილს,
 ქვეყანასა და დროს. ადამიანები იდენტურნი როდი იბადებიან,

ბევრი რამ აახლოებს და აშორებს მათ. ერთ რამეში გვაგვართ
 ყველანი გაჭირვით ვაშლივით თავისუფლები ვართ. გესმით,
 რას ნიშნავს იყო თავისუფალი? ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნ-
 ნის! ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, არ დავინდოთ საკუთარი
 სხეული და გავინადგუროთ ის, თან უახლოეს საათებში.
ჟულიენი: და თქვენ არ იცით?
დოქტორი S...: მე არასდროს ვიცი, ვინ მოკვდება დღეს ან
 ხვალ.
ჟულიენი: თქვენ ხომ განვდით ვილაც ინფორმაციას?
დოქტორი S... (ეშმაკურად): ვილაც?
ჟულიენი: დიახ, ღმერთი, ეშმაკი, ბედისწერა, აბა რა ვიცი!
 ხომ არსებობს დიადი წიგნი, სადაც ყველაფერია ჩანსიკნიკე-
 ბული. (თითქმის უხეშად) და რა წერია იმ შეს დოსიემი?
დოქტორი S... (დავთარს გულში იხუტებს): მხოლოდ დეტა-
 ლები.
ჟულიენი: მერე?
დოქტორი S...: მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი
 მაქვს ჩანიშნული. გადავიხსნათ ვენები, არ ვისურვოთ სიყვარ-
 ულის სენისგან განკურნება, ჩავებლაუჭოთ წარსულს და წინ
 არ გავიხედოთ. გავხედოთ გმირი, მივილოთ უგუნური გადაწყ-
 ვეტილებები, დავინგროთ ცხოვრება და დავაჩქაროთ სიკვ-
 დილი. ბედ-ილბლის დიადი წიგნი არ არსებობს, მერწმუნეთ.
 მხოლოდ ბარათში აღნიშნულ რამდენიმე დეტალზე თუ შეიძ-
 ლება ლაპარაკი. ერთი რამის გამოთვლა და დაანგარიშებაა
 მხოლოდ შეუძლებელი — ჩვენი თავისუფლების.
ჟულიენი: რაებს ჭიკჭიკებთ აქ. ვერ წარმომიდგენია, რო-
 გორ უნდა შეერჩია ლორას. ის უკვე დაიბადა არასრულყოფი-
 ლი სხეულით.
დოქტორი S...: ლორას თავისუფლად შეეძლო არჩევანის
 გაკეთება. შეეძლო, არ დათანხმებოდა მოცემულობას, ყოფი-
 ლიყო ჭირვეული, ჩავარდნილიყო დეპრესიაში და მალე წასუ-
 ლიყო ამქვეყნიდან. მან კიდევ ამჯობინა, ჰყვარებოდა ცხოვ-
 რება; მიუხედავად ყველაფრისა, ყოფილიყო მსუბუქი და ხა-
 ლისიანი, ყვარებოდა ყველაფერი. დაბადებით ის ბნელეთში
 გამწვანდა, მან კიდევ სინათლე არჩია. ყველა, ვინც ლორას გა-
 დაჰყრის, მას გაიხსენებს როგორც კამკამა, თვალისმომჭრელ
 ნათებას.
ჟულიენი: მე მიყვარს ლორა.
**დოქტორი S... „V“ დერეფანისკენ მიემართება. შემდეგ თავა-
 ზიანად შემოტრიალდება ჟულიენისკენ.**
დოქტორი S...: მე მივხვდი.
ჟულიენი: იდიოტობაა არა?
დოქტორი S...: რომ გიყვარდეს? არასდროს! (პაუზა) ისე
 თქვენ სინდისნამუსიანობის სახელით დაეკითხეთ მაინც სა-
 კუთარ თავს, ნამდვილად გიყვართ თუ არა ლორა... თუ ამას
 იმიტომ ამბობთ, რომ ამ სიყვარულს მომავალი არ უნერია.
ეს რეპლიკა, როგორც ჩანს, ჟულიენისთვის მენის დაცემის
ტოლფასია.
დოქტორი S...: მე მოველაპარაკები ლორას. დამიტოვეთ
 ცოტა ხნით.
**დოქტორ S... „A“ დერეფნით გადის. გზად პრეზიდენტი შე-
 მოხვდება, რომელიც მის გაუჩინარებას თვალს გააყოლებს.**
პრეზიდენტი: რა თქმა უნდა, საკმარისია გამოვჩნდე, რომ
 დოქტორ S... თვალის დახამხამებაში გაქრეს.
**პრეზიდენტი ჟულიენის წინ მონყევით ჩაეშვება სავარძელ-
 ში. რაღაც წუთს შენუხებული და დარდიანი ჩანს.**
პრეზიდენტი: რაღაცა ვერ გამიგია, მომეჩვენა თუ...
ჟულიენი (ფიქრებში): მეც.
პრეზიდენტი: ზოგჯერ გეფიქრება, რომ კარტები ჩამოა-
 რიგე როგორც წესი და რიგია, თურმე სად ხარ! სრულ ფიას-
 კოს განიცდი.
ჟულიენი: ასეა.
პრეზიდენტი: მგონი სწორ გზას ავცდი.
ჟულიენი (მოულოდნელად რეაგირებს): რას ამბობთ?
 თქვენც? (თითქმის მხიარულად) ამ სასტუმროში დღეს ყველა

საკუთარ ქმედებათა გადახედვითა დაკავებული. თითოეული საკუთარ თავს ეჭვქვეშ აყენებს. ეს უკვე ეპიდემიას ემსგავსება.

პრეზიდენტი: ჩემო ყრმა მეგობარო, მხოლოდ კრეტინები არ იცვლიან აზრს. დამიჯერეთ, ბევრი შემხვედრია ასეთი ცხოვრების გზაზე.

ჟულიენი: ეჭვიც არ მეპარება.

პრეზიდენტი (განაგრძობს აზრს): არ უნდა ნამომცდენოდა, რომ „ანტიჰერ'ს ჩლუბ“-ში ვიყავი განვერიანებული. როგორც ჩანს, დოქტორმა S...-მაც ისურვა ხალხში გარევა, მაგრამ ჩემმა კოლეგებმა ამ პროვინციული კლინიკის ექიმს თავი არ გაუყადრეს. მას შემდეგ, რაც „ანტიჰერ'ს ჩლუბ“ ვახსენე, აღმაცერად მიყურებს. უნდა, რომ განცდილი მარცხი მაზღვევინოს.

ჟულიენი: ბატონო პრეზიდენტო, იყავით სერიოზული. ნუთუ გგონიათ, რომ „Panther's Club“-ზე მეტი სადარდებელი აქ ადამიანებს არაფერი აქვთ?

პრეზიდენტი (წამითაც კი არ ეპარება ამაში ეჭვი): მერწმუნეთ, ნებისმიერი ისურვებდა „ანტიჰერ'ს ჩლუბ“-ის წევრობას. არ მეგულება თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც ეს არ უცდია.

ჟულიენი (დგება): „ანტიჰერ'ს ჩლუბ“-ის რიგებში გამწესება ჩემი ოცნება არასდროს ყოფილა.

პრეზიდენტი (შოკშია): რა?

ჟულიენი: არასდროს და არც გახდება ჩემი ოცნების საგანი.

პრეზიდენტი (უცბად ხვდება): მივხვდი! თქვენ „Otry's Club“-ს ამჯობინებთ.

ჟულიენი: არა.

პრეზიდენტი: გეუბნებით, დოქტორი S... მას შემდეგ ჩაიკეტა საკუთარ თავში და აულეებელ ციხესიმაგრედ გარდაიქმნა, რაც შეიტყო, რომ თქვენი მონა მორჩილი „Panther's Club“-ის წევრია.

ჟულიენი: ბატონო პრეზიდენტო, მიხვდით თუ არა რითიცაა დაკავებული დოქტორი S... დილიდან სალამომდე? ის ადამიანებს ან სიცოცხლისკენ აგზავნის, ან სიკვდილისკენ. მის ხელში ჩვენი ბედობლია.

პრეზიდენტი (ხარხარებს): არა, დაუჯერებელია. როგორც ჩანს, თქვენ მართლა ირწმუნეთ (მაგი რაჯაპურის უბადრუკი თეორია ჩვენი დღევანდელი ადგილსამყოფელის შესახებ).

ჟულიენი: უფუ, კი.

პრეზიდენტი (სიცილით): ადგილი დედამიწასა და ზეცას შორის, სადაც ვითომდა ვიცდით, ვიდრე ჩვენი ბედი გადაწყდება, ვიცოცხლოთ თუ მოგკვდით? ლიფტზე? სასტუმროს ორი სამყაროს გასაყარზე?

ჟულიენი: დიას.

პრეზიდენტი: აი, მიამიტობაც ამას ჰქვია.

ჟულიენი: რაც აქ ჩამოვედი, რატომღაც დამეუფლა განცდა, რომ თქვენც იზიარებდით ამ...

პრეზიდენტი: მე უბრალოდ თავი მოვიკატუნე. იმ ჩაღმინანს კი მართლა სწამს ამის. დოქტორი S...-იც ამას უნერგავს ყველას, რათა მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცეს. მე ბოლომდე მოვიკატუნებ თავს. წარმოუდგენელია, დოქტორ S...-ს შეენინა აღმდეგოთ.

ჟულიენი: მაშინ ბრძანეთ, სად ვიმყოფებით?

პრეზიდენტი: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ჟულიენი: რა?

პრეზიდენტი: რა მიხვედრა ამას უნდა. ეს აშკარაა. აქ მხოლოდ გიჟები არიან თავმოყრილი.

ჟულიენი ერთობა, შლის ხელებს.

ჟულიენი: მაშინ თქვენ რაღას აკეთებთ აქ?

პრეზიდენტი: ჩემი აქ ყოფნა დისპეტჩერის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგია. ვარდნის შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანამ შეცდომით ფსიქიატრიულის კარს მიმაცენა. ორი დღეა ვცდილობ, ეს დოქტორ S...-ს შევავანებინო.

ჟულიენი: როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ პირადად მე ფეხის ტკივილები უკვე აღარ მანუხებს. აი, შეხედეთ ლორას, როგორ ტრიალებს და ბზრიალებს, როგორ დაკუნტრუშებს. ჩვეულებრივ, მას მხოლოდ ინვალიდის ეტლით თუ შეეძლო გადაადგილება.

პრეზიდენტი: მე ამას თვითშეგონებას დავარქმევდი.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

ჟულიენი: და თქვენს ოთახში თქვენი მეუღლისა და ვაჟიშვილების საუბარი რომ ისმის?

პრეზიდენტი: ეს სინამდვილეში ძალიან უცნაურია... მაგრამ დარწმუნებული ვარ ახსნა-განმარტება არსებობს.

ჟულიენი: ახსნა-განმარტება ისაა, რასაც თქვენ უარყოფთ.

პრეზიდენტი: ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მოდით ვიმსჯელოთ სერიოზულად. მსგავსი ადგილი არსად არსებობს. ის არც არსად მოიხსენიება. თქვენ ჩემსავით რელიგიური სწავლა-განათლება რომ მიგელოთ, გეცოდინებოდათ: ჩვენ წარვდგებით პირდაპირ ღმერთის წინაშე.

ჟულიენი: შესაძლოა თქვენი ღმერთი მხოლოდ მეორე ეტაპზეა...

პრეზიდენტი: სისულელეა. ამის შესახებ ტექსტებში არაფერი წერია.

ჟულიენი: მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ: ეს ლიფტი, ეს ჰოლი, ეს...

პრეზიდენტი: ეს ყველაფერი არ არსებობს. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი არ არსებობს.

ჟულიენი: მეც არ ვარსებობ?

პრეზიდენტი (ძლიერი უნდობლობის განცდა იპყრობს): რა თქმა უნდა. მე კატეგორიული ვარ.

ჟულიენი: როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რაც თქვენს გარშემოა. მე აი აგერ ვარ. თქვენც ხართ. ჩვენ ორივენი აქ ვართ. კიდევ როგორ უნდა აგისნათ კაცმა რეალობა? როგორ უნდა ჩაუაროთ გვერდით ნივთებსა და საგნებს ისე, რომ ვერაფერი შეამჩნიოთ?

პრეზიდენტი: ძალიან მარტივად, ჩემო ძვირფასო. ეს აღზრდის საკითხია. სწორედ ამას ჰქვია რწმენის ქონა.

ჟულიენი: ბატონო პრეზიდენტო, გაქვთ თუ არა შეგნებული და გააზრებული, რომ რაღაცა ვერ გაგიგიათ, რაღაცას ვერ ჩანვდომიხართ?

პრეზიდენტი: რასაკვირველია, მაგრამ ჩემო ყრმა მეგობარო, როცა რაღაცას ვერ ვწვდებით, ამ დროს რას ვებლაუჭებით ხოლმე? ჩვენს რწმენას.

ჟულიენი: გამოდის, რომ თქვენი რწმენის უფრო გნამთ, ვიდრე იმის, რასაც ხედავთ.

პრეზიდენტი: რა თქმა უნდა, ჩემო ყრმა მეგობარო. ჩვენი გზა ბურუსითაა მოცული, ბნელი და არეულია. სწორედ ამის გამო ვსაჭიროებდი რწმენას. რწმენა ერთგვარი ყავარჯენი და ფანარია, რომელიც წინსვლაში გვშველის. აბა სხვა რაში გვადგია რწმენა? თქვენ ძალიან ბევრს მსჯელობთ.

ჟულიენი (სასწრაფოთლი): თქვენ კიდევ დოლივით მსჯელობთ. ის ბგერებს გამოსცემს, ხმაურობს, იმიტომ, რომ ცარიელია.

პრეზიდენტი (შოკშია): უკაცრავად?

ჟულიენი (იმეორებს, როგორც მაგი): იმიტომ, რომ ცარიელია.

პრეზიდენტი (მხრებს იჩეჩავს): უუუ... ეს რა უზრდელობა და თავხედობაა! სულაც არ მიკვირს, რომ „ოტარყ“ ცლუბ“ გირჩევენიათ.

მაგი და ლორა ხელიხელგაყრილი შემოდინ. იცინიან. მხიარულებენ ჩანან.

ლორა (მაგის): სამწუხაროა, რომ ბოლო ჯერზე აქ არ ბრძანდებოდით.

მაგი: იმედს ვიტოვებ, რომ დიდხანს დაჰყოფთ აქ, ჩვენთან ერთად.

ლორა (შესცქერის ჟულიენს): მეც მაქვს ამის იმედი.

ჟულიენი დგება. ლორაც. ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან. თვალს თვალში გაუყრიან. ვალიზანებულები პრეზიდენტი გადის. ისმის, თუ როგორ მოიჯახუნა თავისი ოთახის კარი.

ჟულიენი: ახლა ყველაფერი ბევრად უფრო ძნელია.

ლორა: დიახ.

ჟულიენი ვილაცის დაჟინებულ მზერას გრძნობს. ის მაგისკენ შეტრიალდება.

ჟულიენი: იმედი მაქვს, რომ ძალიან არ მოგანყინებთ თავი.

მაგი: რას ამბობთ, სულაც არა. ნამდვილად არა! (გაშლის გაზეთს) ვისარგებლებ შემთხვევით და ცოტა თვალს გადავაგულებ.

ლორა: დაანებე თავი. კარგი ვინმეა. თბილი კაცია.

ლორა და ჟულიენი ისევ ერთმანეთს შესცქერიან.

ჟულიენი: ამ სიყვარულს მომავალი არ უნერია.

ლორა: მომავალი არ ითვლება.

ჟულიენი (თბილად): მართალი ხარ. შესცქერიან და ხელებით ეხებიან ერთმანეთს.

ლორა: ხომ ხედავ, ჩვენ ყველაფერი გამოგვდის. ლაპარაკიც კი არ არის საჭირო.

შემოიჭრება პრეზიდენტი. გაცოფებულია, როგორც ყოველთვის. მივარდება მაგის და გაზეთს გამოგლეჯს ხელიდან.

პრეზიდენტი: მომეცით, გეთაყვა, გვერდი, სადაც საბირჟო ოპერაციებთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი.

ამოიღებს ერთ გვერდს, დანარჩენებს ძირს დააგდებს.

მაგი (ირონიულად): ინებეთ, გეთაყვა.

პრეზიდენტი (ეძებს სვეტებში): ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, ნამდვილი კრეტინი, მიიჩნევს, რომ რობინის აქციები დაეცა. (პოულობს საჭირო ფრაზას და ხმამაღლა წამოიძახებს) ეს ხომ გუშინდელი გაზეთია?!

მაგი: რასაკვირველია. მარტო გუშინდელი? ის გუშინდინდელიცაა. ეს გაზეთი მეჭირა ხელში ჩემი აქ მოსვლის დღესაც და მას შემდეგ ნახევარი წელიწადი მიიწურა. მე ამ ნომერს ყოველდღე ვკითხულობ.

პრეზიდენტი: ეს ნამდვილი იდიოტობაა.

მაგი: ტიტ... ტიტ... ვერც ხვდებით, რას ამბობთ. მე კი ის ახლა თითქმის ზეპირად ვიცი და შემოიძლია თამამად განვაცხადო: სამი აპრილით დათარიღებული „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ საუკეთესო გაზეთია.

პრეზიდენტი: როგორ შეგიძლიათ ერთი და იგივე ნომერი ასე დაუსრულებლად იკითხოთ?

მაგი: არ დავინწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს ყოველ ჯერზე ჩემთვის სიურპრიზია, მაგრამ ინტერესს კი აღმიძრავს. მაგალითად, ძალიან მაინტერესებს იმ საწყალი ქალის სვე-ბედი, რომელიც ას სამოცდაათ კილოს იწონის და სწორედ ამ ჭარბი წონის გამო სამსახურიდან გამოაბუნძულეს. დარჩა სუთი პირდაფრენილი, მშვიერ-მწყურვალი ბავშვი. მითხარით, რა წყალში უნდა გადავარდეს? იცით რამდენს ვფიქრობ ამაზე? ან კიდევ ეს პატივცემული პრემიერ-მინისტრი, რომლის პარტიამაც სრული კრახი განიცადა არჩევნებზე. ყოველ ჯერზე მანუხებს, თუ როგორღა უნდა მართოს ახლა ქვეყანა.

პრეზიდენტი: ეს როდინდელი ამბავია? რახანია ყაველი გაუფიდა, მაგრამ მე ჯერ კიდევ მახსოვს და შემოიძლია მოგიყვებო. წარმოიდგინეთ, რომ...

მაგი: არა, რა. ძალიან გთხოვთ. თუ დღესვე გამცემთ პასუხს, მაშინ ხვალ რაღა ჯანდაბა ვკითხო საკუთარ თავს?

პრეზიდენტი: ბოლოს და ბოლოს თქვენ ხომ გინდოდათ ინფორმაციის მიღება?

მაგი: მე არ მიყვარს ინფორმაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთებს არ წავიკითხავდი. მე მიყვარს „სასპენსი“ ანუ დაძაბულობა, მოლოდინი, ბოლომდე ართქმული, მიყვარს ყოფითი სერიალი. მინდა ვიცოდე, რა მოხდება ხვალ. ვგიჟდები, როცა წარმოვისახავ, თუ რა ხდება ამ დროს.

ისე კი, რამის ცოდნა რომ მდომოდა, გაზეთებს კი არა, ისტორიულ წიგნებს წავიკითხავდი.

პრეზიდენტი: არა, თქვენ ნამდვილი გიჟი ხართ.

მაგი: თუ თქვენ გონიერების განსახიერება ხართ, მე სიამოვნებით მოვირგებდი გიჟისა და გადარეულის როლს.

პრეზიდენტი (ნაწყენი): უკაცრავად?

მაგი: რაოდენ საწყენია, რომ საერთოდ მოკლებული ხართ გონების სისხარტეს, სწრაფი შეპასუხების უნარს. თქვენი პასუხები თითქმის ერთგვაროვანია. ყოველ ჯერზე, როცა თქვენს მოშხამვას ან წაკენას ვცდილობ, თქვენგან მხოლოდ ერთი სიტყვა თუ მესმის: „უკაცრავად“, „უკაცრავად“, რამდენჯერ შეიძლება კაცმა ერთი და იგივე იმეოროს თუთიყუშით?

პრეზიდენტი: უკაცრავად?

მაგი: თქვენი რეაქციები იმდენად უსუსურია და არაფრისმთქმელი, ერთ დღესაც საერთოდ გამიქრება თქვენთან ენის მოქავების სურვილი.

პრეზიდენტი: უკაცრავად? (გონს მოდის, რომ იგივე სიტყვა წამოსცდა) მე მიმაჩნია, რომ კვიმატი სიტყვის გულისთვის მეგობრებს არ კარგავენ.

ისმის ზარი, რომელიც ვილაცის ნახვლას იუწყება.

შემოდის დოქტორი S... ასისტენტების თანხლებით და ჩქარი ნაბიჯით მიემართება მოციმციმე ტაბლოსკენ. ყველანი, დამფრთხლანი, დოქტორ S...-ს თვალს არ აცილებენ. ჟულიენი ლორას მკერდზე მიიკრავს.

დოქტორი S...: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი რიგია.

პრეზიდენტი (კმაყოფილი): როგორც იქნა. დიდი ხნის წინათ უნდა მოლებოდა ბოლო ამ აღმამფოთებელ გაუგებრობას.

დოქტორი S...: ბატონო პრეზიდენტო, გაიგეთ, რომ მე არც უფლება მაქვს და არც ძალაუფლება, თქვენ განსხვავებულად მოგუპყროთ. ამასთანავე, მოკლებული ვარ ყოველგვარ შესაძლებლობას, მოვლენები ამა თუ იმ ფორმით დავაჩქარო.

პრეზიდენტი (მოზოდიშებით, დამტკბარი): კეთილი, კეთილი. ამჯერად ყველაფერი მოგვარებულია და ნულა გავიხსენებთ, რაც იყო. მე უბრალოდ მეჩქარებოდა. ეს არის და ეს, სხვა არაფერი. სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე სახლში და ყველაფერი თავის ადგილას დავაყენო.

დოქტორი S...: ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი, რომელიც ფიქრისა და განსჯა-აზროვნებისკენ განგანყობდათ, თქვენთვის ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა, ძვირფასო პრეზიდენტო.

პრეზიდენტი (დაუფიქრებლად და სრულიად ბუნებრივად): დიახ, ვფიქრობ, რომ ანდერძის თავიდან დანერა მომიწევს.

დოქტორი S... (ვაქტობრივად არც უსმენს): ძალიან კარგია! გადასარევიან!

პრეზიდენტი: მეუღლეს მხოლოდ მცირედს დავუტოვებ, ბავშვებს დავსვამ მშრალზე, და ჩამოვყალიბებ ფონდს.

დოქტორი S... (თითქმის არ უსმენს): შესანიშნავია!

პრეზიდენტი: ფონდს ჩემი სახელი დაერქმევა: „დელბეკის ფონდი“ და მისი მთავარი მიზანი ჩემი ხსოვნის სამარადჟამოდ შენარჩუნება იქნება.

დოქტორი S...: ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, ლიფტში შებრძანდეთ.

პრეზიდენტი დოქტორი S...-ს უახლოვდება და ყურში ხმადაბლა ჩასჩურჩულებს:

პრეზიდენტი: მე შემოდია, რასაკვირველია თქვენი სურვილის შემთხვევაში, „Panther's Club“-ში განვერიანებამი გიშუამდგომლოთ.

დოქტორი S...: უკაცრავად?

პრეზიდენტი (აშკარად კმაყოფილი გამომეტყველებით): მე ნამდვილად არ მეტყვიან უარს, მათ ჩემი მართებთ.

დოქტორი S... ანიშნებს ასისტენტებს, პრეზიდენტს ნაეშველონ. პრეზიდენტი, ისევ კმაყოფილი იერით, საკუთარი აღმატებულობის შეგრძნებით, დოქტორ S...-ს თვალს ჩაუპაჭუნებს.

პრეზიდენტი: რას იტყვით? კი თუ არა? გეხმარებით?

მაგი: დოქტორ S...-ს „Oтары's Club“ უჩრჩევია.

პრეზიდენტი (ბრაზიან ლამის დაიხრჩოს): აჰა, დარწმუნებული ვიყავი. „Oтары's Club“ არა? ეს ადგილი, არც მეტი არც ნაკლები, ტერორისტთა ბუდეა!

ლიფტის კარები იკეტება. მოულოდნელად პრეზიდენტი პროტესტს გამოხატავს.

პრეზიდენტი: სად მიგყავართ? თქვენ არ გაქვთ ამის უფლება! გიჩივლებთ! გამიშვით! მიშველეთ!

კარები იკეტება. პრეზიდენტის ყვირილი აღარ ისმის.

ყველა ყურადღებით აკვირდება ლიფტის ისარს, აინტერესებთ, საით მოხვდება პრეზიდენტი. რამდენიმე წამის შემდეგ ისარი ქვედა მიმართულებას უჩვენებს.

წყდება ზარი. ლიფტის კაბინა ხმაურით ეშვება ქვემოთ.

ჟულიენი (გაზვიადებულად): რა?

მაგი: არა, გაიგეთ? ის ბრუნდება. (დოქტორი S...-ს) მითხარით, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ვერ გავიგე, მეორე ტურის უფლება აქვს?

დოქტორი S...: ის გამოვიდა შოკური მდგომარეობიდან. პრეზიდენტი შესაშური ჯანმრთელობის ადამიანია.

მაგი: ჭეშმარიტად. ნამდვილი ჯანმრთელობა ეგოიზმის გარეშე წარმოუდგენელია. ეგოიზმი ჯანმრთელობის საწინააღმდეგოა.

დოქტორი S...: ნუ დაგავინცდებათ, რომ მას მხოლოდ ველოსიპედი დაეჯახა.

მაგი: მომეცით ველოსიპედისტის მისამართი, ტანკი უნდა ვუყიდო.

ჟულიენი: ესე იგი, მარი თქვენთან კვდება, პრეზიდენტი კი ცოცხლდება?

დოქტორი S...: მე მიკვდება? კავშირს ვერ ვხედავ. სიკვდილი არც სასჯელია და არც ჯილდო! თქვენ კი ყველანი მიიჩნევთ, რომ სიკვდილი თქვენი პირადი საქმეა. სასაცილოა პირდაპირ. სიკვდილს ვერავინ გაექცევა. თქვენს ენაზე რომ ვთქვა, ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, სიკვდილს რომ იმსახურებდეს.

ჟულიენი: მართლა? თქვენთან რა, მკვლელები არ ხვდებიან?

დოქტორი S...: ისინი, ჩვეულებრივ, ძალადობრივი, სასტიკი სიკვდილით იხოცებიან. პრეზიდენტისთვის სიკვდილის უამრავი ჯერჯერობით არ დამდგარა.

მაგი (უეცრად აგრესიული): და ჩემი ქალიშვილისთვის? ჩემი ოცნის ქალიშვილისთვის სიკვდილის ზარმა უკვე ჩამოკრა?

ჟულიენი და ლორა გაკვირვებულნი მაგისკენ შეტრიალდებიან.

დოქტორი S... (უახლოვდება მაგის და თბილი ხმით მიმართავს): თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რასაც ვფიქრობ, უკვე ვისაუბრეთ ამაზე. იქნება ადამიანი ათის, ოცის თუ ოთხმოცი წლის, ის ყოველთვის ერთსა და იმავე სიცოცხლეს კარგავს.

მაგი (მყისიერად მშვიდდება): მომიტევეთ.

დოქტორი S...: სიცოცხლე ყოველი ჩვენგანისთვის საჩუქარია. სიკვდილიც ყველას ეძლევა. პრეზიდენტი ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა სხვა.

მაგი: მე სურვილი მაქვს, ყველას პატივისცემით მოვეპყრო. უბრალოდ მიმიძის, პატივი ვცე ადამიანს, რომელსაც ყველასთვის მიუფურთხებია.

დოქტორი S... გადის.

ჟულიენი: თქვენი ქალიშვილი? ქალიშვილი გყავთ?

მაგი (თავი ხელში აჰყავს): მე? არა!

ჟულიენს ხმის, რომ დაჟინება ფუჭია. ლორა გამგებანი იერით ილიმის.

სამივენი ერთად სხდებიან.

მაგი: ჩემო პატარავ, ერთი მითხარით, ისინი იქ, ქვემოთ, თქვენს ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამოყვანას შეძლებენ?

ლორა: ეს უკვე მათზე აღარაა დამოკიდებული. ისინი ელოდებიან გულს, რათა გადანერგვა შეძლონ.

ჟულიენი: ღელავ?

ლორა: სულაც არა.

მაგი: თქვენ ძალიან ძლიერი ხართ.

ლორა: რახან ჩემი სხეული უსუსურია და ძლიერი ჯანმრთელობით არ გამოირჩევა, ვეცადე, ჯანმრთელობა სხვაგან მეძებნა...

ჟულიენი ხელზე კოცნის. ლორა ამბორს სიამოვნებით თანხმდება.

ლორა (თბილად): ამაში პირადად მე არანაირი დამსახურება არ მიმიძღვის. ხანგრძლივმა ტანჯვამ, ასევე, მწოლიარე თუ მჯდომარე მდგომარეობამ მაიძულა, ამბიციები უფრო მოკრძალებული გამეხადა. იმის გამო, რომ სეირნობა არ შემიძლია, ერთადერთმა ვარდმა შეიძლება ისევე დამათროს, როგორც როზარიუმში მთელი დღით ხეტიალმა. ფარდებს შორის ჩემს ოთახში შემოხიზნული მზის სხივი ჩემთვის პლი-აჟზე მზის აბაზანის ტოლფასია. მე მას ვაძლევ უფლებას, მთელ ჩემს სხეულს დაეპატრონოს, გამითბოს ყელი, კისერი, გადაეფინოს ჩემს მხრებს, მკერდს, სადაც კორსაჟს დამიძიმებს ხოლმე. სიცივე შემიპყრობს, როცა მცილდება და პლინ-თუსებისკენ გადაინაცვლებს. წვიმის ხმაურისა და ჭექა-ქუხილის წყალობით, მე გადავსერე დედამიწაზე არსებული ყველა ზღვა, ვიგრძენი, რას ნიშნავს ქარბუქი და გახლებული ტალღების მძვინვარება, განსაცდელში ჩავარდნილი გემი უმოწყალო სტიქიონის პირისპირ. და მერე დგება დილა, მზე ამოიწვევრება, არემარეს სიმშვიდე გადაეფინება. მე შემიძლია შალის ძაფის ერთი ნაგლეჯით საათების განმავლობაში შევიქციო თავი. მყავს რამდენიმე ნაცნობი კატა, რომლებსაც ეს ისევე ართობს, როგორც მე. (ჟულიენი ისევ ეამბორება) ისე, ბედნიერება ხომ ერთ მუჭში ეტევა. მთავარია გაშეშდე, აღარ იმოძრაო, დაივინყო ყველაფერი. აღარ იფიქრო იმაზე, რაც გუშინ მოხდა, ან რაც მომავალში მოხდება.

თუ მოახერხებ და საცხებით პანანინა გახდები, მოხერხებულად მოეწყობი დღევანდელ დღეში, სკამზე, ფანჯრის წინ, შეიძლება სრულად შეიგრძნოთ მთელი სამყაროს სიტკბოება. დიდი ბედნიერება პატარ-პატარა დეტალებისგან იქმნება. (ჟულიენს ჟულიენს) ახლა შენ ვერც წარმოიდგენ, რამდენად ახლოს ვარ შენთან. მე... მე შენით გავივსე. შენი კანის ყოველი უჯრედი ჩემითაა გაჟღერებული. შენ ჩემით სუნთქავ, მე კიდევ შენით. მე შევერწყე შენს კუნთებს. ვგრძნობ შენს ძალას, ვისრუტავ ყველაფერს შენსა.

ჟულიენი: ჩვენ ახლა ფიზიკურად გვიყვარს ერთმანეთი?
ლორა: კი.

ისინი თვალს არ აცილებენ ერთმანეთს. მაგის რჩება შთაბეჭდილება, რომ მათ განცხრომას უთვალთვალეებს, ამიტომ სახეზე გაზეთის მიიფარებას.

ჟულიენი (სიყვარულით მთვრალი): შესაძლებელია თუ არა, ერთი ნამი ასეთი ღრმა და ტევადი იყოს?

ლორა (იმავე მდგომარეობაში): ერთი ნამი შეიძლება მარადისობას იტევდეს.

მოულოდნელად ლორას ციებ-ცხელება შეიპყრობს. ის კანკალებს და ქვითინებს. ჟულიენი მისკენ გაიქცევა და ლორას მკლავებში მოიხვედვს. მაგი კითხვას თავს ანებებს.

ჟულიენი: რა ხდება?

ლორა: არ ვიცი... უეცრად ეს ყველაფერი ისეთი ძლიერი და ისეთი მძაფრი გახდა... მე გამოვიფიტე...

ჟულიენი: ნამო, ჩემს ოთახში წამოვწვეთ.

ისინი დგებიან. ჟულიენი მხარს შეაშველებს ლორას და ცდილობს, გაიყვანოს. ლორას ნერვები დანყვეთაზე აქვს.

ლორა: ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორებენ, ჟულიენ. ეს იქნება საშინელება. ჩვენ უთუოდ დაგვაშორებენ ერთმანეთს.

ჟულიენი (ამშვიდებს): კარგი, კარგი. დაწყნარდი, ჩემო კარგი. იმედი არ უნდა დაეკარგო.

ლორა: ჟულიენ, მე ვიცი, რომ დიდხანს არაფერი გრძელდება. მე შენს თავს ხელიდან გამომგლეჯენ.

ჟულიენი: ნავედით.

ჟულიენი ლორას ხელკავს გამოსდებს და გადიან.

მაგი გაჰყურებს, თუ როგორ ტოვებენ ისინი იქაურობას. ასისტენტებიც შემოდიან და ისინიც წვეილის გამგზავრებას მიაყოლებენ მზერას.

მაგი მზერას თეთრად მოსილ ახალგაზრდებზე გადაიტანს.

მაგი: მითხარით, გეთაყვა, ანგელოზებსაც ხომ შეიძლება სამიჯნურო ამბები გადახდეთ თავს?

პასუხად, ორივე თანამშრომელი ერთმანეთს მოსიყვარულე თვალებით გადახედავს.

მაგი: ოო, თქვე საბავლეო, ვხედავ, რომ აქ მოსაწყენად დროც კი არ გრჩებათ, (უახლოვდება მათ) მაგრამ სექსის ამბავში როგორღა ახერხებთ, ჰა?

ანგელოზები გაკვირვებული სახეებით თათბირობენ. ეტყობათ, რომ მაგის კითხვას მაინც და მაინც ვერ ჩასწვდნენ.

მაგი (კმაყოფილია): ხომ ხედავთ! ვინ თქვა, სამართალი არ არსებობს? არსებობს! (პასუხობს მათ მუნჯ კითხვას) მე მეკითხებით? არც ისე, რა. ვერ იტყვი, რომ შლეგი და გადარეული საყვარელი ვარ. რატომ? (საკუთარ თავს სარკეში შეაჯვლებს მზერას) არასდროს მჯეროდა, რომ ეს სიფათი ოდესმე დიდი გრძნობებისა და ვნებების აღძვრას შეძლებდა. (ანგელოზები გაიკვირებენ) შეძლებს? მოკლედ, მთელი ცხოვრება იმ სართულზე აღმოვჩნდებოდი ხოლმე, სადაც ასვლაზე არც კი მიფიქრია. (ხუმრობით) მოდით, ამის შესახებ ერთ საღამოსაც წავისაუბროთ, ცხადია, თუ სურვილი გექნებათ.

შემოდის დოქტორი S...

დოქტორი S...: თქვენი ნახვა მინდოდა.

მაგი: ააა, ჩემს შესახებ ცხელ-ცხელი ამბები შეიტყვეთ?

დოქტორი S...: დიახ.

დოქტორი S... მაგის გვერდით ჩამოჯდება. ცოტათი იმედაც-რუებული ჩანს. ყოყმანობს. მაგი მას თავაზიანად შეჰღიბის.

დოქტორი S...: რასაც ახლა ვჩადივარ, ჩემს სამსახურებრივ მოვალეობათა ფარგლებს სცილდება. შინაგანაწესის თანახმად, არ მაქვს თქვენი ინფორმირების უფლება, მაგრამ თქვენ უკვე ნახევარი წელია, რაც აქ ცხოვრობთ და მეც რალაცნაირად მოგეჯაჭვეთ.

მაგი: მმმ... რასაც თქვენ ახლა მეუბნებით, დამწერის სუნი ასდის.

დოქტორი S... (სხაპასხუპით): თქვენს მდგომარეობაში წარმოუდგენელია, ადამიანს საგრძნობი გაუმჯობესების იმედი ჰქონდეს. ექიმები აპარატურის გამორთვაზე ფიქრობენ.

მაგი შოკშია.

დოქტორი S...: ძალიან ვწუხვარ, ეს ძალიან მძიმე დარტყმაა.

მაგი: თქვენ შეგიძლიათ ეს ისე თქვათ, თითქოს თმის საშრობი იყოს გამოსართავი. (პაუზა) მე არც კი მიფიქრია, არც კი გამიაზრებია ჯეროვნად, რომ ასე დაბლა დავეშვი და ჩემი სიცოცხლე გამომრთველის ძაფზე ჰკიდია, და რომ მთლიანად რომელიღაც მედდის გუნება-განწყობაზე ვარ დამოკიდებული. როგორ გაიხარებს ალბათ, როცა ამ საქმეს შეუდგება. და რალას ელოდებიან?

დოქტორი S...: ნებართვას.

მაგი: ეს უკვე მეტისმეტია. და ვინ მისცემს მათ ამის ნებართვას?

დოქტორი S...: თქვენი დისწული — ერთადერთი ნათესავი, რომელიც დაგრჩათ.

მაგი: ღმერთო! ის ჭიაყელა? მუდამ ყვითელი ჟღერინტის ნაკადულები რომ სდიოდა ცხვირიდან? იმედი მაქვს, გაიხსენებს ყველა იმ მარწყვის კანფეტს, რომელსაც საგანგებოდ მისთვის ვყიდულობდი. მოიგონებს ერთად გატარებულ შობის ღამეებსაც... იმედი მაქვს, ვერც ვერასდროს მოტივინა, რომ კარტის თამაშისას ასე უსიროცხვილოდ ვშულერობდი.

დოქტორი S...: ამ დროისათვის ეძებენ, მაგრამ სულ ტყუილად. მისი ასავალ-დასავალი, ჯერჯერობით, არავინ იცის.

მაგი (ღიმილით): ჩემი ძვირფასი პატარა მალე დაამთავრებს სწავლას შეერთებულ შტატებში. (გაიბადრება) დიდია ამერიკის შეერთებული შტატები.

დოქტორი S...: ნუ გექნებათ ტყუილი იმედეები. ისინი მას დაუკავშირდებიან და თქვენ კომიდან ვერ გამოხვალთ.

მაგი: ყველაფერი გავიგე.

დოქტორი შ... მაგის მხარზე მიუტყაპუნებს ხელს. მაგი მის ხელს ეხება, გაულიძებს.

ჟულიენი ქარბუქივით შემოვარდება და დოქტორი S...-ისკენ გაქანდება.

ჟულიენი: ერთი ნამით, დოქტორო. რალაც უნდა გკითხოთ, მაგრამ წინასწარ უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ დადებით პასუხს გამცემთ.

დოქტორი S... (შეეშვება მაგის ხელს): მაშინ იცოდეთ, რომ პასუხი უარყოფითია.

ჟულიენი: ერთი ნამი დამითმეთ. (დოქტორი ჩერდება, რათა ყური დაუგდოს) მე ვისურვებდი, რომ ნებისმიერ გარემოებაში მე და ლორამ ლიფტში ერთი და იგივე მარშრუტი გავიაროთ. გესმით ჩემი? ჩვენ დედამინაზე ერთად უნდა დავეშვათ. ან იქ, მაღლა, ერთად აღმოვჩნდეთ.

მაგი: უკვე აღარ გეშინიათ?

ჟულიენი: მე ახლა მხოლოდ ერთი რამ მაშინებს — ლორას დაკარგვა.

მაგი: დარწმუნებული ხართ, რომ იქ, მაღლა რამე არსებობს?

ჟულიენი: ადრე ამ გულისამრევი სამყაროსთვის თავი და ბოლო რომ გამეგო, ჩემთვის სრულიად საკმარისი იყო, შემთხვევით ნარევე მეფიქრა, მაგალითად, მოლეკულების მიქსტურაზე. მივიჩნევი, რომ ამ საზოგადოებრივ წესდების რეცეპტიც ეს იყო, მაგრამ როცა ვხედავ ლორას... ვიფიქრო, რომ ამ შემთხვევით ერთად თავმოყრილმა მოლეკულებმა ლორა შექმნეს? ნუთუ მოლეკულების შემთხვევითი შეჯახებების შედეგად წარმოქმნილი ხრეშისა და კვამლისგან დაიბადა ლორას სილამაზე, ლორას ღიმილი და გონიერება?

დოქტორი S...: შესაძლებელია.

ჟულიენი: არა! ყოველ შემთხვევაში, ახლა მაქვს მიზეზი ვიყო ოპტიმისტი და მას ჰქვია ლორა.

დოქტორი S...: მით უკეთესი, რომ ცხოვრება შეიცვარეთ, მაგრამ სიკვდილის არ გეშინიათ?

ჟულიენი (კანკალით): ნაკლებად.

დოქტორი S...: იმ ღმერთმა, რომელმაც გადანიყვიტა, იარსებოთ, ერთ დღეს შეიძლება თქვენი არარსებობაც დაასკვნას.

ჟულიენი (ორჭოფობს): რატომ უნდა იარსებოთ ერთხელ, თუ ეს მარადიული არსებობა არ იქნება?

დოქტორი S...: ბევრი რამ შეიქმნა და არსებობს. ეს უკვე მშვენიერია. რატომ გინდათ, რომ ყველაფერი მარადიულად გაგრძელდეს?

ჟულიენი: ჩვენ გონი მოგვეცა არა იმისთვის, რომ რაც არსებობს გავანადგუროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა სრულიად ფუჭი, უსარგებლო და მონამულული საჩუქარი. მატერია, რომელიც საკუთარ თავს დასტირის, განა შეიძლება მატერიად იწოდებოდეს? ცნობიერება ეს ხორცია, რომელიც სისხლისგან იცლება, თუ ისაა, რაც ხორცზე მალდდება?

დოქტორი S...: ეს სამართებლის ალესილი პირია. გვაძლევს თუ არა ცნობიერება უფლებას, იმედით აღვივსოთ? გვაძლევს თუ არა ცნობიერება უფლებას, სასოება დაკარგოთ? ეს ტრაგედიის შეგრძნებაა თუ საიდუმლოს გაცნობიერება?

ჟულიენი: სანაძლეოს ვდებ, რომ სიკვდილის გაცნობიერება ნიშანია.

მაგი: რისი ნიშანია?

ჟულიენი: ნიშანი, რომ უბრალოდ არ მოგვეცემა.

დოქტორი S...: და მაინც, ყველაფერი ბურუსითაა მოცული.

ჟულიენი: იქ, სადაც მხოლოდ სიბნელეს ვხედავდი, ახლა მსურს იმედი ვიხილო სინათლის.

დოქტორი S...: და ამ ყველაფერს ლორას უნდა უმაღლოდეთ?

ჟულიენი: რა არის სასწაული? სასწაულია ის, რაც რწმენას ბადებს. ლორა ჩემი სასწაულია.

დოქტორი S... (ხალისიანად): რასაკვირველია...

ჟულიენი: ერთი სასწაული სრულიად საკმარისია. ახლა მე მნამს, მინდა მიმედებოდეს ის, რაც ცნობიერებისთვის მიუწვდომელია. (ხეწნით) მოგვეცით საშუალება, აქედან ერთად წავიდე.

დოქტორი S...: ვისურვებდი, რომ ეს შემეძლოს.

ჟულიენი: შეძელით!

დოქტორი S...: მე არ გამაჩნია საამისო ძალაუფლება, (პაუზა) არანაირი ძალაუფლება.

ჟულიენი (დათრგუნული): ააა.

დოქტორი S...: ლორას ბედი გარემოებებზეა დამოკიდებული. მე არ განვაგებ გარემოებებს.

ჟულიენი: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. (ნელ-ნელა დერეფან „A“-სკენ მიემართება) ნავედი, ლორა უნდა ვნახო. რა იდიოტი ვარ, რომ ამდენი ხანი მის გარეშე დავყავი. (დაბნეული) მაღლობა.

ჟულიენი გაუჩინარდება. საუბრით ქანცგანყვეტილი დოქტორი S... მოწყვეტით ჩაშვება სავარძელში.

მაგი: მძიმე პროფესიაა.

დოქტორი S... დუმს.

მაგი (გაგებით): დღე და მოსწრება სხვებით იყო დაკავებული, ეცადო მათი ნდობის მოპოვებას და მერე ერთ დღესაც გამოუცხადო, რომ ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებული ხარ. არა, მძიმე რეალობაა, აბა რა არის!

დოქტორი S... დუმს, სამაგიეროდ, იღიბის.

მაგი: მე თქვენ მომწონხართ, დოქტორო S... თავიდან ვფიქრობდი, რომ ძალიან ხისტი იყავით, გიბრაზდებოდით ძალიან, როცა ხმას არ გვცემდით.

დოქტორი S...: თქვენ ჩემგან პასუხებს კი არ ელოდით, გასურდათ, ილუზიებით გეკვებათ თავი.

მაგი: დიას, დიას, თვითდარწმუნება, როგორც პრეზიდენტი ბრძანებდა. თვითდარწმუნება სუსტი და მღელვარე ადამიანების იარაღია. უარყოფითი თვითდარწმუნებაც კი ათასჯერ სჯობია ეჭვებს. მე მჭირდებოდა, მკაფიოდ და გასაგებად აეხსნათ ჩემთვის, რომ ეს ასეა და არა ისე.

დოქტორი S...: მოგვიანებით ჰიპოთეზებით დაკმაყოფილება ისწავლეთ.

მაგი: ო, ეს მშვენიერია. გადასარეგია ეთამაშო ჰიპოთეზებს, როგორც აბაზანაში საპნის ბუშტებს. ისე, ჰიპოთეზებზე საც სჭირდება წარმოსახვა...

დოქტორი S... გასასვლელად ემზადება. მაგი მყისიერად წამოდგება, ჯიბიდან სავიზიტო ბარათს დააძრობს და ამაყად გადაანოდებს დოქტორს.

მაგი: ეს ჩემი დისწულის ტელეფონის ნომერია. დაურეკონ და ბარემ გამომართონ.

დოქტორი S...: ეს სრულიად ფუჭი ქმედებაა. მოსახდენი ისედაც მოხდება. მე ვერ გადავცემ ამ ინფორმაციას.

მაგი: გემუდარებით, დოქტორო. სწრაფად უნდა იმოქმედოთ. ლორა სენ ლუის საავადმყოფოშია. იქა ვარ მეც. ეს ძალიან მარტივი მანევრია. საკმარისია მოგლიჯო ერთი მავთული, შემდეგ მკერდიდან ხორცის ერთი პატარა ნაჭერი ამოიღო და ერთი სართულით ქვემოთ ჩაიტანო.

დოქტორი S...: მთხვოვთ იმას, რაც სასტიკად მეკრძალება.

მაგი: რამდენმა ადამიანმა ჩაიარა თქვენს თვალწინ. ნუთუ არ მოგბეზრდათ ეს უსასრულო ალღუმი? მართალია ბევრმა შეიგნო, რომ ცხოვრება ჩააფლავა და არაფერი ღირებულ არ შეუქმნია. მაგანმა და მაგანმა კი თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია. თვითონ ნახეთ, ბევრმა უკეთესობისკენ იბრუნა პირი, უკეთესი გახდა, გაკეთილშობილდა. მაგრამ რა მერე? ჰოპ, და ეს ყველაფერი არავის არაფერში არგია. ნუთუ არ მოგბეზრდათ, რომ ცხოვრება ლატარეას დაემსგავსა? რომ ქაოტური შერევა-არევა ერთადერთ კრიტერიუმად იქცა? რატომ დუმს მაღალი ღმერთი? ნუთუ თვითონაც კომპია? რატომ არ გავცემს ხმას? რატომ არ გვპასუხობს? რა, შოკშია? გამოაღვიძეთ! გაანძრეთ ხელი, რამე მოიმოქმედეთ! საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც მის სასთუმალთან მხოლოდ მის სახელს ჩიფჩივებენ. დაე, გაიღვიძოს, გაახილოს თვალები! თუ მიუფურთხებია ყველასთვის? თუ მარადი ძილით სძინავს? თუ ასეა, მაშინ რაღას უცდით, შეცვალეთ ის, გახდით განგება!

დოქტორი S...: ნუ იქნებით მიაშიტი. განგება! დაე, სამყარომ გაითვალისწინოს თქვენი დამსახურებანი, კეთილს მივზლოს სამაგიეროდ და დაჯილდოვდეს, ბოროტი დაისაჯოს, დასაჯოს სენმა. სიკეთემ განდევნოს სიკვდილი, დიას, იზეიმოს სიმართლემ, ან რაღაცამ, სამართალს მიმსგავსებულმა. ჯანდაბას, იზეიმოს ჭირვეული, ანგარებიანი და მიკერძოებული ღმერთების უსამართლო სამართალმა. არაუშავს, ღმერთიც თუ უკიდურესად არაობიექტური ალმოჩნდება. ეს იქნებოდა იმის ნათელი დასტური, რომ იქ, მაღლა მაინც არსებობს ნება, ბრძანება, აზრი, რაღაც, ადამიანის დარი. ისე კი, ოდითგანვე, ცხოვრება ისეთია, როგორც ახლა — ყრუ, ბრმა, უსულგულო და ინდიფერენტული. მატერიას მიუფურთხებია თქვენი ვაჟკაცობისა და გამბედაობისათვის; ჰო, კიდევ თქვენი ღირსებისათვის.

მაგი: და ნება? ჩემი ნება? თქვენი?

დოქტორი S...: თქვენ ისეთ ადგილას იმყოფებით, სადაც ნებას ყველაზე ნაკლებად მოიძიებთ.

მაგი: თავისუფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ გულწრფელად გჯერა მისი, თუ მას გულწრფელად ინამებ. კი ბატონო, მატერიაც არსებობს და ჩამოყალიბება-ნგრევის საკუთარ კანონებს ემორჩილება. ნუთუ თქვენ, სრულიად შეგნებულად, ერთხელ მაინც არ გაგჩენიათ სურვილი ამ უსულგულო და ინდიფერენტულ განსჯაში უცხო წარმოშობის სილა ჩაგეყარათ.

დოქტორი S... დუმს.

მაგი: თუნდაც ერთი პანანინა ქვიშის მარცვალი... ადამიანური მარცვალი... რომ შემთხვევითობას საბოლოო ნერტილი დაესვას.

დოქტორი S... დუმს.

მაგი: დოქტორო შ... წარმოიდგინეთ, რამხელა სიამოვნებაა, დაარღვიო დანესებული განრიგი.

დოქტორი S...: ნუთუ ასე ძნელია სისულელეები და ჭკვიანური განცდა ერთმანეთში აურიოთ (დგება).

მაგი: ზოგჯერ არდადეგებზე, როცა პატარა ვიყავი, ქლიავის მალალ ხეზე ავცოცდებოდი ხოლმე და მთელ სოფელს ზემოდან გადავყურებდი. ერთი აუნერელი აღმაფრენა მიპყრობდა, თავი სრულიად განსხვავებული, ამქვეყნად ყველაზე მაღლა მდგომი, ყველაზე აღმატებული მეგონა. „თუ მოვინდომე, შემიძლია არ ვისუნთქო“, ვიტყოდი ჩემთვის და ვიკავებდი სუნთქვას. რაც უფრო მიჭირდა, მით უფრო ვნითლდებოდი. სიცხისგან სულ აღმური გადამდიოდა სახეზე. კისრის არემი ძარღვები მებერებოდა. ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომ სრულიად მოუწყვლადი ვიყავი. რა თქმა უნდა, ბოლოს ვნებდებოდი, მაგრამ შეგრძნებები დიდხანს არ მიცხრებოდა. ერთხელაც საკუთარ თავს გამოვუცხადე: „მოვინდომე და არც არასდროს მოვკვდები.“ ისეთი ადვილი მეჩვენებოდა ამის მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ სიკვდილს ვერსად ვავექცეოდი, რომ ის გარდაუვალი იყო. აი, პირველი გაკვეთილი, რომელიც მე მივიღე აქ, თქვენ გვერდით ხანგრძლივი ვიზიტისას: უნდა შეურიგდე შეუქცევადს. ახლა კი ძალიან მსურს, პატარამ იცოცხლოს; ჩემი სხეული მათ განკარგულებამაა. დაე, ჩემმა გულმა იფეთქოს მის მკერდქვეშ. ასე და ამგვარად, ჩემი სიკვდილი ერთი ადამიანისთვის მაინც ძვირფას საჩუქრად გარდაიქმნება. აი, დოქტორო, ჩემ მიერ გაზუთხული მეორე გაკვეთილიც — გიყვარდეს გარდაუვალი.

ბარათს დოქტორ S...-ს ხელში ჩაუდებს, გადაეხვევა მას, თითქოს ამით რაღაც მნიშვნელოვან დოკუმენტს ბეჭედი დაუსვაო.
დოქტორი S... დაბნეული და აღელვებულია. სურს, რაღაც წარმოთქვას, მაგრამ ვერ ახერხებს. ჩუმად გადის ოთახიდან. **ლორა და ფულიენი მისაღებში შემოდინან. მაგი ვაზეთს ამოეფარება.**

ლორა (აღელვებულია): კი, კი, გარწმუნებ, მე ვიცი, რომ ადამიანებს ავიწყდებათ, რაც აქ ხდება, როცა დედამინაზე ბრუნდებიან. ჩემი პირველი ვიზიტიდან ცნობიერებაში ერთი უმნიშვნელო ნაკვალევიც კი არ დამრჩა. მესხიერება მხოლოდ მაშინ დამიბრუნდა, როცა ლიფტის კარები ფართოდ გაიღო. ფულიენ, ნუთუ წარმოგიდგენია, რომ იქ, ქვემოთ ერთმანეთი ვერ ვიცნობ?

ფულიენი: მე ამის სულაც არ მეშინია. მე შენ ამოგიცნობ.
ლორა: არა! ერთ დღესაც ერთმანეთს გადავყურებით დერეფანში, ან ქუჩაში. შენ მზერა სხვაგან გაგექცევა და ველარც შემამჩნევ.

ფულიენი: ეს შეუძლებელია. მე ყველგან შენს ძებნას დავინწყებ.

ლორა: მეც, მაგრამ მე მაინც მსურს, რომ ივარჯიშო.
ფულიენი: რა?

ლორა: მე ისეთი რაღაცა ვიცი, რომელიც დოქტორმა შ...-მაც კი არ იცის. წინა ვიზიტისას ტანგოს შესწავლა დავინწყე ხუანთან ერთად. ცხოვრობდა აქ ასეთი ადამიანი.

ფულიენი (მოულოდნელად, ეჭვიანობით შეპყრობილი ლორას იცილებს თავიდან): როგორ?!

ლორა (სიცილით): ის უკვე ოთხმოცს გადაცილებული იყო. ისეთი ბედნიერი ჩანდა, რომ სხეულის სიმსუბუქე და მოქნილობა დაიბრუნა. გათავისუფლდა რევმატიზმისაგან და სულ ცეკვა უნდოდა. მე მისი მენყვილე ვიყავი. ადრე არასდროს მიცეპვია.

ფულიენი: დავუშვავთ.

ლორა (უეცრად სერიოზული): ყური მიგდე, როცა დედამინაზე აღმოვჩნდი, ჩემს მესხიერებას ბინდი გადაეფარა. არც სასტუმრო მასსოვდა, არც ხუანი და ალარც ტანგოს გაკვეთილები. ერთი უცნაური რამ კი მოხდა — ჩემმა ფეხებმა ტანგოს მოძრაობები დაიმასხოვრეს. მათ ჩემდა უნებურად ვიმეორებდი. ცნობიერება ვერ ინარჩუნებდა მოგონებებს აქაურობაზე, მხოლოდ კანი ინახავს შეგრძნებებს. უნდა ვივარჯიშოთ. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩვენი სხეულები იცნობენ ერთმანეთს.

ლორა მბრძანებლურად იღებს ფულიენის ხელს და წელზე შემოიდებს.

ლორა: თუ ეს ვერ იგრძენი, მაშინ ეს მე არ ვარ.
ფულიენი: მე შენ მიყვარხარ.
ლორა: დაყნოსე ჩემს თმას.
ფულიენი: ახალმოჭრილი ბალახისა და მსხლის სურნელს აფრქვევს.

ლორა: თუ ეს ვერ იგრძენი, გამოდის, რომ ეს მე არ ვარ.
ფულიენი: მე შენ მიყვარხარ.
ლორა: თვალეში შემომხედე.
ფულიენი: ვხედავ ლურჯ და იისფერ ძარღვებს.
ლორა: რამდენია?
ფულიენი: არ ვიცი... ათასზე მეტია.
ლორა: თუ ათასზე ნაკლები იქნება, ეს მე არ ვარ.
ფულიენი: მე შენ მიყვარხარ.
ლორა: მაკოცე.

გადაეხვევიან ერთმანეთს. ამბორისგან ორივეს გააფრთხილებს.
ფულიენი: დარდი ნუ გექნება, არ დამავინწყდება.
სასონარკვეთილი ლორა ფულიენის მკლავებისგან გათავისუფლდება.

ლორა: რა სულელი ვარ. შენ ათასობით ქალში მოგიწევს ძებნა, მაგრამ ეს მე არ ვიქნები. როცა ისინი გაგიღიმიან — გაგიღიმებს ყველა, როგორც ერთი! შენ მათ გამოელაპარაკები, გაეარშიყები, აკოცებ. მე მივიღებ სრულიად სანინააღმდეგოს იმისა, რასაც ვეძებდი. არა, არა, სხვა გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, სხვა საშუალება უნდა მოიძებნოს.

ფულიენი: მე შენ კოდს გასწავლი. აი რას ვიზამ. საიდუმლო კოდს!

ფულიენი უახლოვდება ლორას და სიყვარულით მიიკრავს მკერდზე. ლორა ნებდება. ფულიენი აკეთებს იმას, რასაც ხმამალა აცხადებს.

ფულიენი: მე ვკოცნი შენს ყურებს: ერთი, ორი. გიკოცნი შუბლს: ერთი, ორი, სამი, ოთხი. გიკოცნი თვალეებს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. გიკოცნი ტუჩებს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა.

ფულიენის სითბოთი მოხიბლული ლორა თრობას მიეცემა.
ლორა: ოო, რა მშვენიერია, რა ზღაპრულია! გავიმეოროთ! ისინი თავიდან იწყებენ.

ლორა: მიკოცნი ყურებს: ერთი, ორი. მიკოცნი შუბლს: ერთი, ორი, სამი, ოთხი. მიკოცნი თვალეებს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. მიკოცნი ტუჩებს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა.

კოცნით გათანგულნი ერთმანეთს სცილდებიან.

ფულიენი: კიდევ ერთხელ?
ამ დროს შემოდის დოქტორი S... თავისი ორი ასისტენტის თანხლებით.

დოქტორი S...: ფულიენ, თქვენს ოთახში უნდა დაგელაპარაკოთ.

ფულიენი: კეთილი.
დოქტორი S...: მაგის წინ ჩაივლის და მასთან ხმადაბალ საუბარს გააბამს. დანარჩენებს არაფერი ესმით. მაგი წელში გაიმართება.

დოქტორი S...: პიჯაკიდან შემთხვევით ბარათი ამოგივარდათ. თანამშრომელმა იპოვა და ექიმს მიუტანა.

მაგი: შემთხვევით?
დოქტორი S...: შემთხვევით!

მაგი: დრო და დრო შემთხვევა კარგი რამ კი არის, ვერაფერს იტყვი.

დოქტორი S...: დრო და დრო, და არა ყოველთვის. (პაუზა) ისინი თქვენს დისწულს უკავშირდებიან. თქვენი ფიზიკურ მდგომარეობა მას მხოლოდ აკვირვებს. უხერხულ მდგომარეობაში მყოფი აცხადებს, რომ მხარს არ უჭერს დაჟინებულ თერაპიულ ჩარევას. ასევე ამბობს, რომ ძალიან უყვარდით.

მაგი: ის, რომ ძალიან ვუყვარდი...

დისწულის მიერ ფრაზაში წარსული დაუმთავრებელი დროის გამოყენებით შეძრული მაგი კანკალმა აიტანა. სავარძლის საზურგეს ჩაებლაუჭება. ფულიენი, დოქტორისა და ასისტენტების თანხლებით, ოთახს ტოვებს.

ლორა (მაგის სიფერმკრთალით გაოცებული): ცუდად გრძნობთ თავს?

მაგი: არა, არა, მშვენივრად ვარ.

მაგი ჯდება, ლორა მის გვერდით იკავებს ადგილს.

მაგი: იცით, ოდესღაც ქალიშვილი მყავდა. ცოტათი თქვენ გგავდათ. ისეთივე ირონიული თვალები ჰქონდა, როგორც თქვენ. გეგონებოდათ, მთელი სამყაროსთვის მიუფურთხებიაო. ისეთივე კადნიერი პროფილი და მკვირცხლი გამომეტყველება, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანებს ახასიათებთ, ცხოვრებას ქედს რომ არ უხრიან, რამეთუ ის მათზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს; ისეთივე აბრეშუმის ხვეული თმა, უდავოდ კარგი ჯანმრთელობის დასტური... როცა ვუყურებდი, ისეთი ლამაზი, ისეთი ქალური მეჩვენებოდა, რომ ჩემთვის ვამბობდი: „ეს შეუძლებელია! წარმოუდგენელია, რომ ასეთი ქალიშვილი მყავდეს!“ მაგიური ძალის პატრონი იყო. საკმარისი იყო, ოთახში შემოსულიყო, რომ სამყაროს ნებისმიერი სიმდარე, უფერულობა და ხინჯი დაეკარგა. იმხანად კომერციული აგენტი გახლდით, განუწყვეტლივ ვმოზაურობდი, სასტუმროდან სასტუმროში კალიდოსკოპური სისწრაფით გადავდიოდი, ვხედავდით უამრავ კლიენტს, ზოგიერთები კარს პირდაპირ ცხვირწინ მომიჯახუნებდნენ ხოლმე, მაგრამ ამ პირქუში, ბნელი სამყაროს სიღრმეში კიაფობდა ერთი პანანინა კოცონი, ჩემი სინათლე — ჩემი ქალიშვილი. მოულოდნელად საქმეებიც შესაშურად კარგად წამივიდა; ოკეანის გაღმა რამდენიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას გამოვკარი ხელი. მაშინ შტატებში, სადაც გადაკარგული გახლდით და მოტელში ვცხოვრობდით. ჰოდა, ერთხელაც დამირეკა, მის ხმაში ჩივილი ვიგრძენი; მამიკო, ცოტა შეუძლოდ ვარო, მითხრა. თურმე იძულებული გახდნენ, საავადმყოფოში გადაეყვანათ. მე კიდევ ჩემდათავად ვალდებული ვიყავი, ოკეანის გაღმა დავრჩენილიყავი, ჩემი ფირმისთვის დაუჯერებელ კომერციულ გარიგებას ვაგვარებდი. პირდაპირ თავით ფეხებამდე გადავეშვი ამ წარმატებულ პროექტში, დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. წარმოუდგენელმა ეიფორიამ შემიპყრო. ვგრძნობდი, რომ ტელეფონში ხმა სულ უფრო და უფრო უსუსტდებოდა, მაგრამ ჩემთვის ვფიქრობდა, ჯერ კიდევ ისეთი ყრმაა, ისეთი ძლიერი, ჯანმრთელობასა და კარგ განწყობას მყისიერად დაიბრუნებს, როგორც კი მამიკო ჩამოუვა-მეთქი. **(პაუზა)** გარდაიცვალა ოცი წლისა, ავადმყოფობისგან, საშინელმა ვირუსმა მოუღო ბოლო. უმონყალო აგრესიული მანქანა, რომელიც სხვისი ენერჯის ხარჯზე სულდგმულობს — ნთქავს ყველაფერს, ხრავს სხეულს, სხვისი სისხლით იტკბარუნებს პირს და ერთ დღესაც საწოლზე ერთ პატარა განადგურებულ, გალეულ და დამახინჯებულ ცხედარს გიტოვებს. ძალიან დამიგვიანდა უკან დაბრუნება — როცა სახლში შევაბიჯე, ის უკვე მკვდარი იყო.

ჩერდება, ემოციებს ვერ უშკლავდება. ლორა სპონტანურად თავს მის მხარზე ჩამოდებს.

მაგი: სამსახურს თავი დავანებე, რა არ ვქენი; ვატრიალე მაგიდები, ვიხედებოდი ბროლის ბურთებში, მიხდოდა, გამოძლავარაკებოდა, რომ არ გამქრალიყო სამუდამოდ. პასუხად ის მხოლოდ დუმდა. სწორედ მაშინ გაფხდი მაგი რაჯაპური. თავზე ეს იდიოტური ჩაღმა დავიკოსე. თავიდან ის ჩემთვის ალიკაპის ფუნქციას ასრულებდა; ხელს მიშლიდა ყვირილში, როცა გაუსაძლისი სიკვდილები მტანჯავდა. **(პაუზა)** მოგონებები გარდაცვლილ ბავშვზე თითქოსდა წმინდა ტაძარშია გამოკეტილი და ტანჯვა-ტკივილი იცავს მათ. ეს მოგონებები სრულიად განსხვავებულია, სულ სხვაა მათი ქსოვილი. ეს მოგონებები ხელშეუხებელია, ისინი არ იშლებიან. **(პაუზა)** მე ვერაფერი ვაგაკეთებ მისთვის.

ლორა: თქვენ არ შეგეძლოთ.

მაგი: მე მის გვერდითაც კი არ ვყოფილვარ.

ლორა: თქვენ არ შეგეძლოთ.

მაგი: თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ვისურვებდი ამ დანაშაულის გამოსყიდვას.

ლორა: გამოსყიდვას. გამოსყიდვა შეუძლებელია.

მაგი: არა, შესაძლებელია. ერთხელ მე ეს შევეძელი სხვა ადამიანთან.

ლორა: მართლა?

მაგი: მართლა, მართლა!

(პაუზა)

ლორა: ეს დღე ალბათ საოცარი იყო.

მაგი (ბედნიერებისგან თვალებაცრემლებული): ბრწყინვალე.

ლორა უახლოვდება მაგის და უბრალო და თბილ საუბარს გაუბამს.

ლორა: ძალიან მიყვარხართ. თქვენ აქ ცოტ-ცოტას ყველა დაგცინით, მაგრამ მე მიყვარხართ.

მაგი (ტირის, თან ილიმის): მადლობა.

ლორა მაგის მკლავებში ჩაუფარდება. მაგი აღლევებულია, ცოტა მოუხერხებელი. დაბნეულმა აღარ იცის, როგორ გაამხნევოს ლორა. ამ დროს სწრაფად შემოდის დოქტორი S... ორი ასისტენტი უკან მოსდევს. დოქტორი S... როგორც ეს მას სჩვევია, შენობის მყისიერად დატოვებას აპირებს, მაგრამ ერთმანეთს ჩახუტებულ ლორასა და მაგის დანახვავ წამიერად შეყოვნდება. შემდეგ ხმადაბლა ამბობს:

დოქტორი S...: ლორა, იძულებული ვარ, გთხოვოთ ერთი სამსახურის შესახებ; მარტო დამტოვეთ მაგთან.

ლორა: კეთილი, დოქტორო.

ლორა მსუბუქი გულით სცილდება მაგის.

ლორა: დროებით?

მაგი გულზე ხელს იდებს.

მაგი: დროებით.

ლორა გაუჩინარდება. დოქტორი S... ტაბლოს შესამონებლად გაემართება. აინტერესებს, ციმციმებს თუ არა წითელი სიგნალი.

გაისმის ზარი.

დოქტორი S... მაგისკენ შემოტრიალდება.

დოქტორი S...: ბოდიშს მოვიხდი, უკვე ვაგვიანებთ.

მაგი: გამოგვივა?

დოქტორი S...: შებრძანდით ლიფტში.

მაგი ცილებს ლიფტამდე, რომლის კარებიც იღება.

მაგი: დოქტორო, მე ვიცი, რომ არაფრის თქმის უფლება არ გაქვთ, მაგრამ გთხოვთ მითხრათ, თუ გამოგვივა რამე.

მაგი უკვე კაბინაშია.

დოქტორი S...: ექიმებმა გადაწყვიტეს, თქვენი გული ლორას გადაუნერგონ.

მაგი: მადლობა.

დოქტორი S... (შეძრულია): არა, გაჩუმდით. ნურაფერს იტყვი. ცხოვრებაში ჩემთვის მადლობა არავის უთქვამს. ცხადია, არც მაშინ მემადლიერებია, როცა ზემოთ მიემგზავრებია.

მაგი (ვიდრე ლიფტის კარები დაიკეტება): მადლობა.

ლიფტი დაკეტილია, ისარი ზემო მიმართულებას უჩვენებს. ისმის ლიფტის აღმასვლის ხმაური.

ზარი წყდება.

აღლევებული დოქტორი S... ასისტენტებისკენ შეტრიალდება, რომლებიც მიხვდნენ, რომ მან კანონი დაარღვია.

დოქტორი S...: ვიცი, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. ისევ გაისმის ზარი.

დოქტორი S...: სასწრაფოდ ლორა მოძებნეთ!

ასისტენტები ვარბიან და მალევე ბრუნდებიან ერთმანეთს ჩაფსკნილი ლორასა და ყულიენის თანხლებით.

დოქტორი S...: ლორა, თქვენი რიგია.

ლორა (შეშინებული, ჯერ კიდევ არ დახსნია ყულიენის მკლავებს): არა, არა, ასე სწრაფად არა!

დოქტორი S... (აღლევებული შესცქერის ტაბლოს): ლორა, გთხოვთ, წამიც კი არ დაგვრჩა დასაკარგი.

ლორა: არა, ახლა არა! და სად არის მაგი? მინდა მაგის გადავხვიო! ვაკოცო!

ყულიენი დამფრთხალი ჩანს. ლორას ლიფტის კარებამდე მიაცილებს და ძლიერ ჩაიკრავს გულში. ასისტენტები ნელ-ნელა

აცილებენ შეყვარებულებს ერთმანეთს და ღორას კაბინისკენ უბიძგებენ.

ჟულიენი: ნუ დაკარგავ ნდობას, ჩემო სიყვარულო.

ღორა (ციებ-ცხელებით იმეორებს): ერთი, ორი, ყურებზე მკოცნი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, შუბლზე მაკოცებ. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი — თვალზე. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — ტუჩებზე.

ღორა მარტოა კაბინაში. კანკალებს.

კარები იკეტება.

ღორა (ყრუ ყვირილი): ჟულიენ!

ასისტენტები და დოქტორი S...: თვალს არ აცილებენ ისრებს. მათ სახეებზე ღრმა შიში აღბეჭდილია. მოულოდნელად ქვედა მიმართულების აღმნიშვნელი ისარი ინათებს.

ლიფტი მოძრაობას იწყებს.

ჟულიენი (სიხარულისგან ყვირის): კი! კი! აბა, რა! რა თქმა უნდა!

ბედნიერი ჟულიენი ჯერ დოქტორი S...-ს გადაეხვევა, შემდეგ ასისტენტებს მიადგება. გრძნობების ამ მოზღვაებას არავინ ენინაღმდეგება.

ჟულიენი: დიდი მადლობა, დოქტორო. მადლობა, რომ მითხარით, რაც მაგმა ეს-ესაა ჩაიღინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჟკაცობა არ მეყოფოდა, ღორა ლიფტამდე მიმეცილებინა. ეს იყო სასწაული.

დოქტორი S... (უხერხულობს, გადახედავს ასისტენტებს): გაჩუმდით.

დოქტორი კედელს მიეყრდნობა, რათა ცოტა სული მოითქვას.

დოქტორი S...: ყველაფერი წესების დარღვევით წარიმართა. ხვალ ეს უკვე აღარ განმეორდება!

დოქტორი S... შეჰყურებს თეთრ ანგელოზებს, რომლებსაც სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებთ. დოქტორი S... იგებს მათ გზავნილს, მოდუნდება და სახეზე ღიმილი გადაეჩინება.

დოქტორი S...: მართალი ბრძანდებით, ხვალინდელი დღე განსხვავებული არ იქნება. (შემოტრიალდება ტაბლოსკენ და ჟულიენს ატყობინებს):

დოქტორი S...: მალე თქვენი რიგიც დადგება.

ჟულიენი (ხმადაბლა): რომელი მიმართულებით?

დოქტორი S...: არ ვიცი.

ჟულიენი (კიდევ უფრო ხმადაბლა): თქვენ თუ იცით, დოქტორო, რა ხდება იქ, ზემოთ?

დოქტორს სურს პასუხის გაცემა, მაგრამ ასისტენტების გამო თავს შეიკავებს. თანამშრომლები ამჩნევენ მის უხერხულობას, ერთმანეთს მოელაპარაკებიან და იქაურობას გაეცლებიან.

დოქტორი S... და ჟულიენი სრულიად მარტონი აღმოჩნდებიან.

დოქტორი S... (თავს აკანტურებს): არა.

ჟულიენი: თქვენც კი არ იცით?

დოქტორი S...: მე მხოლოდ ჩემი ფუნქციის შესახებ მომეხსენება. მე უნდა მიგილოთ თქვენ და დაგეხმაროთ ლოდინში. ნერტილი. ბოლოს კი მიგაცილოთ ლიფტამდე. ნერტილი. (პაუზა) მე არაფერი ვიცი, უბრალო მეკარე ვარ. (პაუზა) ერთი ის ვიცი, რომ ზემოთ ასული უკან ვერ დაბრუნდება. მოგზაურობა შეუტყვევადია.

ჟულიენი: რატომ გეძახიან დოქტორს?

დოქტორი S...: იმიტომ, რომ დღეს ასე აღმიქვით, მაგრამ ეს მუდმივად იცვლება, ყველაფერი კონკრეტულ მომენტზეა დამოკიდებული. (პაუზა) თქვენ ხომ ქალად აღმიქვამით?

ჟულიენი: უკაცრავად? ვერ მიგიხდით სათქმელს.

დოქტორი S...: პრეზიდენტი დელბეკი ჩემში ყოველთვის კაცს ხედავდა.

ჟულიენი (დარეტიანებული): ეს ჩემს გაგებას სცილდება.

დოქტორი S... (გამგებანი ღიმილით): ასევე ჩემსას. (პაუზა) როგორც თქვენთვის, ჩემთვისაც სიკვდილი ფაქტი კი არაა, საიდუმლოა.

ჟულიენი: თქვენ იმაზე ნაკლებს ლაპარაკობთ, ვიდრე იცით. (პაუზა) თუ ცხოვრება ძღვენი, მითხარით, ვინ მოგართვათ?

დოქტორი S...: თქვენი აზრით?

ჟულიენი: მე თქვენ მოგმართეთ კითხვით.

დოქტორი S...: მე კიდევ — თქვენ.

ჟულიენი (აუჩქარებლად): ღმერთმა? თუ თვით ცხოვრებამ?

დოქტორი S...: ამ კითხვაზე თვით პასუხებიც კი კითხვის ნიშნებით მთავრდება. ღმერთმა რა, ვითომ? იქნებ თავად ცხოვრებამ? თუმცა რა იცვლება ამით? ყოველ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვალები გაქვთ.

ჟულიენი: ვალები?

დოქტორი S...: თქვენ მოგართვეს ძღვენი და ის უნდა მიიღოთ.

ჟულიენი: რა თქმა უნდა.

დოქტორი S...: შემდეგ გაუფრთხილდეთ, მოუაროთ მას.

ჟულიენი: დიახ.

დოქტორი S...: შემდეგ კი სხვას გადასცეთ ეს ძვირფასი საჩუქარი. თქვენი რიგის მიხედვით, სიცოცხლე სხვას უნდა გადასცეთ: ბავშვებს, ქმედებებს, ნანარმოებებს, სიყვარულს...

ჟულიენი: რა თქმა უნდა. (ჩაფიქრებული) ასე და ამგვარად, შესაძლოა გზის მიწურულს, როცა საჩუქარი საბოლოოდ დაიღვევს და გაცვდება, ბოლოს და ბოლოს ის ჩვენც დავიმსახუროთ.

დოქტორი S... (იდუმალი იერით): შესაძლოა...

ჟულიენი: გამოდის, რომ წარმოდგენა არ გაქვთ, თუ რას ნიშნავს სიკვდილი?

დოქტორი S...: ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება პასუხად ამ კითხვამ მიიღოს, ეს თვით პასუხია.

გაისმის ზარი.

დოქტორი S...: თქვენი რიგიც დადგა.

ისევ გამოჩნდებიან ასისტენტები. ლიფტის კარები იხსნება. ჟულიენი მორჩილად შეაბიჯებს კაბინაში.

ჟულიენი: კურიოზულია, ახლა რომც ვკვდებოდე, გასაოცრად მშვიდად ვგრძნობ თავს.

დოქტორი S...: ნუ დაკარგავთ რწმენას.

ჟულიენი: სიმართლე რომ ვაღიარო, საკუთარ თავზე განსაკუთრებული არაფერი შემიტყვია. სამაგიეროდ, ნაკლებად მაშინებს ის, რაც არ ვიცი.

დოქტორი S...: რწმენა — ეს ის პატარა კოცონია, რომელიც დიდს ვერაფერს გაგინათებთ, სამაგიეროდ, მუდმივ სითბოს შეგინარჩუნებთ, მუდმივად გაგათბობთ.

ჟულიენი ლიფტში შედის, მაგრამ შიგნით მოულოდნელი მღელვარება აიტანს.

ჟულიენი: დოქტორო S..., მე და ღორა იქ, დედამიწაზე ერთმანეთს გადავეყრებით? ვიცნობთ ერთმანეთს?

დოქტორი S...: ვფიქრობ, კი. როგორც კი ლიფტიდან გამოხვალთ, ნამში ყველაფერი დაგავიწყდებათ, მაგრამ დედამიწაზე არსებობს გაუცნობიერებელი მესხიერება, რომელიც აღწერს იმას, რაც მის მიღმა ხდებოდა. ეს სიღრმისეული მესხიერებაა, რომელიც ტვინის სამალავებშია. ის იღვიძებს, როგორც კი ორი ადამიანი ერთმანეთს შეხედავს. იწყება ურთიერთობა და ისინი ამოიცნობენ ერთმანეთს და ჰქვია ამას ერთი ნახვით შეყვარება ანუ მესხის დაცემა.

ლიფტის კარები იკეტება ჟულიენის ზურგსუკან. ანგელოზები გაფაციცებით ადევნებენ თვალს, თუ რომელი ისარი აინთება.

სინათლე მატულობს და მატულობს, თეთრად გავარვარებული და გაუსაძლისი ხდება. სითეთრე მთელ სასტუმროს შთანთქავს. ვერც კი ვახერხებთ გაგებას, ჟულიენი გარდაიცვალა თუ დედამიწაზე დაეშვა.

ეშვება ფარდა

ფრანგულიდან თარგმნა
მერაბ ფიფია

დალაი, დალაი...

გურამ ასათიანი წერდა, რომ გიორგი ლეონიძის ლექსს ქართული ხალხური პოეზიის სათავეებთან განსაკუთრებით აახლოებს მკაფიოდ გამოხატული ჰეროიკული პათოსი, რომელიც ღრმად შეესიჭევა როგორც ჩვენი მშობლიური მინანქლის ზვიად სილაბაზე, ისე მის მკვიდრთა დიდებულთა ხასიათსა და მთელი ჩვენი ისტორიის გამირულ სულს.

ქართველ ფოლკლორისტებს, ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩებოდათ ხალხური შემოქმედების ანარეკლი გიორგი ლეონიძის პოეზიაში. ქსენია სიხარულიძემ სპეციალური წერილიც მიუძღვნა ამ საკითხს, სადაც, სხვათა შორის, მიუთითებს, რომ ცნობილი ლექსი „არ დაიდარდო, დედაო...“ ენათესავება ხევსურულ „ხმით ნატირალებს“ და იმონებს კიდევ ორიოდ ნიმუშს. აი, ერთი მათგანი: „მზეო, დადე და დაგვიანდი, მზე სდგეხარ უკენობისაო, ვიყრებით დედაშვილობითაო, მამშვიდობებენ ბერდიასაო“ (ტექსტი, ჩანერილი 1936 წელს, გამოქვეყნებულია 1940 წელს). ქსენია სიხარულიძის განმარტებით, გულმოკლული დედის მოთქმა დაკრძალვის წესს ასახავს — დედა ემუდარება მზეს, გვიან ჩადიო, რადგანაც მიცვალებულს მზის ჩასვლისას მარხავენ.

ლეონიძისეული „დედა, გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედასა!“ მართლაც შეიძლება მივამსგავსოთ დამონებული ტექსტს, თუმცა აუცილებელი არაა, რომ მაინცდამაინც ზემოხსენებული „ხმით ნატირალი“ გამხდარიყო პოეტის შთაგონების წყარო. მიხეილ ჩიქოვანის სიტყვით, მზისადმი მიმართვა, თხოვნა გვიან ჩასვლის შესახებ, ხშირად გვხვდება ხალხურ პოეზიაში.

საფიქრებელია, რომ „არ დაიდარდო, დედაო...“ უფრო მეტად „დალაის“ უნდა ეხმიანებოდეს და ენათესავებოდეს.

თუმცა გავრცელებული „დალაი“ წარმოადგენს დალუპული ვაჟკაცის გლოვას. როგორც სერგი მაკალათია გადმოგვცემს, თუმცა „დალაობა“ იმართება მიცვალებულის წლისთავზე. საამისოდ იხარშება ლუდი, ცხვება პური, იკვლება საკლავი და ინვევენ მთელ სოფელს. „დალაობა“ დღეს მიცვალებულის ნიშანს გარეთ დაასვენებენ. ნიშანზე გაშლილია მიცვალებულის ტანისამოსი, წინდები, ჩითები, თამბაქოს ქიხა, ქვამარილი, ხელადა არყით და სხვ. ნიშანს დედაკაცები შემოუსხდებიან და იწყებენ დატირებას. მერე გამოდის ხუთი მამაკაცი. „დალაის“ მოქმელი შემჯდარა მიცვალებულის ცხენზე, რომელიც შავი საფენითაა დათალხული და ზედ ხურჯინი ჰკიდია. მოდლავე მხედარი სევდიანი კილოთი იწყებს მიცვალებულის ქებას. სხვები კი მონოტონურად აძლევენ ბანს: დალა... და-ლა... სერგი მაკალათიას სიტყვით, ჭირისუფალი, დედა იქნება თუ და, მწარედ მოთქვამს და მთელი ეს სურათი ქმნის მწუხარების მიმე შთაბეჭდილებას.

ახლა ყური ვათხოვოთ „დალაის“:

„დალაი თქვით, დალაი, მხედრებო, ძნელი არს დალაობაო! ბრალი ხარ ბოსელიაძე, შენი ულაშქროდ სიკვდილი, დალაი... დედან გტირიან შვილობით, დანი ძმობითა გტირიან, დალაი... ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩამოდნებოდეს, დალაი... ეგ შენი ცოლი ლამაზი სურო ვით ექანებოდეს, დალაი... შენი ცხარისა ქალ-ზალი შავით რო იმოსებოდეს, დალაი... შენი ცხენი და აბჯარი ლაშქარს არ იხარჯებოდეს! დალაი...“ (დამონებულია სერგი მაკალათიას მიერ ჩანერილი ტექსტიდან).

გიორგი ლეონიძემ „დალაის“ შინაარსიდან მხოლოდ ერთი ფრაგმენტი აამეტყველა თავის ლექსში (რა თქმა უნდა, შეცვლილი სახით), მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან „დალაის“ ფორმა გარდაქმნა. თუშური გლოვის სიმღერა შეაზავა ძველებურ ეპიტაფიასთან; მისი ლექსის დაბადება ხომ, უწინარეს ყოვლისა, საფლავის ქვის ნახვით იყო შთაგონებული. ლექსის ეპიგრაფში პოეტი გვაუწყებს: „1943 წ. ნოემბერს, ტაშის ნახევარკუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი მეომრის საფლავი. ლევანი რქმეოდა“.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

და დაინერა: **„ლიმილის ბიჭი ვიყავი, ბექზედ არწივი მე-ხატა, ცხრამეტი წლისა შევსრული, ოცი არ გადამხდა“**, — განა სწორედ ასე არ გვეცნობიან ხოლმე აურაცხელ ეპიტაფიათა „ავტორნი“?

ეპიტაფიად გარდასახული დატირება გაცილებით შთამბეჭდავი გახდა. მისი ფსიქოლოგიური ეფექტი მკითხველსა თუ მსმენელზე საგრძნობლად გაიზარდა.

თუკი „დალაის“ მოქმელი თავისი სიტყვებით გადმოსცემს იმ გულისტკივილს, დამსწრეს რომ უჩნდება დალუპული ვაჟკაცის დედის დანახვაზე („ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩამოდნებოდეს“), გიორგი ლეონიძის ლექსში თავად დალუპული იღებს ხმას და იმქვეყნად ნასული მიმართავს მშობელს: „არ დაიდარდო დედაო, ნუ მიეცემი სევდასა!“ — მკვდარი ანუ გემუბს და ამხნეებს ცოცხალს!

„დალაის“ ერთ-ერთ ვარიანტში დალუპულს შეახსენებენ მის მოქალაქეობრივ ვალსაც: „გაიღვიდე, გულადო, განა არ გესმის ხმა საბრძოლო ბუკისა? ნუთუ აღარ ძალგის, ცხენს მოახტე და ქარქაშიდან ხმალი ამოიწვადო?“ გიორგი ლეონიძის ლექსში თითქოს პასუხია გაცემული შეკითხვის ფორმით გამოთქმულ მონოდებაზე: **„თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დავიდაგებით, ჩვენ გამოვამტყრეთ საფლავებს, ხმლით ქართლის მთებზე დავდებთ“**. არც ეს მოტივია უცხო ხალხური პოეზიისათვის. ზემოთ მოტანილ სტრიქონებს აშკარად ეხმიანება ერთი სტროფი ხალხური ლექსიდან, შავეთის სურათს რომ გვიხატავს: **„გვერდი გვიბაის ცხენები, დაყაჯრულები ლაგმითა, თუ სადმ ხმა გატყდეს, იძახონ, იქ ნავალი ცხენით, საგზლით“**. მაგრამ ზოგჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმქვეყნიური ამაოების განჭვრეტაც გამოკრთება მელექსის ნათქვამში: **„რად უნდა მოშავეთთა სამკლავე, საფუხარია? მეც ჩამყვა სამარეშია, მაგრამ ვერ მოვიხმარია! დანგრეულიყო საფლავი, ჩამოდიოდა წყალია“**. ამგვარი რეალისტური მიდგომა მკვეთრად უპირისპირდება სულეთის შესახებ შექმნილი ლექსების ერთსულოვან სულისკვეთებას და დღევანდელი იერი უფრო დაჰკრავს, თუმცა ჯერ კიდევ XIX საუკუნეშია ჩანერილი.

„დალაის“ ტექსტში მიცვალებულს იმქვეყნად გაშლილი სუფრა ელოდება, მეღვინეები აწვდიან სასმელით სავსე ვერ-

ცხლის თუნგებს. გიორგი ლეონიძის ლექსში ცხრა ძმა (ხერხეულიძე?) ეგებება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველ მეომარს: „დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს დამხუროს მუზარადები“.

„არ დაიდარდო, დედაო...“-ს დამთხვევა „დალაის“ ტექსტთან თვალნათლივ ჩანს იმ სტრიქონებში, სადაც დაღუპული ქართველი მეომარი ითხოვს:

„მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვი, დამალეთ ჩემი სამარი, თუ მტერმა გკითხოს, უთხარით, კრემლშია, სტალინთან არი! და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავი ჯაზანი, იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ სტალინის მამა-პაპანი!“

ხოლო „დალაის“ ტექსტში ვკითხულობთ:

„კახეთში კახნი გკითხვენ: არს ქისტეთს, დიჩინსთანაო, დალაი... დიჩინთანა გკითხვენ: არს ქალაქს, ჯარებს ყრისაო, დალაი... ქალაქს კითხულობს ბატონი: წასულა უფალთანაო, დალაი...“

ცოტა არ იყოს, გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაუმალონ თუში გმირის სიკვდილი კახეთის მოსახლეობას? ანალოგიურ შეუსაბამობას ვხვდებით აგრეთვე სხვა ვარიანტში, სადაც ლექსებს ეუბნებიან: კახეთში, ბატონთან არისო; და მეფე რომ მოიკითხავს, მოასხენებენ: ქისტეთში არისო (ანკი მეფეს რატომღა უმალავენ?). და მხოლოდ „სწორებს“ უმხელენ სიმართლეს: უფალთან წავიდაო.

უფრო გამართულად გამოიყურება XIX საუკუნეში არნოლდ ზისერმანის მიერ ჩანერილი ვარიანტი, სადაც ხაზგასმულია ის აზრი, რომ გმირის სიკვდილი მტრებმა არ უნდა შეიტყონ. გიორგი ლეონიძე, შესაძლოა, იცნობდა სწორედ ამ ვარიანტს, რომელიც გამოქვეყნებულია ა. ზისერმანის უაღრესად საინტერესო ნიგნში „ოცდახუთი წელი კავკასიაში“ (სანკტ-პეტერბურგი, 1879).

აღნიშნულ ტექსტში ჩვენთვის მნიშვნელოვან ფრაგმენტს გაცილებით ლოგიკური და ბუნებრივი სახე აქვს: „**არა, ჩვენ არ გავახარებთ შენს სიკვდილს და არ გავახარებთ ჩვენს მტრებს. იკითხავენ შენს ამბავს ლეკები და ვეტყვი: ქისტეთშიაო. იკითხავენ ქისტები და ვეტყვი: კახეთშია, მეფესთან არისო. იკითხავს მეფე და ვეტყვი: ის იქაა, უფალთანაო“.**

ლეონიძისეული „მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვი“, ალბათ, ა. ზისერმანის მიერ ჩანერილი ვარიანტის ტექსტს უფრო შეესაბამება.

XX საუკუნის ქართველმა პოეტმა თუშურ „დალაის“ ახალი სული ჩაუდგა, ახალი ხორცი შეასხა, ახალი სიცოცხლე აჩუქა. თითქოს ხელმეორედ დაიბადა „დალაი“, თითქოს ღირსეული და ნანატრი მემკვიდრე შეიძინა. მთიდან ბარში ჩამოვიდა და ქვეყნის ერთი კუთხისთვის ნიშანდობლივი მოტივი მთელი საქართველოს გასაგონად აჟღერდა, მთელი ქართველი ხალხის საყვარელ ლექსად და სიმღერად იქცა, რომელსაც სიკვდილი აღარ უწერია. ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიჭრა, მრავალთა და მრავალთა ვარამი იტვირთა, მარტივი ცნებანი იდუმალი ელფერით აღჭურვა, პირქუში სინამდვილე რაღაც ძალზე ნაცნობი, მაგრამ თითქმის დაინწყებული მელოდიის სხვივით გაათბო. ყოველი ჭირისუფალი უკვე თავისად მიითვლიდა ამ ლექსს; ეგონა, რომ მთელი ქვეყანა იზიარებდა მის მწუხარებას და უკურნებელი ტკივილის წამლად თანაგრძნობას უცხადებდა.

პოეტმა თავისი უცდომელი გუმანიტ მიაგნო სხვათათვის თითქოსდა უხილავ განძს და ყველას ამცნო მისი არსებობა. „დალაი“ მშვენივრად იცოდნენ საქართველოს მთაში, არც წიგნებში დაბინავება აკლდა. აგერ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამაგალითო ამავდარმა ა. ზისერმანმა (გერმანული წარმოშობის რუსმა მოხელემ) XIX საუკუნის შუა წლებში რუსულადაც თარგმნა. და მაინც სწყუროდა ახალი სიცოცხლე, ახალი აუდიტორი.

„დალაი“, მეტნაკლებად, რეალისტური შემოქმედების დალით არის აღბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ ცოცხლები

ელაპარაკებიან მკვდარს, რომელსაც გაშლილი სუფრა ელოდება სულეთში. ხოლო გიორგი ლეონიძის ლექსში, ეპიტაფიის ტრადიციისამებრ, მკვდარი გველაპარაკება ცოცხლებს, თითქოს იმქვეყნიდან გვანვდენდეს ხმას. ლექსი უფრო ამაღლებული და პათეტიკური გამოჩნდა რეალისტური დეტალებით შემოსილი „დალაის“ ფონზე.

და „დალაის“ შეეცაუბა ეპიტაფია.

ასე აღორძინდა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეპიტაფიის თითქმის მივიწყებული ჟანრი. თვით ცხოვრებამ იხმო იგი, როგორც დაუანგებელი გორდა — დაობებული ქარქაშიდან. დიდი ომის ტრაგედია ავანსცენაზე გამოსულ პოეტთა მოკარნახის როლს ასრულებდა.

თავის დროზე ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „პირველი პირით თქმა და ნაღვანის ჩამოთვლა დამახასიათებელი არის ჩვენი საეპიტაფიო შემოქმედებისათვის. ჩვენს განკარგულებაში არის ათასზე მეტი ეპიტაფია, გადმონერული სხვადასხვა სოფლის საფლავის ქვებიდან, და ძალიან საინტერესო სურათი იძლება. მთელი ეს კოლექცია სრულიად გარკვეულად გვატყვევინებს, რომ ჩვენი ეპიტაფიები ყოველთვის მიცვალებულის პირით გველაპარაკება და ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს მოცემული“.

მიცვალებულის გლოვა-დატირება არც მთას დაინწყებია და არც ბარს, მაგრამ პირველი პირით ნათქვამი ეპიტაფია ლამის გაქრობის გზაზე დამდგარა, განსაკუთრებით — ქალაქად. ჩვენს დროში, როგორც იტყვიან, მოდიდან გამოსულა, თითქოსდა სამოსელს წარმოადგენდეს. უბრალო საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია, რომელიც ყველა სოციალურ ფენაში იყო გავრცელებული, ეტყობა, თან გადაჰყვა საფლავის უბრალობას და სისადავეს. მედიდურ და სოლიდურ აკლამებს, ალბათ, აღარ შეეფერებათ, რომ მიცვალებულის პირით აუწყონ გამვლელს გულუბრყვილოდ ნათქვამი ამბავი თავისი ცხოვრებისა და შენდობა სთხოვონ. მეტყველი ეპიტაფიის ნაცვლად — გულცივი, თითქმის დამუნჯებული წარწერები. ისინი არც არაფერს გვაუწყებენ და არც შენდობას გვთხოვენ. მხოლოდ და მხოლოდ გაპრანჭული ტიტულებისა და ნაღვანის სიუხვე-მრავალფეროვნებით ეჯიბრებიან ერთმანეთს.

დავუბრუნდეთ ლეონიძის უბადლო ლექსს.

პოეტი დაჟინებით ეძებდა მადანს მშობლიური ისტორიისა და ფოლკლორის ნიაღში, ეძებდა და წააწყდა. მოიპოვა, შეისისხლხორცა, მონოტონურ გლოვის ზარს არტახები შეხსნა, თანამედროვე ლექსის დინამიკა შესძინა.

რაოდენ ძალისხმევას მოითხოვს — ხელახლა ააბრიალო თითქმის მიმქრალი და მინავლებული. ძიების გზა მძიმეა და ძნელი, მაგრამ ერთხელაც, პოლონელი პოეტის ნორვიდისა არ იყოს, აელვარდება ფერფლში ალმასი, როგორც ნიშანი გამარჯვებისა.

გიორგი ლეონიძის სიყვარული ხალხური პოეზიისა ცალმხრივი არ ყოფილა. 1946 წელს ქსენია სიხარულიძეს ხევსურეთში ჩაუწერია ხალხური ვარიანტები ლეონიძის ორი ლექსისა („არ დაიდარდო, დედაო...“ და „შინმოუსვლელი, სადა ხარ?“). გიორგი კალანდაძის სიტყვით, აღნიშნული ფაქტი რომ შეუტყვია, პოეტს ალტაცებით უთქვამს: „ჩემთვის ეს არის უმაღლესი ჯილდო“.

აი, ამას ჰქვია უკვდავება ლექსისა!

ღმერთმა დალოცოს პოეზია, შეუძლებელს რომ გახდის შესაძლებლად, წარმოუდგენელს — წარმოსადგენად, აკრძალულს — დასაშვებად; მკვდარს რომ აამეტყველებს ცოცხალთა გასამხნეველად და, რაც მთავარია, ჩვეულებრივ მკითხველს გადააქცევს იმ პოეტად, რომელსაც თავის სიცოცხლეში ლექსი არ დაუწერია.

გქონდეს ნიჭი იმისა, რომ გაგახაროს და გაგაბედნიეროს ლექსმა, ესეც კმარა საიმისოდ, რათა მადლობა უთხრა გამჩენს, რომელმაც წუთისოფლის ეკლიან გზაზე მიმავალ ადამიანებს მალამოდ მოუვლინა პოეზია.